

სოციალურ
მეცნიერებათა
ჰეფტორები

N 2, 2021



VECTORS OF
SOCIAL SCIENCES



საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი
INTERNATIONAL SCIENTIFIC PEER-REVIEWED JOURNAL

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს
სამეცნიერო ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებათა ვებჟურნალი

საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი
ჟურნალი

N 2 2021

თბილისი 2021

სარედაქციო კოლეგია

ანა ფირსხალაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით (თავმჯდომარე)

გიორგი ლავთაძე

დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი სასწავლო მიმართულებით

გოდერძი ბუჩაშვილი

დოქტორი, ასოც. პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით

საბა ფლემინგსი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, bbw Gruppe გენერალური დირექტორი. განათლების კვლევის და ადმინისტრირების ინსტიტუტის დირექტორი. ბერლინისა და ბრანდენბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი.

შთაფან შლენაერ

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტის პროფესორი, დოცენტი

ეპარტო კლანინი

ემ. პროფესორი, პოტსდამის უნივერსიტეტი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამფუძნებელი დირექტორი

მარტინ დალი

ლაზარსკის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი, პოლონეთის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული აკრედიტაციის საბჭოს წევრი

ანდრეა აპოლონი

რომის ტორ ვერგატას უნივერსიტეტის პროფესორი

ჯოაჟენ ფრანსკა

პროფესორი, დოქტორი, პოტსდამის უნივერსიტეტის ლექტორი, პოტსდამის უნივერსიტეტთან არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

მარკუს კერბერი

სამართლის დოქტორი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის, ეკონომიკური სამართლისა და ეკონომიკურ სწავლებათა ინსტიტუტის პროფესორი.

იუსტინა ბოკაიო

დოქტორი, ვროცლავის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ევროპული ინტეგრაციის კვლევების დეპარტამენტი.

ეკატერინა ქარდავა

სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, საჯარო სამსახურის ბიუროს თავმჯდომარე.

დარგობრივი მიმართულებები:

სამართალი

მიმართულების თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე

მიმართულების ედიტორები: თეა ჯუღელი
ბესიკ ლოლაძე
გიორგი ციციანი

ეკონომიკა

მიმართულების თავმჯდომარე: თენგიზ თაქთაქიშვილი

მიმართულების ედიტორები: ლაშა ზივზივაძე
პაატა შურღია
დავით ჩახვაშვილი

ადმინისტრირება/მართვა

მიმართულების თავმჯდომარე: რუსუდან ბერიაშვილი

მიმართულების ედიტორები: ლარისა პატარია
ლევანი დუნდუა
ია წულაია
თამარ კაკუტია

ფსიქოლოგია

მიმართულების თავმჯდომარე: ნოდარ სარჯველაძე

მიმართულების ედიტორები: მადონა კეკელია
ინა შანავა
გიორგი დონაძე
ლია ქურხული

ჰურნალისტიკა

მიმართულების თავმჯდომარე: თინათინ ზაქარაშვილი

მიმართულების ედიტორები: ია მახარაძე
მარინე გერმანიშვილი

პოლიტიკის მახინჯობები

მიმართულების თავმჯდომარე: აკაკი აბზიანიძე

მიმართულების ედიტორები: ეკა დარბაიძე
მარინე იტრიაშვილი
ქრისტინე მაჭარაშვილი

ტექნიკური რედაქტორები:

ანა ცეცხლაძე
ნათია გუგუნაშვილი

ISSN 2667-9892

DOI:

უაკ (udc) 001.5 ს 75

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

რედაქციის აზრი შეიძლება, არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარჩევნი

სამართალი

თამარ ავალიანი

გამოხატვის თავისუფლება vs. სასამართლოს ავტორიტეტი აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების მიხედვით და მისი გავლენა საქართველოს კანონმდებლობაზე

6

ნათია ჯინიუზაშვილი

რამდენად არეგულირებს სამოქალაქო დრონების ექსპლუატაციის მარეგულირებელი ევროკავშირის სამართლებრივი ნორმები პირადი სფეროს ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებს?

30

სესილი ქადარია

რეაბილიტაციის პროცესის გახსნის თავისებურებები ქართული და იაპონური სამართლის ჭრილში

48

ეკონომიკა

ლარისა დოლიკაშვილი

საქართველოში სოციალური ტურიზის განვითარების მნიშვნელობა

60

ნინო ცხოვრებაშვილი

პერსონალური მონაცემების ეკონომიკური და სოციალური გაცვლა და მათი დაცვის რისკი

76

ფსიქოლოგია

მადონა კეკელია, ელისო კერესელიძე, ინა შანავა,

კოვიდპანდემია და სტუდენტების ფსიქოლოგიური მდგომარეობა

98

ნათია არჩვაძე

შიშის ფსიქო-სოციალური ფაქტორების შეფასება

114

ჟურნალისტიკა

ქეთევან ნიჭარაძე

ყოველდღიური ინფორმაციის გავრცელების მეთოდები და ინსტრუმენტები ანტიკურ სამყაროში - აგორადან Acta diurna-მდე

128

სამართალი



გამოხადვის თავისუფლება vs. სასამართლოს ავტორიტეტი აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების მიხედვით და მისი გავლენა საქართველოს კანონმდებლობაზე

თამარ ავალიანი

ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ნაშრომში გამოკვლეულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა სასამართლოს კრიტიკასთან დაკავშირებით და საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობის საკითხი საერთაშორისო სტანდარტებთან (აშშ-ს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან).

სტატია შეეხება სასამართლოს კრიტიკის ფარგლებს აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების მიხედვით და მის გავლენას საქართველოს კანონმდებლობაზე. ნაშრომში გაანალიზებულია გამოხატვის თავისუფლების ამერიკის შეერთებული შტატების მოდელი და შედარებულია იგი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აშშ-ს მოდელის მსგავსად, გამოხატვის თავისუფლების ქართული მოდელი გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისობრივად ნეიტრალური შეზღუდვის პრინციპს ეფუძნება, რაც გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალ სტანდარტზე მიუთითებს. მართლმსაჯულების პროცესის შეუფერხებლად, ჯეროვნად და ეფექტიანად წარმართვის ლეგიტიმური მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ქართული კონსტიტუციური სტანდარტი ბრანდენბურგის საქმეზე განვითარებული „სამწვეროვანი“ ტესტის გავლენას განიცდის და მის არსს იზიარებს. გამოხატვის თავისუფლების ქართული მოდელით, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის ლეგიტიმური მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ მართლმსაჯულების შეუფერხებლად და ჯეროვნად განხორციელებისთვის „აშკარა და მყისიერი საფრთხის შექმნის ტესტის“ გამოყენებით უნდა განხორციელდეს და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მაღალია ალბათობა, რომ ასეთი ქმედება მოხდება. სასამართლოს კრიტიკის ნაწილში ქართული მოდელი შინაარსობრივად და თვალსაზრისობრივად ნეიტრალურ რეგულირებას ავითარებს და გამოხატვის საგნის შეზღუდვის პრევენციურებას ახდენს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტით, მოსამართლის საქმიანობასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვა კონსტიტუციურ უფლებად არის მიჩნეული და მაღალი ღირებულებითი დატვირთვა გააჩნია. სასამართლოს ავტორიტეტის დასაცავად როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტებით „სიტყვის მართლმსაჯულების ობიექტად ქცევა“ და მასში გაუმართლებელი ჩარევა დაუშვებელია.

საკვანძო სიტყვები: სასამართლო, კრიტიკა, ფარგლები, შეფასება.

შესავალი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტით, მოსამართლის საქმიანობასთან დაკავშირებით კრიტიკული აზრის გამოხატვა კონსტიტუციურ უფლებად არის მიჩნეული¹, რომლის მიმართაც მოსამართლეს, როგორც საჯარო პირს, თმენის ვალდებულება გააჩნია. სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმები და საქმიანობა მომეტებული საჯარო ინტერესის საგანია, რომლის მიმართაც შესაძლებელია განხორციელდეს კრიტიკული გამოხატვა. „იდეათა თავისუფალი ბაზარი“ ინდივიდისა და საზოგადოების განვითარების საფუძველია, რაც დებატების პლურალიზმსა და კამათში ვლინდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მოსამართლეების მიერ სათანადოდ იყოს გააზრებული გამოხატვის თავისუფლების ღირებულებითი მასშტაბი და მისი როლი ფასეულობებზე ორიენტირებული თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

სტატიაში ძირითადად გაანალიზებულია სასამართლოს (მოსამართლის) კრიტიკის ფარგლები გამოხატვის თავისუფლების აშშ-ს მოდელის მიხედვით და მისი გავლენა საქართველოს კანონმდებლობაზე.

ასევე, გამოკვლეულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა სასამართლოს კრიტიკასთან დაკავშირებით და საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობის საკითხი საერთაშორისო სტანდარტებთან.

1. „აშკარა და მყისიერი საფრთხის ტესტი“, როგორც გამოხატვის თავისუფლების დაცვის გარანტია

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორება² გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტით დაცულობის კონსტიტუციური გარანტიაა. კონსტიტუციის პირველი შესწორება იმპერატიულად და აბსოლუტური ფორმით განსაზღვრავს, რომ აშშ-ს კონგრესს ეკრძალება ისეთი კანონის მიღება, რომელიც სიტყვის ან პრესის თავისუფლებას ზღუდავს³. პირველი შესწორების შინაარსთან დაკავშირებით უნდა გაირკვეს ორი საკითხი: ერთი, რამდენად მიემართება პირველი შესწორების კონსტიტუციური მოწესრიგება მხოლოდ აშშ-ს კონგრესს და მეორე, არის თუ არა კონსტიტუციის პირველი შესწორება აბსოლუტური ხასიათის ჩანაწერი, როგორც ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან იკვეთება.

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს, ერთი შეხედვით ჩანს, რომ პირველი შესწორება მხოლოდ კონგრესს მიემართება, ეს ასე არ არის. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ პირველი შესწორების მიზნებისთვის მოხსენიებული კონგრესი მოიცავს არა

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/482,483,487,502 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად მიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2011 წლის 18 აპრილი. პარაგრაფი 67.

² First Amendment of the US Constitution, https://www.law.cornell.edu/constitution/first_amendment [უ.გ.24.09.2021].

³ იქვე.

მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლებას, არამედ, მთელს ფედერალურ მთავრობას⁴. ვინაიდან აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცული უფლებები ამერიკის კონსტიტუციური წყობის ერთ-ერთი ძირითადი ფუნდამენტია⁵, იგი ხელისუფლების ყველა შტოსთვის მბოჭავი კონსტიტუციური დანაწესია. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით პირველი შესწორება აბსოლუტური მოწესრიგების შთაბეჭდილებას ქმნის და კონსტიტუციის დონეზე არ განსაზღვრავს მისი შეზღუდვის საფუძვლებს, იგი არ არის აბსოლუტური ხასიათის. გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს საზოგადოებრივი ინტერესებისა და აშკარა და მყისიერი საფრთხეების გათვალისწინებით.

აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების დოქტრინა გამოხატვის თავისუფლებას მიიჩნევს როგორც მიზანს და როგორც საშუალებას. გამოხატვის თავისუფლება ერთის მხრივ წარმოადგენს პიროვნების განვითარების საუკეთესო საშუალებას და მეორეს მხრივ წინაპირობას, სხვა უფლებების დაცვისა⁶.

გამოხატვის თავისუფლების აშშ-ს მოდელი შინაარსობრივად ნეიტრალურ რეგულირებაზეა ორიენტირებული, რაც სიტყვის თავისუფლების დაცულობის მაღალ სტანდარტზე მიუთითებს. აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისგან განსხვავებით, არ შეიცავს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს. ისინი აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით არის დადგენილი. ანგლოსაქსური (საერთო სამართლის) სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებებიდან ყალიბდება. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაფასებლად ე.წ. „სამწვეროვან ტესტს“ იყენებს⁷. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ წინაპირობებს: შეზღუდვას უნდა ითვალისწინებდეს კანონი; იგი უნდა ემსახურებოდეს კონვენციასა და კონსტიტუციაში მითითებულ ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზანს მიღწევას; შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში⁸. რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მეორე ნაწილი ამომწურავად განსაზღვრავს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავისი მიხედულობით განაწესოს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვის საფუძვლები. ევროსასამართლოს მოდელისგან განსხვავებით, აშშ-ში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების განსაზღვრას სრულად სასამართლო ახდენს⁹.

⁴ მ. ოქრუაშვილი და ი. კოტეტიშვილი, გამოხატვის თავისუფლება, ტომი I, თავისუფლების ინსტიტუტი 2005, გვ. 16.

⁵ იქვე, 15.

⁶ ევა გოცირიძის დისერტაცია თემაზე: „გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით)“, თსუ, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, 2007, გვ. 398.

⁷ Guide on Article 10 of the European Convention on Human Rights, Freedom of Expression, Updated – 31 August 2020, Council of Europe/European Court of Human Rights, 2021, pp.19-22.

⁸ Guide on Article 10 of the European Convention on Human Rights, Freedom of Expression, Updated – 31 August 2020, Council of Europe/European Court of Human Rights, 2021, pp.19-22.

⁹ ევა გოცირიძის დისერტაცია თემაზე: „გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით)“, თსუ, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, 2007, გვ. 404-405.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის „სამწვეროვან“ ტესტს იყენებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც კონსტიტუციის მე-17 მუხლის შეზღუდვის შეფასების ნაწილში.

გამოხატვის თავისუფლების აშშ-ს მოდელი განარჩევს მაღალი და დაბალი ღირებულების მქონე გამოხატვას. მაღალი ღირებულების გამოხატვას საზოგადოების ღირებულებითი განვითარებისთვის წვილის შეტანის ფუნქცია გააჩნია და მისთვის სარგებლის მომტანია. დაბალი ღირებულების გამოხატვა ანტისაზოგადოებრივი ხასიათისაა და ღირებულებებისგან არის დაცლილი.

აშშ-ში გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივად ნეიტრალურ რეგულირებაზე მიანიშნებს ის, რომ აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კრეტერიუმს „აშკარა და მყისიერი საფრთხის“ ტესტი¹⁰ წარმოადგენს, რომელიც აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ შეიმუშავა. იგი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შინაარსობრივად ნეიტრალური ინსტრუმენტია. „აშკარა და მყისიერი საფრთხის“ ტესტი გამოხატვის თავისუფლების და მასთან კოლოდირებულ უფლებებების დაბალანსების მნიშვნელოვანი სამართლებრივი მექანიზმია. „აშკარა და მყისიერი საფრთხის ტესტი“ პირველად გამოყენებულ იქნა საქმეზე - *Schenck v. United States*¹¹. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ შენკის საქმეზე კონგრესს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ფართო მიხედულობის ფარგლები მიანიჭა. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის ოლივერ ვენდელ ჰოლმსის შეფასებით „ყველანაირი ქმედების ხასიათი დამოკიდებულია იმ გარემოებებზე, რომელთა პირობებშიც ეს აქტი შესრულდა, თავისუფალი სიტყვის ყველაზე მკაცრი დაცვაც ვერ გაამართლებს იმ ადამიანს, რომელიც თეატრში ტყუილად დაიძახებს: „ცეცხლი!“ და ამით პანიკას გამოიწვევს.“¹² ამასთანავე, „ყველა საქმეში მთავარია იმის დადგენა, გამოყენებული სიტყვა წარმოითქმება თუ არა ისეთი გარემოების დროს, რომ შეუძლია ცხადი და მყისიერი საფრთხის შექმნა, ისეთი საფრთხისა, რომლისგან დაცვაც კონგრესის უფლებამოსილებას შეესაბამება“¹³. შენკის საქმეზე აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ პირველად ჩაუყარა საფუძველი „აშკარა და მყისიერი საფრთხის“ დოქტრინას, რომელიც დღემდე აშშ-ს კონსტიტუციის განმარტების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად არის მიჩნეული¹⁴. „შენკის ტესტის“ ხარვეზს წარმოადგენდა ის, რომ იგი უფლებამოსილს ხდოდა კონგრესს „სახიფათო ტენდენციის“ გამოხატვის შეზღუდვასთან დაკავშირებით, რაც გამოვლინდა კიდევ უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ სხვადასხვა საქმეში¹⁵. „სახიფათო ტენდენციის ტესტი“ აისახა საქმეზე - *Abrams v. US* ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ოლივერ ვენდელ ჰოლმისა და უილიამ

¹⁰ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 249 U.S. 47, „შენკი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“, 1919 წელი. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება No. 395 U.S. 444 „ბრანდენბურგი ოპიოს წინააღმდეგ“, 1969 წელი.

¹¹ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 249 U.S. 47, „შენკი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“, 1919 წელი.

¹² გ. წულუკიძე, რ. კაკაბაძე, ვ. ბერეკაშვილი, გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI) 2020, გვ.21.

¹³ იქვე, 21.

¹⁴ სასამართლო პრაქტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, კარი II, თავისუფლების ინსტიტუტი, 2005, გვ. 161.

¹⁵ გ. წულუკიძე, რ. კაკაბაძე, ვ. ბერეკაშვილი, გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI) 2020, გვ.22.

ბრანდისი განსახვავებული აზრში, რაც გამოხატვის თავისუფლების დაცვის გარანტიად იქცა. ჰოლმის შეფასებით, მიუხედავად პოლიტიკური გამოხატვის ხასიათისა, მხოლოდ რეალური ზიანის დადგომის აშკარა და მყისიერი საფრთხე ხდიდა კონგრესს უფლებამოსილს, დაეწესებინა შეზღუდვები გამოხატვის თავისუფლებაზე¹⁶. საქმეზე - *Abrams v. US* მოსამართლეებმა ჰოლმსმა და ბრანდისმა თავიანთ განსახვავებულ აზრში რამდენიმე მნიშვნელოვანი სტანდარტი დადგინეს: გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შეფასებისას, აქცენტი უნდა გაკეთებულიყო შინაარსობრივად ნეიტრალურ რეგულირებაზე და გამოხატვა შეიძლებოდა შეზღუდულიყო, თუ იგი გადავიდოდა გამოხატვის თავისუფლებასა და ძალადობას შორის ზღვარს. მითითებული საქმის ფარგლებში, მოსამართლე ჰოლმის განმარტებები „იდეათა თავისუფალი ბაზრისა“ და მოსაზრებათა პლურალიზმის დოქტრინას, როგორც ჭეშმარიტების საზომს ეფუძნებოდა¹⁷. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე - *Gitlow v. New York*, რომელიც ანარქიისკენ და სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოწოდებას შეეხებოდა „აშკარა და მყისიერი საფრთხის“ ტესტთან ერთად „სახიფათო ტენდენციის“ ტესტზეც და „ცუდ ტენდენციაზეც“ იმსჯელა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ამ შემთხვევაში, სახეზე იყო კონკრეტული ქმედებისთვის დასჯა საომარი მდგომარეობის დროს¹⁸. „აშკარა და მყისიერი საფრთხის“ ტესტის გამოყენებით, მოსამართლე ჰოლმსმა გიტლოუს გამოხატვა აშკარა და მყისიერი საფრთხის შემქმნელად არ მიიჩნია.

„აშკარა და მყისიერი საფრთხის“ ტესტი დაიხვეწა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შეფასების ახალი სტანდარტი დამკვიდრდა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ 1969 წელს განხილულ საქმეზე - *Brandenburg v. Ohio*¹⁹, სადაც გააუქმა კულ კლუს კლანის წევრის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სინდიკალიზმისთვის. „ბრანდენბურგის ტესტის“ თანახმად, გამოხატვის თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს, თუ იგი მიზნად არ ისახავს უკანონო ქმედების მკაფიო და მყისიერ გამოწვევას და არსებობს მაღალი ალბათობა, რომ ამგვარი ქმედება განხორციელდება. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ მანამდე მიღებული გადაწყვეტილებებისგან განსახვავებით, უზენაესმა სასამართლომ „ბრანდენბურგის“ საქმეში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის „სამწვეროვანი ტესტი“ განავითარა, რითაც გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივად ნეიტრალური შეზღუდვის შეფასების მყარი საფუძველი შექმნა. „ბრანდენბურგის ტესტის“ თანახმად, იმისთვის, რომ გამოხატვა აიკრძალოს, სახეზე უნდა იყოს კანონის დარღვევისკენ პირდაპირი და ცალსახა მოწოდება; გამოხატვა, თავისი არსით უნდა მოუწოდებდეს კანონის დაუყოვნებლივი დარღვევისკენ და უნდა არსებობდეს მაღალი ალბათობა, რომ მოწოდება კანონის დაუყოვნებლივ დარღვევას გამოიწვევს²⁰. „ბრანდენბურგის“ საქმეზე განვითარებული სტანდარტით²¹, თუ ნათლად არ იკვეთება ზემოაღნიშნული ნიშნები, ძალადობისა და

¹⁶ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 250 U.S. 616 „აბრამსი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“, 1919 წელი.

¹⁷ სასამართლო პრაქტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, კარი II, თავისუფლების ინსტიტუტი 2005, გვ. 32.

¹⁸ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 268 U.S. 652 „გიტლოუ ნიუ იორკის წინააღმდეგ“, 1925 წელი.

¹⁹ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება No. 395 U.S. 444 „ბრანდენბურგი ოჰაიოს წინააღმდეგ“, 1969 წელი.

²⁰ სასამართლო პრაქტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, კარი II, თავისუფლების ინსტიტუტი, 2005, გვ. 80.

²¹ „ბრანდენბურგის ტესტს“ დღემდე იყენებს აშშ-ს უზენაესი სასამართლო.

სიძულვილის ქადაგებაც კი დაცულია აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით. „ბრანდენბურგის ტესტის“ შემოღებამ გააფართოვა გამოხატვის თავისუფლების დაცვის ფარგლები და აშშ-ს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შინაარსობრივად ნეიტრალურ მოდელს ჩაუყარა საფუძველი.

გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი და თვითნებური ჩარევის საფრთხე პრევენციურებულია „ბრანდენბურგის ტესტის“ მესამე კომპონენტით - მაღალი ალბათობა, რომ მოწოდება კანონის დაუყოვნებლივ დარღვევას გამოიწვევს. „აშკარა და მყისიერი საფრთხის“ ეს კომპონენტი უფლების შემზღუდველს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის მეტი მტკიცების ვალდებულებას ანიჭებს, რითაც ერთის მხრივ, მცირდება უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის რისკი, ხოლო მეორეს მხრივ, გამოხატვის შინაარსში შესვლის ნაკლებ შესაძლებლობას ქმნის²². გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „აშკარა და მყისიერი საფრთხის“ კრიტერიუმის გამოყენება მეტ წინაპირობას ქმნის გამოხატვის თავისუფლების უკეთ დაცულობის კუთხით, ვიდრე ევროპული კრიტერიუმი „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“²³, რადგან ეს უკანასკნელი ზოგადი დანაწესია, მეტად ფართო ინტერპრეტირების შესაძლებლობას იძლევა და გამოხატვის თავისუფლების შინაარსში შესვლის შესაძლებლობას ქმნის.

გამოხატვის თავისუფლების ქართულ მოდელი როგორც კანონმდებლობის, ისე საკონსტიტუციო პრაქტიკის დონეზე იყენებს „აშკარა და მყისიერი საფრთხის ტესტის“ დოქტრინას. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ითვალისწინებს „აშკარა და მყისიერი საფრთხის ტესტის“ გამოყენებას „მოწოდების“ შეფასებისას. კანონის მე-4 მუხლის თანახმად „მოწოდება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, როცა პირი ჩაიდენს განზრახ ქმედებას, რომელიც ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“²⁴. „აშკარა და მყისიერი საფრთხის“ ტესტს ითვალისწინებს საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“. კანონის მე-11 მუხლი განსაზღვრავს, რომ „დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.“²⁵

„აშკარა და მყისიერი საფრთხის“ დოქტრინა განავითარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში, რითაც განმარტა, რომ ძალადობისკენ მოწოდება უნდა ქმნიდეს რეალურ საფრთხეს, „კანონსაწინააღმდეგო შედეგის

²² ევა გოცირიძის დისერტაცია თემაზე: „გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით)“, თსუ, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, 2007, გვ.407-408.

²³ იქვე, გვ.405.

²⁴ საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. 24 ივნისი, 2004.

²⁵ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“. 12 ივნისი, 1997.

დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს²⁶. გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისობრივად ნეიტრალური ქართული მოდელზე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გიორგი ყიფიანისა და ავთანდილ უნგიაძის საქმეში. სასამართლოს განმარტებით „პოზიციის, ფასეულობების, იდეების მიუღებლობა არ შეიძლება გახდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ობიექტურად იდენტიფიცირებადი ინტერესები, მაგრამ არა სუბიექტური გრძნობები.“²⁷

2. სასამართლოს კრიტიკის ფარგლები აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების მიხედვით

გამოხატვის თავისუფლების აშშ-ს მოდელი სასამართლოსა და ინდივიდუალური მოსამართლის კრიტიკას მაღალი ხარისხით იცავს და პოლიტიკური გამოხატვის დაცულობის რანგში აჭყავს²⁸. გამოხატვის თავისუფლების აშშ-ს მოდელით, მოსამართლეები „საჯარო პირის“ ცნებაში ერთიანდებიან და კრიტიკისადმი თმენს ვალდებულება გააჩნიათ. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე - *New York Times Co. v. Sullivan. Syllabus*, განმარტა, რომ მოსამართლის კრიტიკისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სასამართლოს ავტორიტეტისა და რეპუტაციის დასაცავად ვერ იქნება გამართლებული თუ აშკარა და მყისიერი საფრთხე არ ექმნება მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესს²⁹.

Landmark Communications-ის საქმეზე აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ „სამართალი მოსამართლეებს როგორც ინდივიდებს, ან სასამართლოებს როგორც ინსტიტუციებს, ვერ უზრუნველყოფს იმაზე უფრო დიდი იმუნიტეტით კრიტიკისაგან დასაცავად, ვიდრე სხვა ინდივიდებსა და ინსტიტუციებს. სასამართლოთა საქმიანობა და მოსამართლეთა სამართლებრივი ქცევა წარმოადგენს საზოგადოების მნიშვნელოვან ინტერესის სფეროს“³⁰.

²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/482,483,487,502 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად მიმიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშყარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2011 წლის 18 აპრილი. პარაგრაფი II.105; EMC-ს კრიტიკა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის საკითხზე იოსებ ჯაჭვლიანის საკანონმდებლო ინიციატივაზე, 2016, <https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-s-kritika-religiuri-grdznobebis-sheuratskhqofis-sakitkhe-ioseb-jachvlianis-sakanonmdablo-initsiativaze> [უ. გ. 24.09.2021].

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/421,422 „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2009 წლის 10 ნოემბერი. პარაგრაფი II.7.

²⁸ სასამართლო პრაქტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, კარი II, თავისუფლების ინსტიტუტი, 2005. გვ. 23.

²⁹ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ნიუ იორკ თაიმსი სულივანის წინააღმდეგ“, 1963 წელი.

³⁰ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 435 U.S. 829 „ლენდმარქ კომუნიკეიშენს ვირჯინიის წინააღმდეგ“, 1978 წელი. ასევე: გ. წულუკიძე, რ. კაკაბაძე, ვ. ბერეკაშვილი, გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), 2020, 55.

პირველი გადაწყვეტილება, რომელსაც აშშ-ს უზენაესი სასამართლოს კრიტიკა მოჰყვა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო იყო 1819 წლის საქმე - *McCulloch v. Maryland*³¹. მითითებული გადაწყვეტილებით, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სწორედ აშშ-ს კონგრესი იყო უფლებამოსილი, შეექმნა ნაციონალური საბანკო სისტემა. უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას ფართომასშტაბიანი კრიტიკა მოჰყვა. აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის - თომას ჯეფერსონის გამარტებით, სასამართლო იყო „შეუმჩნეველად მოქმედი მესანგრეებისა და დამნაღველების კორპუსი“, რომლებიც „განუწყვეტლივ მოქმედებდნენ საფარქვეშ, რათა ძირი გამოეთხარათ კონფედერაციული საწარმოებისთვის.“³²

სასამართლოს უპატივცემულობის საფუძვლით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას, აშშ-ს უზენაესი სასამართლო „ბრანდენბურგის სამწვეროვან ტესტს“ იყენებს. ამერიკის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად საჭიროა ნათელი და რეალური საფრთხე ემუქრებოდეს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებას³³.

გამოხატვის თავისუფლების აშშ-ს მოდელი, პრესის თავისუფლების უმაღლესი სტანდარტით დაცვას ითვალისწინებს, რაც საზოგადოებაში მისი განსაკუთრებული როლიდან გამომდინარეობს.

გამოხატვის თავისუფლების აშშ-ს მოდელით, პრესისთვის სანქციის დაკისრება სასამართლოს უპატივცემულობისთვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ „აშკარა და მყისიერი საფრთხე“ არ ექმნება მართლმსაჯულების ადმინისტრირებას³⁴.

საქმეზე - *Bridge v. California* უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს უპატივცემულობის გამო მედიის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა უნდა შეფასდეს „აშკარა და მყისიერი საფრთხის ტესტის“ გამოყენებით, როდესაც მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას „აშკარა და მყისიერი საფრთხე“ ექმნება³⁵. *Bridges*-ის საქმეზე განვითარებული სტანდარტით, აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების ფარგლებში დაცულია სასამართლის სისტემისა და მოსამართლის მიმართ შეურაცხმყოფელი გამოხატვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების მწვავე ფორმით კრიტიკა.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შეფასებისას საქმეზე - *Pennkamp v. Florida*³⁶ აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ „აშკარა და მყისიერი საფრთხის“ ტესტი გამოიყენა. მითითებულ საქმეზე, გაზეთის გამომცემლებმა გააკრიტიკეს სასამართლო და განაცხადეს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები კრიმინალური ავტორიტეტების ინტერესებს ემსახურებოდა და სარგებლის მომტანი იყო აზარტული თამაშების ბიზნესისთვის.

³¹ ამერიკის შეერთებულ შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 316 316 „მკკულოხ მერილენდის წინააღმდეგ“, 1819 წელი.

³² გ. წულუკიძე, რ. კაკაბაძე, ვ. ბერეკაშვილი, გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), 2020, გვ. 45.

³³ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 376 U.S. 254 „ნიუ იორკ თაიმის სალივანის წინააღმდეგ“, 1963 წელი.

³⁴ Article 19” Background Paper on Freedom of Expression and Contempt of Court, International Seminar on Promoting Freedom of Expression With the Three Specialised International Mandates. 29-30 November, 2000 p.8.

³⁵ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No.314 US 252 „ბრიჯი კალიფორნიის წინააღმდეგ“, 1941 წელი.

³⁶ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 328 U.S. 331 „პენენკამპი ფლორიდის წინააღმდეგ“, 1946 წელი.

აღნიშნული გამოხატვისთვის გაზეთის გამომცემლებს ბრალი წაუყენეს სასამართლოს ავტორიტეტის შეზღვევისთვის. მითითებულ საქმეზე უზენაესი სასამართლოს შეფასებით, სასამართლოს სისტემას უნდა ჰქონდეს მიმღებლობა მათ მიმართ კრიტიკული და შეურაცხყოფელი გამოხატვის მიმართ და რომ „სუსტი პიროვნებები ვერ იქნებიან მოსამართლეები“³⁷. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გამოხატვის შინაარსი და ის გარემოებები, რომლებშიც მოხდა გამოხატვა.

საქმეზე - *Craig v. Harney* უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „შეურაცხყოფის მარეგულირებელი კანონი არ შეიძლება იყოს ისეთი მოსამართლეების თავშესაფარი, რომლებიც სენსიტიურები არიან საჯარო კრიტიკის ქარცეცხლის მიმართ“³⁸.

აშშ-ს მოდელით, სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საფუძვლით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას აუცილებელია ორი წინაპირობის დაკმაყოფილება: მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელებისთვის საფრთხის შექმნა და მიმდინარე საქმისა და მისი მოსამართლის წინააღმდეგ გამოხატვა³⁹. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისთვის, მნიშვნელოვანია „ფაქტიურად მიყენებული ბოროტი განზრახვით ზიანი იყოს მეტისმეტად სერიოზული და საფრთხის დადგომის ალბათობა იყოს მაღალი“⁴⁰. აშშ-ში გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტი ვლინდება იმაში, რომ ფაქტიურად შეუძლებელია გამოხატვის შინაარსში შესვლა და ძირითადად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება შეეხოს მხოლოდ გამოხატვის ფორმას, დროს და ადგილს. აშშ-ს მოდელი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შინაარსობრივად ნეიტრალურ რეგულირებას გვათავაზობს, რაც მის მაღალი დაცულობის სტანდარტზე მიუთითებს.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ კონსტიტუციის პირველ შესწორებასთან დაკავშირებით განვითარებული პრაქტიკის თანახმად, საჯაროდ სასამართლო შეურაცხყოფის და კრიტიკის გამო, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა თითქმის შეუძლებელია⁴¹.

აშშ-ს ფედერალური სასამართლოს მოსამართლეები მაღალი დაცვის გარანტიებით სარგებლობენ. მათ განამწესებენ უვადოდ. მათ მიმართ ინჰიბიციის პროცედურა საგამონაკლისო შემთხვევებში წარმოებს. ინჰიბიციის პროცესი კონგრესის ორივე პალატის თანხმობას საჭიროებს. დამოუკიდებლობის მაღალი გარანტიების პირობებში, ფედერალური მოსამართლეები სამოსამართლო უფლებამოსილების განმავლობაში, მკაცრ სასამართლო კონტროლს უწევენ აშშ-ს კონსტიტუციით გათვალისწინებული ხელისუფლების

³⁷ გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, GDI, 2020, 29.

³⁸ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 331 US 367 „კრეიგი ჰარნის წინააღმდეგ“, 1947 წელი.

³⁹ ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილება საქმეზე No.314 US 252 „ბრიჯი კალიფორნიის წინააღმდეგ“, 1941 წელი. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 328 U.S. 331 „პენენკამპი ფლორიდის წინააღმდეგ“, 1946 წელი. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 331 US 367 „კრეიგი ჰარნის წინააღმდეგ“, 1947 წელი. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 370 US 375, 1962 წელი.

⁴⁰ Background Paper on Freedom of Expression and Contempt of Court, for the International Seminar on Promoting Freedom of Expression. 29-30 November 2000, p.8.

⁴¹ გ. ბერაია, სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის სახელით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემა: ეროვნული სასამართლოების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ამერიკის უზენაესი სასამართლოს და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თეორია და პრაქტიკა, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XI, 2017, გვ.62.

დანაწილების პრინციპის განხორციელებას, თუნდაც მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს საზოგადოების მკაცრი კრიტიკა მოჰყვება⁴².

გამოხატვის თავისუფლების აშშ-ს მოდელისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფართოდ ინტერპრეტირებად საფუძველს - სასამართლოს ავტორიტეტს ასახელებს და მის დაცვას დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოს განსაკუთრებული როლიდან, სტატუსიდან და საჯარო ინტერესის პრიზმიდან უყურებს⁴³ და მთელს დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოსადმი ნდობის შენარჩუნების მნიშვნელობას უსმევს ხაზს⁴⁴. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სასამართლოსადმი დასაშვები კრიტიკის ფარგლებს აშშ-ს მოდელისგან განსხვავებით შეფარებით ვიწროდ განმარტავს და არგუმენტად მოსამართლის მიერ საჯარო კრიტიკაზე პასუხის გაცემის შეუძლებლობას ასახელებს.⁴⁵ ევროპულმა სასამართლომ *Prager and Oberschlick* – ის საქმეზე განმარტა, რომ „გათვალისწინებულ უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლების განსაკუთრებული როლი საზოგადოებაში. როგორც მართლმსაჯულების გარანტმა, სასამართლო ხელისუფლებამ უნდა ისარგებლოს საზოგადოების ნდობით, რათა წარმატებით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. ამგვარად, მას შეუძლია საჭიროდ ჩათვალოს ამგვარი ნდობის დაცვა უსაფუძვლო და დესტრუქციული თავდასხმებისგან, განსაკუთრებით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეებს, რომლებიც კრიტიკის ობიექტად იქცევიან, მათი სამსახურებრივი მდგომარეობა უკრძალავს ამგვარ კრიტიკაზე პასუხის გაცემას.“⁴⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული „სასამართლო ავტორიტეტის უზრუნველყოფის ლეგიტიმური მიზანი“ გამოხატვის თავისუფლების შინაარსში შესვლის შესაძლებლობას ქმნის „სასამართლო ავტორიტეტის“ ზოგადი, აბსტრაქტული და სუბიექტურად ინტერპრეტირებადი ცნების გამო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ არსებითი გარდატეხა მოხდა 2015 წელს, როდესაც ევროპულმა სასამართლომ მიიღო ორი გადაწყვეტილება საქმეებზე - *Morice v. France* და *Peruzzi v. Italy*. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, სასამართლოს, როგორც საჯარო ინსტიტუტს მეტი თმენის ვალდებულება აქვს და „თავიანთი საქმიანობის განხორციელების პროცესში, შესაძლოა დაექვემდებარონ უფრო ფართო დასაშვებ კრიტიკას, ვიდრე რიგითი მოქალაქეები.“⁴⁷ საქმე - *Marian Maciejewski v. Poland*, მართლმსაჯულების სისტემაში დასაქმებული პირების მიმართ ჟურნალისტის კრიტიკულ სტატიას ეხებოდა სახელწოდებით „ქურდები მართლმსაჯულების სისტემაში“. ჟურნალისტი მართლმსაჯულების სისტემაში

⁴² Hon. Marilyn L. Huff, *The Effects of Public Criticism of the Judiciary on Judicial Independence*, U.S. Federal Judges Association, 2018, p.2. https://www.federaljudgesassoc.org/egov/documents/1539117619_2837.pdf [უ. გ. 24.09.2021].

⁴³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე 51160/06 „დი ჯოვანნი იტალიის წინააღმდეგ“, 2013 წლის 9 ივლისი. პარაგრაფი 71.

⁴⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე 73797/01 „კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ“, 2005 წლის 15 დეკემბერი. პარაგრაფი 172.

⁴⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე 29492/05 „კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ“, 2009 წლის 26 თებერვალი. პარაგრაფი 86.

⁴⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 15974/90 „პრაგერი და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“, 1995 წლის 26 აპრილი. პარაგრაფი 34.

⁴⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 29369/10 „მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ“, 2015 წლის 23 აპრილი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 39294/09 „პერუცი იტალიის წინააღმდეგ“, 2015 წლის 30 ივნისი.

დასაქმებულ პირებს „მაფიის მსგავს“ მოსამართლეებად და პროკურორებად მოიხსენიებდა. ჟურნალისტი დაჯარიმდა ცილისწამებისთვის. მითითებულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა⁴⁸. მითითებულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მკაცრი ტესტით შეაფასებს მედიის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას იმ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული სანქციის გამოყენებით მედიასაშუალებებს ხელი ეშლებათ გააშუქონ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე დებატები. მართლმსაჯულებაში მიმდინარე პროცესები და ხარვეზების მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, მედიას კი ამ შემთხვევაში აქვს გადამწყვეტი როლი იმისთვის, რომ შეამოწმოს რამდენად შეესაბამება მოსამართლეების ქმედებები კეთილსინდისიერების პრინციპს⁴⁹.

3. “Sub Judice”⁵⁰წესი და Contempt of the Court დოქტრინა⁵¹

განხილვაში მყოფი საქმის კომენტარების შეზღუდვის წესი „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ ინგლისური დოქტრინიდან (Contempt of the Court)⁵² გამომდინარეობს, რასაც გამოხატვის თავისუფლების აშშ-ს მოდელი ეფუძნება⁵³. Contempt of the court დოქტრინა კრძალავს განხილვაში მყოფი საქმის ირგვლივ არსებული ინფორმაციის გავრცელებას, რათა პრევენციურული იყოს საქმის წინასწარი განსაჯა და წინმსწრებად გადაწყვეტა, საზოგადოებრივი ზეწოლა სასამართლოზე ან მხარეებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სამართლიან და მიუკერძოებელ სასამართლოზე ადამიანის უფლებების დარღვევა, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე კი, დამატებით შეიძლება მოჰყვეს ბრალდებულის საპროცესო უფლებების დარღვევა⁵⁴.

გამოხატვის თავისუფლების აშშ-ს მოდელისთვის დამახასიათებელია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოში მიმდინარე საქმეების კომენტარებასთან დაკავშირებით, რაც „მედიის მიერ პარალელური მართლმსაჯულების პრევენციით აიხსნება“⁵⁵. მიმდინარე საქმეების კომენტარებისას, გამოხატვის თავისუფლების შესაძლო შეზღუდვა ეფუძნება იმ აზრს, რომ არავინ უნდა ჩაერიოს მიმდინარე სასამართლო განხილვაში, შეზღუდოს ან ეჭვქვეშ დააყენოს სამართლიანი სასამართლოს უფლება⁵⁶. საქმეზე

⁴⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 34447/05 „მარიან მასკიევსკი პოლონეთის წინააღმდეგ“, 2015 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ ტერმინი sub judice ნიშნავს „საქმე განხილვაში“ .

⁵¹ საერთო სამართლის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი დოქტრინა, რომლის თანახმადაც სასამართლოები უფლებამოსილი არიან სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისრონ იმ პირებს, რომელთაც მართლმსაჯულებაში ჩარევის მცდელობა აქვთ.

⁵² Contempt of the Court.

⁵³ Background Paper on Freedom of Expression and Contempt of Court, for the International Seminar on Promoting Freedom of Expression. 29-30 November 2000, p.1.

⁵⁴ ე.გოცირიძე, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად (სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიმოხილვა) სამართალი და მსოფლიო, N13, 2019,44.

⁵⁵ Article 19” Background Paper on Freedom of Expression and Contempt of Court 2000 p.5.

⁵⁶ გ. ბერაია, სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის სახელით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემა: ეროვნული სასამართლოების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ამერიკის უზენაესი სასამართლოს და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თეორია და პრაქტიკა, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XI, 2017, გვ.67.

*-Attorney-General v Times Newspapers Ltd*⁵⁷, ინგლისის სასამართლომ განმარტა, რომ „სამართლიანი სასამართლოს უფლება პირველ რიგში გულისხმობს ყველა მოქალაქის შეუზღუდავ უფლებას, მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების და მოვალეობების დასადგენად. ამავდროულად, აღნიშნული უფლება ასევე გულისხმობს, მოქალაქეებს ჰქონდეთ განცდა, რომ სასამართლო ყველანაირი მიკერძოებისგან არის დაცული და გადაწყვეტილების მიღება ხდება მხოლოდ წარდგენილი არგუმენტების და მტკიცებულებების საფუძველზე. მესამე კომპონენტი ასევე გულისხმობს, რომ მას შემდეგ, რაც საქმე მიღებული იქნება სასამართლოს მიერ, არ არსებობს სხვა ორგანო და პირი, რომელიც შეძლებს სასამართლოს უფლებამოსილების მითვისებას. ნებისმიერი ქმედება, რომელიც წინა კრიტერიუმებს ხელყოფს, ჩათვლება სასამართლოს შეურაცხყოფად“⁵⁸. *Attorney-General v Times Newspapers Ltd საქმეზე* განვითარებული სტანდარტით, contempt of the court დოქტრინის მთავარი არსი არის ის, რომ პრევენცირება მოახდინოს საქმის წინმსწრები განხილვის და სასამართლო პროცესის წინასწარი შეფასებების არსებითი რისკის⁵⁹. სასამართლოს სათანადო ადმინისტრირებასთან ერთად, ამ დოქტრინის დაცვის სფერო გულისხმობს მოწმეების დაცვას ვიქტიმიზაციისგან და პრესაში სასამართლოს დამაზიანებელი კრიტიკისგან⁶⁰.

აშშ-ს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი მოსამართლეებს უკრძალავს კომენტარის საჯარო გაკეთებას განხილვაში მყოფი ან მოახლოებული საქმის სუბსტანციური საკითხების თაობაზე⁶¹.

აშშ-ს მოდელისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განხილვაში მყოფი საქმის კომენტარებისას გამოხატვის თავისუფლების დაცვის შედარებით დაბალ სტანდარტს აყალიბებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრევენციული სამართლის თანახმად, მიმდინარე სასამართლო საქმის ფარგლებში, მართლმსაჯულების განხორციელებაზე პუბლიკაციის გავლენის შეფასებისას, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს პუბლიკაციის დროს, შინაარსს (რამდენად არის გამოხატვა პროვოკაციული) და საქმის განხილველი მოსამართლის სტატუსს⁶². პუბლიკაციის გამოქვეყნების დროითი ასპექტის განსაზღვრისას, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს, თუ რამდენად კრიტიკულ მომენტში მოხდა პუბლიკაციის გამოქვეყნება და სასამართლო პროცესის კომენტარება, ხომ არ მოხდა ეს მაშინ, როდესაც კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა⁶³. ასევე, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტის თავისებურებებს, ნაფიცი მსაჯულების არაპროფესიულ სტატუსს და

⁵⁷ *Attorney-General v Times Newspapers Ltd*: HL 1973.

⁵⁸ გ. ბერაია, სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის სახელით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემა: ეროვნული სასამართლოების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ამერიკის უზენაესი სასამართლოს და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თეორია და პრაქტიკა, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XI, 2017, გვ. 67-68.

⁵⁹ ე.გოცირიძე, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად (სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიმოხილვა) სამართალი და მსოფლიო, N13, 2019, 44.

⁶⁰ Consultant Editor C.J. Miller and David Perry QC, *Miller on Contempt of Court*, fourth edition, 2018, 2-7.

⁶¹ ამერიკის შერთებული შტატების მოსამართლეთა ქვეყის კოდექსი Canon 3(A)(6).

⁶² Guide on Article 10 of the European Convention on Human Rights, Freedom of expression Updated – 31 August 2020, 82.

⁶³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 17107/05 „კამპოს დამასო პორტუგალიის წინააღმდეგ“, 2008 წლის 24 აპრილი. პარაფრაფი 35.

კომენტირების შესაძლო გავლენას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესზე⁶⁴. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტით, თუ ნაფიცი მსაჯულები საქმეზე წინასწარ შექმნილი განწყობის გავლენის ქვეშ მოექცნენ, მაშინ სამართლიანი სასამართლოს შანსები უკიდურესად იკლებს⁶⁵. საქმეში - *Seckerson and Times Newspapers Limited v. UK*⁶⁶ ნაფიცი მსაჯულების ზედამხედველი და გაზეთი „თაიმსი“ დამნაშავეთ იყვნენ ცნობილი სასამართლოს უპატივცემულობაში და დაჯარიმდნენ ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოების გამჟღავნებისთვის, რაც გამოიხატა იმაში, რომ „თაიმსის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ნაფიც მსაჯულთა ზედამხედველმა გამოხატა მისი წუხილები იმ სასამართლო განხილვასთან დაკავშირებით, სადაც ის იყო ჩართული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ წესები, რომელიც ავალდებულებს ნაფიც მსაჯულთა თათბირის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას არის მნიშვნელოვანი სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისთვის⁶⁷.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Worm v. Austria*⁶⁸ განმარტა, რომ „ჟურნალისტებს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ განხილვაში მყოფი საქმეების კომენტირებისას თავი შეიკავონ განცხადებებისგან, რომლებსაც ძალუბთ ეჭვქვეშ დააყენონ, ნებისთ თუ უნებლიეთ პიროვნების შანსები სამართლიან განხილვაზე ან ხალხის ნდობა სასამართლოთა როლზე დემოკრატიულ საზოგადოებაში.“⁶⁹

4. ადვოკატების გამოხატვის თავისუფლების ფარგლები მართლმსაჯულების სისტემის კრიტიკასთან დაკავშირებით

ადვოკატების გამოხატვის თავისუფლების ფარგლებთან დაკავშირებით, აშშ-ს უზენაესი სასამართლო დიდწილად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსგავს სტანდარტს აყალიბებს. აშშ-ს უზენაესი სასამართლო ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებთან დაკავშირებით მკაცრს მიდგომას ავითარებს, რაც მართლმსაჯულების განხორციელებაში ადვოკატის მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარეობს. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს სტანდარტით, ადვოკატებმა თავი უნდა შეიკავონ სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების კრიტიკისგან, რათა მათ საზოგადოებაში მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობის შერყევას არ შეუწყონ ხელი. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს შეფასებით, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება სასამართლო კრიტიკის ნაწილში იზღუდება, თუ იგი საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულების ჯეროვან ადმინისტრირებას. *In re Sawyer* საქმეზე, ადვოკატმა სოიერმა სასამართლოს პროცესი მოიხსენია „საშიშად და შოკისმომგვრელად“ და გააკრიტიკა მიმდინარე სასამართლო განხილვები. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს შეფასებით, ადვოკატს უფლება აქვს სახელმწიფოს კანონმდებლობის კრიტიკისა. სოიერმა გააკრიტიკა სასამართლო განხილვები, თუმცა, კრიტიკისას აქცენტი გააკეთა კანონმდებლობის

⁶⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 53886/00 „თურანშაუ და ჯული საფრანგეთის წინააღმდეგ“, 2005 წლის 24 ნოემბერი. პარაგრაფი 75.
⁶⁵ ე.გოცირიძე, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად (სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიმოხილვა) სამართალი და მსოფლიო, N13, 2019, 45.
⁶⁶ <https://ukhumanrightsblog.com/2012/02/08/times-contempt-challenge-thrown-out-in-strasbourg/> [უ.გ. 24.09.2021]
⁶⁷ F. Leach, *Taking a Case to the European Court of Human Rights*, Fourth Edition, Student Version, 2017, 490.
⁶⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No.22714/93 „ვორმი ავსტრიის წინააღმდეგ“, 1997 წლის 29 აგვისტო. პარაგრაფი 50.
⁶⁹ იხ სქოლიო 65. 46.

პრობლემაზე და არ უხსენებია საქმის განმხილველი მოსამართლის სახელი და გვარი. სოიერის საქმეზე განვითარებული სტანდარტით, ადვოკატს პროფესიული ეთიკის დარღვევად არ უნდა შეერაცხოს ქვეყნის ხარვეზიანი კანონმდებლობის კრიტიკა, თუ ადვოკატის გამოხატვა „მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებას არ უქმნის საფრთხეს“⁷⁰. მოგვიანებით, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე - *Gentile v. State Bar of Nevada* ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების სტანდარტი განავითარა და ხაზი გაუსვა „რეალური ზიანის“ არსებობის დოქტრინას, რომელიც უფლებას ან/და ინტერესს მიადგა⁷¹. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე - *Sacher v. United States* გამართლებულად მიიჩნია სასამართლოს უპატივცემულობისთვის (contempt of the court) პასუხისმგებლობის დაწესება 5 ადვოკატისთვის, რომლებიც ცდილობდნენ მართლმსაჯულებაში ჩარეულიყვნენ და სასამართლო პროცესის განხორციელებისთვის ხელი შეეშალათ⁷².

შესაბამისად, აშშ-ს გამოხატვის თავისუფლების სტანდარტით, ადვოკატების პროფესიულ-ეთიკური დისციპლინირება შესაძლოა განხორციელდეს, თუ ისინი საფრთხეს უქმნიან მართლმსაჯულების შეუფერხებელ განხორციელებას და სასამართლო სისტემის ადმინისტრირების პროცესს⁷³.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტი ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით ეფუძნება ადვოკატის განსაკუთრებული სტატუსისა და ცენტრალური როლის გააზრებას მართლმსაჯულების ჯეროვან ადმინისტრირებაში, რომლებიც წარმოადგენენ შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. სწორედ ადვოკატები თამაშობენ გადამწყვეტ როლს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასამართლოების მიმართ საზოგადოებაში ნდობა შენარჩუნებულ იყოს⁷⁴. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტით, გამოხატვის თავისუფლების ფარგლებით, ადვოკატი არ შეიძლება ჟურნალისტს გაუთანაბრდეს მართლმსაჯულების პროცესში მათი განსახვავებული როლის გათვალისწინებით. ჟურნალისტებს აქვთ უფლება, მათი სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში, გაავრცელონ და გამოხატონ იდეები საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ნებისმიერ საქმეზე, მათ შორის, მართლმსაჯულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ადვოკატები კი მართლმსაჯულების სისტემის ქონაგებს, მათ უშუალო მონაწილეებს წარმოადგენენ, რომლებიც უზრუნველყოფენ მის აღსრულებას და მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირების ინტერესების წარმოდგენას⁷⁵.

⁷⁰ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 124 U.S. 200

„ინ რე სოიერ“, 1959 წლის 29 ივნისი. საქმეზე *In re Sawyer*.

⁷¹ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 501 U.S. 1030

„ჯენტილე ნევადას წინააღმდეგ“, 1991 წლის 27 ივნისი.

⁷² ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 343 U.S. 1 „სახერი

ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“, 1952 წლის 10 მარტი.

⁷³ კონექტიკუტის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 17341. „ნოტოპულოსი სტეიტვაიდ გრივენსის წინააღმდეგ“, 2003 წლის 24 სექტემბერი.

⁷⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 29369/10 „მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ“, 2015 წლის 23 აგვისტო. პარაგრაფები 132-139; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 31611/96 „ნიკულა ფინეთის წინააღმდეგ“, 2002 წლის 21 მარტი. პარაგრაფი 45.

⁷⁵ Guide on Article 10 of the European Convention on Human Rights, Freedom of expression, Updated – 31 August 2020; p.78.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტი ისე არ უნდა იყოს აღქმული, რომ ადვოკატები საერთოდ მოკლებულნი არიან გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობას. მათ აქვთ უფლება გააკეთონ კომენტარები სასამართლო პროცესებთან და მართლმსაჯულების საკითხებთან დაკავშირებით. უბრალოდ, მათი გამოხატვა გარკვეულწილად ადვოკატის პროფესიული ეთიკის ჩარჩოებშია მოქცეული, რაც მართლმსაჯულების პროცესში მათი განსაკუთრებული როლიდან გამომდინარეობს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Schöpfer v. Switzerland* განმარტა, რომ ადვოკატებს აქვთ მართლმსაჯულების პროცესების კომენტარების უფლება, თუმცა, მათი გამოხატვა არ უნდა შეიცავდეს სასამართლოს ავტორიტეტისადმი ზიანის მიმყენებელ, შეურაცხმყოფელ ენას⁷⁶.

Morice v. France საქმეზე განვითარებული სტანდარტით „ადვოკატები სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. ეს მოიცავს არა მარტო იდეებისა და ინფორმაციის არსს, არამედ მათი გამოხატვის ფორმას. ადვოკატებს აქვთ უფლება, საჯაროდ გამოთქვან მოსაზრებები მართლმსაჯულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით იმ პირობით, რომ კრიტიკა არ გასცდება გარკვეულ საზღვრებს და მართლმსაჯულება დაცული იქნება დაუსაბუთებელი თავდასხმებისაგან და რაც მოტივირებულ იქნება მხოლოდ სურვილით ან სტრატეგიით, რომ მედიაში არსებობდეს დებატები მართლმსაჯულების საკითხებზე. ადვოკატთა გამოხატვა განხილულ და შეფასებულ უნდა იქნეს საერთო კონტექსტში, იმ საკითხის მხედველობაში მიღებით, თუ რამდენად შეიძლება მართლმსაჯულების მიმართ ადვოკატთა კრიტიკა მიჩნეულ იქნას შეცდომაში შემყვან ან დაუსაბუთებელ პირად თავდასხმად. ასევე, შემოწმებულ უნდა იქნას რამდენად აქვთ მათ გამონათქვამებს კავშირი საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან“⁷⁷.

საკმაოდ რევოლუციური იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის გადაწყვეტილება საქმეზე - *Ottan v. France*, რითაც საფრანგეთის სახელმწიფოს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების დარღვევა შეერაცხა. საქმე ეხებოდა სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგ ადვოკატის გამოხატვას ნაფიცი მსაჯულების მისამართით, რომ ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც საქმეს იხილავდნენ ყველა თეთრკანიანები იყვნენ და საზოგადოების ყველა ჯგუფს არ წარმოადგენდნენ. შესაბამისად, გამამართლებელი ვერდიქტი მოსალოდნელი იყო⁷⁸. ადვოკატს დაედო დისციპლინური სანქცია გაფრთხილების სახით, რადგან ადვოკატის შეფასება რასობრივ ნიადაგზე გაკეთებულად იქნა მიჩნეული საფრანგეთის ეროვნული სასამართლოების მიერ. ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ეროვნული სასამართლოს შეფასება ადვოკატის მიერ რასობრივ ნიადაგზე განხორციელებულ განცხადებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ „განმცხადებლის პოზიცია იყო ფართოდ აღიარებული შეხედულება, რომ მოსამართლეთა მიუკერძოებლობა, იქნებიან პროფესიონალი თუ ნაფიცი მსაჯულები, არის ღირებულება, რომელიც არ არსებობს ვაკუუმში, არამედ ეს არის შედეგი იმ მნიშვნელოვანი ძალისხმევისა, რომელიც მიმართულია თუნდაც არაცნობიერი მიკერძოების ამოძირკვისაკენ, რომელმაც, კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა

⁷⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No.25405/94 „შოფერი შვეიცარიის წინააღმდეგ“, 1998 წლის 20 მაისი.

⁷⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 29369/10 „მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ“, 2015 წლის 23 აპრილი. პარაგრაფები 132-139.

⁷⁸ გ. წულუკიძე, რ. კაკაბაძე, ვ. ბერეკაშვილი, გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), 2020, გვ.57-58.

იარსებოს გეოგრაფიული ან სოციალური კუთვნილებიდან გამომდინარე და რომელმაც შესაძლოა შემდგომში ადამიანებში გააჩინოს იმის შიში, რომ ისინი არასწორად აღიქმებიან“⁷⁹.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან იკვეთება, რომ ადვოკატის მიერ სასამართლოს კრიტიკა ყოველთვის დაუშვებელი არ არის და იგი კუმულაციური ფაქტორების საფუძველზე უნდა შეფასდეს.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების პრაქტიკა

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საფუძველით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ნაწილში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერ მიზნად მხოლოდ ქმედითი, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას და სასამართლოში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას მიიჩნევს⁸⁰. გამოხატვის თავისუფლების ქართული მოდელი აშშ-ს მოდელის გავლენას განიცდის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტით, მოსამართლის საქმიანობასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვა კონსტიტუციურ უფლებად არის მიჩნეული⁸¹. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით „მოსამართლის საქმიანობასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვა კონსტიტუციური უფლებაა. როგორც საჯარო პირს, მოსამართლეს თმენის ვალდებულება მართლაც გააჩნია, რამდენადაც მისი საქმიანობის კრიტიკა, მის პროფესიულ, თუ პირად თვისებებზე მსჯელობა საზოგადოებრივი ინტერესით შეიძლება იყოს განპირობებული“⁸². სასამართლოს განმარტებით „მოსამართლის, სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზრუნვა არ გულისხმობს მოსამართლის პროფესიული საქმიანობის ან სასამართლო გადაწყვეტილების კრიტიკის აკრძალვას. სასამართლოს საქმიანობის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, მათ შორის, სასამართლოს სიახლოვეს შეკრებების (მანიფესტაციების) გზით, ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა“⁸³.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტანდარტი გამოხატვის თავისუფლების სასამართლოს უპატივცემულობის საფუძველით შეზღუდვისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას იზიარებს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2019 წლის 16 აპრილს მიღებული გადაწყვეტილებით⁸⁴, ბიზნესმენ ფადი ასლის მიერ მოსამართლის მიმართ კრიტიკული გამოხატვა

⁷⁹ იქვე, 57-58.

⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/393,397 „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2006 წლის 15 დეკემბერი.

⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/482,483,487,502 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად მიდიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშყარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2011 წლის 18 აპრილი. პარაგრაფი 67.

⁸² იქვე.

⁸³ იქვე, 66-ე პუნქტი.

⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. ას-591-591-2018 „ვლადიმერ კაჯაბაძე ფადი ასლის წინააღმდეგ“, 2019 წლის 16 აპრილი.

მოსამართლის კორუმპირებულობის შესახებ გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სიკეთედ მიიჩნია. უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო რეფორმას, მის მაღალი საზოგადოებრივ მნიშვნელობას და სასამართლოს სისტემის შესახებ საჯარო დებატების არსებობის აუცილებლობას. უზენაესი სასამართლოს შეფასებით „იმ ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს მართლმსაჯულების რეფორმა და სასამართლო ხელისუფლება ფართო საზოგადოების ინტერესშია მოქცეული, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ განსაკუთრებულ, სასამართლო ხელისუფლებაზე/მოსამართლეზე აშკარა და ნეგატიური თავდასხმის შემთხვევაში დაიშვება, რომელიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების როლის შესუსტებას, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფას და მხოლოდ აღნიშნული უნდა წარმოადგენდეს განცხადების გამავრცელებლის მიზანს. სხვა შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევამ შეიძლება დააზარალოს ქვეყნის ინტერესები, შეუძლებელი გახადოს საზოგადოების მხრიდან რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება ქვეყნის ინტერესებსა და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე. პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც უადრესად მნიშვნელოვან ინსტიტუციას წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ექცევა საზოგადოებრივ ინტერესში. ამ მხრივ, აუცილებელია საზოგადოებაში სასამართლოს განსაკუთრებული როლის გათვალისწინება.“⁸⁵

2019 წლის 16 აპრილს მიღებული გადაწყვეტილებით, უზენაესმა სასამართლომ მიჯნა გაავლო სასამართლო სხდომის დარბაზში განხორციელებულ გამოხატვასა და დარბაზს გარეთ გამოხატვას შორის. უზენაესი სასამართლოს შეფასებით „სასამართლოს ავტორიტეტის, ასევე, ინდივიდუალური მოსამართლის უფლებებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია გარკვეული რეგულაციები, რათა გატარდეს პრევენციული ზომები საფრთხის თავიდან ასარიდებლად. როდესაც არასათანადო ქცევა ან გარკვეული განცხადების გაკეთება ხდება სასამართლო სხდომის დარბაზში, საპროცესო კანონმდებლობა (იხ. მაგ: სსსკ-ის 211-ე და 212-ე მუხლები) ადგენს წესრიგის დამრღვევის პასუხისმგებლობის წესსა და შესაბამისი სანქციის შეფარდების შესაძლებლობას. სასამართლო სხდომის დარბაზის გარეთ გავრცელებული ინფორმაციის ნეგატიური შედეგების თავიდან ასარიდებლად კი, პირს, რომლის მიმართაც გავრცელდა ინფორმაცია, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გააჩნია უფლება, საპასუხო ცნობები გამოაქვეყნოს იმავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რომელშიც გავრცელდა განცხადება“⁸⁶.

6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლი და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან

გამოხატვის თავისუფლების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლი (სასამართლოს უპატივცემულობა).

⁸⁵ იქვე.

⁸⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Nსს-591-591-2018 „ვლადიმერ კაჯაბაძე ფადი ასლის წინააღმდეგ“, 2019 წლის 16 აპრილი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლი პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს უპატივცემულობად მიიჩნევა სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეურაცხყოფად მიიჩნევა იგივე ქმედება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის შეურაცხყოფით⁸⁷. ნორმის ბუნდოვანებიდან და არაგანჭვრეტადობიდან გამომდინარე, ნებისმიერი გამოხატვა, რომელიც სასამართლოს უპატივცემულობად აღიქმება, შეიძლება შეფასებულ იქნას შეურაცხყოფელ ქმედებად, რისთვისაც 366-ე მუხლით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლში განმარტებული არ არის რას გულისხმობს „სასამართლოს უპატივცემულობა“ და „სასამართლოს შეურაცხყოფა“, რაც ნორმის ბუნდოვანი და თვითნებური განმარტების შესაძლებლობას ქმნის. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე - *Roth v. US* განმარტა, რომ „კანონი სათანადო სიცხადით უნდა გადმოსცემდეს გაფრთხილებას იმის თაობაზე, რა ქმედება არის კანონით აკრძალული. ენის განჭვრეტადობა ფასდება ყველას მხრიდან მისი შინაარსის გაგების და პრაქტიკაში რეალიზაციის გზით.“⁸⁸

სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლი ბუნდოვანია (vagueness)⁸⁹, რაც ინდივიდს ურთულესს ერთმანეთისგან განარჩიოს კონსტიტუციით დაცული და დაუშვებელი გამოხატვა. სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის ბუნდოვანება და არაგანჭვრეტადობა ვლინდება იმაშიც, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლი იმდენად ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ქმნის, რომ იგი კრძალავს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლების არსებით ნაწილს (overbreadth doctrine)⁹⁰. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე - *Baggett v. Bullitt* განმარტა, რომ არაგანჭვრეტადი და განუსაზღვრელი ნორმით, ადამიანი იმ სფეროსაც შორდება, სადაც გამოხატვის თავისუფლება კონსტიტუციით არის დაცული და ცდილობს თავი შეიკავოს იმ სფეროში გამოხატვისგან, სადაც არაგანჭვრეტადი კანონით გათვალისწინებულმა აკრძალვებმა შეიძლება იმოქმედოს⁹¹. სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლი მისი ბუნდოვანებიდან გამომდინარე, არ იძლევა ნორმის ერთგვაროვანი წაკითხვის შესაძლებლობას, რითაც განსაზღვრულობის კონსტიტუციური პრინციპი ირღვევა⁹².

⁸⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=235> [უ.გ. 24.09.2021]

⁸⁸ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 354 U.S. 476 „როთი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“. 1957 წელი.

⁸⁹ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონის ბუნდოვანება (Vagueness) გულისხმობს იმას, რომ ადამიანს ურთულდება ერთმანეთისგან განარჩიოს კანონით დასაშვები და დაუშვებელი გამოხატვა არაცხადი და არაგანჭვრეტადი ნორმის გამო.

⁹⁰ overbreadth doctrine: ეს დოქტრინა დამახასიათებელია გამოხატვის თავისუფლების აშშ-ს მოდელისთვის და გულისხმობს, რომ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული ნორმა ინტერპრეტირდება იმდენად ფართოდ, რომ კრძალავს, როგორც კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცულ, ისე დაუშვებელ გამოხატვას. overbreadth doctrine იყენებს აშშ-ს უზენაესი სასამართლო გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით საქმეების განხილვისას (R.A.V. v. St. Paul; June 22, 1992).

⁹¹ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 377 U.S. 360 „ბაგეტი ბულიტის წინააღმდეგ“, 1964 წელი.

⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №1/1/657 „საქართველოს მოქალაქე გიორგი ფუტკარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 2 ივნისი. პარაგრაფი 15.

სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის ბუნდოვანება შესაძლებელს ხდის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლების იმდენად გაფართოებას, რომ მთავარობას მიეცეს კარტ ბლანში, მხოლოდ ის შინაარსი შეზღუდოს, რომელიც მისთვის პოლიტიკურად თუ სხვა კუთხით მიუღებელია. სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის ბუნდოვანი მოწესრიგება შესაძლებლობას არ აძლევს „ჩვეულებრივ ადამიანს გაიგოს რა ქმედების ჩადენას უკრძალავს სახელმწიფო“⁹³. სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის არაგანჭვრეტადობა „ქმნის საფრთხეს სასამართლომ გადაწეროს ბუნდოვანი კანონის ნორმა და თავად განსაზღვროს სტანდარტი, რაც შესაძლოა, კანონმდებლის მიზანს არ წარმოადგენდა“⁹⁴. სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით „ბრალდებულის ბედი მოსამართლის დისკრეციაზე და კაპრიზებზეა დამოკიდებული“⁹⁵, რაც გამოვლინდა კიდევ მოქალაქე ზვიად კუპრავას საქმეში, რომელიც მოსამართლემ დამნაშავედ ცნო სასამართლოს უპატივცემულობაში, რაც გამოიხატა მოსამართლის შეურაცხყოფით⁹⁶. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ქმედების დასჯადად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, მან ეს უფლებამოსილება ისე უნდა გამოიყენოს, რომ საშუალება არ მიეცეს სამართალშემდგარდებელს, სამოსამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თავად შექმნას სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შემადგენლობა“⁹⁷.

ამგვარი ბუნდოვანი ნორმები „მსუსხავი ეფექტის“ მატარებელია, რითაც საზოგადოება სანქციის შიშით იძულებულია თავი შეიკავოს საჯარო დიკუსიაში წვლილის შემტან დებატზე კრიტიკული გამოხატვისგან და თავი შეიზღუდოს გამოხატვის იმ ნაწილში, რომელიც კონსტიტუციით დაცული სიკეთეა. „მსუსხავი ეფექტის“ პირობებში, საზოგადოება თვითცენზურას მიმართავს და არაპროპორციული სანქციის შიშით თავს იკავებს გამოხატვისგან⁹⁸.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და მისი შეზღუდვა შესაძლებელია, სასამართლოს ავტორიტეტის დასაცავად როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს სტანდარტებით „სიტყვის მართლმსაჯულების ობიექტად ქცევა“ დაუშვებელია. გამოხატვის თავისუფლების ქართული კონსტიტუციური მოდელი აშშ-ს გავლენას განიცდის და მოსამართლის კრიტიკის უფლებას მაღალი ხარისხით იცავს. აშშ-ს მოდელის მსგავსად, გამოხატვის თავისუფლების ქართული მოდელი გამოხატვის

⁹³ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. „კოლენდერი ლოსანის წინააღმდეგ“, 1983 წელი.

⁹⁴ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 383 U.S. 463 „გინზბურგი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“, 1965 წელი.

⁹⁵ იქვე.

⁹⁶ გამოხატვის თავისუფლება, GDI, 2020, გვ. 26-29.

⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/2/516 „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2014 წლის 14 მაისი. პარაგრაფი 37.

⁹⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 33629/06 „ვიანია უნგრეთის წინააღმდეგ“, 2008 წლის 8 ოქტომბრი. პარაგრაფი 54. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No.33348/96 „კამპანა და მაცარე რუმინეთის წინააღმდეგ“, 2004 წლის 17 დეკემბრი. პარაგრაფი 114.

თავისუფლების თვალსაზრისობრივად ნეიტრალური შეზღუდვის პრიმატს ეფუძნება, რაც გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალ სტანდარტზე მიუთითებს. მართლმსაჯულების პროცესის შეუფერხებლად, ჯეროვნად და ეფექტიანად წარმართვის ლეგიტიმური მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ქართული კონსტიტუციური სტანდარტი ბრანდენბურგის საქმეზე ჩამოყალიბებული „ცხადი და მყისიერი საფრთხის“ ტესტის გავლენას განიცდის და გამოხატვის თავისუფლების აშშ-ს სტანდარტს იზიარებს. სასამართლოს კრიტიკის ნაწილში ქართული მოდელი შინაარსობრივად ნეიტრალურ რეგულირებას ავითარებს და გამოხატვის საგნის შეზღუდვის პრევენციურებას ახდენს.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად მიმიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 18.04.2011; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1309814?publication=0> [უკანასკნელად გადამოწმდა 30.09.2021];
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 10.11.2009; <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=300> [უკანასკნელად გადამოწმდა 30.09.2021];
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 15.12.2006; <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=310> [უკანასკნელად გადამოწმდა 22.09.2021];
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „ვლადიმერ კაჯაბაძე ფადი ასლის წინააღმდეგ“, 16.04. 2019;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება: „საქართველოს მოქალაქე გიორგი ფუტკარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2.06.2017; <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=899> [უკანასკნელად გადამოწმდა 22.09.2021];
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 14.05.2014; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1925761?publication=0> [უკანასკნელად გადამოწმდა 15. 09.2021];
7. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „შენჯი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“, 3.03.1919; <https://www.oyez.org/cases/1900-1940/249us47> [უკანასკნელად გადამოწმდა 15. 09.2021];
8. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „ბრანდენბურგი ოჰაიოს წინააღმდეგ“, 9.06.1969 წელი; <https://www.oyez.org/cases/1968/492> [უკანასკნელად გადამოწმდა 24. 09.2021];
9. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „აბრამსი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“, 10.11.1919; <https://www.oyez.org/cases/1900-1940/250us616> [უკანასკნელად გადამოწმდა 15. 09.2021];
10. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „გიტლოუ ნიუ იორკის წინააღმდეგ“, 8.06.1925; <https://www.oyez.org/cases/1900-1940/268us652> [უკანასკნელად გადამოწმდა 3. 10.2021];
11. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „ნიუ იორკ თაიმსი სულივანის წინააღმდეგ“, 9.03.1963 წელი; <https://www.oyez.org/cases/1963/39> [უკანასკნელად გადამოწმდა 3. 10.2021];

12. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „ლენდმარქ კომუნიკეიშენს ვირჯინიის წინააღმდეგ“, 1.05.1978; <https://supreme.justia.com/cases/federal/us/435/829/> [უკანასკნელად გადამოწმდა 3. 10.2021];
13. ამერიკის შეერთებულ შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „მკკულოხ მერილენდის წინააღმდეგ“, 6.03.1819; <https://www.oyez.org/cases/1789-1850/17us316> [უკანასკნელად გადამოწმდა 3. 10.2021];
14. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „ბრიჯი კალიფორნიის წინააღმდეგ“, 8.12.1941; <https://www.oyez.org/cases/1940-1955/314us252> [უკანასკნელად გადამოწმდა 16. 10.2021];
15. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „პენენკამპი ფლორიდის წინააღმდეგ“, 3.06.1946; <https://supreme.justia.com/cases/federal/us/328/331/> [უკანასკნელად გადამოწმდა 16. 10.2021];
16. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „კრეიგი ჰარნის წინააღმდეგ“, 19.05.1947; <https://supreme.justia.com/cases/federal/us/331/367/> [უკანასკნელად გადამოწმდა 16. 10.2021];
17. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „ინ რე სოიერ“, 29.06.1959; <https://supreme.justia.com/cases/federal/us/360/622/> [უკანასკნელად გადამოწმდა 16. 10.2021];
18. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „ჯენტლე ნევადას წინააღმდეგ“, 27.06.1991; <https://supreme.justia.com/cases/federal/us/501/1030/> [უკანასკნელად გადამოწმდა 14. 10.2021];
19. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „სახერი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“, 10.03.1952; <https://supreme.justia.com/cases/federal/us/343/1/> [უკანასკნელად გადამოწმდა 14. 10.2021];
20. კონექტიკუტის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება: „ნოტოპულოსი სტიეტვიდ გრივენსის წინააღმდეგ“, 05.10.2004; <https://caselaw.findlaw.com/ct-court-of-appeals/1057176.html> [უკანასკნელად გადამოწმდა 14. 10.2021];
21. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „როთი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“, 24.06.1957; <https://www.oyez.org/cases/1956/582> [უკანასკნელად გადამოწმდა 14. 10.2021];
22. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „ბაგეტი ბულიტის წინააღმდეგ“, 1.06.1964; <https://supreme.justia.com/cases/federal/us/377/360/> [უკანასკნელად გადამოწმდა 14. 10.2021];
23. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „კოლენდერი ლოსანის წინააღმდეგ“, 2.05.1983; <https://supreme.justia.com/cases/federal/us/461/352/> [უკანასკნელად გადამოწმდა 14. 10.2021];
24. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „გინზბურგი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“, 7.12.1965; <https://www.oyez.org/cases/1965/42> [უკანასკნელად გადამოწმდა 14. 10.2021];
25. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: „დი ჯოვანნი იტალიის წინააღმდეგ“, 9.07.2013;

26. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: „კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ“, 15.12.2005;
27. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: „კუდემკინა რუსეთის წინააღმდეგ“, 26.02.2009;
28. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: „პრაგერი და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“, 26.04.1995;
29. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: „პერუცი იტალიის წინააღმდეგ“, 30.06.2015;
30. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: „მარიან მასკიევსკი პოლონეთის წინააღმდეგ“, 13.01.2015;
31. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: „კამპოს დამასო პორტუგალიის წინააღმდეგ“, 24.04.2008;
32. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: „თურანშაუ და ჯული საფრანგეთის წინააღმდეგ“, 24.11. 2005;
33. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: „ვორმი ავსტრიის წინააღმდეგ“, 29.08.1997;
34. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: „ნიკულა ფინეთის წინააღმდეგ“, 21.03.2002;
35. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: „შოფერი შვეიცარიის წინააღმდეგ“, 20.05.1998;
36. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: „ვინაი უნგრეთის წინააღმდეგ“, 8.10.2008;
37. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: „კამპანა და მაცარე რუმინეთის წინააღმდეგ“, 17.12.2004;
38. ევა გოცირიძის დისერტაცია თემაზე: „გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით)“, თსუ, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, 2007;
39. Guide on Article 10 of the European Convention on Human Rights, Freedom of Expression, Updated – 31 August 2020, Council of Europe/European Court of Human Rights, 2021;
40. გვანცა წულუკიძე, რაფიელ კაკაბაძე, ვერიკო ბერეკაშვილი, გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოუკერძოებლობის დაცვა, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI) 2020;
41. სასამართლო პრაქტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, კარი II, თავისუფლების ინსტიტუტი, 2005;
42. EMC-ს კრიტიკა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის საკითხზე იოსებ ჯაჭვლიანის საკანონმდებლო ინიციატივაზე, 2016, <https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-s-kritika-religiuri-grdznobebis-sheuratskhqofis-sakitkhze-ioseb-jachvlianis-sakanonmdeblo-initsiativaze> [უკანასკნელად გადამოწმდა 24.09.2021;

43. Article 19” Background Paper on Freedom of Expression and Contempt of Court, International Seminar on Promoting Freedom of Expression With the Three Specialised International Mandates. 29-30 November , 2000;
44. გამობატვის თავისუფლება საქართველოში, GDI, 2020;
45. გიორგი ბერაია, სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის სახელით გამობატვის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემა: ეროვნული სასამართლოების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ამერიკის უზენაესი სასამართლოს და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თეორია და პრაქტიკა, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XI, 2017;
46. Hon. Marilyn L. Huff, The Effects of Public Criticism of the Judiciary on Judicial Independence, U.S. Federal Judges Association, 2018, p.2.
https://www.federaljudgesassoc.org/egov/documents/1539117619_2837.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 24.09.2021];
47. ევა გოცირიძე, გამობატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად (სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიმოხილვა) სამართალი და მსოფლიო, N13, 2019;
48. Attorney-General v Times Newspapers Ltd: HL 1973;
49. Consultant Editor C.J. Miller and David Perry QC, Miller on Contempt of Court, fourth edition, 2018;
50. Leach, Taking a Case to the European Court of Human Rights, Fourth Edition, Student Version, 2017;
51. First Ammendment of the US Constitution, https://www.law.cornell.edu/constitution/first_amendment [უკანასკნელად გადამოწმდა 24.09.2021];
52. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ“. 24 ივნისი, 2004;
53. საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“. 12 ივნისი, 1997.

რამდენად არეგულირებს სამოქალაქო დრონების ექსპლუატაციის მარეგულირებელი ევროკავშირის სამართლებრივი ნორმები პირადი სფეროს ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებს?

ნათია ჯინუბაშვილი

მოწვეული ლექტორი,

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

”დრონები შეიძლება იყოს უადრესად ეფექტური გზა მაღალი პრიორიტეტული მიზნების მისაღწევად, მაგრამ ისინი არ უნდა იქცნენ ერთგვარ მარტივ გამოსავლად იმ ადმინისტრაციისთვის, რომელსაც ემინია წარსულის წარმატებული, კანონიერი და უსაფრთხო ტაქტიკის გამოყენების“.¹

აბსტრაქტი

დრონების ექსპლუატაცია სამოქალაქო მიზნით არის ინოვაცია საზოგადოების ყველა სექტორისთვის. დრონები, რომლებიც თავდაპირველად მხოლოდ სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენებოდა, ამჟამად ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სამოქალაქო მიზნებისთვის, როგორცაა რეკრეაციული და კომერციული გამოყენება, კატასტროფების შემსუბუქება, სოფლის მეურნეობა, მშენებლობის მართვა და სხვა მიზნები. დრონების ინდუსტრიისაგან მოვლიან რომ ის დაასაქმებს 100 000 ადამიანს და ყოველწლიურად 10 მილიარდზე მეტ შემოსავალს მოუტანს ევროკავშირს 2025² წლამდე. თუმცა, მათი პოტენციალის სრულად მისაღწევად – სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათგან მომდინარე რისკების სწორად შეფასება და ამ რისკების მართვის სწორი გზების შერჩევა. ასევე გლობალურად აღიარებულია რომ დრონები აუცილებლად უნდა ინტეგრირდნენ არა სეგრეგირებულ საჰაერო სივრცეში, პილოტირებული საჰაერო ხომალდების მიერ მიღწეული უსაფრთხოების სტანდარტებზე უარის თქმის გარეშე.

არსებობს რიგი საკითხები, რომლებიც უკავშირდება დრონების ექსპლუატაციას და თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც ფიზიკური პირებისთვის მიწაზე, ისე ჰაერში, ასევე სახელმწიფოებისათვის და საჰაერო სივრცის მომხმარებლებისათვის როგორც პილოტირებული, ისე უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციისას, მათ შორისაა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხებიც. არ არსებობს ინსტრუმენტები, რომლებიც პირდაპირ არეგულირებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს დრონების ექსპლუატაციასთან. აუცილებელია არსებული ხელშეკრულებები და რეგულაციები შემოწმდეს იმის დასადგენად თუ რამდენად არეგულირებს ეროვნული და რეგიონალური რეგულაციები აღნიშნულ სფეროს. როგორც ეს

¹ J. A. Rodriguez, Jr. <https://www.quoteload.com/quotes/authors/jose-a-rodriguez-jr/39352-drones-can-be-a-highly-effective-way-of-dealing-with-high-priority-targets-but-they-should-not-become-the-drug-of-choice-for-an-administration-that-is>, [უ.გ. 08.10.2021].

² https://ec.europa.eu/growth/sectors/aeronautics/rpas_en, [უ.გ. 08.10.2021].

რიგის დეკლარაციაშია მითითებული: „საზოგადოების მიმღებლობა არის უმნიშვნელოვანესი დრონების ინდუსტრიის ზრდისათვის“. შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საკითხების შესაბამისი მოწესრიგება სასიცოცხლო მნიშვნელობის როლს ითამაშებს დრონების ინდუსტრიის ზრდაზე.

საკვანძო სიტყვები: დრონები, სამოქალაქო პასუხისმგებლობა, უპილოტო საფრენი აპარატები, პირადი სფეროს ხელშეუხებლობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა.

შესავალი

„დრონები გვთავაზობენ ახალ მომსახურებებსა და ფუნქციებს, რომლებიც სცილდება ტრადიციულ ავიაციას და გვპირდება, რომ შეასრულებს არსებულ მომსახურებას უფრო ხელმისაწვდომ და ეკოლოგიურად სუფთა გზით. ისინი მართლაც ტრანსფორმაციული ტექნოლოგიას წარმოადგენენ.“³ ევროკავშირი დაინტერესებულია დრონებით და რიგის დეკლარაციის მიღების შემდეგ წამოიწყო გლობალური დისკუსია მათ შესახებ.⁴ ამას მოჰყვა რამდენიმე კვლევა, არასავალდებულო სამართლებრივი ინსტრუმენტები და ბოლო დროს ორი განმახორციელებელი და დელეგირებული რეგულაციის მიღება. ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტებში სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით, როგორცაა კონცეფცია ოპერაციების ევროპული UTM სისტემისთვის (CORUS)⁵ და საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციის დამტკიცება პირველადი UTM-ით (PODIUM),⁶ რომელიც ეძღვნება დრონების ინდუსტრიის განვითარებას. თანამედროვე დრონები ფართოდ გამოიყენება სამოქალაქო დანიშნულებით, როგორცაა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, უბედურ შემთხვევებთან ბრძოლა, ნარჩენების მართვა და მშენებლობის დაგეგმვა. მოსალოდნელია, რომ დრონების ინდუსტრიაში დასაქმდება 100,000-ზე მეტი ადამიანი და ექნება ეკონომიკური გავლენა ყოველწლიურად 10 მილიარდ ევროზე მეტი ოდენობით 2025 წლამდე.⁷ იმისათვის, რომ დრონებმა შეძლონ მათი პოტენციალის სრულად რეალიზაცია აუცილებელია მათი ინტეგრირება არასეგრეგირებულ საჰაერო სივრცეში. ამრიგად, ყველა დაინტერესებული მხარე კერძო პირების ჩათვლით, საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა EUROCONTROL და ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, როგორცაა ევროკავშირი, ყველა თანამშრომლობს ამ ინტეგრაციის მისაღწევად.

უპილოტო საფრენი აპარატების ინტეგრირებისათვის არასეგრეგაციულ საჰაერო სივრცეში, უმნიშვნელოვანესია რომ მათ შეძლონ საზოგადოების ნდობის მოპოვება, რაც უმნიშვნელოვანესია დრონების ინდუსტრიის ზრდისთვის. ფართო საზოგადოებას აწუხებს ისეთი საკითხები, როგორცაა პირადი სფეროს ხელშეუხებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ დრონებმა, მათი ტვირთაწეობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, არ უნდა დაარღვიონ საზოგადოების პირადი სფეროს ხელშეუხებლობის უფლება, არ უნდა დაამუშაოს ინფორმაცია, რომელიც დაარღვევს მონაცემთა დაცვის უფლებებს.

ეს სტატია მიზნად ისახავს ამ საკითხის განხილვას შემდეგნაირად შემდეგი - პირველი თავი ცდილობს დაადგინოს განხილვა თუ არა დრონები საჰაერო ხომალდებად.

³ იხ. სქოლიო 2.

⁴ Riga Declaration on Remotely Piloted Aircraft (drones) “Framing the Future of Aviation”, Riga, 6 March, 2015.

⁵ A set of easy-to-use rules for low-level airspace operations, <https://www.sesarju.eu/projects/corus> [უ.გ. 11.10.2021].

⁶ Putting U-space services to the test in operational scenarios, <https://www.sesarju.eu/projects/podium> [უ.გ. 11.10.2021].

⁷ იხ. სქოლიო 4.

თვითმფრინავებად, იმის გათვალისწინებით თუ რომელი მოწყობილობები უნდა განვიხილოთ, როგორც საჰაერო ხომალდები. მნიშვნელოვანი ასპექტია მათზე მოქმედი საავიაციო რეგულაციების განსაზღვრა. ასევე, ამ თავში მოკლედ იქნება მიმოხილული მისი სამხედროდან არასამხედრო დანიშნულების გადასვლის ისტორია. არსებობს სხვადასხვა ტერმინები, რომლებიც ეხება დრონებს, როგორიცაა უპილოტო საფრენი აპარატები, ავტონომიური საჰაერო ხომალდები, დისტანციური მართვის საფრენი აპარატები და ა.შ.

მეორე თავი შეისწავლის პირადი სფეროს ხელშეუხებლობის უფლების კონცეფციას: არის ეს აბსოლუტური უფლება თუ დასაშვებია მისი შეზღუდვა და რა ვითარებაშია ნებადართული გადახვევა. დრონები თავად არ უქმნიან საფრთხეს პირადი სფეროს ხელშეუხებლობის უფლებას, მაგრამ მონაცემების დამუშავების ფუნქცია, რომლითაც ისაა აღჭურვილი შესაძლოა წარმოადგენდეს საფრთხეს. შესაბამისად, ეს თავი ეცდება იმ საზღვრის გავლებას თუ როდისაა პირადი სფეროს უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური და როდის გვაქვს სახეზე აშკარა დარღვევა. ასევე, განხილული იქნება ზემოაღნიშნული უფლებების დარღვევის შესაძლო ფორმები, როგორიცაა ფარული თვალთვალი, ვოიერინგი, სხეულის ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა და გეო-ლოკალიზაცია. დრონების მარეგულირებელი ჩარჩო კანონმდებლობა არც ევროკავშირის რეგულაცია 2019/947-მდე და არც შემდგომ პირდაპირ არ ეხება პირადი სფეროს ხელშეუხებლობის საკითხებს; შესაბამისად, პირადი სფეროს ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებებმა სამართლებრივი დაცვა მიიღეს სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტების საფუძველზე, როგორიცაა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის კონვენცია, ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტია, დირექტივა 95/46/EC პირთა დაცვა პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით და ამ მონაცემების თავისუფალ გადაადგილებაზე და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია. ეს თავი შეაფასებს, შეცვალა თუ არა ახალმა რეგულაციამ არსებული მდგომარეობა, რამდენად არის მასში დაცული პირადი სფეროს ხელშეუხებლობის და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებები და შეესაბამება თუ არა ეს დაცვა საკანონმდებლო ინსტრუმენტების მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩატარდება თვისებრივი კვლევა. არსებული ლიტერატურა საკმარისად არ ეხება ამ სფეროებს; შესაბამისად, კვლევისათვის, არსებულ ლიტერატურასთან ერთად, საერთაშორისო კონვენციები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) პრეცედენტული სამართალი, ევროკავშირის რეგულაციები, დირექტივები, რბილი სამართლის ინსტრუმენტები, სხვადასხვა ინტერნეტ წყაროები და სხვა წყაროები გამოყენებული იქნება პასუხის გასაცემად. შემდეგ კითხვაზე: რამდენად არეგულირებს სამოქალაქო დრონების ექსპლუატაციის მარეგულირებელი ევროკავშირის სამართლებრივი ნორმები პირადი სფეროს ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებს?

1. ისტორია, განმარტებები და ტაქსონომია

1.1. საჰაერო ხომალდი, მანქანა თუ სხვა რამ?

პარიზის 1919 წლის კონვენცია საჰაერო ნავიგაციის რეგულირების შესახებ იყო სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო დონეზე რეგულირების პირველი მცდელობა.⁸ მასში არ იყო გათვალისწინებული რაიმე კონკრეტული მუხლი დრონებთან დაკავშირებით. თუმცა, 1929 წლის 15 ივნისის ოქმის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი შეიცავდა იურიდიულ დებულებას უპილოტო საჰაერო ხომალდების შესახებ, სადაც ნათქვამია შემდეგი: „ხელშემკვრელი სახელმწიფოს არცერთ საჰაერო ხომალდს, რომელსაც შეუძლია პილოტის გარეშე იფრინოს, გარდა სპეციალური ნებართვისა, არ უნდა იფრინოს პილოტის გარეშე სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე“.⁹ პარიზის კონვენცია 1919 შემდგომში შეიცვალა 1944 წლის ჩიკაგოს კონვენციით საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ (შემდგომში ჩიკაგოს კონვენცია).¹⁰

ამერიკის შეერთებული შტატები (შემდგომში აშშ) არ გამხდარა პარიზის კონვენციის მხარე, რადგან მიიჩნევდა, რომ კონვენცია საკმარისად არ აწესრიგებდა ვაჭრობისა და ტრანსპორტის თავისუფლების კონცეფციებს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე კომერციული საჰაერო ტრანსპორტის სისტემა თითქმის ჩამონგრეული იყო საომარი მოქმედებების გამო და აშშ წამოიწყო ახალი მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნის ინიციატივა.¹¹ ჩიკაგოს კონვენცია მიზნად ისახავდა საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხო და მოწესრიგებულ განვითარებას, რათა საერთაშორისო საჰაერო სატრანსპორტო მომსახურება დაფუძნებოდა თანასწორობასა და თანაბარ შესაძლებლობებს და ეფუძნებოდა გონივრულად და ეკონომიურად.¹²

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (შემდგომში - იკაო) აღიარა დრონების მნიშვნელობა და მათი სამომავლო პერსპექტივები და ზემოთ დასახული მიზნების მისაღწევად, 2007 წლის 19 აპრილს შეიქმნა უპილოტო საჰაერო ხომალდების სისტემის შემსწავლელი ჯგუფი. შემდგომში, 2014 წლის 6 მაისს შეიქმნა უპილოტო საფრენის აპარატების სისტემის პანელი. 2011 წელს გამოქვეყნდა უპილოტო თვითმფრინავების სისტემის ცირკულარი 328¹³ და მას მოჰყვა სახელმძღვანელო დისტანციურად მართვადი უპილოტო საფრენი აპარატების სისტემის შესახებ Doc 10019 და ეს პროცესი განგრძობითად მიმდინარეობს უფრო დახვეწილი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებისათვის. გლობალურ მოვლენებს არც ევროკავშირი ჩამორჩენილა, თავდაპირველად ევროპული ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს (შემდგომში - ეასა) საბაზისო რეგულაცია 216/2008¹⁴ აწესრიგებდა დრონების ექსპლუატაციის საკითხებს რომელთა მაქსიმალური ასაფრენი მასა უდრიდა ან

⁸ B. I. Scott, A. Trimarchi, „Fundamentals of International Aviation Law and Policy“, „Routledge“, at 25, 2020.

⁹ მუხლი მე-8, 1944 წლის 7 დეკემბრის კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ.

¹⁰ იხ. სქოლიო 9.

¹¹ L. Weber, „The Chicago Convention“, in P.S. Dempsey, R.S. Jakhu (ed.), „Routledge Handbook of Public Aviation Law“, გვ. 9, 2017.

¹² იხ. სქოლიო 4, პრეამბულა.

¹³ ICAO, Unmanned Aircraft Systems (UAS), Cir 328 AN/190, 2011.

¹⁴ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 20 თებერვლის რეგულაცია (EC) 216/2008, სამოქალაქო ავიაციის სფეროში საერთო წესებისა და ევროპული საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს შექმნის შესახებ და რომელმაც გააუქმა საბჭოს დირექტივა 91/670/ EEC, რეგულაცია 1592/2002 და დირექტივა 2004/36/EC.

აღმატებოდა 150 კგ. ხოლო 2019 წელს შემუშავდა ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი საიმპლემენტაციო რეგულაცია 2019/947¹⁵ და დელეგირებული რეგულაცია 2019/945.¹⁶ იმის დასადგენად ვრცელდება თუ არა სამოქალაქო საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციისათვის შემუშავებული მარეგულირებელი დრონებზეც, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს მათი სამართლებრივი სტატუსი. ჩიკაგოს კონვენციის მე-8 მუხლმა გაითვალისწინა ის დებულება, რომელიც მოცემული იყო 1919 წლის პარის კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც შემდგომ შეიცვალა 1929 წლის 15 ივნისის პროტოკოლით.¹⁷ თუმცა არც პარიზის კონვენციის მე-15 მუხლის მ-2 ნაწილი და არც ჩიკაგოს კონვენციის მე-8 მუხლი არ მოიცავს ზუსტ განმარტებას თუ რა მოიაზრება უპილოტო საჰაერო ხომალდში. ჩიკაგოს კონვენციის დანართი 7 მოიცავს საჰაერო ხომალდის შემდგომ განმარტებას: „აპარატი, რომელიც ატმოსფეროში მდებარეობს ინარჩუნებს ჰაერთან ურთიერთქმედების შედეგად, დედამიწის ზედაპირიდან არეკლილ ჰაერთან ურთიერთქმედების გამოკლებით.“¹⁸ მე-8 მუხლში არ არის მითითებული უპილოტო საფრენი აპარატის რაიმე კონკრეტული მახასიათებელი; თუმცა, ნათქვამია შემდეგი: „ხელშემკვრელი სახელმწიფოს არცერთ საჰაერო ხომალდს, რომელსაც შეუძლია პილოტის გარეშე იფრინოს, გარდა სპეციალური ნებართვისა, არ უნდა იფრინოს პილოტის გარეშე სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე“.¹⁹ შესაბამისად, "უპილოტო საჰაერო ხომალდი: შეიძლება განიმარტოს უბრალოდ როგორც პილოტის გარეშე, ამრიგად მოიცავს როგორც უპილოტო საჰაერო ხომალდებს, რომლებიც დაფრინავენ ავტონომიურად, ასევე მათ, რომლებიც მუშაობენ დისტანციურად. აღნიშნული მიდგომა მოგვიანებით დადასტურდა გლობალური საჰაერო მოძრაობის მართვის ოპერატიული კონცეფციით.²⁰ შემდგომში, ჩიკაგოს კონვენციის მე-7 დანართის მეექვსე შესწორებამ გაითვალისწინა დისტანციულად პილოტირებული საჰაერო ხომალდის განმარტება - უპილოტო საჰაერო ხომალდი, რომელიც პილოტირებულია დისტანციური მართვის სადგურიდან.²¹ იკაო-ს მიდგომა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩიკაგოს კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისათვის ორივე ავტონომიური და დისტანციური მართვის მქონე საჰაერო ხომალდები ჩაითვლება უპილოტო საჰაერო ხომალდებად და, შესაბამისად, სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი რეგულაციები მათ მიმართაც თანაბარი წარმატებით გამოიყენება.

იმის გათვალისწინებით, რომ უპილოტო საფრენი აპარატები არსებობდა და გამოიყენებოდა პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს,²² 1969 წლის ვენის კონვენციის 31 (1) მუხლის თანახმად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩიკაგოს კონვენციის მხარეები აპირებდნენ მათ

¹⁵ კომისიის განმარტებული რეგულაცია (EU) 2019/947 წლის 24 მაისი, უპილოტო თვითმფრინავების ექსპლუატაციის წესისა და პროცედურების შესახებ.

¹⁶ კომისიის დელეგირებული რეგულაცია (ევროკავშირი) 2019/945, 2019 წლის 12 მარტი, უპილოტო თვითმფრინავების სისტემებისა და უპილოტო თვითმფრინავების სისტემების მესამე ქვეყნის ოპერატორების შესახებ.

¹⁷ ოქმი, რომელმაც ცვლილებები შეიტანა ევროკომისიის საიმპლემენტაციო რეგულაცია 2019/947-ში უპილოტო საფრენი აპარატის ექსპლუატაციის წესებისა და პროცედურების შესახებ მე-3, მე-5, მე-7, მე-15, 34-ე, 37-ე, 41-ე და 42-ე მუხლებში და საბოლოო დებულებებში. საჰაერო ნავიგაციის რეგულაციასთან დაკავშირებით 1919 წლის 13 ოქტომბერი, ციტირებული როგორც 1929 წლის 15 ივნისის ოქმი, რომელიც ცვლის პარიზის 1919 წლის კონვენციას, ძალაში შევიდა 1933 წლის 17 მაისს.

¹⁸ Annex 7 to the Convention on International Civil Aviation - Aircraft Nationality and Registration Marks, at Definitions.

¹⁹ იხ. სქოლიო 2, მუხლი მე-8.

²⁰ ICAO, Global Air Traffic Management Operational Concept, Doc 9854 AN/458, გვ. 82, 2005.

²¹ A set of easy-to-use rules for low-level airspace operations, <https://www.sesarju.eu/projects/corus> [უ.გ. 08.10.2021].

²² The Secret History of World War II-Era Drones, <https://www.wired.com/2015/12/the-secret-history-of-world-war-ii-era-drones/> [უ.გ 08.10.2021].

გათვალისწინებას და რომ მე-8 მუხლის "კეთილსინდისიერი" და "ობიექტებისა და მიზნის გათვალისწინებით"²³ განმარტებისას, ნამდვილად უნდა მოიცავდეს როგორც ავტონომიურ, ისე დისტანციურად მართულ საჰაერო ხომალდებსაც. შესაბამისად, სამოქალაქო თვითმფრინავებთან დაკავშირებული ყველა რეგულაცია ვრცელდება დრონებზეც, მათი განსაკუთრებული მახასიათებლების გათვალისწინებით.

1.2. არასამხედრო დანიშნულების დრონების განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ერთ-ერთი ყველაზე ადრეული უპილოტო საჰაერო ხომალდის სიტემა იყო ძველი ბერძენი ფილოსოფოსის არქიტეს მტრედი ძვ.წ.ა. 425 წ., რომელიც შეიქმნა ფრინველთა ფრენის მექანიზმის გასაგებად.²⁴ ჩინურ კულტურაშიც მოიპოვება ასევე დრონის წინაპარი წინაპარი, "ჩინური ზედა" - ჯოხი თავზე ბუმბული. ძვ.წ. 200 წლით დათარიღებული ეგვიპტური საქქარას ჩიტი იყო ასევე იყო აეროდინამიკის წესების გაგების კიდევ ერთი მცდელობა.²⁵

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე დრონების უფრო მოწინავე წინაპრებს აქვთ თითქმის საუკუნოვანი ისტორია, მათ შესახებ საზოგადოების ცნობიერება მხოლოდ ბოლო წლებში გაიზარდა. დღეს უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება წარსულში სამხედრო მიზნებისთვის გამოყენებული დრონები. 1818 წელს საჰაერო ბურთი შეიქმნა სამი ეროვნებით ფრანგი სამხედროს მიერ, რათა ემოდრავათ მტრის ტერიტორიაზე და რაკეტები გაიშვათ მათ თავზე.²⁶ 1894 წელს ავსტრიელებმა გამოიყენეს უპილოტო ბუმბულები ბომბებით ვენეციაში შეჭრის მიზნით.²⁷ 1898 წელს აშშ-მ გამოიყენა უპილოტო ფრანები, რომლებიც აღჭურვილი იყო კამერებით, საჰაერო თვალთვალისთვის ესპანეთ-ამერიკის ომის დროს. 1898 წლის პატენტში "გემებისა და მანქანების გადაადგილების მექანიზმის კონტროლის მეთოდები და აპარატები", ტესლა იყო პირველი ვინც იწინასწარმეტყველა სამხედრო უპილოტო აპარატების გამოყენება.²⁸ პირველი უპილოტო საფრენი აპარატი გამოიყენეს პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც 1917 წელს ჰუიტ-სპერის ავტომატურმა საჰაერო ხომალდმა შეასრულა თავისი პირველი ფრენა. ეს იყო შესანიშნავი მიღწევა, რადგან იგი წარმოადგენდა ტექნოლოგიურ პროგრესს რამდენადაც მასში გათვალისწინებული იყო გიროსტაბილიზატორი, რაც აფერხებდა მის გადაბრუნებას. მას მოჰყვა ქეთინგ ბაგი (Ketting bug) 1918 წელს - თანამედროვე საკრუიზო რაკეტების წინამორბედი, შემდეგ ლარინქსი (larynx)²⁹ 1927 წელს, ფეირი ქვინი (Fairy Queen) 1931 წელს და DH 82B, მეტსახელად "დედოფალი ფუტკარი". უკანასკნელი მიიჩნევა, რომ ტერმინს „დრონის“ საფუძვლის ჩამყრელად, უკანასკნელი არის მამალი ფუტკრის სახელი,

²³ მუხლი 31-ე (1), 1969 წლის 23 მაისის ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ.

²⁴ K. Dalamagkidis et al., „On Integrating Unmanned Aircraft Systems into the National Airspace Systems“, გვ. 12, 2012.

²⁵ D. Hodgkinson, R. Johnston, „Aviation Law and Drones – Unmanned Aircraft and the Future of Aviation“, „Routledge“, გვ. 4, 2018.

²⁶ G. K. James, „Unmanned Aerial Vehicles and Special Operations: Future Directions“ (Postgraduate Thesis, Monterey California Naval Postgraduate School) გვ.5, 2000.

²⁷ The First Air Raid Happened When Austria Dropped Bombs on Venice from Pilotless Hot-Air Balloons (1849), <http://www.findingdulcinea.com/news/on-this-day/July-August-08/On-this-Day--Austria-Rains-Balloon-Bombs-on-Venice.html> [უ.გ. 08.10.2021].

²⁸ The History of Drone Warfare, <https://www.thoughtco.com/history-of-drones-4108018>, [უ.გ. 08.10.2021].

²⁹ იხ. სქოლიო 3, გვ.6.

რომელიც დევნის დედოფალ ფუტკარს, DH82B-იც გამიზნული იყო სწორედ საბრძოლო თვითმფრინავების დევნისათვის.³⁰

პირველი მასიურად წარმოებული უპილოტო საფრენი აპარატი იყო OQ-2, რომელიც გამოიყენებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს OQ-3– თან ერთად.³¹ Vergeltungswaffe 1 (V1) იყო გერმანული უპილოტო საფრენი აპარატი მეორე მსოფლიო ომის დროს, რომელიც მიზნად ისახავდა ჩამოვარდნას გარკვეული დროის შემდეგ.³² MQM-57 Falconer იყო პირველი უპილოტო საფრენი აპარატი, რომელიც გამოიყენეს საჰაერო სივრცის შემოწმებისთვის.³³ რაიან ფაიერბის დრონები გამოიყენეს ვიეტნამის ომისა და ერაყის შეჭრის დროს. MQ-1 გამოიყენეს ავღანეთში, პაკისტანში, ზოსნიაში, სირიასა და სომალში. მძიმე და მძლავრი ვერსია MQ-9 გამოიყენეს ერაყში 2007 წელს და ის კვლავ გამოიყენება ავღანეთში.³⁴

რადგანაც დრონები ისტორიულად ძირითადად სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენებოდა, ძირითადად ისინი სამხედრო მოქმედებებთან იყო ასოცირებული.³⁵ თუმცა, ეს თვალსაზრისი შეიცვალა და მათი სამოქალაქო გამოყენების ტენდენცია გაიზარდა 1990-იან წლებში, როდესაც NASA– მ შექმნა მზის ენერჯიაზე მომუშავე ჰელიოსი (Helios) და პათფაინდერი (Pathfinder).³⁶ ამავე პერიოდში, იაპონიამ ფართოდ გამოიყენა უპილოტო საფრენი აპარატები სასუქების და პესტიციდების მოსავლისათვის შესასხურებლად.³⁷ უპილოტო საფრენი აპარატები გამოიყენებოდა ქარიშხალი ნოელის შესასწავლად.³⁸ ჩინეთში დაფუძნებული იანგ ინოვეიშენის მიერ პანტომის (Phantom) წარდგენა ითვლება თანამედროვე სამომხმარებლო დრონების წინამორბედად, მათ შორის მაღალი ხარისხის GoPro 4 კამერა.³⁹ 2013 წელს BBC– მ გამოიყენა ჰექსაკოპტერი რათა განეხორციელებინა თავისი პირველი დრონის საშუალებით წარმოებული გადაცემა. ⁴⁰დრონების პოპულარობა და გამოყენება იზრდება დიდი სისწრაფით და მიიჩნევა რომ 2021 წლის ბოლოსთვის მარტო აშშ-ში 7 მილიონი დრონის რეალიზაცია მოხდება.⁴¹

³⁰ A. Masutti, F. Tomasello, International regulation of non-military drones, Edward Publishing Limited, გვ. 4, 2018.
³¹ B. A Whitmore, Evolution of Unmanned Aerial Warfare: A Historical Look at remote Airpower – A Case Study Innovation, A thesis presented to the Faculty of the U.S. Army Command and General Staff College in partial fulfillment of the requirements for the degree, გვ.16, 2016.
³² B. I. Scott, “Overview “in B. I. Scott (ed.), “The Law of Unmanned Aircraft Systems: An Introduction to the Current and Future Regulation under National, Regional and International Law “ , “Wolters Kluwer “, გვ. 4, 2016.
³³ H. Gonzalez-Jorge, J. Martinez-Sanchez, M. Bueno, P. Arias, “Unmanned Aerial Systems for Civil Applications: A Review, MDPI “, გვ.1, 2017.
³⁴ იხ. სქოლიო 3, გვ.8.
³⁵ B. Custers, “Drones Here, There and Everywhere: Introduction and Overview” B. Custers (ed.), ”The Future of Drone Use: Opportunities and Threats from Ethical and Legal Perspectives”, გვ. 11, 2016.
³⁶NASA Armstrong Fact Sheet: Helios Prototype <https://www.nasa.gov/centers/armstrong/news/FactSheets/FS-068-DFRC.html> [უ.გ 08.10.2021].
³⁷Japanese firm to use drone to force overtime staff to go home, <https://www.thenational.ae/business/japan-uavs-take-the-back-breaking-labour-out-of-farming> 1.221693 [უ.გ 08.10.2021].
³⁸ NASA and NOAA Fly Unmanned Aircraft into Hurricane Noel <https://www.nasa.gov/centers/wallops/news/story105.html>, [უ.გ 08.10.2021].
³⁹ First Click: I, for one, welcome our Chinese drone overlords <https://www.theverge.com/2016/1/20/10796844/Drones-rise-chinese-innovation> [უ.გ. 08.10.2021].
⁴⁰ BBC: A bird’s eye view of breaking news <https://www.cbinsights.com/research/report/corporations-drone-technology/#bbc> [უ.გ. 08.10.2021].
⁴¹ Euro vision: unravelling the new pan-European drone regulations <https://www.airport-technology.com/features/new-eu-drone-rules/> [უ.გ. 08.10.2021].

1.3. ტერმინოლოგია და მათ შორის სხვაობა

არსებობს სხვადასხვა ტერმინი, რომელიც გამოიყენება დრონებთან მიმართებით მაგრამ თითოეულს აქვს თავისი თავისებურებები და მათ შორის დემარკაცია ძალზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გავიგოთ დრონების ხასიათი და საექსპლუატაციო მახასიათებლები და ამასთან გამოვიყენოთ ზუსტი რეგულაციები. დრონები ფართოდ გამოიყენება მედიაში და კარგად არის ცნობილი ფართო საზოგადოებაშიც. ეს არის ასევე მიზეზი იმისა, რომ ტერმინი "დრონი" გამოყენებული იქნება ამ სტატიაშიც, იმ ნაწილების გამოკლებით, სადაც საჭირო იქნება კონკრეტული ტიპის უპილოტო საფრენი აპარატის კონკრეტულად დასახელება ან რეგულაციების მითითება, რომლებიც კონკრეტული ტიპის უპილოტო საფრენ აპარატს ეხება. ტერმინი დრონი თავდაპირველად გამოიყენებოდა სამხედრო ოპერაციებში, აღნიშნული მიდგომა შეიცვალა, თუმცა ამ ტერმინს კანონმდებლობაში არ ვხვდებით.

ფართოდ გამოიყენება ტერმინები, უპილოტო საჰაერო მოწყობილობა (UAV) და უპილოტო საჰაერო სისტემა (UAS). ევროკავშირის რეგულაციები 2019/947 და 2019/945 იყენებს ტერმინს - უპილოტო საფრენი სისტემა და ასევე იკავს თავის ბოლოდროინდელ დოკუმენტებში.

სხვა ტერმინებს შორის, რომელიც გამოიყენება ლიტერატურაში არის დისტანციურად პილოტირებული საჰაერო ხომალდის სისტემა (RPAS), რომელიც ითვალისწინებს უპილოტო საჰაერო სისტემებს, რომლებიც დისტანციურად კონტროლდება პილოტის მიერ. ეს ეხება მთელ სისტემას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს დისტანციურად მართულ დრონებს, ოპერატორს, საკომუნიკაციო და მონაცემთა კავშირებს, თანამგზავრებს, დისტანციურ საპილოტე სადგურებს, დამატებით პერსონალს, დამხმარე სისტემებს და ექსპლუატაციისათვის აუცილებელ ნებისმიერ სხვა მოწყობილობას. ეს ტერმინი ხაზს უსვამს პილოტის არსებობას, რაც ყოველთვის არ არის სავალდებულო, რადგან ზოგიერთი საჰაერო ხომალდი დაპროგრამებულია ავტონომიურად მუშაობისთვის. რეგულაცია 2019/947 განსაზღვრავს უპილოტო საფრენი სისტემა როგორც "უპილოტო საჰაერო ხომალდი და აღჭურვილობა მისი დისტანციური მართვისთვის".⁴² დრონის მახასიათებლიდან გამომდინარე, ასევე გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორცაა უპილოტო საჰაერო ხომალდი და ავტონომიური საჰაერო ხომალდი, რომლებიც გულისხმობენ ავტონომიურად მართულ საჰაერო ხომალდებს ადამიანის ჩარევის გარეშე. ისინი არ საჭიროებენ პილოტის ჩარევას ან მოქმედებენ წინასწარ განსაზღვრული გზით; სამაგიეროდ ისინი მოქმედებენ პრაგმატული გზით გადაწყვეტილების მისაღებად გარემოს გამოყენებით.⁴³ მათ ასევე მოიხსენიებენ როგორც უპილოტო თვითმფრინავებს.⁴⁴

⁴² იხ. სქოლიო 8.

⁴³ ICAO, Manual on Remotely Piloted Aircraft Systems (RPAS), Doc 10019 AN/507, at Definitions.

⁴⁴ იხ. სქოლიო 4, მუხლი 2(1).

2. დრონების ექსპლუატაცია, პირადი სივრცის ხელშეუხებლობის უფლებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები

2.1. პირადი სივრცის ხელშეუხებლობის კონცეფცია და მისი შეზღუდვები

დრონების დანიშნულებასთან დაკავშირებით სულ უფრო იზრდება საზოგადოების ეჭვები. გამოყენების მიზანი ხშირად მოიცავს ვიდეო გადაღებას, სურათების გადაღებას, პერსონალური მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებას, GPS სისტემებს, რომლებიც ამუშავებენ ადამიანების ადგილსამყოფელს, თვალყურს ადევნებენ მათ და ა.შ. ამიტომ, თვითმფრინავების მუშაობამ შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას პირადი სივრცის ხელშეუხებლობის უფლების დაცვას.⁴⁵

სამუელ დ. უორენმა და ლუი დ. ბრანდისმა შეიმუშავეს პირადი სფეროს ხელშეუხებლობის პირველი კონცეფცია და განმარტეს ის, როგორც "მარტო დარჩენის უფლება". საუკუნეზე მეტია, აღიარებულია, რომ განვითარებადი ტექნოლოგიები საფრთხეს შეუქმნის პირადი სივრცის ხელშეუხებლობას.⁴⁶ მარტო დარჩენის უფლება მოგვიანებით იქნა აღიარებული 1948 წლის 10 დეკემბერის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლით, რომელშიც ნათქვამია, რომ „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მის საცხოვრებელსა და მიმოწერაში თვითნებურ ჩარევას, ისევე როგორც მისი პატივისა და რეპუტაციის ხელყოფას. ყველას აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა ხელყოფისაგან.“⁴⁷

მოგვიანებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე -8 მუხლმა ასევე აღიარა პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ასევე აღიარებულია ევროკავშირის ქარტიით ძირითადი უფლებების შესახებ მე-7 მუხლით. თუმცა, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება, რადგან გადახვევები ნებადართულია შეზღუდულ გარემოებებში, მათ შორის ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ჯანმრთელობის დაცვის ინტერესების გამო.⁴⁸ 1981 წლის 28 იანვრის პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენცია (კონფიდენციალურობის კონვენცია), „აღიარებს, რომ აუცილებელია კონფიდენციალურობისა და ხალხთა შორის ინფორმაციის თავისუფალი ნაკადის ფუნდამენტური ღირებულებების შეჯერება“, მე-9 მუხლის თანახმად, შესაძლებელია მოხდეს გადახრები „ა) სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფოს მონეტარული ინტერესების ან სისხლისსამართლებრივ დანაშაულებებთან ბრძოლის ინტერესების დაცვის მიზნით; (ბ) ინფორმაციის ობიექტებისა და სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით.“⁴⁹

⁴⁵ DG for Internal Policies – Policy Department Citizen’s Rights and Constitutional Affairs, „Privacy and Data Protection implications of the civil use of drones“, გვ. 23, 2015.

⁴⁶ S. D. Warren and L. D. Brandeis, „The right to privacy“, „Harvard Law Review“, 4 (5), გვ.220, 1890.

⁴⁷ მუხლი მე-12, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ხელმოწერილი 1948 წლის 10 დეკემბერს, პარიზი, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 217A.

⁴⁸ მუხლი მე-8 (2), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, ხელმოწერილი რომში 1950 წლის 4 ნოემბერს.

⁴⁹ მუხლი მე-9, კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებით პირთა დაცვის შესახებ, ხელმოწერილი სტრასბურგში 1981 წლის 28 იანვარს.

პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით, რომლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ამ უფლებათა შეზღუდვა ლეგიტიმურია, კერძოდ, „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა“.⁵⁰ საქართველო ასევე მხარეა ზემოთ ჩამოთვლილ ინსტრუმენტთა უმრავლესობის, რომლებიც ემსახურება პირადი სფეროს ხელშეუხებლობის დაცვას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდეგში ECHR) წინააღმდეგობის მიუხედავად განემარტა პირადი სივრცის ხელშეუხებლობა, რათა თავიდან აეცილებინა მისი გამოყენების შეზღუდვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შესაძლო დარღვევის გამო, ლიტერატურაში კვლავ გამოვლენილია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონცეფციის განმარტების ოთხი კომპონენტი - სხეულის ხელშეუხებლობა, პირადი ქცევის ხელშეუხებლობა, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების გონივრული მოლოდინიც კი საზოგადოებრივი ადგილები, პირადი კომუნიკაციის კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა.⁵¹

საქმეში ფონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ,⁵² ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიმეორა, რომ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება ვრცელდება პიროვნების იდენტობის დაცვაზე, მათ შორის მათი ფოტოსურათზე და, შესაბამისად, პირს აქვს უფლება გააკონტროლოს მისი გამოყენება. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ პირი შეიძლება დაეყრდნოს პირადი ცხოვრების დაცვისა და პატივისცემის "ლეგიტიმურ მოლოდინს", ისეთი გარემოებების გათვალისწინებით, როგორცაა მათი სახელგანთქმულობა და ადგილი, სადაც ფოტოსურათია გადაღებული.⁵³

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უზუნი გერმანიის წინააღმდეგ ასევე აღნიშნა, რომ „GPS მეთვალყურეობა თავისი არსით განსხვავდება ვიზუალური ან აკუსტიკური მეთვალყურეობის სხვა მეთოდებისაგან, რომლებიც, როგორც წესი, უფრო მგრძობიარეა პიროვნების პატივისცემის უფლების ხელყოფის თვალსაზრისით. ისინი უფრო მეტ ინფორმაციას ავლენენ ადამიანის ქცევის, მოსაზრებების ან განცდების შესახებ“.⁵⁴

ევროკავშირის კომისია ჩამოთვლის პირადი სფეროს დაცვის შესაძლო დარღვევის გზებს, როგორცაა ე.წ. „გაცივების ეფექტი“ (ინდივიდები აკონტროლებენ თავიანთ ქცევას), გამოხატვის თავისუფლება, შიშის გამო აქტივობებში მონაწილეობა,⁵⁵ მონაცემთა დამუშავების ობიექტის დეკუმანიზაცია მათზე მგრძობიარე მონაცემების შეგროვებით, უკანასკნელის მონაწილეობის უფლების გარეშე.⁵⁶ ვოაიერიზმი ნიშნავს პირის თვალთვალს, როდესაც ის

⁵⁰ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, მუხლი 15.

⁵¹ იხ. სქოლიო 15, გვ. 216.

⁵² Von Hannover v. Germany, 40660/08. 2012. ECHR, para 95-96 (7 Feb. 2012).

⁵³ იხ. სქოლიო 52, პარაგრაფი 51.

⁵⁴ Uzun v. Germany, 35623/05. 2010. ECHR, para 52 (2 Dec. 2010).

⁵⁵ Two sides of the same coin – the right to privacy and freedom of expression [უ.გ 08.10.2021].

⁵⁶ იხ. სქოლიო 15, გვ. 211.

დაკავებულია პირად საქმიანობით,⁵⁷ გასაიდუმლოებული მეთვალყურეობა (მოწყობილობის ან სხვა მექანიზმის გამოყენება მონაცემთა დაგროვების მიზნით)⁵⁸ სხეულის კონფიდენციალურობის დარღვევა და ადგილმდებარეობის, სივრცის კონფიდენციალურობის ან შეკრების უფლების დარღვევა.⁵⁹

უპილოტო თვითმფრინავების შესაძლებლობებისა და მათი უწყვეტი ტექნოლოგიური წინსვლის გათვალისწინებით, პირადი სფეროს დაცვის უფლების ფართო სპექტრი, მათ შორის ყველა სასამართლო პრაქტიკა, დაკავშირებული სფეროებში, ასევე კონფიდენციალურობის უფლების შესაძლო შეზღუდვები.

2.2. რამდენად არეგულირებს დრონების ექსპლუატაციის მომწესრიგებელი ნორმები პირადი სფეროს დაცვის საკითხებს?

ევროკავშირის რამდენიმე მარეგულირებელი ინსტრუმენტი ეხება პირადი სფეროს ხელშეუხებლობას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლი და ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიის მე-7 მუხლი აღნიშნული საკითხის შემდგომი რეგულირების საფუძველია. ისინი ბუნებით ზოგადაა და არ იძლევა სახელმძღვანელო წესს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პირადი სფეროს ხელშეუხებლობის უფლების დაცვის საკმარისი დონის უზრუნველყოფა. თუმცა, ისინი მიუთითებენ, რომ ეს უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც მათი შეზღუდვა ლეგიტიმურია.⁶⁰

არ არსებობს კონკრეტული ინსტრუმენტი, რომელიც არეგულირებს პირადი სფეროს ხელშეუხებლობის უფლებას დრონების ექსპლუატაციის კუთხით; თუმცა, რეგულაცია 2019/947 და რეგულაცია 2019/945 გარკვეულწილად ეხება პირადი სფეროს ხელშეუხებლობის დარღვევის რისკებს. რეგულაცია 2019/947 მე-14 დეკლარაციულ ნაწილში ნათქვამია, რომ დრონების ოპერატორმა, რომლის საქმიანობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას პირადი სფეროს ხელშეუხებლობას, პერსონალურ მონაცემთა დაცვას, უსაფრთხოებას და გარემოს, უნდა დაარეგისტრიროს თავისი დრონი. მე-18 ნაწილი ასევე ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობას დამატებით დაარეგულირონ დრონების ექსპლუატაცია პირადი სფეროს ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დასაცავად. რეგულაცია ასევე ითვალისწინებს დრონების ოპერატორების ვალდებულებას ადეკვატურად იყვნენ ინფორმირებული ევროკავშირის და ეროვნული წესების შესახებ, რომლებიც ეხება უსაფრთხოებას, პირადი სფეროს ხელშეუხებლობის დაცვის, მონაცემთა დაცვას და სხვა

⁵⁷ A. McKenna, The Public Acceptance Challenge and Its Implications for the Developing Civil Drone Industry, in (ed.) B. Custers, The Future of Drone Use, Opportunities and Threats from Ethical and Legal Perspective, გვ. 366, 2016.

⁵⁸ Opinion of the European Data Protection Supervisor on the amended proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on the establishment of 'EURODAC' for the comparison of fingerprints for the effective application of Regulation, გვ.7.

⁵⁹ European Commission, Study on privacy, data protection and ethical risks in civil Remotely Piloted Aircraft Systems operations – Summary for Industry, გვ.7, 2014.

⁶⁰ From Retailers To Insurance Providers, Here Are 21 Corps Using Drone Tech Today, <https://www.cbinsights.com/research/report/corporations-drone-technology/#bbc> [უ.გ. 08.10.2021].

შესაბამისი საკითხების თაობაზე.⁶¹ რეგულაცია 2019/945 მიუთითებს 2018/1139⁶² რეგულაციის 55 -ე მუხლზე, ამ უკანასკნელში მითითებულია მისი დანართი 9,⁶³ რომელიც ადგენს მოთხოვნებს დრონების დიზაინის, წარმოების, შენარჩუნებისა და ექსპლუატაციისათვის და ითვალისწინებს თითქმის იმავე ნარატივს, როგორც რეგულაცია 2019/947, რომ ოპერატორმა და დისტანციურმა მფრინავმა უნდა იცოდეს მოქმედი კავშირისა და ეროვნული წესების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია რიგ საკითხებთან, მათ შორის პირადი სფეროს ხელშეუხებლობასთან და მონაცემთა დაცვასთან.⁶⁴ აღნიშნული ზრდის მწარმოებლის პასუხისმგებლობას, რომ დრონების შექმნისას გაითვალისწინოს ისეთი მახასიათებლები და ფუნქციონირება რომელიც წინააღმდეგობაში არ იქნება პირადი სფეროს ხელშეუხებლობასთან და მონაცემთა დაცვის პრინციპებთან. ყველა მითითება პირადი სფეროს ხელშეუხებლობასა და მონაცემთა დაცვაზე ადგენს რეგისტრაციის და დრონების ექსპლუატანტების ვალდებულებას მათი საქმიანობა განახორციელონ მოქმედი ევროკავშირისა და ეროვნული წესების შესაბამისად, შესაბამისად, იმის დასადგენად თუ როგორ უნდა განახორციელოს დრონის ექსპლუატანტმა საქმიანობა ისე რომ თავიდან აირიდოს პირადი სივრცის ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის უფლებების შესაძლო დარღვევა - შესაბამისი კანონმდებლობა უნდა იქნეს გამოყენებული.

საქართველოსა და ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმების თანახმად საქართველოს ნაკისრი აქვს მიიღოს შესაბამისი ზომები ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით.⁶⁵ სწორედ ამ მიზნით, საქართველოში უკვე იმპლემენტირებულია რეგულაცია 2019/947 და რეგულაცია 2019/945 საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დირექტორის 2020 წლის 25 სექტემბრის ბრძანება 156 სახით. შესაბამისად, პირადი სფეროს ხელშეუხებლობის უფლების პოტენციური დარღვევის მიმართ დრონების ექსპლუატაციის შედეგად გვაქვს ზუსტად ისეთივე ვითარება, როგორც ევროკავშირის ტერიტორიაზე და უნდა ვიხელმძღვანელოთ ადამიანის უფლებათა დაცვის იმ ინსტრუმენტებით, რომლებიც ითვალისწინებს პირადი სფეროს ხელშეუხებლობის უფლების დაცვას.

პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავების შესახებ პირთა დაცვის კონვენცია ასევე აღიარებს პირადი სფეროს ხელშეუხებლობის უფლების მნიშვნელობას და განსაკუთრებით არეგულირებს პერსონალური მონაცემების ავტომატურ დამუშავებას. კონვენცია ადგენს მოთხოვნებს ავტომატურად დამუშავებული მონაცემების მიმართ, რომ ეს მონაცემები მოპოვებული და დამუშავებული იყოს სამართლიანად და კანონიერად, შენახული იყოს განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის და არ იქნას გამოყენებული ამ მიზნებთან შეუთავსებელი დანიშნულებით, უკანასკნელი კრძალავს რასობრივი წარმოშობის,

⁶¹ იხ. სქოლიო 4, მუხლი 2 (17).

⁶² მუხლი 55-ე, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 4 ივლისის რეგულაცია (ევროკავშირი) 2018/1139 სამოქალაქო ავიაციის სფეროში საერთო სფეროსა და ევროკავშირის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს შექმნის შესახებ და რომელმაც შეასწორა რეგლამენტი (EC) No2111/2005 ,(EC) 100 1008/2008, (EU) No 996/2010, (EU) No 376/2014 და დირექტივები 2014/30/EU და 2014/53/EU ევროპარლამენტისა და გააუქმა ევროსაბჭოს რეგულაციები (EC) 55552/2004 და (EC) 21216/2008 ევროპარლამენტისა და საბჭოს დებულება (EEC) No 3922/91.

⁶³ იხ. სქოლიო 56, დანართი 9.

⁶⁴ მუხლი მე-6, კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებით პირთა დაცვის შესახებ, ხელმოწერილი სტრასბურგში 1981 წლის 28 იანვარს.

⁶⁵ მუხლი 21(2), საქართველოსა და ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმება.

პოლიტიკური აზრის ან რელიგიური მონაცემების ავტომატურ დამუშავებას, ასევე რწმენის, ჯანმრთელობასა და სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით ინფორმაციის დამუშავებას.⁶⁶ ეს მოთხოვნა შეიძლება გავრცელებულ იქნას დრონების ექსპლუატაციაზე, რომელიც შეზღუდავს დრონების შესაძლებლობას მონაცემების ავტომატური დამუშავებაზე, რათა უკანასკნელმა არ გამოავლინოს ზემოაღნიშნული ტიპის ინფორმაცია პირთა შესახებ.

დირექტივა 2002/58 ასევე ეხება პირადი სფეროს ხელშეუხებლობადა და მის დაცვას ელექტრონული კომუნიკაციის სექტორში. დირექტივა აღიარებს ტექნოლოგიურ წინსვლას და მის გამოყენებას საზოგადოებრივ საკომუნიკაციო ქსელებში. იგი ადგენს მოთხოვნებს ელექტრონული კომუნიკაციების დამუშავებისათვის პირადი სფეროს ხელშეუხებლობის, ტექნიკური სტანდარტიზაციისა და ტრაფიკის მონაცემების ჩათვლით.⁶⁷ უპილოტო საფრენი აპარატები, ფუნქციიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყენებოდნენ სხვადასხვა მიზნებისთვის, ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში გამოყენების შემთხვევაში, ისინი დაექვემდებარებოდნენ 2002/58 დირექტივის მოთხოვნებს.

დასკვნა

დრონები გვთავაზობენ ახალ შესაძლებლობებს და გამოყენების მრავალფეროვნებას, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივ ავიაციას და იძლევა არსებული სერვისების უფრო ეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა შესრულების შესაძლებლობას. დრონები რევოლუციური მოწყობილობებია. ისინი უნდა იქნეს ინტეგრირებული არა სეგრეგირებულ საჰაერო სივრცეში და ამავდროულად, მოქალაქეთა შემფოთება, რომლებიც დაკავშირებულია პირადი სფეროს ხელშეუხებლობასთან და მონაცემთა დაცვასთან, ადეკვატურად უნდა იქნას გამკლავებული. დრონების პოტენციალი დანახულია, როგორც გლობალურად, ისე რეგიონალურად, მათ შორის ევროკავშირის მიერ. ევროკავშირი დრონების ინდუსტრიას განიხილავს, როგორც სამუშაო ადგილების შემქმნელს და როგორც ინსტრუმენტს ეკონომიკური განვითარებისათვის. ამიტომ, ის საკმაოდ მნიშვნელოვანი რესურსს უთმობს დრონების კვლევას და განვითარებას და თანამშრომლობის სხვადასხვა პლატფორმის შექმნაში. ევროკავშირმა მიიღო ახალი რეგულაცია 2019/947 და რეგულაცია 2019/945 აქამდე მიღებული გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე.

დრონის იურიდიული სტატუსის იდენტიფიცირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ის განსაზღვრავს მოქმედი წესების მასივს. თვითმფრინავების იურიდიული დემარკაცია ისეთი მოწყობილობებისაგან, როგორცაა ავიამოდელებისაგან და სათამაშო საჰაერო ხომალდებისაგან, ასევე მნიშვნელოვანია, რადგან დრონები, ავიამოდელები და სათამაშო საჰაერო ხომალდები თითოეული დამოუკიდებლად რეგულირდება განსხვავებული რეგულაციებით. მოქმედი წესების დადგენისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დრონების მახასიათებლები, როგორცაა გამოყენების ხასიათი, ზომა და ტექნიკური მახასიათებლები, რამდენადაც თითოეულ შემთხვევაში შედეგი განსხვავებული იქნება.

აუცილებელია მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფა, როგორცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პირადი მონაცემების დაცვა. დრონების

⁶⁶ იხ. სქოლიო 64.

⁶⁷ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 12 ივლისის დირექტივა 2002/58/EC 2002 წლის 12 ივლისის პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ.

ექსპლუატაციამ უკვე გამოიწვია მრავალი შეშფოთება, მათ შორის, პირადი სფეროს ხელშეუხებლობის და მონაცემთა დაცვის დარღვევის სახით, რაც გამოწვეული იყო დრონების მიერ შესასრულებელი ფუნქციიდან. თუ საზოგადოების შიშებს საკადრისი პასუხი არ გაეცემა, ეს შეამცირებს საზოგადოების მხრიდან დრონების მიმღებლობას და, შესაბამისად, უარყოფითად იმოქმედებს დრონების ინდუსტრიის განვითარებაზე.

პირადი სფეროს ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის უფლებები არ არის აბსოლუტური და მათი შეზღუდვა შესაძლებელია შესაბამისი მიზნებისათვის; თუმცა, როდესაც ისინი შეზღუდულია, გამოყენებული ზომები უნდა იყოს მოქმედი რეგულაციების შესაბამისი და მისაღწევი მიზნის პროპორციული. პირადი სფეროს ხელშეუხებლობის არსებული მარეგულირებელი ჩარჩო კონკრეტულად არ ეხება დრონების ექსპლუატაციას და მასთან დაკავშირებულ რისკებს; თუმცა, არსებული წესები მაინც შეიძლება გამოყენებულ იქნას დრონებთან დაკავშირებით და რეგულაცია 2019/947 დანაწესის თანახმად მათი გათვალისწინება სავალდებულოა. უფრო მეტიც, პირადი სფეროს ხელშეუხებლობის და მონაცემთა დაცვის რეგულაციების გამოყენება არ უნდა იყოს ძალიან შემოკლებული, რადგან ამან შეიძლება ხელი შეუშალოს ინდუსტრიის განვითარებას; სამაგიეროდ უნდა მოხდეს შემთხვევის ინდივიდუალური მიდგომა სწორი ბალანსის მისაღწევად. ყველა დაინტერესებული მხარე - სამოქალაქო ავიაციის ორგანოები, მწარმოებლები და დრონების ექსპლუატანტებმა - უნდა ითანამშრომლონ ინდუსტრიის დაცვისა და ზრდის საკმარისი დონის კუმულაციურად მისაღწევად.

ბიბლიოგრაფია

1. ვენის კონვენცია სახელმწიფოებო სამართლის შესახებ, 23 მაისი 1969 წ;
2. საქართველოსა და ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმება;
3. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ხელმოწერილი 1948 წლის 10 დეკემბერს, პარიზი, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 217A;
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, ხელმოწერილი რომში 1950 წლის 4 ნოემბერს;
5. კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებით პირთა დაცვის შესახებ, ხელმოწერილი სტრასბურგში 1981 წლის 28 იანვარს;
6. საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ კონვენცია ხელმოწერილი ჩიკაგოში 1944 წლის 7 დეკემბერს;
7. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 20 თებერვლის რეგულაცია (EC) 216/2008, სამოქალაქო ავიაციის სფეროში საერთო წესებისა და ევროპული საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს შექმნის შესახებ და რომელმაც გააუქმა საბჭოს დირექტივა 91/670/ EEC, რეგულაცია 1592/2002 და დირექტივა 2004/36/EC;
8. კომისიის განმახორციელებელი რეგულაცია (EU) 2019/947 წლის 24 მაისი, უპილოტო თვითმფრინავების ექსპლუატაციის წესისა და პროცედურების შესახებ;
9. კომისიის დელეგირებული რეგულაცია (ევროკავშირი) 2019/945, 2019 წლის 12 მარტი, უპილოტო თვითმფრინავების სისტემებისა და უპილოტო თვითმფრინავების სისტემების მესამე ქვეყნის ოპერატორების შესახებ;
10. ოქმი, რომელმაც ცვლილებები შეიტანა ევროკომისიის საიმპლემენტაციო რეგულაცია 2019/947-ში უპილოტო საფრენი აპარატის ექსპლუატაციის წესებისა და პროცედურების შესახებ მე-3, მე-5, მე-7, მე-15, 34-ე, 37-ე, 41-ე და 42-ე მუხლებში და საბოლოო დებულებებში. საჰაერო ნავიგაციის რეგულაციასთან დაკავშირებით 1919 წლის 13 ოქტომბერი, ციტირებული როგორც 1929 წლის 15 ივნისის ოქმი, რომელიც ცვლის პარიზის 1919 წლის კონვენციას, ძალაში შევიდა 1933 წლის 17 მაისს;
11. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ხელმოწერილი 1948 წლის 10 დეკემბერს, პარიზი, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 217A;
12. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, ხელმოწერილი რომში 1950 წლის 4 ნოემბერს;
13. კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებით პირთა დაცვის შესახებ, ხელმოწერილი სტრასბურგში 1981 წლის 28 იანვარს;
14. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 4 ივლისის რეგულაცია (ევროკავშირი) 2018/1139 სამოქალაქო ავიაციის სფეროში საერთო სფეროსა და ევროკავშირის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს შექმნის შესახებ და რომელმაც შეასწორა რეგლამენტი (EC) No2111/2005, (EC) 100 1008/2008, (EU) No 996/2010, (EU) No 376/2014 და დირექტივები 2014/30/EU და 2014/53/EU

ევროპარლამენტისა და გააუქმა ევროსაბჭოს რეგულაციები (EC) 5552/2004 და (EC) 21216/2008 ევროპარლამენტისა და საბჭოს დებულება (EEC) No 3922/91;

15. კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებით პირთა დაცვის შესახებ, ხელმოწერილი სტრასბურგში 1981 წლის 28 იანვარს;
16. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 12 ივლისის დირექტივა 2002/58/EC 2002 წლის 12 ივლისი პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ;
17. 1995 წლის საქართველოს კონსტიტუცია;
18. Benjamyn. I. Scott, Andrea. Trimarchi, *Fundamentals of International Aviation Law and Policy*, Routledge, 2020;
19. Ludwig Weber, *The Chicago Convention*, in Paul Stephen Dempsey, Ram Jakhu (ed.), *Routledge Handbook of Public Aviation Law*, 2017;
20. Konstantinos Dalamagkidis et al., *On Integrating Unmanned Aircraft Systems into the National Airspace Systems*, 2012;
21. David Hodgkinson, Rebecca Johnston, *Aviation Law and Drones – Unmanned Aircraft and the Future of Aviation*, Routledge, 2018;
22. Gregory K. James, *Unmanned Aerial Vehicles and Special Operations: Future Directions* (Postgraduate Thesis, Monterey California Naval Postgraduate School) 2000;
23. Anna Masutti, Filippo. Tomasello, *International regulation of non-military drones*, Edward Publishing Limited, at 4, 2018;
24. Bishane A. Whitmore, *Evolution of Unmanned Aerial Warfare: A Historical Look at remote Airpower – A Case Study Innovation*, A thesis presented to the Faculty of the U.S. Army Command and General Staff College in partial fulfillment of the requirements for the degree, 2016;
25. Benjamyn I. Scott, *The Law of Unmanned Aircraft Systems: An Introduction to the Current and Future Regulation under National, Regional and International Law*, Wolters Kluwer, 2016;
26. Bart Custers, *The Future of Drone Use: Opportunities and Threats from Ethical and Legal Perspectives*, 2016;
27. Higinio Gonzalez-Jorge, Joaquin Martinez-Sanchez, Martin Bueno, Pedor Arias, *Unmanned Aerial Systems for Civil Applications: A Review*, MDPI, 2017;
28. Samuel D. Warren, Louis D. Brandeis, *The right to privacy*, *Harvard Law Review*, 4 (5), 1890;
29. ICAO, *Unmanned Aircraft Systems (UAS)*, Cir 328 AN/190, 2011;
30. ICAO, *Global Air Traffic Management Operational Concept*, Doc 9854 AN/458, at 82, 2005;
31. ICAO, *Manual on Remotely Piloted Aircraft Systems (RPAS)*, Doc 10019 AN/507, at Definitions;
32. DG for Internal Policies – Policy Department Citizen’s Rights and Constitutional Affairs, *Privacy and Data Protection implications of the civil use of drones*, at 23, 2015;

33. Riga Declaration on Remotely Piloted Aircraft (drones) “Framing the Future of Aviation”, Riga, 6 March, 2015;
34. Opinion of the European Data Protection Supervisor on the amended proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on the establishment of 'EURODAC' for the comparison of fingerprints for the effective application of Regulation, at 7;
35. European Commission, Study on privacy, data protection and ethical risks in civil Remotely Piloted Aircraft Systems operations – Summary for Industry, 7, 2014;
36. Unmanned aircraft, https://ec.europa.eu/growth/sectors/aeronautics/rpas_en. [უკანასკნელად გადამოწმდა: 08.10.2021];
37. A set of easy-to-use rules for low-level airspace operations, <https://www.sesarju.eu/projects/corus>. [უკანასკნელად გადამოწმდა: 11.10.2021];
38. Putting U-space services to the test in operational scenarios, <https://www.sesarju.eu/projects/podium>. [უკანასკნელად გადამოწმდა: 11.10.2021];
39. The Secret History of World War II-Era Drones, <https://www.wired.com/2015/12/the-secret-history-of-world-war-ii-era-drones/>. [უკანასკნელად გადამოწმდა: 11.10.2021];
40. The First Air Raid Happened When Austria Dropped Bombs on Venice from Pilotless Hot-Air Balloons (1849), <http://www.findingdulcinea.com/news/on-this-day/July-August-08/On-this-Day--Austria-Rains-Balloon-Bombs-on-Venice.html>. [უკანასკნელად გადამოწმდა: 11.10.2021];
41. The History of Drone Warfare, <https://www.thoughtco.com/history-of-drones-4108018>. [უკანასკნელად გადამოწმდა: 11.10.2021];
42. NASA Armstrong Fact Sheet: Helios Prototype, <https://www.nasa.gov/centers/armstrong/news/FactSheets/FS-068-DFRC.html>. [უკანასკნელად გადამოწმდა: 11.10.2021];
43. Japanese firm to use drone to force overtime staff to go home, <https://www.thenational.ae/business/japan-uavs-take-the-back-breaking-labour-out-of-farming-1.221693>. [უკანასკნელად გადამოწმდა: 11.10.2021];
44. NASA and NOAA Fly Unmanned Aircraft into Hurricane Noel, <https://www.nasa.gov/centers/wallops/news/story105.html>. [უკანასკნელად გადამოწმდა: 11.10.2021];
45. First Click: I, for one, welcome our Chinese drone overlords <https://www.theverge.com/2016/1/20/10796844/Drones-rise-chinese-innovation>. [უკანასკნელად გადამოწმდა: 11.10.2021];
46. From Retailers to Insurance Providers, Here Are 21 Corps Using Drone Tech Today, <https://www.cbinsights.com/research/report/corporations-drone-technology/#bbc>. [უკანასკნელად გადამოწმდა: 11.10.2021];
47. Euro vision: unravelling the new pan-European drone regulations, <https://www.airport-technology.com/features/new-eu-drone-rules/>. [უკანასკნელად გადამოწმდა: 11.10.2021];

48. Two sides of the same coin – the right to privacy and freedom of expression, <https://privacyinternational.org/blog/1111/two-sides-same-coin-right-privacy-and-freedom-expression>. [უკანასკნელად გადამოწმდა: 11.10.2021];
49. Judgment by European Court of Human Rights CASE: Von Hannover v. Germany, 40660/08 [2012] (7 Feb. 2012). [უკანასკნელად გადამოწმდა: 11.10.2021];
50. Judgment by European Court of Human Rights CASE: Uzun v. Germany, 35623/05 [2010] ECHR, (2 Dec. 2010). [უკანასკნელად გადამოწმდა: 11.10.2021].

რეაბილიტაციის პროცესის გახსნის თავისებურებები ქართული და იაპონური სამართლის შრილში

სესილი ქადარია

მოწვეული ლექტორი,

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

სტატია “რეაბილიტაციის პროცესის გახსნის თავისებურებები ქართულ და იაპონურ სამართლის შრილში” შედარებით-სამართლებრივი მეთოდით განიხილავს რეაბილიტაციის პროცესის დაწყებას, ქართულ საკანონმდებლო სიახლეს და ბუნდოვან ნორმებს, რომელიც საჭიროებს საქართველოს რეალობაში დახვეწას. გადახდისუუნარობის ეფექტიანი კანონმდებლობა მირითადი ინსტრუმენტია ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის, სახელმწიფოს ეკისრება მნიშვნელოვანი როლი და პასუხისმგებლობაც, შექმნას იმგვარი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ხელს შეუწყობს ფინანსური სირთულეების პერიოდში საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას.

თვალსაჩინოა, რომ საქართველოს ახალი კანონის „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დავკმაყოფილების შესახებ“ (ამოქმედებული 2021 წლის 1 აპრილს) დამუშავების პროცესში, ჯგუფის მიერ მნიშვნელოვანი კვლევითი სამუშაო ჩატარდა. შესწავლილ იქნა გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) „გადახდისუუნარობის კანონის საკანონმდებლო სახელმძღვანელო“, მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული საერთაშორისო პრინციპები „ეფექტიანი გადახდისუუნარობისა და მოვალის და კრედიტორთა უფლებების დაცვის შესახებ“. ახალმა კანონმა მიზანშივე გამოკვეთა რეაბილიტაციის როლი და ქვეყნის პრიორიტეტად სწორედ მოვალის რეაბილიტაცია დაასახელა. გარდა ამისა, მისი მიზანია სასამართლოსთვის დროული მიმართვიანობის წახალისება. კანონის ამოქმედებამ აღმოფხვრა ის ხარვეზები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად აჭიანურებს პროცესის მიმდინარეობას.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის დამუშავებისას იაპონიის სამართალს დიდი ყურადღება დაეთმო, ვინაიდან მსოფლიო ბანკის რეიტინგებით, გადახდისუუნარობის სამართალში ის წამყვანი ქვეყნების სამეულშია. სასამართლოს გადწყვეტილებებზე დაყრდნობით, სტატია თეორიულ და პრაქტიკულ შრილში, წარმოაჩენს რეაბილიტაციის პროცესის დამაბრკოლებელ გარემოებებს, განიხილავს საქართველოს ახალი კანონმდებლობის ბუნდოვან ნორმებს და სთავაზობს მოწესრიგების თანამედროვე ხედვებს.

საკვანძო სიტყვები: „Civil RP“, „SLP“, „BP“, „RL“, „UNCITRAL“ რეგულირებული შეთანხმება, კონვენსია და სხვა.

შესავალი

დემოკრატიული სახელმწიფოს ეკონომიკური ბირთვი სწორედ საწარმოებზე დგას, რომელთა ფუნქციაც არამხოლოდ სოციალურ დონეს აძლიერებს, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებელს საგრძნობლად ზრდის. საზოგადოებრივი კეთილდღეობის, სტაბილური ეკონომიკური ზრუნვის უზრუნველსაყოფად კი ქვეყნის მიზანი საწარმოს ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვაა, რაც უზრუნველყოფს მათი ფინანსური კრიზისიდან გამოყვანას. რეაბილიტაციის ინსტიტუტი თანამედროვე სამართალში თანდათან ძლიერდება. ის არის საწარმოს გადარჩენის დამხმარე მექანიზმი, რომლის ეფექტური წარმართვა დიდწილად კანონმდებლობაზეა დამოკიდებული. რეაბილიტაციის პროცესის დროული დაწყებით იურიდიული პირი შეძლებს ფინანსური სიძღვების გადალახვას, წინსვლასა და გაძლიერებას. სწორედ ამას ემსახურება რეაბილიტაციის პროცესის დაწყება, რომლის მთავარ სუბიექტად რეაბილიტაციის მმართველი გვევლინება.

2015 წელს იუსტიციის სამინისტროს თხოვნით ქართული გადახდისუნარობის სისტემის შეფასება განახორციელა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტმა „მმართველობა განვითარებისათვის“, კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ საქართველოში „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონს რეაბილიტაციის პროცესის გახსნისთვის ხშირად არ იყენებენ, პრაქტიკის თანახმად, წელიწადში ათიოდე დავა განიხილებოდა და ისიც, მეტწილად მოვალეთა გაკოტრებით სრულდებოდა. რეაბილიტაციის პროცესის დამაბრკოლებელ გარემოებად უფლებამოსილი სუბიექტების წრე ითვლებოდა, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით შეცვლილია.

2021 წლის 1 აპრილიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ რომელმაც შეცვალა სახელმწიფოს მიდგომა გადახდისუნარობის პროცესში და პრიორიტეტად საწარმოს რეაბილიტაცია დაასახელა. ამასთან, აქცენტი მართოდენ მოვალის გადარჩენაზე არ უნდა გაკეთდეს. მნიშვნელოვანია, რომ რეაბილიტაციის მიზანი მოვალის გადარჩენის გზით კრედიტორთა დაკმაყოფილება იყოს და არა მართოდენ მოვალის გადარჩენა კრედიტორების ინტერესების მხედველობაში მიღების გარეშე.¹

სტატიაში განხილულია საქართველოს ახალი კანონით რეგულირებული რეაბილიტაციის პროცესის დაწყება, შედარებით სამართლებრივი მეთოდით განხილულია იაპონიის გადახდისუნარობის სამართალი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს პრაქტიკაში აღსრულების პრობლემატიკას, რაც დაეხმარება ქართველს კანონმდებელს რეაბილიტაციის წამახალისებელი პროცესის განვითარებაში.

რატომ იაპონია? მსოფლიო ბანკის პროექტ „აკეთე ბიზნესის“ ფარგლებში იაპონიამ შეძლო გადახდისუნარობის სამართალში წამყვანი ადგილის დაკავება, ის მე-3 ადგილს იკავებს მსოფლიოს ქვეყნებთან შედარებით და მისი რეაბილიტაციის აქტი ყველაზე მეტად ერგება საწარმოს საჭიროებებს. ამასთანავე, იაპონიის გადახდისუნარობის სამართალი გაკოტრებასა და რეაბილიტაციის პროცესს დამოუკიდებელი აქტებით არეგულირებს. სტატიაში

¹ ქ. მესხიშვილი, „რეაბილიტაციის ხარვეზები „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის კანონის 204 შესაბამისად“, „გადახდისუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, © GIZ, 2021 გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: lawlibrary.info/ge, გვ. 112.

განხილული „სამოქალაქო რეაბილიტაციის აქტი“ კი ნათლად გადმოსცემს რეაბილიტაციის ეფექტურ მექანიზმს.

სტატია იხილავს ასევე რეაბილიტაციის დაწყების საკანონმდებლო საფუძვლების ბუნდოვანებას და პრობლემური საკითხების გადაჭრის მექანიზმებს სთავაზობს კანონმდებელს. არის თუარა საკმარისი ინტერვენცია რეაბილიტაციის პროცესის დასაწყებად და რა ხდება თუ არ დამტკიცდა რეაბილიტაციის გეგმა?! ამ და სხვა საკითხების განხილვა ვფიქრობ, საშუალებას მისცემს პრაქტიკოს იურისტებს, მოსამართლეებს, კომპანიებსა და უშუალოდ რეაბილიტაციის მმართველს შედარებით-სამართლებრივ ჭრილში დაინახონ რეაბილიტაციის პროცესის გახსნის პრობლემატიკა, შემოთავაზებული სამართლებრივი ნოვაცია და მათი შესაბამისობა აღიარებულ სტანდარტებთან.

1. გადახდისუუნარობის სამართლის მოდელი იაპონიაში

სასამართლო პროცედურები იაპონიაში ფინანსური სირთულეების მქონე კომპანიებისთვის იყოფა შემდეგნაირად: 1. რეაბილიტაციის პროცესი, რომელიც თავის მხრივ შედგება ა) სამოქალაქო რეაბილიტაციის საქმის წარმოებისა და ბ) კორპორატიული რეორგანიზაციის საქმისწარმოებისგან; 2. ლიკვიდაციის პროცესი, რომელიც შედგება ა) გაკოტრების საქმის წარმოებისგან და ბ) სპეციალური ლიკვიდაციის საქმის წარმოებისგან.

კომპანიის გადარჩენის ორ ალტერნატიულ საშუალებას სთავაზობს სამოქალაქო რეაბილიტაციის აქტი საზოგადოებას, პირველი გახლავთ ყველასთვის ნაცნობი სქემა, სამოქალაქო რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ე.წ. „Civil RP“), რაც წარმოადგენს დებიტორის საკუთრებაში არსებულ პროცედურებს, კრედიტორთა კრების მიერ დამტკიცებული სარეაბილიტაციო გეგმის საშუალებით განხორციელდეს მოვალეების დაკმაყოფილება და საწარმოს ფინანსური წინსვლა. მეორე მნიშვნელოვანი სიახლე გახლავთ კორპორატიული რეორგანიზაციის პროცედურა, რომელიც განსხვავდება სტანდარტული რეორგანიზაციისგან (შემდგომში „RP“). მოცემული სარეაბილიტაციო პროცედურებით სარგებლობს მხოლოდ საფონდო/სავალუტო კომპანიები, რომელთა მთავარი მიზანიც კომპანიის სტრუქტურებისგან გამოთავისუფლებაა, რომელსაც მხოლოდ ზარალი მოაქვს, რეალურად აქტივების გადატანით იქმნება ახალი სტრუქტურა, სუფთა წარსულითა და ფინანსური პერსპექტივებით. RL ასევე უზრუნველყოფს კრედიტორის გარკვეული უფლებების დაცვას. ერთ-ერთი ასეთ დაცვა არის ადმინისტრაციული სარჩელები, რომლითაც მოთხოვნილია მოვალის თანამშრომლების ხელფასები, გადასახადები რეორგანიზაციის რწმუნებულისთვის და რეორგანიზაციის გეგმის დამტკიცების შემდგომ წარმოშობილი ხარჯები. ამ მოთხოვნების გადახდა შესაძლებელია ნებისმიერ დროს რეორგანიზაციის გეგმის გარეშე და სრულიად განსხვავდება რეორგანიზაციის სარჩელებისგან, რომელიც აძლევს საშუალებას უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს მხოლოდ RL გეგმის თანახმად აწარმოონ ადმინისტრაციული საქმე.²

იაპონიის სამართალი ცალკე აქტად არეგულირებს გაკოტრების საქმის წარმოებას (ე.წ. „BP“): სალიკვიდაციო პროცედურები სასამართლოს მიერ დანიშნული გაკოტრების რწმუნებულის მიერ ძირითადად ატარებს ფორმალურ ხასიათს სამართლიანად განხორციელდეს

² Global Restructuring & Insolvency Guide, Baker McKenzie, <http://restructuring.bakermckenzie.com/wp-content/uploads/sites/23/2017/01/Global-Restructuring-Insolvency-Guide-New-Logo-Japan.pdf> pg. 3 [უ.გ 31.05.2021].

კრედიტორთა მოთხოვნები და კეთილსინდისიერად გაიყიდოს ყველა აქტივი, რომელსაც ფლობს კომპანია. გაკოტრების აქტით დარეგულირებულია ლიკვიდაციის სპეციალური პროცედურები (“SLP”), რომელიც ეხება საფონდო კომპანიის ლიკვიდაციას უშუალოდ დირექტორების მიერ. კომპანიის დირექტორები არიან მისი ლიკვიდატორები და ახორციელებენ აქტივების განაწილებას შეთანხმების თანახმად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი წესდების ან აქციონერთა კრების მიერ.³

რეაბილიტაციის მმართველი უშუალოდ რეაბილიტაციის პროცესის განმავლობაში ვლინდება, მისი ფუნქციებიც სწორედ „სამოქალაქო რეაბილიტაციის აქტში“ არის გაწერილი, შესაბამისად ქვემოთ მოცემული თავები მხოლოდ მის შესწავლას დაეთმობა. მმართველის საქმიანობის თვალსაჩინოებისთვის, საინტერესოა განვიხილოთ, თუ რა პროცესში ერთვება ის და რა კრიტერიუმებს სთავაზობს კანონმდებელი საწარმო სუბიექტებს.

2. რეაბილიტაციის პროცესის გახსნა (იაპონური მოდელი)

2.1. პეტიციის (შუამდგომლობის) წარდგენა

იაპონიის კანონის „სამოქალაქო რეაბილიტაციის აქტის“ 21-ე მუხლი აწესრიგებს რეაბილიტაციის პროცესის დაწყების საფუძველს. 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, როდესაც არსებობს უტყუარი ფაქტობრივი გარემოება, რომ შესაძლებელია დაიწყოს მოვალის გაკოტრების საქმის წარმოება, მოვალეს შეუძლია შეიტანოს შუამდგომლობა სასამართლოში სარეაბილიტაციო საქმის აღძვრის შესახებ. ეს არის შემთხვევა, როდესაც მოვალეს არ შეუძლია გადაიხადოს ვალეები, ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი ხელშემშლის გარეშე.⁴ წინამდებარე საფუძველით სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვა შეუძლია თავად კრედიტორებსაც.

კანონმდებლობით არ არის შეზღუდული კრედიტორებთა სახეები, მათ შორის არაუზრუნველყოფილ კრედიტორსაც შეუძლია რეაბილიტაციის საქმისწამოების გახსნის მოთხოვნა. წინამდებარე საკითხი ხაზს უსვამს რეაბილიტაციის პროცედურის დაწყების სიმარტივესა და მოქნილ კანონმდებლობას.

რეაბილიტაციის საქმის წარმოების გახსნის შუამდგომლობის შეტანისას, სასამართლო ჩვეულებრივ გასცემს დროებით უზრუნველყოფის ღონისძიებას მოვალის მიერ გადახდების აკრძალვის შესახებ⁵ დამატებითი საჭიროების არსებობის შემთხვევაში, სასამართლო გასცემს ინდივიდუალურ აღსრულების ფურცელს, რომელიც მოიცავს გასხვისების აკრძალვას, ყადაღის დადებას მოვალის ქონებაზე, აღსრულების შეჩერებას და ა.შ. სარეაბილიტაციო სარჩელის წინააღმდეგ, და თუ არსებობს სპეციალური გარემოებები, იგი გამოსცემს სრულ აკრძალვას, რომელიც შეაჩერებს სარჩელებსა და აღსრულებას ყველა სარეაბილიტაციო კრედიტორის წინააღმდეგ.⁶

³ Published and reproduced with kind permission by Global Legal Group Ltd, London, ICLG TO: CORPORATE RECOVERY & INSOLVENCY 2017, pg.126 https://www.nishimura.com/sites/default/files/tractate_pdf/en/47077.pdf [უ.გ. 5.31.2021].

⁴ Article 21, Japan Civil Rehabilitation Act, Act No. 225 of December 22, 1999.

⁵ Japan Civil Rehabilitation Act, Act No. 225 of December 22, 1999. Article 30.

⁶ A. Lizuka “RESTRUCTURING SYSTEMS AND PROCEDURES IN JAPAN” International Insolvency Institute, TMI Associates Tokyo, 2016, p.5.

როგორც მაღლა აღინიშნა, სასამართლო დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, თუ (1) არსებობს საშიშროება, რომ მოვალე ვერ შეძლებს გადაიხადოს თავისი დავალიანება, მოვალის ვალდებულებები აღემატება მის აქტივებს, ან (2) მოვალეს არ შეუძლია გადაიხადოს უკვე ვადამოსული ვალები ისე, რომ მნიშვნელოვანი საფრთხე არ შეექმნას ბიზნეს-საქმიანობის გაგრძელებას. ამასთან, შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდება თუ სასამართლო დაადგენს, რომ მოვალე სავარაუდოდ არ მოამზადებს სარეაბილიტაციო გეგმას, ხსენებული გეგმა კრედიტორების მიერ დამტკიცებული არ არის, ან აღნიშნულ გეგმას სავარაუდოდ, სასამართლო არ დაადასტურებს. რეაბილიტაციის გახსნის ბრძანება ჩვეულებრივ გაიცემა შეტანიდან ერთი კვირის განმავლობაში. გარდა ამისა, ბრძანების გამოცემამდე, მოვალე ჩვეულებრივ ატარებს ახსნა-განმარტებით შეხვედრას კრედიტორებისთვის, რომ აუხსნას როგორ და რატომ შეიტანეს სასამართლოში შუამდგომლობა და სამოქალაქო სარეაბილიტაციო პროცედურების შინაარსი.⁷

2.2. რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება

სამოქალაქო რეაბილიტაციის აქტის 165-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, რეაბილიტაციის მოვალემ, სასამართლოში მტკიცებულებების შემოწმების შემდეგ, ვალდებულია მოამზადოს შემოთავაზებული სარეაბილიტაციო გეგმა და წარუდგინოს იგი სასამართლოს.⁸

მოვალე ამზადებს სამოქალაქო რეაბილიტაციის გეგმას, რომელიც ითვალისწინებს არაუზრუნველყოფილი კრედიტორის უფლებების დაცვას, გადახდის ოდენობას, გადახდის პერიოდსა და ა.შ., ხოლო არაუზრუნველყოფილი კრედიტორები განსაზღვრავენ, დაამტკიცებენ თუ არა შემოთავაზებულ გეგმას კრედიტორთა კრებაზე. სარეაბილიტაციო გეგმა დამტკიცდება, თუ იგი მიიღებს (1) თანხმობას ხმის უფლების მქონე კრედიტორების უმრავლესობისგან, რომლებიც ესწრებიან კრედიტორთა კრებას (მათ შორის, კრედიტორებმა, რომლებმაც წინასწარ მისცეს ხმა საჭირო ფორმის შევსებით) და (2) კრედიტორების თანხმობას, რომლებსაც აქვთ ხმის მიცემის უფლებები, რაც შეადგენს ხმის მიცემის უფლების მთლიანი ოდენობის არანაკლებ ნახევარს და ძალაში შევა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადასტურებს გეგმას. ამის შემდეგ, მოვალე ანაზღაურებს დავალიანებას გეგმის შესაბამისად და განთავისუფლდება დანარჩენი ვალებისგან.⁹

სასამართლო პროცედურები ცხადყოფს, რომ მოვალეს სასამართლოზე რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებამდე, უნდა ჰქონდეს მოპოვებული ხმის მიმცემი კრედიტორების თანხმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს გააჩნია ბერკეტი, არ დაამტკიცოს რეაბილიტაციის გეგმა და მთელი რიგი ხარჯები, რომელიც წარმოიშვა გახსნის ღონისძიებასთან დაკავშირებით კვლავ დაეკისროს მოვალეს.

საინტერესოა, რა ხდება მაშინ თუ კრედიტორების მიერ არ იქნება მოწონებული რეაბილიტაციის გეგმა?

⁷ SH. Miyazaki, SH. Fukuoka, Y. Yukawa, "An introduction to court procedures for insolvency in Japan", Nishimura & Asahi, 4/8/2011. P.4.

⁸ Japan Civil Rehabilitation Act, Act No. 225 of December 22, 1999. Article 165.

⁹ An Introduction to Court Procedures for Insolvency in Japan https://www.nishimura.com/en/articles/article_10073.html#16 [უ.გ. 6.04.2021].

ამ შემთხვევაში, გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება კვლავ მოიწვიოს კრედიტორთა კრება და მისცეს მოვალეს / რწმუნებულს კრედიტორებისგან კვლავ თანხმობის მიღება. ამასთან, როდესაც კრედიტორებმა საბოლოოდ უარყვეს სარეაბილიტაციო გეგმა, სასამართლო მიიღებს ბრძანებას სამოქალაქო სარეაბილიტაციო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და ეს რესტრუქტურისაციის პროცედურები გადაეცემა გაკოტრების საქმის წარმოებას. სამოქალაქო რეაბილიტაციის ან კორპორაციული რეორგანიზაციის საქმის სასამართლოს განჩინებით გაკოტრების საქმის გადაცემის შემდეგაც კი, ადმინისტრაციული ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა ზემოაღნიშნული სამართალწარმოების საფუძველზე, გადაიხდება გაკოტრების საქმის სხვა მოთხოვნების უპირატესობით.¹⁰

2.3. სასამართლოს ბრძანება რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის თაობაზე

სამოქალაქო რეაბილიტაციის საქმის აღძვრის შესახებ შუამდგომლობის შეტანის დღიდან ერთ კვირაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის პროცესის გახსნის ან შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.

ამასთან, სამოქალაქო რეაბილიტაციის საქმის აღძვრის შესახებ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ (მუხლი 25, სამოქალაქო რეაბილიტაციის აქტი): ა) სამოქალაქო რეაბილიტაციის პროცედურების ხარჯები წინასწარ გადახდილი არ არის. ბ) გაკოტრების საქმის წარმოება ან სპეციალური სალიკვიდაციო საქმეები მიმდინარეობს სასამართლოს წინაშე და ნებისმიერი საქმის აღსრულება შეესაბამება კრედიტორების საერთო ინტერესებს. გ) აშკარაა, რომ შემოთავაზებული სარეაბილიტაციო გეგმის მომზადება ან დამტკიცება, ან სარეაბილიტაციო გეგმის დადასტურება სავარაუდოდ არ არის შესაძლებელი. დ) შუამდგომლობა სამოქალაქო სარეაბილიტაციო საქმის წარმოების შესახებ შეტანილ იქნა გაუმართლებელი მიზნით ან არ არის შედგენილი კეთილსინდისიერად.¹¹

სარეაბილიტაციო შემოთავაზებული გეგმა ძალაში შევა მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს საბოლოო ბრძანებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ (სამოქალაქო რეაბილიტაციის აქტი, მუხლი 176).¹² მოვალის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული სარეაბილიტაციო გეგმით, სარჩელების მოქმედება ჩერდება.

სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან მაქსიმუმ 3 წელიწადი აქვს მოვალეს, რათა შეასრულოს რეაბილიტაციის გეგმით გათალისწინებული ვალდებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მისი გაკოტრების პროცედურების დაწყება.

შუალედური დასკვნით, იაპონიის მოდელით ცხადი გახდა შემდეგი გარემოება, ქვეყნის პრიორიტეტია რეაბილიტაციის პროცესი. მოვალემ ყველა სამართლებრივი საშუალება უნდა ამოწუროს რეაბილიტაციის დასაწყებად და მხოლოდ ამის შემდეგ არის უფლებამოსილი გადავიდეს გაკოტრების რეჟიმზე. სამოქალაქო რეაბილიტაციის აქტით ნათლად ჩანს, რომ თუ

¹⁰ SH. Miyazaki, SH. Fukuoka, Y. Yukawa, “An introduction to court procedures for insolvency in Japan”, Nishimura & Asahi, 4/8/2011. P.16.

¹¹ ReutersT.UKPracticlax. [https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/6-6078886?_lrTS=20210212114558179&transitionType=Default&contextData=\(sc.Default\)&firstPage=true#co_anchor_a501485](https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/6-6078886?_lrTS=20210212114558179&transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true#co_anchor_a501485) [უ.გ 16.06.2021].

¹² A. Lizuka “RESTRUCTURING SYSTEMS AND PROCEDURES IN JAPAN” International Insolvency Institute, TMI Associates Tokyo, 2016, p.11.

არსებობს საშიშროება, რომ მოვალე ვერ შეასრულებს ვადამოსულ ვალდებულებებს, ან მის შესრულებას მოყვება საწარმოსთვის დიდი ფინანსური ზიანი, მოვალე ვალდებულია დაიწყოს რეაბილიტაციის პროცესი. რეაბილიტაციის პროცესის დაწყება დიდწილად დაკავშირებულია რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებასთან. იაპონური მოდელით, მოვალე სასამართლო პროცესის დაწყებამდე კრედიტორებთან იწყებს მოლაპარაკებას და მათი თანხმობის საფუძველზე სასამართლოს წარუდგენს გეგმას დასამტკიცებლად. მაგრამ, რა ხდება თუ მოვალე ვერ მოიპოვებს კრედიტორების თანხმობას, საბოლოო ჯამში ეს საფუძველია მოვალის გაკოტრების რეჟიმის დაწყების. მოდით ვნახოთ საქართველოს მაგალითზე დაყრდნობით რა პროცედურების გავლა იქნება საჭიროს რეაბილიტაციის დასაწყებად.

3. რეაბილიტაციის პროცესი - საქართველოს საკანონმდებლო სიახლე

3.1. ზოგადი მიმოხილვა

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონმა მოახდინა გადახდისუუნარობის სამართლის გარდატეხა, სრული რეფორმა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში შეცვლის ქვეყნის ეკონომიკურ სურათს. ეს ყველაფერი სათავეს იღებს კანონის მიზნიდან, რომელიც ამბობს, რომ „ამ კანონის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევით, ხოლო რეაბილიტაციის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში – გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით“.¹³ მოცემული დანაწესი ცხადყოფს, რომ ქვეყნის პრიორიტეტი გახდა საწარმოს რეაბილიტაცია და ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა. თუმცა აქვე უნდა განიმარტოს რომ უდიდესი ყურადღება ექცევა კრედიტორების ინტერესებსაც, რომელთა დაკმაყოფილებაც უზრუნველყოფილია რეაბილიტაციის პროცესში.

სახელმწიფოს როლი გვევლინება ისეთი საკანონმდებლო მექანიზმების შექმნაში, სადაც ბალანსს დავინახავთ საწარმოს ინტერესსა და კრედიტორთა უფლებებს შორის. ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია, ახალი ნორმატიული აქტის სწორი ინტერპრეტაცია.

წინამდებარე კანონმა გაამარტივა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება, ბაჟისა და კრედიტორთა მოთხოვნების ოდენობის გაუქმებით. კერძოდ, თუ ადრინდელ კანონმდებლობაში ლიმიტირებული იყო მოთხოვნის ოდენობა მაგ. 50 000 ლარით, 2 კრედიტორის შემთხვევაში 150 000 ლარით და საწარმოს მხოლოდ გაკოტრების ფუნქციას უტოვებდა, დღევანდელი მდგომარეობით, არ არსებობს მსგავსი კრიტერიუმი.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის უფლება აქვს: ა) მოვალეს – საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით; ბ) კრედიტორს; გ) რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველს; დ) რეაბილიტაციის მმართველს – კონვერსიის მოთხოვნით, როდესაც მოვალის მიმართ გახსნილია რეაბილიტაციის რეჟიმი; ე) გაკოტრების მმართველს – კონვერსიის მოთხოვნით, როდესაც მოვალის მიმართ გახსნილია გაკოტრების რეჟიმი.¹⁴

¹³ საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მიღების თარიღი: 18.09.2020, მ. 1.

¹⁴ იქვე მ. 43.

ეფექტიანი რეაბილიტაციის ერთ-ერთი კარგად აპრობირებული გზაა – მოვალე მართვაში – რა დროსაც არსებული მენეჯმენტი, რომელიც კეთილსინდისიერად ახორციელებდა საქმიანობას, აგრძელებს მართვას და ზედამხედველთან ერთად მონაწილეობს კრედიტორებთან მოლაპარაკებაში რეაბილიტაციის რეჟიმის წარმატებით დასრულების მიზნით.¹⁵

რაც ყველაზე მთავარია, განისაზღვრა რეაბილიტაციისა და გაკოტრების განსხვავებული საქმისწარმოება. კერძოდ, გადახდისუუნარობის საქმის წარმოება შეიძლება განხორციელდეს: ა) რეაბილიტაციის რეჟიმით; ბ) გაკოტრების რეჟიმით.¹⁶ უფლებამოსილი სუბიექტი თავად გადაწყვეტს თუ რომელი პროცესის გახსნა მოითხოვოს.

დღევანდელი კანონმდებლობით სახელმწიფოს პრიორიტეტს- რეაბილიტაციის პროცესს ექნება მნიშვნელოვანი ადგილი საწარმოს საქმიანობაში, ვინაიდან ხელმძღვანელის ფიდეიკუთური ვალდებულება სწორედ საწარმოს მოგებაუნარიან სუბიექტად გადაქცევაშია.

3.2. რეაბილიტაციის პროცესის გახსნის შუამდგომლობა და უფლებამოსილი სუბიექტები (საქართველოს მოდელი)

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი აწესებს ფორმალურ და მატერიალურ დასაშვებობის პირობებს რეაბილიტაციის პროცესის გახსნისთვის. ფორმალური წინაპირობები გაწერილია 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა-ვ ქვეპუნქტებით, რაც შეეხება მატერიალურ ანუ შინაარსობრივ დასაშვებობას, მოვალეს უწევს მტკიცება, რომ წარმოადგენს გადახდისუუნარო ან მოსალოდნელ გადახდისუუნარო სუბიექტს და, რომ რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნით არსებობს რეაბილიტაციის მიზნის მიღწევის გონივრული ალბათობა¹⁷. აღნიშნული საკითხის მტკიცების ტვირთი მოვალეზე გადის.

კანონი რეაბილიტაციის პროცესის გახსნის შესაძლებლობას ანიჭებს, როგორც მოვალეს ისე კრედიტორებს, თუმცა პროცესის გახსნის მიზნისთვის მათ სხვა ვალდებულებებს უწესებს. მაგ. თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება სასამართლოში მოვალეს შეაქვს, უნდა წარადგინოს რეაბილიტაციის გეგმა, რომელიც ერთ შემთხვევაში კრედიტორების მოწონებული და ხელმოწერილი, ხოლო მეორე შემთხვევაში სრულად დასრულებულ სახეს უნდა მოიცავდეს. რეაბილიტაციის გეგმას ზედამხედველთან ერთად მართვაში მყოფი მოვალე ადგენს, თუმცა, რეაბილიტაციის გეგმა კრედიტორთა მხრიდან მოწონებას საჭიროებს. რეაბილიტაციის გეგმა კრედიტორებმა რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების თაობაზე განჩინების გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში უნდა მოიწონონ. აღნიშნული ვადა, კრედიტორთა კრების გადაწყვეტილებით, არაუმეტეს 3 თვით შეიძლება გაგრძელდეს. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ სასამართლო მიიღებს განჩინებას მოვალის გაკოტრების თაობაზე.¹⁸

¹⁵ ქ. მესხიშვილი „რეაბილიტაციის ხარვეზები „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის კანონის 204 შესაბამისად“, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, © GIZ, 2021 გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: lawlibrary.info/ge, გვ. 118.

¹⁶ იხ. სქოლიო 13 მ. 6.

¹⁷ იქვე, მ.44 1-ლი მუხლის თ- ქვეპუნქტი.

¹⁸ იხ. სქოლიო 15 გვ. 120.

კრედიტორის მიერ რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის მოთხოვნა უნდა იქნეს დასაბუთებული სამართლებრივი ინტერესით, თუ რატომ სურს რეაბილიტაციის გახსნა.¹⁹ აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერით ნათელი ხდება, რომ კრედიტორთა მიმართვიანობა სასამართლოსადმი რეაბილიტაციის პროცესის გახსნის მოთხოვნით არ იქნება მაშსტაბური. კრედიტორებისთვის, რათქმაუნდა, მოთხოვნის დაკმაყოფილება მოკლე დროში უფრო სარგებლიანია ვიდრე დროში გაწეილი პროცესი. შესაბამისად, კრედიტორების ინტერესი უნდა იყოს რეაბილიტაციის გეგმაში ასახული.

კანონი უშვებს რეაბილიტაციის რეჟიმის გაკოტრების რეჟიმში გადასვლის (კონვერსია) შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ რეაბილიტაციის გეგმა არ დამტკიცდა, ან თუ რეაბილიტაციის მმართველი მიიჩნევს, რომ რეაბილიტაციის მიზნის მიღწევის გონივრული ალბათობა არ არსებობს.²⁰ გაკოტრების რეჟიმიდან შესაძლებელია რეაბილიტაციის რეჟიმში გადასვლის მოთხოვნა, ამ შემთხვევაში გაკოტრების მმართველი დამატებით წარუდგენს სასამართლოს ინფორმაციას: ა) მიმდინარე გაკოტრების რეჟიმის შესახებ დეტალური ინფორმაცია; ბ) გაკოტრების მმართველის საიდენტიფიკაციო მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია; გ) გაკოტრების მმართველის დანიშვნის შესახებ სასამართლოს განჩინების ასლი.

საკანონმდებლო სიახლე გვაქვს სახეზე, კერძოდ რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველსაც აქვს საშუალება განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნა. კანონმდებლობით მას რეგულირებული შეთანხმების წარდგენა ევალება სასამართლოსთვის. აღნიშნული დანაწესი წარმოადგენს წარუმატებელი შეთანხმების შემთხვევას, კერძოდ თუ მხარეები მოვალე და კრედიტორები საკუთარი რესურსით ვერ შეძლებენ შეთანხმების მიღწევას, რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს. რეგულირებული შეთანხმების მიუღწევლობის ან წარმატებით შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაუშვებელია შემდგომში რეაბილიტაციის დაწყებისას მოვალის მართვაში დატოვება.²¹

3.3. სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი

სასამართლო ამოწმებს განცხადების ფორმალურ დასაშვებობას და ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის თაობაზე. თუ მიღებული განცხადება ხარვეზს მოიცავს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება და 5 დღიან გამოსასწორებელ ვადას აძლევს განმცხადებელს.

საინტერესოა რა შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს უარი თქვას რეაბილიტაციის პროცესის გახსნაზე?

აღნიშნულ საკითხს კანონის 48-ე მუხლი მოიცავს, კერძოდ „ თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მოვალე არ არის გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი პირი, იგი გამოიტანს განჩინებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად

¹⁹ იხ. სქოლიო 13, მ.44-ე მუხლის მე-4 პუნქტის ა- ქვეპუნქტი.

²⁰ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 14-15.

²¹ ნ. ამისულაშვილი „რეგულირებული შეთანხმება“ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, © GIZ, 2021 გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: lawlibrary.info/ge, გვ. 176.

ცნობაზე უარის თქმის თაობაზე.²² მოცემული დანაწესის თანახმად, უნდა დავინახოთ კვალიფიკაციის კრიტერიუმები. მოიცავს თუარა კანონი მოსალოდნელი გადახდისუუნარობის დეფინიციას?

კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი არეგულირებს მოვალის გადახდისუუნარობის კრიტერიუმს, კერძოდ თუ მოვალემ შეაჩერა საქმიანობა, ან შეყვანილია მოვალეთა რეესტრში განცხადების შეტანამდე 12 თვის განმავლობაში, ან მოვალის მიმართ განცხადების შეტანამდე არანაკლებ 30 დღის განმავლობაში მოქმედებს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიება და სხვა გარემოება, მოვალე ითვლება გადახდისუუნაროდ. თუმცა, რაც შეეხება მოსალოდნელი გადახდისუუნარობის ცნებას, „მოსალოდნელი გადახდისუუნარობა არსებობს, თუ არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოვალე გადახდისუუნარო გახდება“.²³ მოცემული დანაწესი არის ზოგადი და სასამართლოს ფართო დისკრეციას ანიჭებს ინდივიდუალურ შემთხვევებში დააკვალიფიციროს მოვალე მოსალოდნელ გადახდისუუნაროდ.

დასკვნა

ნაშრომმა განიხილა რეაბილიტაციის პროცესის გახსნის თავისებურებები იაპონიისა და საქართველოს საკანონმდებლო აქტებში. თვალსაჩინოა, რომ იაპონიაში ცალკე მოქმედებს კანონი „სამოქალაქო რეაბილიტაციის აქტი“, რომელიც დეტალურად განიხილავს პროცესის გახსნის ან მასზე უარის თქმის საფუძველებს. აღსანიშნავია, რომ იაპონიის მოდელის თანახმად, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება საფუძველია რეაბილიტაციის პროცესის გახსნისთვის. თუ კრედიტორების მიერ არ განხორციელდება გეგმის დამტკიცება, ეს გამოიწვევს გაკოტრების რეჟიმის დაწყებას. კრედიტორთა ინტერესის გათვალისწინებით, სასამართლო პროცესამდე მოლაპარაკებით მოვალე შეძლებს რეაბილიტაციის პროცესის დაწყებას უპრობლემოდ.

რაც შეეხება ჩვენს საკანონმდებლო სიახლეს, რეაბილიტაციის პროცესის გახსნის დამოუკიდებელი სამართალწარმოება, უფლებამოსილ სუბიექტთა წრის გამარტივება, კონვერსიის შესაძლებლობა და სხვა მრავალი საკითხი ხაზს უსვამს რეაბილიტაციის რეჟიმის პრიორიტეტულობას. ნაშრომმა დაგვანახა, რომ უარის თქმის საფუძველში სასამართლოს მოუწევს მეტი დასაბუთება და მათი როლი კვლავ აქტუალური იქნება. უარის თქმის ნაწილში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საერთაშორისო სტანდარტებით და მისი გადაწყვეტილებები შეუსაბამოს აღიარებულ პრინციპებს.

იაპონიისა და საქართველოს სამართლის სისტემის შედარებამ ცხადყო მათი მსგავსება გარკვეულ ასპექტებში, კერძოდ რეაბილიტაციის გეგმის გაცნობა კრედიტორებისთვის ორივე შემთხვევაში სავალდებულო ხასიათს ატარებს. პროცესის გახსნის სიმარტივე და მოვალის მართვაში დატოვების შესაძლებლობა კი გადახდისუუნარობის დარგის აქტუალურობას გამოიწვევს.

სტატიაში განხილული საკითხი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დახვეწასა და დარგის განვითარებას შეუწყობს ხელს.

²²იხ. სქოლიო 13, მ.48-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

²³იხ. სქოლიო 13, მ. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

ბიბლიოგრაფია:

1. Global Restructuring & Insolvency Guide, Baker Mckenzie, <http://restructuring.bakermckenzie.com/wp-content/uploads/sites/23/2017/01/Global-Restructuring-Insolvency-Guide-New-Logo-Japan.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 31.05.2021];
2. Published and reproduced with kind permission by Global Legal Group Ltd, London, ICLG TO: CORPORATE RECOVERY & INSOLVENCY 2017, https://www.nishimura.com/sites/default/files/tractate_pdf/en/47077.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 31.05.2021];
3. Ataru Lizuka“ RESTRUCTURING SYSTEMS AND PROCEDURES IN JAPAN” International Insolvency Institute, TMI Associates Tokyo, 2016;
4. Shintaro MiyazakiShinnosuke FukuokaYusuke Yukawa “An introduction to court procedures for insolvency in Japan”, Nishimura & Asahi, 4.8.2011;
5. Japan Civil Rehabilitation Act, Act No. 225 of December 22, 1999 << https://www.nishimura.com/en/articles/article_10073.html#16 [უკანასკნელად გადამოწმდა 6.04.2021];
6. <[https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/6-6078886?__lrTS=20210212114558179&transitionType=Default&contextData=\(sc.Default\)&firstPage=true#co_anchor_a501485](https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/6-6078886?__lrTS=20210212114558179&transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true#co_anchor_a501485)> [უკანასკნელად გადამოწმდა 16.06.2021];
7. ქეთევან მესხიშვილი „რეაბილიტაციის ხარვეზები „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის კანონის204 შესაბამისად“, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, © GIZ, 2021 გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: lawlibrary.info/ge;
8. საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მიღების თარიღი: 18.09.2020;
9. განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე;
10. ნანა ამისულაშვილი. „რეგულირებული შეთანხმება“ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, © GIZ, 2021 გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: lawlibrary.info/ge.

ეკონომიკა



საქართველოში სოციალური ტურიზმის განვითარების მნიშვნელობა

ლარისა დოლიკაშვილი

ავილირებული პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ტურიზმი არის თანამედროვე მსოფლიოს გლობალური ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ფენომენი. ტურიზმი აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებებს კულტურული, ფიზიკური, შემეცნებითი და სულიერი განვითარებისათვის. მისი ძირითადი ამოცანები განპირობებულია კონკრეტული სოციალური და კულტურული ფუნქციებით. დაფინანსების წყაროების მიხედვით ტურიზმი ორ სახედ იყოფა:

- კომერციული (საკუთარი ან დამსაქმებლის ფინანსების საფუძველზე);
- სოციალური (სახელმწიფოს ან ქველმოქმედების საფუძველზე).

კომერციული ტურიზმი ორიენტირებულია ტურისტული კომპანიების მიერ მოგების მიღებაზე, რაზეც არის დაფუძნებული შემდგომში მათი გაფართოება და განვითარება. მოგების მაქსიმიზირების პროცესში კომპანიები ცდილობენ მონახონ ოპტიმალური თანაფარდობა ხარჯებსა და ტურისტული პროდუქტის ფასებს შორის. მათ მიერ შეთავაზებული ტურისტული სერვისები ძირითადად ორიენტირებულია მაღალი და საშუალო შემოსავლების მქონე ადამიანებზე, რომლებსაც შეუძლიათ სრულად დაფარონ თავიანთი სამოგზაურო ხარჯები.

სოციალური ტურიზმის სუბსიდირება ხდება იმ შესაძლებლობებიდან, რომლებიც გამოყოფილია იმ სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც საჭიროა მოსწავლეების, ახალგაზრდების, პენსიონერებისა და ვეტერანებისათვის მოგზაურობის შესაძლებლობების შესაქმნელად. ადამიანების აღნიშნულ კატეგორიას, როგორც მოსახლეობის ყველაზე ნაკლები შემდეგის მქონე ნაწილს, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები, საქველმოქმედო ფონდები უქმნიან შესაბამის შესაძლებლობებს. აღნიშნული პოზიცია გამაგრებულია მანილის დეკლარაციით მსოფლიო ტურიზმის შესახებ, სადაც წერია, რომ „სოციალური ტურიზმი არის მიზანი, რომელიც საზოგადოებამ უნდა განახორციელოს იმ მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც არიან ყველაზე ნაკლებად პრივილეგირებული მათი დასვენების უფლების განხორციელებისას“.¹

სხვადასხვა ქვეყანაში სოციალური ტურიზმის კონცეფცია და ტიპები განსხვავებულია. ზოგიერთ ქვეყანაში საჯარო მოსამსახურეებს, სამხედროებს და სხვა კატეგორიებს აქვთ შესაძლებლობა იმოგზაურონ ბიუჯეტის ხარჯზე, ზოგან სუბსიდირებულია, მაგალითად, პროფესიული კავშირების ფონდებიდან. კომპანიები, რომლებიც აწყობენ ასეთ ტურებს, იღებენ სუბსიდიებს სახელმწიფოსგან, რაც მათ საშუალებას აძლევს არ გაზარდონ ფასები დასვენების დროს.

¹ World Tourism Organization (UNWTO) UNWTO Declarations | Manila Declaration on World Tourism. (UNWTO), Madrid, Spain. გვ.5 <https://www.univeur.org/cuebc/downloads/PDF%20carte/65.%20Manila.PDF> [უ.გ.30.09.2021].

ნაშრომში განხილულია განვითარებული ქვეყნების პოზიტიური გამოცდილება სოციალური ტურიზმის განვითარების პროგრამების განსახორციელებლად, სოციალური ტურიზმის მიზნობრივი მოსახლეობის ჯგუფების კლასიფიკაცია, ტურიზმის ამ სფეროს განვითარების პერსპექტივები და ხელშეწყობის ფაქტორები.

საკვანძო სიტყვები: სოციალური ტურიზმი, სუბსიდირება, სოციალური პოლიტიკა, საქველმოქმედო ფონდები, საკანონმდებლო რეგულირება.

შესავალი

სოციალური ტურიზმი განისაზღვრება, როგორც მოგზაურობა სუბსიდირებული, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრებით სოციალური საჭიროებისთვის, სახელმწიფო ტურისტების გარკვეულ კატეგორიებს სოციალური შეღავათებით უზრუნველყოფს. სოციალური ტურიზმის პრიორიტეტული სახეებია:

- ტურიზმი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის;
- სამოყვარულო (სპორტი და ჯანმრთელობა);
- ჯანმრთელობის და კეთილდღეობის;
- ეკოლოგიური, კულტურული და საგანმანათლებლო;
- ოჯახური მოგზაურობის;
- ტურიზმი ვეტერანებისთვის;
- ტურიზმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის;
- უცხოელი თანამემამულეების ტურისტული ვიზიტები, საერთაშორისო გაცვლა სოციალური ტურიზმის სფეროში.

კერძოდ, საზოგადოების ზოგიერთ კატეგორიას ეძლევა უფასო სანიტარულ-საკურორტო მკურნალობის უფლება. ტურისტული დასვენების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასათვის, მრავალშვილიანი ოჯახების, ახალგაზრდებისა და ასაკოვანი ადამიანების ჩათვლით, საჭიროებს რიგი კონკრეტული ღონისძიებების დამუშავებასა და განხორციელებას. უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს სოციალური ტურისტული პოლიტიკის განსაზღვრას, სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნას, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღებას, მოსახლეობის მცირემოსავლიანი ფენების დახმარების სისტემებისა და მექანიზმების უზრუნველყოფას, სოციალური ტურიზმის სისტემის მუშაკების მომზადებას.

სოციალური ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანია პირველ რიგში ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ტურიზმის ამ სფეროს წყალობით, არა მხოლოდ იზრდება მოსახლეობის ღირებულება ნაწილის ზოგადი კულტურული განვითარება, არამედ მისი ჯანმრთელობაც, მცირდება სოციალური დონის დამაბულობა საზოგადოებაში.

მოსახლეობის ამ სეგმენტისთვის მოგზაურობა მნიშვნელოვანი პრობლემაა. ის განკუთვნილია დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის, რომლებსაც აქვთ მოგზაურობის უფლება, მაგრამ მათ არ შეუძლიათ სრულად გამოიყენონ ეს უფლება.

სოციალურ ტურიზმს, რომელიც უფრო მეტად ფოკუსირებულია სოციალურ ასპექტებზე, ვიდრე ეკონომიკურ ფაქტორებზე, შეუძლია ხელი შეუწყოს ტურისტული მიმართულებების შექმნას ან განმეორებას, რომლებიც აკმაყოფილებენ ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს მდგრადობის კრიტერიუმებს.

საქართველოში სოციალური ტურიზმის განვითარების პრობლემები იწყება იმით, რომ ტურიზმის კანონმდებლობაში არ არსებობს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს რომელი ტურისტი, რომელი მოგზაურობისთვის, სად და როდის შეძლებს მიიღოს საბიუჯეტო სახსრები. უცხოური ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით სახელმწიფომ ამ მიმართულებით სოციალური ტურისტული პოლიტიკა უნდა განსაზღვროს, რაც გულისხმობს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღებას, სოციალური ინფოსტრუქტურის შექმნას, მოსახლეობის მცირემემოსავლიანი ფენების დახმარების სისტემებისა და მექანიზმების უზრუნველყოფას, სოციალური ტურიზმის სისტემის მუშაკების მომზადებას.

1. სოციალური ტურიზმის არსი, ფუნქციები და ამოცანები

ტურიზმს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობაზე და არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ეწინააღმდეგება ჰიპოკინეზიას, რაც დამანგრეველ გავლენას ახდენს ადამიანების ჯანმრთელობასა და ფსიქიკაზე. გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვები მნიშვნელოვნად ამცირებს სიცოცხლის შესაძლებლობებს, იწვევს დეპრესიას, სასოწარკვეთილებას, სტრესს და საკუთარი თავის რწმენის დაკარგვას. ტურიზმის, ფსიქოსომატური დაავადებების თერაპიისა და პროფილაქტიკის გზით ხორციელდება ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება. ტურიზმი ქმნის სრულფასოვანი კომუნიკაციის გარემოს, რომელშიც პრობლემების მქონე ადამიანი ურთიერთობს სხვადასხვა ადამიანთან, ამყარებს სოციალურ კონტაქტებს და აქვს შესაძლებლობა შეასრულოს სხვადასხვა სოციალური როლი. ტურიზმი აღმოფხვრის ღირსების დაკარგვის, არასრულფასოვნების განცდას და აერთიანებს სოციალურად დაუცველ ადამიანებს, მოხუცებსა და ინვალიდებს საზოგადოებაში.

სოციალურ ტურიზმს უწოდებენ ნებისმიერი სახის ტურიზმს, რომელიც გადაიხდება სოციალური საჭიროებისთვის გამოყოფილი სახსრებიდან. სოციალურ-ეკონომიკური ტურიზმი მიზნად ისახავს მოსახლეობის დაბალმემოსავლიანი ნაწილის (ახალგაზრდები, სკოლის მოსწავლეები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, პენსიონერები, მრავალშვილიანი ოჯახები, ობოლი ბავშვები, საბავშვო სახლების აღსაზრდელები, ინვალიდები) დასვენებისა და მოგზაურობისათვის შესაბამისი პირობების შექმნას. სუბსიდიები ამ ტიპის ტურიზმისათვის შეიძლება გამოყოფილი იყოს არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ, არამედ სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო, ასევე სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებისაგან.

სოციალური პოლიტიკის განმასხვავებელი თავისებურება არის ის, რომ იგი ორიენტირებულია ადამიანზე, მაშინ როდესაც ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია ეკონომიკურ ზრდასა და მატერიალური სიმდიდრის გადიდებაზე. სოციალური პოლიტიკა არსებით ზემოქმედებას ახდენს ტურიზმის განვითარებაზე. სოციალური ხასიათის ღონისძიებებს შეუძლიათ ტურისტულ მომსახურებაზე მოთხოვნის რეგულირება შემდეგი გზებით:

- დასვენებაზე უფლების საკანონმდებლო რეგულირებით-სახელმწიფო მომუშავეებს აძლევს სამუშაოსაგან დროებით რეგულარული განთავისუფლების

გარანტიას. ამასთან შვებულებისა და არდადეგების ვადების დადგენა სხვადასხვა დროს ხელს უწყობს მოთხოვნის თანაზომიერ განაწილებას ტურისტულ მომსახურებაზე;

- საზოგადოებაში შემოსავლის გადანაწილების წესით-თანამედროვე სოციალური სახელმწიფო მიისწრაფის კეთილდღეობის მაღალი დონის მიღწევისაკენ მოქალაქეთა შესაძლო დიდი რიცხვისათვის, რისთვისაც ახორციელებს შემოსავლების გადანაწილებას სხვადასხვა ბერკეტებისა და სტიმულების გამოყენებით;
- სოციალური ტურიზმის განვითარების სტიმულირებით.

ტურიზმის სოციალური ფუნქციები ხორციელდება რეკრეაციულ საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს ჯანმრთელობის შენარჩუნებას და გაძლიერებას, სიცოცხლისუნარიანობის აღდგენას, რაც ხელს უწყობს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას და მის შემოქმედებით თვითგამოხატვას. ინდივიდების ადაპტაცია და ინტეგრაცია საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში არის სოციალური ტურიზმის ძირითადი ფუნქცია.

სოციალური ტურიზმის კონცეფცია დაფუძნებულია სამ ფუძემდებლურ პრინციპზე:

- საზოგადოების ყოველი წევრის დასვენების უზრუნველყოფა ტურიზმის სფეროში დაბალშემოსავლიანი ადამიანების ჩართვით;
- მცირეშემოსავლიანთა ტურიზმის სუბსიდირება;
- ტურიზმის განვითარებაში სახელმწიფო, მუნიციპალური, საზოგადოებრივი და კომერციული სტრუქტურების აქტიური მონაწილეობა.

სოციალური ტურიზმის სფერო წარმოდგენილია უფასო და შეღავათიანი ვაუჩერებით სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, ტურისტულ ცენტრებში, უფასო და შეღავათიანი მოგზაურობით, სპეციალური სატრანსპორტო ტარიფებით, საგადასახადო და საბაჟო შეღავათებით. სოციალური ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობას სპეციალური საჭიროებების ტურისტებისათვის. შესაძლებელია გამოვიყოს სოციალური ტურიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანები:

- ხელმისაწვდომი შვებულების ორგანიზება ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის;
- შეზღუდული გადაადგილების მქონე ადამიანებისთვის ბარიერების გარეშე გარემოს შექმნა.

სოციალური ტურიზმის შესახებ დებულება დაფიქსირებულია 1981 წლის მანილას დეკლარაციაში ტურიზმის შესახებ. ეს აქტი ხაზს უსვამს ტურიზმის განუყოფელ კავშირს მოქალაქეთა დასვენების, შვებულებისა და თავისუფალი გადაადგილების უფლებებს შორის. დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალურ ტურიზმს, რომელიც განიხილება როგორც მიზანი, რომლისკენაც საზოგადოება უნდა ისწრაფოდეს ახალგაზრდული ტურიზმის, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ტურიზმის მხარდაჭერით.

სოციალური ტურიზმის ამოცანები შემდეგია:

- ხანდაზმული მოქალაქეებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საექსკურსიო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, როგორც სოციალური ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ეტაპი;
- ხანდაზმული მოქალაქეების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების დაკმაყოფილება აქტიურ დასვენებაში, ცხოვრებისადმი ინტერესის მხარდაჭერა, საკუთარი თავის და მთლიანად საზოგადოების პატივისცემის გრძნობა;
- რესურსის ფორმირება გარკვეული ტურისტული მიმართულებების პოპულარიზაციის უზრუნველსაყოფად;
- სოციალური იზოლაციის დაძლევა;
- მშობლიური მიწის ისტორიისადმი ინტერესის განვითარება, ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლების გაცნობა;
- კულტურული, გასართობი და საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება;
- აქტიური სიცოცხლის ხანგრძლივობის გახანგრძლივება.

სოციალური ტურიზმის განხორციელება შეუძლია ნებისმიერ ტურისტულ ორგანიზაციას, რომლის წესდებაში მოცემულია სოციალური ხასიათის ამოცანები და მიზანია არამარტო მოგების მიღება, არამედ მოგზაურობებისა და ტურიზმის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაც ადამიანთა მაქსიმალური რიცხვისათვის. ამ მიზნით წესდებაში უნდა იყოს გათალისწინებული:

- სოციალური, საგანმანათლებლო და კულტურული ამოცანების ერთიანად გადაწყვეტა;
- მიზნობრივი კლიენტურის განსაზღვრა რასობრივი, კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური ან სოციალური ნიშნების მიუხედავად;
- სოციალური ტურიზმის ჰარმონიული ინტეგრაციის უზრუნველყოფა ადგილობრივ გარემოსთან;
- ტურპროდუქტის ფასების შესაბამისობა გამოცხადებულ სოციალურ ფასებთან.

სოციალური ტურიზმის ამოცანების რეალიზაცია მოითხოვს:

- დაფინანსების წყაროების მოძიება, რამდენადაც სოციალური ტურიზმის ორგანიზაციების წინაშე მოგების მიღება როგორც მიზანი არ ისახება;
- სოციალური ტურიზმის ახალი მატერიალური ბაზის შექმნა ან არსებული ბაზის ადაპტაცია თანამედროვე მოთხოვნებთან;
- ჯეროვანი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის დამუშავება;
- სოციალური ტურიზმის მომსახურების შესაბამისობა მზარდ სტანდარტებთან;
- მატერიალური დახმარების აღმოჩენა სოციალური ტურიზმის კლიენტებისათვის;
- საფინანსო სახსრების კეთილსინდისიერი სისტემის შექმნა მცირემომოსავლიანი კატეგორიის პირებისათვის, რომლებსაც აქვთ შეღავათის გამოყენების უფლება.

მასასადამე, სოციალური ტურიზმი ტურისტული ბაზრის სექტორია, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდიების სახსრების მიმღები მომხმარებლებისათვის.

2. სოციალური ტურიზმის განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირება

სოციალური ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია გრძელვადიანი სოციალური პროგრამის დამუშავება ტურიზმის დარგში.

სოციალური ტურებისათვის თანხები ხშირად უშუალოდ ბენეფიციარებზეა გამოყოფილი. ბევრმა ქვეყანამ უკვე გადაჭრა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის მოგზაურობის ხელმისაწვდომობის პრობლემა. მაგალითად, ევროპის უმეტეს ქალაქებში ტრანსპორტი აღჭურვილია სპეციალური ლიფტებით, ხოლო ტურისტულ მარშრუტებზე შესაძლებელია ეტლით მგზავრობა.

მცირე ტურისტული სააგენტოები ვერ მოახერხებენ სოციალური საჭიროებებისათვის პანდუსების, სპეციალური ავტობუსების, შეძენას რომლებიც ჩვეულებრივზე ბევრად ძვირი ღირს, ამიტომ სუბსიდიები სპეციალური აღჭურვილობის შესაძენად - არ იქნებოდა ზედმეტი იმ ტურისტული საწარმოებისათვის ვინც სოციალურ ტურიზმს სთავაზობს მომხმარებლებს..

ამკარაა, რომ ბიზნესი დამოუკიდებლად ვერ გადაჭრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოგზაურობის ინფრასტრუქტურის პრობლემას - საჭიროა მნიშვნელოვანი ინვესტიციები. ქალაქებში ბარიერების გარეშე გარემოს შესაქმნელად, ბაზრის მონაწილეებმა უნდა განიხილონ მთავრობის სუბსიდირების შესაძლებლობა სასტუმროს ოთახების, კვების ობიექტების და ტუალეტების მოწყობა და სხვ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის.

როგორც უცხოური ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, სოციალური ტურიზმის სრულფასოვანი სექტორი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით საზოგადოების, ბიზნესისა და სამთავრობო უწყებების.

სოციალური ტურიზმის სისტემა წარმოადგენს სოციალურ-კულტურული ობიექტებისა და მონაწილეების ერთობლიობას, ასევე პრინციპებს, მიზნებს, საშუალებებს, მათ შორის სარგებელს, რაც მოსახლეობის დაბალშემოსავლიან სეგმენტებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ტურისტული დასვენების შესაძლებლობებით. ტურისტული დასვენების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია შემუშავდეს სახელმწიფო სოციალური ტურიზმის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს:

- სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას,
- რეგულაციების მიღებას,
- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას,
- კვალიფიციური პერსონალის მომზადებას საინფორმაციო სამუშაოების ორგანიზებისთვის და მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტის დასახმარებლად.

ასევე სოციალური ტურიზმის სისტემა გულისხმობს მოსახლეობის გარკვეული კატეგორიის უზრუნველყოფას არა მხოლოდ შეღავათიანი ვაუჩერებით, არამედ მნიშვნელოვან ფასდაკლებას სასტუმროში განთავსებაზე, კვებაზე, ასევე სარგებელს სხვადასხვა სახის

ტრანსპორტზე ბილეთების შეძენისას. ასე რომ, მთელ მსოფლიოში არსებობს ახალგაზრდული ჰოსტელების კარგად ფუნქციონირებული სისტემა (იაფი სასტუმროები, როგორცაა სტუდენტური საერთო საცხოვრებლები), რომელიც 25 წლამდე ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს მიიღონ მნიშვნელოვანი ფასდაკლება საცხოვრებელზე, კვებასა და მოგზაურობაზე.

სოციალური ტურიზმის შეიძლება იყოს შემეცნებითი, რეკრეაციული, სოფლის, ეკოლოგიური და ა.შ. დღეს, ყველაზე შესაბამისი მიმართულებით ამ სფეროში არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ან აგროტურიზმის, რაც დიდი ქალაქების მაცხოვრებლებს აძლევს შესაძლებლობას ეწვიონ ქალაქგარეთ, გაეცნონ პროვინციულ ცხოვრებას, გლეხური მეურნეობების ცხოვრებას. როგორც წესი, ისეთი აქტივობები, როგორცაა ანიმაცია და მასტერკლასი, ჩართულია აგროტურიზმში, რაც შესაძლებელს ხდის ლამაზად წარმოაჩინოს რეგიონის ტრადიციები და ჩვეულებები.

როგორც ავლინებთ, სოციალური ტურიზმი ფინანსდება სახელმწიფოს, ფონდების და სოციალური მეწარმეების მიერ.

სახელმწიფოს მხარდაჭერა. ევროპაში სახელმწიფო იძლევა სუბსიდიებს. ამ თანხით, რეგიონებში შემუშავებულია სოციალური ტურების დაფინანსების პროგრამები მაგალითად, ყოველწლიურად სოლიდური თანხა გადაეცემა ტურისტულ სააგენტოებს და სოციალურ ტურებისათვის თავად ანაწილებს. სახელმწიფო პერიოდულად გამოყოფს გრანტებს სოციალური ტურების ორგანიზებისთვის (როგორც წესი, მიზნად ისახავს ახალგაზრდული ექსპედიციების ორგანიზებას და ბავშვთა ტურიზმს).

ფონდები მხარს უჭერენ პროგრამებს, რომლებშიც არასაბიუჯეტო სახსრები და არაკომერციული ორგანიზაციები, ისევე როგორც მსხვილი საწარმოები ქმნიან პირობებს მათი თანამშრომლებისთვის იაფი დასვენებისთვის. ეს ასევე მოიცავს საქველმოქმედო პროგრამებს და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამებს, რომლებიც ხორციელდება ტურიზმის სფეროში.

სოციალური მეწარმეობა. სოციალური მეწარმეები მუშაობენ იმისთვის, რომ ტურიზმი შესაძლებელი გახდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის (სტუდენტები, ბავშვთა სახლების კურსდამთავრებულები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები, დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები) ან განსაკუთრებული ფიზიკური პირობებისა და ხელმისაწვდომ გარემოს საჭიროებენ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები). სოციალური მეწარმეები ზრდის სამოგზაურო მომსახურების ხელმისაწვდომობას სამეწარმეო მიდგომისა და ინოვაციური გადაწყვეტილებების მეშვეობით. სოციალური მეწარმეების უმეტესობა, ბიზნეს პრობლემის გადასაჭრელად ერთდროულად მონაწილეობს შედავათიანი სესხებისა და გრანტების კონკურსებში.

ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკა განხორციელების ეტაპზეა და ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფილებისგან. სოციალური ტურიზმის პრობლემები იწყება იმით, რომ ტურიზმის კანონმდებლობაში არ არსებობს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ რომელი ტურისტი, რომელი მოგზაურობისთვის, სად და როდის შეუძლიათ მიიღონ მათ საბიუჯეტო სახსრები.

ჯერჯერობით საქართველოში არანაირი კანონი არ არსებობს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისათვის სოციალურ ტურიზმთან დაკავშირებით. რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის მომხმარებლებს ამ სახეობის ტურიზმის მიწოდებისათვის. რაც

შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებას ამასთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კანონით გათვალისწინებული ამ და სხვა უფლებამოსილებების შესრულებას;² საქართველოს ტერიტორიის ეროვნულმა ადმინისტრაციამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად 2035 წლის 31 დეკემბრამდე ეტაპობრივად განახორციელოს თავის მიერ შექმნილი ან/და დაპროექტებული ინფრასტრუქტურისა და სერვისების უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირება.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ერთ-ერთ ყველაზე გარიყულ ჯგუფს მიეკუთვნებიან. ისინი დღემდე აწყდებიან სისტემურ დაბრკოლებებს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. მათ არ აქვთ შესაძლებლობა, სხვების თანასწორად ისარგებლონ კონსტიტუციით დაცული უფლებებით. ამასთან, პრაქტიკა აჩვენებს, რომ შშმ პირებისთვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად რჩება ხელმისაწვდომობა საჯარო სივრცეებზე, შენობა-ნაგებობებზე, ჯანდაცვის, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებსა თუ სატრანსპორტო საშუალებებზე, საგანმანათლებლო და სახელმწიფო დაწესებულებებზე. აღნიშნული კი, მიუთითებს, რომ პრაქტიკაში არ ხდება ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი სტანდარტების გათვალისწინება“³

მთავრობამ მიიღო, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა“. სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები (თავი 19). ამ მიმართულებით, 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებს: მათ შორის შშმ პირთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა სპორტულ, კულტურულ, რეკრეაციულ და გასართობ ღონისძიებებში⁴. მისი შინაარსი სრულად შეესაბამება (UNCRPD) კონვენციის პრინციპებს. წელს “თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო ერთ წელს რეგისტრირებული 3-დან 20 წლამდე ასაკის შშმ პირთათვის საქართველოს კურორტებზე სასტუმროს მომსახურების ხარჯების ვაუჩერულ დაფინანსებას უზრუნველყოფს თბილისის მერია; ვაუჩერის ღირებულება შეადგენს 800 ლარს; დასასვენებლად განსაზღვრულია არანაკლებ 6 დღე-ღამე; პროგრამის მოსარგებლებზე ერთი წლის განმავლობაში ერთი ვაუჩერი გაიცემა; ვაუჩერით მოსარგებლე შეიძლება იყოს 3-დან 20 წლამდე ასაკის შშმ სტატუსის მქონე ბავშვი ან მოზარდი, რომელიც რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, პირი თავად ირჩევს მომსახურების მიმწოდებელ სასტუმროს და სერვისის პირობებს“; „შშმ პირთა საკურორტო მომსახურების პროგრამის“ ბიუჯეტია 826 000 ლარი, შარშან 1180 ბავშვმა მიიღო ეს მომსახურება“.⁵

შშმ პირთა კულტურულ, სპორტულ, გასართობ და რეკრეაციულ ღონისძიებებში ჩართვასთან დაკავშირებული სახელმწიფოს პოლიტიკის დოკუმენტით გაზიარებულია კონვენციის

² საქართველოს კანონი, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ 28/07/2020 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=1> [უ.გ. 05.11.2021].

³ საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 263. თბილისი, 2019 წელი. ხელმისაწვდომია <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> [უ.გ.09.12.2020].

⁴ <http://myrights.gov.ge/ka/discussion/1101-2018-2020-tslebis-samoqmedo-gegms-proeqti> [უ.გ.12.10. 2021].

⁵ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება <https://tbilisi.gov.ge/> [უ.გ.12.10. 2021].

ზოგადი მიდგომები, თუმცა დაგეგმილი ქმედებების შესრულების ინდიკატორები, ასევე ბიუჯეტი იმდენად ზოგადი და ბუნდოვანია, რომ არ იძლევა გაწერილი აქტივობების ეფექტური იმპლემენტაციის შესაძლებლობას⁶.

2020 წლის იანვრის თვის მდგომარეობით, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის საფუძვლით სხვადასხვა სახელმწიფო გასაცემლის (სოციალური პაკეტი, სახელმწიფო კომპენსაცია, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგენა 129 753- ს, მათ შორის, ფულადი სოციალური დახმარების - საარსებო შემწეობის მიმღებია 27 889 ბენეფიციარი.

2020 წლის მდგომარეობით, საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 21,3%-ია, რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის ყოველი მე-5 მოქალაქე უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. საუბარია დაახლოებით 800 ათას ადამიანზე,⁷

სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, 2020 წელს ყოველთვიურად შემწეობას საშუალოდ 484 ათასი ადამიანი იღებდა. მიმდინარე წლის მარტის მდგომარეობით, შემწეობის მიმღები საქართველოში მცხოვრები 151 ათასი ოჯახია⁸. ყოველივე ეს იმას ადასტურებს თუ რამდენი ადამიანი გადაუდებლად საჭიროებს სოციალური ტურიზმის პროგრამებს.

3. სოციალური ტურიზმის განვითარების უცხოური გამოცდილება

ევროპის ქვეყნებში სახელმწიფო არეგულირებს ტურიზმის სოციალურ სექტორს, უშუალოდ ტურიზმის სამინისტროს ან ეროვნული ტურიზმის ორგანიზაციების (NTO) მეშვეობით, ასევე არაპირდაპირი გზით სამართლებრივი ბერკეტების შექმნით, სოციალური ტურიზმის ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერით და სხვა. ევროპის უამრავ ქვეყანაში სოციალური ტურიზმი ორგანიზებულია ასოციაციების, კოოპერატივებისა და პროფკავშირების მიერ და მიზნად ისახავს მოგზაურობას რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის, განსაკუთრებით ყველაზე ნაკლებად პრივილეგირებულითათვის. ევროპულ პროექტებს აქვთ როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული მნიშვნელობა.

კარგი პრაქტიკის წარმატებული მაგალითებად შეიძლება ჩაითვალოს „კალიფსო“. ევროპაში არსებობს სოციალური ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაცია (OITS) (ბელგია). OITS- ის წევრები არიან საერთაშორისო ორგანიზაციები: სოციალური ტურიზმის საერთაშორისო ფედერაცია (სათაო ოფისი პარიზში), სამოგზაურო სააგენტოების ასოციაციების მსოფლიო ფედერაცია(მილანი), ბუნების მოყვარულთა საერთაშორისო კავშირი (ციურიხი), სოციალური ტურიზმის ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაცია (ბრიუსელი), საერთაშორისო ტურიზმის ალიანსი (ჟენევა), კემპინგისა და ქარავნის საერთაშორისო ფედერაცია (ლუცერნი), საერთაშორისო სასტუმროთა ასოციაცია (ბრიუსელი), რკინიგზის საერთაშორისო კავშირი (პარიზი), OITS - მიზნად ისახავს სოციალური ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას საერთაშორისო მასშტაბით. ამ მიზნით იგი პასუხისმგებელია თავისი წევრების ტურისტული საქმიანობის კოორდინაციაზე, ასევე მათ ინფორმირებაზე სოციალურ ტურიზმთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ისევე როგორც კულტურულ ასპექტებზე. როგორც

⁶ shezhuduli-shesadzleblolis-mkone-bavshvtapirta-spetsializebuli-datsesebulebebis-monitoringis-angarishi <https://www.ombudsman.ge/geo/190308061623angarishebi/210916053235> [უ.გ. 22.09.21].

⁷ საარსებო მინიმუმი <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done> [უ.გ. 30.09.2021].

⁸ ცხოვრების დონე <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done> [უ.გ. 30.09.2021].

ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე“.⁹ უფრო კონკრეტულად, OITS, საერთაშორისო არაკომერციული ასოციაცია, მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს, ოჯახებს, ხანდაზმულებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - დასვენებაში, ტურისტულ მოგზაურობაში. ეხმარება ამ მიზნის განხორციელებაში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც იზიარებენ ამ პასუხისმგებლობას, კერძოდ სახელმწიფოებს, სოციალურ სუბიექტებს და ტუროპერატორებს. მართავს სხვადასხვა სახის კონკურსებს, როგორცაა: "ევროპაში სოციალური ტურიზმის ხელშეწყობა მიწოდებისა და მოთხოვნის ინტერნეტ პლატფორმის საშუალებით". კონკურსის გამარჯვებული გახდა სწორედ სოციალური ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაცია (პროექტის ხელმძღვანელი) და შემდეგი პარტნიორები: კლუბი "Joie et Vacances" asbl (ფლორის კლუბი)-ბელგია. ხელმისაწვდომი ტურიზმის ევროპული ქსელი (ENAT)-ბელგია. ტურიზმის ასოციაციების ეროვნული კავშირი (UNAT)-საფრანგეთი. კოოპერატივების ეროვნული ლიგა (LEGACOO)- იტალია. კონსორციუმი "Siena Hotels Promotion"- იტალია. ტურიზმის ტექნოლოგიური ინოვაციების მართვის სახელმწიფო კომპანია (SEGITTUR)-ესპანეთი. ასევე წარმატებული პროექტის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს: "ევროპაში სეზონური ტურისტული გაცვლების ხელშეწყობა და პენსიონერთა მობილობა".

სოციალური ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტების მიზანია შექმნას და განავითაროს- „Calypso“- ვირტუალური პლატფორმა, როგორც მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საერთაშორისო ტურიზმზე წვდომას, განსაკუთრებით დაბალი სეზონის განმავლობაში, კალიფსოს პროექტის პროგრამაში ჩამოთვლილი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის. ის ასევე მიზნად ისახავს მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ტურიზმში, მათი მომხმარებლების სახელით მოქმედი აგენტების ბიზნეს შესაძლებლობების გაფართოებას.¹⁰

ამ პლატფორმის საშუალებით, სამოგზაურო მომსახურების მიმწოდებელს შეუძლია მიაღწიოს შეთანხმებას სასტუმროებთან, რესტორნებთან და სხვა სამოგზაურო ბიზნესებთან, რათა შეიქმნას ყოვლისმომცველი პაკეტის შეთავაზება. ეს პაკეტი შეიძლება განთავსდეს eCalypso პლატფორმაზე და იქ იყოს შეძენილი (გარიგება უშუალოდ არის სამოგზაურო მომსახურების მიმწოდებელსა და მყიდველს შორის; Calypso პლატფორმა შუამავლის როლს ასრულებს ორ მხარეს შორის კონტაქტის გასაადვილებლად).

ესპანეთში არსებობს სოციალური ტურიზმის პროგრამა, რომელიც საპენსიო ასაკის 1 მილიონზე მეტ ადამიანს აძლევს საშუალებას ყოველწლიურად განახორციელონ ჯგუფური მოგზაურობები. ესპანეთის მთავრობა ყოველწლიურად დაახლოებით 75 მილიონი ევროს დებს ამ პროგრამაში, ამ პროგრამის წყალობით, ქვეყანაში შეიქმნა 10,000 დამატებითი სამუშაო ადგილი, წარმატებით ფუნქციონირებს ასევე - პროგრამა „ტურიზმი ძველი თაობისთვის“.

ბრიტანული პროგრამა "საოჯახო შვებულებები", რომლის მიზანია უზრუნველყოს, დაბალშემოსავლიანი ოჯახების შვებულება არ განსხვავდებოდეს უფრო მდიდარი ოჯახების შვებულებისგან. შვეიცარიას აქვს პროგრამა - "თავისუფალი შვებულების კვირეული მარტოხელა დედებისთვის და მამებისთვის". 1200 ოჯახს და მარტოხელა მშობლებს აძლევს უფასო 50 ათას საწოლ-დღეს. ავსტრიაში არის საოჯახო ბარათების სისტემა, რომელიც

⁹ ORGANISATION INTERNATIONALE DU TOURISME SOCIAL (OITS) <https://www.unwto.org/affiliate-member-organization/41911> [უ.გ. 30.09.2021].

¹⁰ https://issuu.com/turismosocial/docs/e-poster_isto [უ.გ. 30.09.2021].

საშუალებას იძლევა დაისვენონ ქვეყნის მეზობელ პროვინციებში. ყველა ოჯახს, რომელსაც ჰყავს შვილი და სურს მასთან ერთად დასვენება, იღებს ფასდაკლებას არდადეგებზე. ფასდაკლების სერვისს უზრუნველყოფს 1400 კომპანია და დაწესებულება. წლის განმავლობაში, 150 ათასი ადამიანი სარგებლობს პროექტის „შეღვათები სკოლის არდადეგებზე და შაბათ-კვირას“. უნგრეთში, ამდაგვარი პროექტები გამიზნულია დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მომავალი დედეებისათვის შეღვათიანი რეკრეაციული შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. უნგრეთის ეროვნული რეკრეაციული ფონდი თანამშრომლობს 150 ორგანიზაციასთან და ყოველწლიურად ეხმარება 100 ათასზე მეტ ადამიანს შვებულების დროს. ჩეხეთის რესპუბლიკაში არის პროგრამა "მოგზაურობა ბარიერების გარეშე" შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

4. სოციალური ტურიზმის განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებები

ჩვენს ქვეყანაში სოციალური ტურიზმის პროექტები შეიძლება განხორციელდეს ერთობლივად კავკასიის რეგიონში მთლიანად, თუნდაც სეზონური ტურისტული გაცვლების ხელშეწყობით და ტურისტთა მობილობით. რადგანაც ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონს აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალი კულტურული, საგანმანათლებლო, ეთნოგრაფიული, ჯანმრთელობის ტურიზმით, აქტიური დასვენების შესაძლებლობებით შესაძლებელია სოციალური ტურიზმის ცენტრი რეგიონში სწორედ რომ საქართველო იყოს.

ტრადიციული ტურისტული ცენტრების გარდა ეს შეიძლება მოიცავდეს ყველა რეგიონს. სპეციალური - ეკონომიკური ზონებით ტურისტული და რეკრეაციული ტიპის პროექტი შეიძლება შემუშავდეს და განხორციელდეს იმ პირობით, რომ მისი ხელშეწყობა შეთანხმებული იყოს საქართველოს რამდენიმე რეგიონის, მათი ხელისუფლების, კერძო სტრუქტურების საწარმოებსა და ორგანიზაციებთან. პროექტი შეიძლება დაიწყოს მიწოდებისა და მოთხოვნის შესახებ საინფორმაციო სფეროს შექმნით და მისი კონფიგურაცია შეიძლება განისაზღვროს ურთიერთქმედების პროცესში. პროექტის დასაწყებად საჭიროა შესაბამისი ტურისტული ორგანიზაციების დაინტერესება და ექსპერტთა ჯგუფის შექმნა შესაბამისი პლატფორმის მოსამზადებლად. ვფიქრობთ აუცილებელია შეიქმნას პროექტი „სოციალური ტურიზმი საქართველოში“, რომლის დაფინანსება ნაკარნახევია შემდეგი მიზეზებით:

- სერიოზული სოციალური ცვლილებებისა და ეკონომიკური პრობლემების არსებობით;
- სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება, ფინანსური სირთულეები და შეზღუდვები, დასაქმების პრობლემები, დამატებითი თავისუფალი დროის სიმცირე (სტრესული სიტუაციები) რაც მნიშვნელოვნად აისახება ტურიზმის მომიჯნავე დარგებზე;
- იმ პრობლემებით, რაც ვირუსის პრევენციის მიზნით დაწესებულმა შეზღუდვებმა, კარანტინისა და იზოლაციის რეჟიმმა მოახდინა შშმ პირებსა და მათ ოჯახებზე. ჯანმრთელობის მდგომარეობის შერყევა საქართველოს მასშტაბით კოვიდგადატანილი ადამიანებისათვის, რომელთა რეაბილიტაცია აუცილებელია საკურორტო გამაჯანსაღებელი დასვენებით, ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია შესაბამისი თანხა სხვადასხვა კურორტებზე რეკრეაციისათვის.

მიზანშეწონილია სახელმწიფომ დაიწყოს სოციალური ტურიზმის განვითარების წინასწარი პროექტის შემუშავება, როგორც ინსტრუმენტი შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- დასაქმების გაზრდა;
- სეზონის გახანგრძლივება ;
- ეკონომიკის აღდგენა რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

სოციალური ტურიზმის პროექტმა, მიზნად უნდა დაისახოს მოსახლეობის შემდეგი კატეგორიის დასვენება - მოხუცების, დევნილების, ბავშვების, შეზღუდული შემოსავლის მქონე ოჯახების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების. ბევრი სოციალური ტურიზმის სერვისი უნდა განხორციელდეს კურორტებზე, სოფლად ან მთიან რაიონებში, სოციალური ტურიზმის გაცვლას შეუძლია ხელი შეუწყოს სეზონურობის წინააღმდეგ ბრძოლას, მოახდინოს რეგიონული და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება.

დღეს მოგზაურებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, სურთ მიიღონ უფრო სრულყოფილი ინფორმაცია ქვეყნის - არა მხოლოდ ულამაზესი ადგილების, არამედ მისი ხალხისა და მათი ცხოვრების შესახებ. მათ სურთ შეისწავლონ ქვეყანა, ეზიარონ მათ კულტურას, ხოლო მოგზაურობისას მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ იმ სოფლის, რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში იმ თანხით, რასაც ისინი ტურისტული მომსახურების შეძენისას ხარჯავენ. სოციალური ტურიზმი ამას შესაძლებელს ხდის.

სახელმწიფო გავლენას ახდენს ტურიზმზე ორი გზით: მოთხოვნის და შემოსავლის მართვით, ან მიწოდების და ფასების მართვით. მოთხოვნის მართვისთვის სახელმწიფო იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს: მარკეტინგი- ხელშეწყობა, ფასები და სხვა.

სოციალური ტურიზმის ხელშეწყობის ღონისძიებები სამთავრობო მარკეტინგის განუყოფელი ნაწილია და მიზნად ისახავს გაზარდოს მოთხოვნა პოტენციური მომხმარებლებისგან. WTO რეკომენდაციების მიხედვით, ყოველივე ეს მიზნად ისახავს შექმნას ქვეყნის იმიჯი მისი მიმზიდველი სიმბოლური მახასიათებლების საფუძველზე. რისთვისაც სხვადასხვა გზა არსებობს. ეწყობა სპეციალისტების შეხვედრები ჟურნალისტებთან, მივლინებები საზღვარგარეთ, წარმოდგენები ტელევიზიასა და რადიოში, ბროშურების, სლაიდების უფასო გავრცელება და ვიდეო მასალები. ასევე განსაკუთრებული მხადაჭერა სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება ჰქონდეს იმ ტურისტულ საწარმოებს, რომლებიც ანხორციელებს სოციალურ ტურისტულ პაკეტებს სხვადასხვა გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობისათვის, დაეხმაროს კომპანიის წარმომადგენლებს სტენდის დაქირავებასა თუ მოწყობაში.

არსებობს სხვადასხვა საშუალებები, რომლითაც სახელმწიფოს შეუძლია დაარეგულიროს ტურისტული პროდუქციის ფასები, რითაც განვითარდება სოციალური ტურიზმი. აქ იგულისხმება ის რომ, პირველ რიგში, ბევრი ღირსშესანიშნაობა ქვეყანაში არის საჯარო სექტორის გავლენის სფეროში. მაგალითად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულში შემავალ მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში შესასვლელი ბილეთის ღირებულებები 2020 წლის 1 იანვრიდან თითქმის 100%-ით გაძვირდა. თუმცა უფასოდ შესვლა შეუძლიათ: იძულებით გადაადგილებულ პირებს, ომის ვეტერანებს, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის მატარებელ საქართველოს მოქალაქეებს. საფასურის გადახდა არ შეეხებათ ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მათ თანმხლებ მოქალაქეებს.¹¹

¹¹ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. <https://www.heritagesites.ge/ka> [უ.გ. 30.10.2021].

სახელმწიფოს შეუძლია არაპირდაპირ, გავლენა მოახდინოს ფასზე ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით (მაგალითად, სავალუტო კონტროლის გამოყენებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შეზღუდვები ვალუტის გაცვლაზე, რომელიც ტურისტებს აიძულებენ გაცვალონ ვალუტა მაღალ ფასად და ამდენად ამით გაზარდოს მგზავრობის რეალური ღირებულება. გაყიდვებიდან გადასახადებით, მაღაზიების გახსნა საბაჟო ზონებში და ა.შ.

სახელმწიფოს, ზემოაღნიშნული ბერკეტების გარდა, შეუძლია გავლენა მოახდინოს ტურისტული პროდუქტის ხარისხზე, თუნდაც გააკონტროლოს მოთხოვნა ლიცენზირების გზით. ეს ღონისძიება განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება სასტუმროს ბიზნესში.

მოთხოვნის მოწესრიგების მიზნით, ზოგიერთი სახელმწიფო იღებს ზომებს შეზღუდოს ტურისტების შემოსვლა, მაგალითად, შეამციროს ვიზების რაოდენობა, ამცირებენ სასტუმროების მშენებლობას ბუნებრივ ატრაქციონებთან ახლოს ან ამ უკანასკნელს ხურავენ გარემოს დაცვის მიზნით და ა.შ.

განსხვავებით მოთხოვნის მენეჯმენტისგან, რომელიც მიზნად ისახავს ტურისტების შერჩევას და ფასების რეგულირებას, მიწოდების მენეჯმენტით სახელმწიფო რეგულირება დაკავშირებულია ტურისტული მომსახურების გამყიდველებზე „ზემოქმედებასთან“. აქ სახელმწიფო იყენებს შემდეგ მეთოდებს: ბაზრის კვლევა და დაგეგმვა, ბაზრის რეგულირება, დაგეგმვა, მიწათსარგებლობის კონტროლი, საცხოვრებლის რეგულირება, გადასახადები, ინვესტიციები. სახელმწიფო აწარმოებს ბაზრის კვლევას სტატისტიკური მასალებით და ახდენს ცვლილებების მონიტორინგს ტურიზმში, რათა დადგინდეს ტურიზმის სარგებელი და შესაბამისი ხარჯები .

ეკონომიკური კრიტერიუმში, რომელიც ახასიათებს ბაზრის ოპტიმალურ მუშაობას, არის მომხმარებლის ინფორმირებულობა მათთვის შეთავაზებული ალტერნატივების შესახებ. სახელმწიფო დარწმუნებულია, რომ მომხმარებელს აქვს არჩევანი, ინფორმირებულია და დაზღვეულია ყველა სახის გამყიდველების თაღლითობებისაგან. სახელმწიფოს შეუძლია დაარეგულიროს ბაზარი გამყიდველებზე ვალდებულებების დაკისრებით სამართლებრივი ნორმების სახით, იმ წესების სახით, რომლებიც გააჩნიათ სხვადასხვა ტურისტული ორგანიზაციის წევრობისათვის. კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა, ბაზრის დაცვა მონოპოლიზაციისგან - ამათ კი სახელმწიფო ახორციელებს ბაზრის სამართლებრივი რეგულირებით.

ბევრ ქვეყანაში არსებობს წესები ქალაქებისა და რეგიონების განვითარებისათვის, რომლის მიხედვითაც იცვლება და ვითარდება მიწათსარგებლობის მეთოდები. როგორც წესი სახელმწიფოს კონტროლი მიზნად ისახავს დაიცვას უნიკალური ტურისტული რესურსები, დაცული ტერიტორიები, ლანდშაფტები და სხვ. მიწათსარგებლობის კონტროლს თან ახლავს მშენებლობის რეგულირება და მოიცავს არქიტექტურულ ზედამხედველობას. მრავალ ქვეყანაში მიღებული იქნა კანონები ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლების დასაცავად.

ტურიზმზე სახელმწიფოს გავლენის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია ტურისტების დაბეგვრა ეს არის გადასახადები, რომლებიც დაწესებულია ტურისტებისთვის სასტუმროებში განთავსებისას, აეროპორტებში ბილეთების ყიდვისას, კაზინოში, თუმცა, გადასახადების შემოღება ყოველთვის არ შეიძლება იყოს სახელმწიფოსთვის ხელსაყრელი, რადგან გადასახადების შეგროვებამ, თავის მხრივ, შეიძლება შეამციროს მოთხოვნა ტურისტებზე მომსახურება და, შესაბამისად, შემოსავალი. მაგალითად, განთავსებაზე გადასახადი აიძულებს სასტუმროს მფლობელებს გაზარდონ მომსახურების ფასები, რამაც შეიძლება

გამოიწვიოს სასტუმროს მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირება და ამით შეიძლება შეამციროს იგივე - სასტუმროების შემოსავალი.

საერთაშორისო ინვესტიციები ტურიზმის სექტორში უზრუნველყოფილია როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ასევე კერძო სექტორიდან. მთავარი უცხოელი „მსესხებელი“ არის მსოფლიო ბანკი (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი - IBRD). მისი საქმიანობა მიზნად ისახავს ნორმალური ცხოვრების დონის უზრუნველყოფას გრძელვადიანი დაფინანსების მქონე განვითარებად ქვეყნებში ამ ქვეყნების ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. ასე რომ, ევროპის ქვეყნებში სახელმწიფო არეგულირებს სოციალურ ტურიზმის სექტორს უშუალოდ ტურიზმის სამინისტროს მეშვეობით ან ეროვნული ტურისტული ორგანიზაციები (NTO), ასევე ირიბად სამართლებრივი ბერკეტების საშუალებით, მათი ინფრასტრუქტურისა და საერთაშორისო პოლიტიკის მხარდაჭერით.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში სოციალურ ტურიზმს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ის ხდება ყურადღების და აკადემიური კვლევის საგანი. მას შეუძლია შეასრულოს ეკონომიკური და ჰუმანიტარული ფუნქციები. ჩვენს ქვეყანაში სოციალური ტურიზმის სერვისები ჯერ არ არის პოპულარული და ხელმისაწვდომი მოსახლეობის ყველა სეგმენტისთვის. თუმცა, ეს არის სოციალური ტურიზმი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს კარგი დასვენება ყველასთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

ხანდაზმულთა სოციალური ტურიზმი არის სოციალური მომსახურების ახალი ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ჯანმრთელობის შენარჩუნებას, სათანადო და ჯანსაღი დასვენების ორგანიზებას, ინტერესების შესაბამისად კომუნიკაციის წრის გაფართოებას და შრომისუნარიანობის გაზრდას. საინტერესო ადგილების მონახულება, ექსკურსიები, იძლევა ნათელ ემოციებს და სასიამოვნო მოგონებებს. სოციალური ტურიზმი გახდა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური მარტობის დასაძლევად, სოციალური კავშირების დამყარების, განმტკიცებისა და მათ სოციალურ საქმიანობაში ჩართვისათვის.

სოციალური ტურიზმის პროგრამებმა სხვადასხვა ქვეყნებში უკვე დაამტკიცა თავისი აქტუალობა. სოციალური ტურიზმს უზარმაზარი წვლილის შეტანა შეუძლია ადამიანის დასვენების უფლების უზრუნველსაყოფად, ჯანდაცვა, რეაბილიტაცია, კომუნიკაციისა და გადაადგილების თავისუფლება. სოციალური ტურიზმი საშუალებას აძლევს ადამიანს იყოს ჰარმონიაში საკუთარ თავთან, ხდის ადამიანების ცხოვრებას ნათელს და პოზიტიურს, ღირსეულს, სრულყოფილს, აკმაყოფილებს მოქალაქეების კულტურულ და სულიერ მოთხოვნილებებს. სოციალურ ტურიზმს შეიძლება ჰქონდეს განვითარების სხვადასხვა მიმართულება და შედეგად, ამ მეთოდის განხორციელების ფართო პერსპექტივები არსებობს.

სოციალური ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ბიძგი, ვინაიდან სოციალური პროგრამების დაწყებისთვის აუცილებელია თანხების გამოყოფის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით საპილოტე პროექტების ეტაპზე, როგორებიცაა: ხანდაზმული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეების სოციალიზაცია; სოციალური ტურისტული მარშრუტების შემუშავება; ტურისტული მოგზაურობების

ორგანიზება რეგიონებში; მოქალაქეების გაცნობა მშობლიური ქვეყნის ისტორიის შესწავლაში, მოქალაქეთა ინფორმაციისა და დასვენების სივრცის საზღვრების გაფართოება.

აუცილებელია ტურისტული ინფრასტრუქტურის მომზადდება სოციალური ტურიზმის განვითარებისათვის. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სჭირდებათ სპეციალური მოწყობილობები აეროპორტებში, კიბეებზე, ლიფტებში, ქიმწმენდის და რეცხვის, განთავსების დაწესებულებებში, დასასვენებელ ოთახებში. ადგილობრივების გარდა ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უცხოელია, რომელთაც სურთ ეწვიონ ჩვენს ქვეყანას სოციალური პროგრამებით, დაათვალიერონ მისი ღირსშესანიშნაობები და მიიღონ სამედიცინო დახმარება. მაგრამ ტექნიკურად, სრულყოფილად ჩვენ მათ ვერ მივიღებთ, არც სასტუმროები, არც ტრანსპორტი და არც კვების სისტემა ყველგან საქართველოს ტურისტულ დესტინაციებზე ამისთვის მზად არ არის.

საქართველოში სოციალური ტურიზმის პრობლემები იწყება იმით, რომ ტურიზმის კანონმდებლობაში არ არსებობს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს რომელი ტურისტი, რომელი მოგზაურობისთვის, სად და როდის შეძლებენ მიიღონ საბიუჯეტო სახსრები.

აუცილებელია სახელმწიფომ ამ მიმართულებით სოციალური ტურისტული პოლიტიკა განსაზღვროს, რაც გულისხმობს სოციალური ინფოსტრუქტურის შექმნას, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღებას, მოსახლეობის მცირე შემოსავლიანი ფენების დახმარების სისტემებისა და მექანიზმების უზრუნველყოფას, სოციალური ტურიზმის სისტემის მუშაკების მომზადებას.

სოციალური ტურიზმი უნდა განახორციელოს ნებისმიერმა ტურისტულმა ორგანიზაციამ, რომელთა მიზანია არამარტო მოგების მიღება, არამედ მოგზაურობებისა და ტურიზმის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაც ადამიანთა მაქსიმალური რიცხვისათვის. ამ მიზნით გასათვალისწინებელია: სოციალური, საგანმანათლებლო და კულტურული ამოცანების ერთიანად გადაწყვეტა; მიზნობრივი კლიენტურის განსაზღვრა რასობრივი, კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური ან სოციალური ნიშნების მიუხედავად; სოციალური ტურიზმის ჰარმონიული ინტეგრაციის უზრუნველყოფა ადგილობრივ გარემოსთან; ტურპროდუქტის ფასების შესაბამისობა გამოცხადებულ სოციალურ ფასებთან.

სოციალური ტურიზმის ამოცანების პრაქტიკული განხორციელება მოითხოვს: დაფინანსების წყაროების მოძიებას, რამდენადაც სოციალური ტურიზმის ორგანიზაციების წინაშე მოგების მიღება, როგორც მიზანი არ ისახება; სოციალური ტურიზმის ახალი მატერიალური ბაზის შექმნას ან არსებული ბაზის ადაპტაციას თანამედროვე მოთხოვნებთან; ჯეროვან საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის დამუშავებას; სოციალური ტურიზმის მომსახურების შესაბამისობას მზარდ ევროპულ სტანდარტებთან; საფინანსო სახსრების კეთილსინდისიერი სისტემის შექმნას მცირე შემოსავლიანი კატეგორიის პირებისათვის, რომლებსაც აქვთ შეღავათის გამოყენების უფლება. ტურიზმის განვითარებაში სახელმწიფო, მუნიციპალური, საზოგადოებრივი და კომერციული სტრუქტურების აქტიურ მონაწილეობას.

ბიბლიოგრაფია

1. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მარტო მცხოვრები პენსიონერების ზოგადი მდგომარეობა. კვლევის ანგარიში. თბ. 2020. <https://georgia.unfpa.org/ka/publications/covid-19-impact-on-lonely-older-people-Georgian>. [უკანასკნელად გადამოწმდა 05.11.2021];
2. სოციალური მომსახურების სააგენტო (2020) სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id [უკანასკნელად გადამოწმდა 30.09.2021];
3. საქართველოს კანონი, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=1> [უკანასკნელად გადამოწმდა 05.11.2021];
4. საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 263. თბილისი, 2019 წელი. <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 07.09.2021];
5. <http://myrights.gov.ge/ka/discussion/1101-2018-2020-tslebis-samoqmedo-gegmis-proeqti> [უკანასკნელად გადამოწმდა 12.10. 2021];
6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება <https://tbilisi.gov.ge/> [უკანასკნელად გადამოწმდა 05.11.2021];
7. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და პირთა სპეციალური დაწესებულებების მინოტორინგის ანგარიში <https://www.ombudsman.ge/geo/190308061623angarishebi/210916053235> [უკანასკნელად გადამოწმდა 22.09.21];
8. საარსებო მინიმუმი. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done> [უკანასკნელად გადამოწმდა 30.09.2021];
9. ცხოვრების დონე. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done> [უკანასკნელად გადამოწმდა 30.09.2021];
10. ORGANISATION INTERNATIONALE DU TOURISME SOCIAL (OITS) <https://www.unwto.org/affiliate-member-organization/41911> [უკანასკნელად გადამოწმდა 30.09.2021];
11. https://issuu.com/turismosocial/docs/e-poster_isto[უკანასკნელად გადამოწმდა 30.09.2021];
12. World Tourism Organization (UNWTO) UNWTO Declarations | Manila Declaration on World Tourism. (UNWTO), Madrid, Spain. ელექტრონული ვერსია: 2221-6987 | ტომი 1,ნომერი1 <https://www.univeur.org/cuebc/downloads/PDF%20carte/65.%20Manila.PDF> [უკანასკნელად გადამოწმდა 30.09.2021];
13. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტო <https://www.heritagesites.ge/ka> [უკანასკნელად გადამოწმდა 30.10.2021].

პერსონალური მონაცემების ეკონომიკური და სოციალური გაცვლა და მათი დაცვის რისკი

ნინო ცხოვრებაშვილი

ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი,
სწავლების და კვლევების ატაშე, დოქტორანტი, სორბონი პარი 1,
ასოცირებული პროფესორი, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ეკონომიკური სექტორისთვის ახალი ტექნოლოგიები და მონაცემთა შეგროვება რეალურ გამოწვევად იქცა. პერსონალური მონაცემები გახდა მნიშვნელოვანი გასაღები ახალ ბაზრებზე შეღწევისათვის. ბევრი ორგანიზაცია სპეციალიზებულია მათ შეგროვებაში, დამუშავებასა და შემდგომ გაყიდვაში. მომხმარებელთა პროფილების გამოყენებით, სპეციალისტები ადვილად ახდენენ მომხმარებელთა ქცევის პროგნოზირებას და კონკურენტებთან ჭიდილს. საქონლის თავისუფალი მოძრაობა, ონლაინ გადახდები და მონაცემების გაცვლა სულ უფრო ხშირდება ქვეყნებს შორის და პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები სულ უფრო კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. აღსანიშნავია, პოსტპანდემიური პერიოდი, რომელმაც საგრძნობლად გაზარდა დისტანციური ურთიერთობები და მონაცემთა გაცვლის სიხშირე. აღნიშნულმა სიტუაციამ ხელი შეუწყო ასევე სოციალური ქსელებისადმი მიჯაჭვულობასაც. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ პერიოდში მნიშვნელოვანია ინტერნეტ მომხმარებელთა ინფორმირებულობის დონის გაზრდა და მათ მიერ მონაცემთა გაცემისას განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩვენება. დადასტურებული ფაქტია, რომ «კემბრიჯ ანალიტიკამ» მომხმარებლების ნაწილის სურვილის გვერდის ავლით, სოციალური ქსელის ფეისბუქის გამოყენებით მათზე ინფორმაცია შეაგროვა, რის გამოც ქსელი დიდი ოდენობის თანხით დაჯარიმდა.¹² პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია 2018 წლიდან ახალი რეგულაციის შემოღება (GDPR), რომლითაც არსებული წესები და რეგულაციები გადაიხედა და დაიხვეწა. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ე. წ. დავიწყების უფლება, მონაცემთა წაშლის და პორტატულობის უფლება.

საკვანძო სიტყვები: მონაცემთა დაცვა; სოციალური ქსელები; GDPR; მონაცემთა დაცვის ზოგადი დებულება; ციფრული კულტურა; ელექტრონული კომერცია; დავიწყების უფლება.

¹² Facebook: une amende de 5 milliards de dollars et de nouveaux garde-fous, déjà contestés 2019 წლის 24 ივლისი.
https://www.lemonde.fr/pixels/article/2019/07/24/donnees-personnelles-les-etats-unis-imposent-de-nouveaux-garde-fous-a-facebook-deja-contestes_5493017_4408996.html [უ. გ. 28.11.2021].

შესავალი

ევროკავშირის შექმნის შემდეგ შეუქცევადი გახდა ხალხის, საქონლის, სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სერვისებისა და კაპიტალის მოძრაობა. ადამიანების გადაადგილებისთვის, პერსონალური მონაცემები გადაიცემა ერთი ქვეყნიდან მეორეში ან საბაჟო გზით, ან იმ ადგილობრივი სერვისების მეშვეობით, რომლითაც დაინტერესებული პირი მოგზაურობს ან მუშაობს. თუ ერთი ქვეყნის წარმომადგენელი სხვა ქვეყანაში დამკვიდრდებიან, მონაცემები EC 43-ე მუხლის შესაბამისად გადაიცემა.¹³

ინტერნეტში ინფორმაციის ანალიზში სპეციალიზებული კომპანიის IDC-ის კვლევის მიხედვით, მიმოქცევაში არსებული მონაცემების რაოდენობა ყოველწლიურად 50%-ით იზრდება. და ეს ყოველთვის მხოლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ არის, არამედ სრულიად მცირე ღირებულების ინფორმაციაც ვრცელდება ქსელში. ჩვენს დროში დიდი რაოდენობით სენსორებია დამონტაჟებული სხვადასხვა მოწყობილობებზე. ამ სენსორებს შეუძლიათ გაზომონ და გადასცენ ინფორმაცია ობიექტების მდებარეობის, მოძრაობის, ტემპერატურის, ტენიანობის და ქიმიკატების შესახებაც კი. ამ ინფორმაციის კომპიუტერულ მოწყობილობებში ჩატვირთვით საბოლოოდ ვიღებთ „ინდუსტრიულ ინტერნეტს“.

2017 წელს საერთაშორისო მონაცემთა კორპორაცია IDC-ის კვლევების ავტორები ვარაუდობდნენ, რომ „დიდი მონაცემთა ტექნოლოგიებისა და სერვისების ბაზარი გაიზრდებოდა წლიური ზრდის 26.4%-ით ტემპით და მიაღწევდა 41.5 მილიარდ დოლარს 2018 წლისთვის, რაც დაახლოებით ექვსჯერ აღემატება გლობალური საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზრის ზრდის ტემპს“.¹⁴ რაც შეეხება 2021 პროგნოზს, გლობალური ბიზნესის ინვესტიციები დიდ მონაცემებში, სავარაუდოდ, გაიზრდება 10%-ზე მეტით და 215,7 მილიარდ დოლარს მიაღწევს.¹⁵

მონაცემთა მეშვეობით მსხვილი საცალო ვაჭრობა ანალიზებს გაყიდვებს, ფასებს, ასევე ამინდის პირობებს, დემოგრაფიულ მონაცემებს, რომ პროდუქტის ასორტიმენტი მაღაზიის ადგილმდებარეობას საუკეთესოდ მორგოს და დაადგინოს ფასები და სარეკლამო პერიოდები. სოციალური ქსელები, განსაკუთრებით ონლაინ გაცნობის საიტები, ანალიზებენ პიროვნული მახასიათებლების, რეაქციების და კომენტარების სიებს, რათა მოიზიდონ დიდი რაოდენობით მომხმარებლები. შეერთებული შტატების პოლიციის დეპარტამენტები ანალიზებენ დაკავების ისტორიებს, ხელფასის აღების დღეებს, ამინდს და არდადეგებს, რათა წინასწარ განსაზღვრონ დანაშაულის ჩადენის ალბათობა და გაგზავნონ ოფიცრები ამ ადგილებში.

¹³GAILLARD Emmanuel, Racine Jean-Baptiste « Liberté de l'establishment » ; Journal du droit international (Clunet), N3. 2009-07-01.

¹⁴ S. Findling, J. C. Pucciarelli, M. Jennett; „IDC FutureScape: Worldwide CIO Agenda 2018 Predictions“ 2017 წლის ნოემბერი <https://www.idc.com/getdoc.jsp?containerId=US43203417&pageType=PRINTFRIENDLY> [უ. გ. 27.11.2021].

¹⁵“Big data et analytique : un marché promis à une croissance à deux chiffres“ 2021 წელი 18 აგვისტო <https://www.silicon.fr/big-data-analytique-croissance-414574.html#:~:text=Actualit%C3%A9s%20Big%20Data-,Big%20data%20et%20analytique%20%3A%20un%20march%C3%A9%20promis,une%20croissance%20%C3%A0%20deux%20chiffres&text=Selon%20les%20plus%20r%C3%A9centes%20pr%C3%A9visions,de%20dollars%20cette%20ann%C3%A9e%202021.> [უ. გ. 27.11.2021].

კვლევები აჩვენებს, რომ კომპანიები, რომლებიც გადაწყვეტილებებს დიდი მონაცემთა ანალიზის საფუძველზე იღებენ, აღწევენ 5-6%-ით მაღალ პროდუქტიულობას, ვიდრე სხვები. მკვლევარები გვარწმუნებენ, რომ Google-ის აქვს შესაძლებლობა, იცოდეს მეტი, ვიდრე საფრანგეთის სტატისტიკის ინსტიტუტს, INSEE-ს საფრანგეთის შესახებ. ზოგადად მონაცემთა დამუშავება, მათ შორის პერსონალური მონაცემები, საშუალებას იძლევა გააკონტროლონ გარკვეული ბაზრები და ადვილად გააკეთონ პროგნოზი უახლესი პერიოდებისათვის.

პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, ონლაინ სწავლება და ტრენინგები მთელ მსოფლიოში სწრაფად იზრდება. გლობალური ელექტრონული სწავლების ბაზრის წილი დღეს 190 მილიარდ დოლარზე მეტია. ვარაუდობენ, რომ 2025 წლისთვის ის 325 მილიარდ დოლარს მიაღწევს. შეერთებული შტატების შემდეგ, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ბაზრის თითქმის 40%-ს, აზია მეორე უდიდესი ელექტრონული სწავლების ბაზარია. ამ ბაზარზე ინდოეთმა ყველაზე მეტი ინვესტიცია განახორციელა ბოლო წლებში. ინდოელი შემსწავლელთა რიცხვი, ვინც ონლაინ სწავლებით სარგებლობდა ჯერ კიდევ 2016 წელს 1,6 მილიონი იყო, ხოლო 2021 წელს ეს რიცხვი, სავარაუდოდ, 9,6 მილიონამდე გაიზარდება.¹⁶ გერმანია რჩება ევროპის ბაზრის ლიდერად და საფრანგეთი ცდილობს გახდეს მოწინავე ამ მიმართულებით. მსხვილი ფრანგული კომპანიები ყველაზე მეტად მიდრეკილნი არიან ელექტრონული სწავლების მოწყობილობები გამოიყენონ, როგორც ტრენინგის სტრატეგიის ნაწილი: მათმა 92%-მა შერეული სწავლების გადაწყვეტილება მიიღო. ხოლო საჯარო სექტორში ტრენინგის 70% ხორციელდება შერეული სწავლებით.¹⁷ ინფორმაციული ტექნოლოგიები დიდ ეკონომიკურ მნიშვნელობას იძენს, მაგრამ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მონაცემთა დაცვის საკითხს. ზოგადად, მომხმარებელი სტუმრობს ვებსაიტებს მათი პირადი მონაცემების მიწოდების სურვილის გარეშე, მაგრამ ვებსაიტების გარკვეულ ნაწილებზე წვდომისთვის, საიტის ადმინისტრაციას შეუძლია მოითხოვოს პერსონალური მონაცემები. ამ მონაცემების კომუნიკაცია ნებაყოფლობითია, მაგრამ თუ მომხმარებელი არ მიაწვდის ამ ინფორმაციას, ის ვერ შეძლებს ისარგებლოს საიტების მიერ შემოთავაზებული სერვისებით: ეს ეხება კომუნიკაციას, დოკუმენტების ჩამოტვირთვას ან შესყიდვას.

1. სოციალური ქსელები და მონაცემთა დაცვის პრობლემები

სოციალურ ქსელებში მონაცემთა დაცვის საკითხი ყველა მომხმარებლის შეშფოთების საგანია. სოციალური ქსელები გვთავაზობენ კომუნიკაციის შესაძლებლობას, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კონფიდენციალურობას. პერსონალური მონაცემები „სურათები, ვიდეოები, კომენტარები“ საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება და მათი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სერვისის მიერ. ზოგჯერ ძნელია ინფორმაციის ამოღება ინტერნეტიდან მისი გამოქვეყნების შემდეგ და ეს მონაცემები ხშირად ხელმისაწვდომი რჩება საძიებო სისტემების

¹⁶ „E-learning – Chiffres et tendances du marché » 2020 წლის 8 აპრილი. <https://www.callimedia.fr/e-learning-chiffres-et-tendances-du-marche/> [უ. გ. 27.11.2021].

¹⁷ „BAROMÈTRE E-LEARNING 2020 " 2020 6 თებერვალი. [//www.afinef.net/wp-content/uploads/2020/07/Barometre-AFINEF-Digital-Learning-2020-Presses.pdf](https://www.afinef.net/wp-content/uploads/2020/07/Barometre-AFINEF-Digital-Learning-2020-Presses.pdf) [უ. გ. 29.11.2021].

საშუალებით. სწრაფად ვითარდება სოციალური ქსელების მომხმარებლების მონაცემების დამუშავებისა და მარკეტინგის პრაქტიკაც.

მაგალითად, Facebook-ი ყოველდღიურად ახარისხებს და ინახავს თავის სერვერებზე რამდენიმე ასეულ ტერაბაიტზე მეტ მონაცემს. ყველაზე ცუდი არის ის, რომ ქსელების მიერ მომხმარებელთა ნების გვერდის ავლით მათი მონაცემების სხვადასხვა დაინტერესებულ კომპანიებზე გადაცემა მაინც ხდება. მაგალითად, 2016 წელს აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ამომრჩეველთა პროფილირების კომპანიამ „კემბრიჯ ანალიტიკა“ ორმოცდაათი მილიონი ამერიკელის მონაცემი მათი თანხმობის გარეშე მოიპოვა. მონაცემები შეგროვდა კემბრიჯის უნივერსიტეტის მკვლევრის მიერ გამოგონილი აპლიკაციის გამოყენებით. ფეისბუქის 270 000 მომხმარებელმა ნებაყოფლობით განაცხადა თანხმობა კითხვარის შესავსებად და პასუხების სამეცნიერო მიზნებისათვის გამოსაყენებლად. მაგრამ აპლიკაციამ მონაცემები ყველა ამ მომხმარებლის Facebook მეგობრებისგანაც შეაგროვა. მომხმარებლების უფლებების დარღვევის შემდეგ Facebook-ის ქსელი იძულებული გახდა გადაეხადა ყველაზე დიდი ჯარიმა (5 მილიარდი დოლარი).¹⁸

სოციალური ქსელების ოპერატორები ახარისხებენ პიროვნებებს მათი გემოვნების, ჩვევების, ჰობის მიხედვით. ტექნოლოგიების სპეციალისტები მართავენ გაანალიზებულ მონაცემებს და თვალყურს ადევნებენ ინტერნეტის მომხმარებელთა სხვადასხვა აქტივობებს, რომ მომავალში ზეგავლენა იქონიონ და წარმართონ მათი არჩევანი. სოციალური ქსელების წევრებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია შესაძლებელს ხდის პერსონალიზებული, ანუ მიზნობრივი რეკლამის შეთავაზებას.

სოციალური ქსელების გამოყენებისას ყურადღებას იქცევს მფლობელის დაუკითხავად მისი პერსონალური მონაცემების გამოყენება და მისი სახელით ცრუ ინფორმაციის გავრცელება. სისხლის სამართლის კოდექსის განმარტებით, მონაცემთა ქურდობა არის ქმედება როდესაც ხდება მესამე პირის მონაცემების გამოყენება მისი ღირსების შელახვის მიზნით.¹⁹ შესაბამისად, ზოგჯერ რთულია განვასხვავოთ პირადი იდენტობა ციფრული იდენტობისგან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სოციალურ ქსელში ინდივიდის „კედელის“ სტატუსი. კერძო ის თუ საჯარო? სასამართლოში შესწავლილი რამდენიმე საქმე ეხებოდა თანამშრომლების მიერ მათი უფროსის მიმართ გამოთქმულ შეურაცხყოფას. არ არსებობს მკაფიო კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს ქსელის კედლების ხასიათს, მაგრამ შესწავლილი სამართლებრივი საქმეების მიხედვით, კედელი გარკვეულ პირობების დაცვით, კერძო ადგილად ითვლება.


არაევროპული წარმოშობის სოციალური ქსელები, რომლებიც უმეტესწილად, ექვემდებარებოდნენ Safe Harbor-ის პრინციპებს, თავიდან უგუვებელყოფდნენ ევროპული წესების დაცვის პრინციპს. ცხადია, რომ საფრანგეთში CNIL-ის ძალა და ევროპაში - მისი კოლეგების საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ მკაცრი წესები დაედგინათ ქსელის

¹⁸ Facebook : une amende de 5 milliards de dollars et de nouveaux garde-fous, déjà contestés, 2019 წლის 24 ივლისი. https://www.lemonde.fr/pixels/article/2019/07/24/donnees-personnelles-les-etats-unis-imposent-de-nouveaux-garde-fous-a-facebook-deja-contestes_5493017_4408996.html [უ. გ. 28.11.2021].

¹⁹ L'article 226-4-1 du Code pénal.

გიგანტებისთვის. გუგლი, ამაზონი, ფეისბუქი, ეფლი და მაკროსოფტი ე.წ. (GAFAM) კომპანიები ზოგჯერ არსებობის 20 წელს მოითვლის (Facebook შეიქმნა 2004 წელს და Google 1998 წელს) და მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანის კაპიტალიზაცია, Facebook-ის გარდა, 1000 მილიარდ დოლარს აჭარბებს.²⁰

(GAFAM) გუგლი, ამაზონი, ფეისბუქი, ეფლი, მაკროსოფტი საქონელბრუნვა წლების მიხედვით მილიარდ დოლარში




წყარო [Lafinancepourtous](https://www.lafinancepourtous.com); d'après Statista

უდავოა, რომ ახალი უფლებები იქმნება ახალი საჭიროებების საპასუხოდ და მომხმარებელთა უკეთ დასაცავად. CSA for Orange-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ფრანგების 85% ამბობს, რომ შემფოთებულია ინტერნეტში მათი მონაცემების დაცვის ხარისხით და 42% ფიქრობს, რომ ბოლო წლებში სიტუაცია გაუარესდა²¹

²⁰GAFAM, GAFAM ou NATU: les nouveaux maîtres du monde » 2021 წლის 29 ივლისი <https://www.lafinancepourtous.com/decryptages/finance-et-societe/nouvelles-economies/gafa-gafam-ou-natu-les-nouveaux-maitres-du-monde/> [უ. გ. 29.11.2021].

²¹ Les Français et la protection des données personnelles, études de l'Institut du CSA pour Orange, 2014. Pp 5.



წყარო : Etudes de l'institut du CSA pour ORANGE ; 2014

2. დავიწყების უფლება

ციფრული დავიწყების უფლება ეხმაურება ინტერნეტის მომხმარებელთა შემფოთებას, გააკონტროლონ ონლაინ რეპუტაცია, რაც დაკავშირებულია პერსონალური მონაცემების დაცვასთან. გარკვეული გამონაკლისების გარდა, რომელიც სახელწიფოებრივ ინტერესებს და უსაფრთხოების საკითხებს უკავშირდება რამდენიმე რისკ ფაქტორი მოქმედებს მომხმარებელთა კონფიდენციალურობაზე:

- პერსონალური მონაცემების დამუშავება მომხმარებლის თანხმობის გარეშე ;
- მონაცემთა შენახვის შეუზღუდავი პერიოდი ;
- საკუთარ მონაცემებზე კონტროლის დაკარგვა ;

სწორედ ამ მიმართულებით აქტუალური გახდა ციფრული დავიწყების უფლება. თავდაპირველად, Google-მა უარი თქვა CNIL-ის მიერ დაწესებული „დავიწყების უფლების“

შესრულებაზე, „ამტკიცებდა, რომ ფრანგული ორგანო არ იყო კომპეტენტური“ გააკონტროლოს ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მთელ მსოფლიოში²² გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ, Google-ის ადმინისტრაცია იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება და გამოეშვა ონლაინ ფორმა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ევროპელებისთვის ძიების შედეგების წასაშლელად. ამ გადაწყვეტილებიდან ერთი დღის შემდეგ Google-მა მიიღო 12000-ზე მეტი მოთხოვნა ევროპელი ინტერნეტ მომხმარებლებისგან მისი საძიებო სერვისებიდან წაშლის შესახებ.

ციფრული დავიწყების უფლება ევროკავშირის დონეზე 2014 წლიდან აქტუალური გახდა ბატონ გონზალესის (M.Costeja Gonzáles) გახმაურებული საქმით. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU) განსაზღვრავს ამ უფლებას, როგორც საძიებო სისტემის ვალდებულებას, „ამოშალოს პირი შედეგების სიიდან, რომელიც ნაჩვენებია მესამე მხარის მიერ შექმნილ ვებგვერდების ბმულებსა და გამოქვეყნებულ სტატიებში.“²³ ქართულად ამას «გადამისამართების გაუქმების მოთხოვნის უფლება» შეიძლება ვუწოდოთ. (Droit d'effacement).

დავიწყების უფლება («გადამისამართების გაუქმების მოთხოვნის უფლება») არ აძლევს მომხმარებელს საშუალებას სთხოვოს საძიებო სისტემას გვერდების წაშლა, მაგრამ აძლევს შესაძლებლობას მოითხოვოს ბმულების და მათ შორის კავშირის წაშლა. ამგვარად, ჩვენ ვსაუბრობთ „გადამისამართების გაუქმებაზე“.

2018 წლის 25 მაისიდან ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაციის GDPR-ის ძალაში შესვლით ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა კიდევ ერთხელ გაამყარეს დავიწყებისა და წაშლის უფლების სამართლებრივი საფუძველი. (მუხლი 17). "მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, რაც შეიძლება მალე მიიღოს მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირისგან მისი პერსონალური მონაცემების წაშლაზე თანხმობა და ორგანიზაცია ვალდებულია უმოკლეს ვადებში წაშალოს მონაცემები. წაშლის მოთხოვნის საფუძველი შეიძლება იყოს შემდეგი:²⁴

- პერსონალური მონაცემების დამუშავება აღარ არის საჭირო არსებული მიზნებისათვის;
- არ არსებობს დამუშავების ლეგიტიმური საფუძველი;²⁵
- პერსონალური მონაცემები დამუშავდა უკანონოდ;

სოციალურ დონეზე დავიწყების უფლება არის საზოგადოებაში რეაბილიტაციის ჟესტი. „დავიწყების უფლება“ კოლექტიურად აწესებს დუმილს მოქალაქეების შეცდომებზე და სასჯელებზე, გარკვეულ ვითარებაში, მშვიდობისა და სოციალური ერთობის უზრუნველსაყოფად.

²² Droit à l'oubli : la Cnil dit non au recours de Google, La Tribune, 2015 წლის 21 სექტემბერი. <https://www.latribune.fr/technos-medias/internet/droit-a-l-oubli-la-cnil-dit-non-au-recours-de-google-506908.html> [უ. გ. 29.11.2021].

²³ Arrête Google Spain c/ AEPD et Costeja Conzales, 13/05/2014. Demande de décision préjudicielle, introduite par l'Audiencia Nacional.

²⁴ GDPR ; Droit à l'effacement "droit à l'oubli" Article17, <https://www.gdpr-expert.eu/article.html?id=17#textesofficiels> [უ. გ. 29.11.2021].

²⁵ GDPR Right to object. Art. 21 <https://gdpr-info.eu/art-21-gdpr/> [უ. გ. 29.11.2021].

3. ციფრული კულტურის თავისებურებები

ინტერნეტის მომხმარებელთა ქცევა უკავშირდება იმ სარგებელს, რომელიც მათ მიიღეს წარსულში გარკვეული ინფორმაციის გაზიარების შემდეგ. ქვეყნის კულტურა და ბიზნეს გამოცდილება გავლენას ახდენს მომხმარებელთა ქცევაზე. თუ გადავხედავთ სხვადასხვა ქვეყნის შედეგებს, დავინახავთ, რომ ქვეყნები განსხვავდება ასაკის, სოციალური კულტურისა და პროდუქტის სექტორის მიხედვით. ამრიგად, სოციალური ქსელების ახალგაზრდა მომხმარებლის დამოკიდებულება და ქცევა განსხვავდება 60 წლის მომხმარებლის დამოკიდებულებისგან, რომელსაც ასეთი ანგარიშები სოციალურ ქსელებში არასდროს ჰქონია. ამერიკელი მომხმარებლები თვლიან, რომ კომპანიები თავიანთ მონაცემებს ბიზნეს მიზნებისთვის იყენებენ და სანაცვლოდ სარგებელს მოეღიან. ჩინეთს აქვს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ინფორმაციის გაზიარების მაჩვენებელი შესწავლილი სამი ქვეყნიდან (საფრანგეთი, შეერთებული შტატები, ჩინეთი).²⁶ ფრანგები კონტროლის შენარჩუნების აუცილებლობას უსვამენ ხაზს და ინტერნეტის მომხმარებელთა მხოლოდ 23% ამბობს, რომ მზადაა პერსონალური ინფორმაციის გაზიარებისთვის, ჩინელების - 61%- ი და ამერიკელების 45% -ის საპირწონედ.

მილად დუეიჰი აღწერს ციფრულ ტექნოლოგიას, როგორც მუდმივად განვითარებად სოციალური ნორმების პროცესს, რომელიც გამოირჩევა, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებით, მეორე მხრივ, სხვადასხვა სამსახურების მხრიდან სავარაუდო კონტროლით. ავტორის თქმით, „ციფრული კულტურის რელიგიური განზომილება თითქოსდა ათანაზრებს კულტურათაშორის განსხვავებებსა და ადგილობრივ ფაქტორებს და მათ უნივერსალურ კულტურისა და ციფრული გარემოს ზედაპირულ ვარიაციებამდე ამცირებს.“²⁷

კულტურა შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სულიერი, მატერიალური, ინტელექტუალური განმასხვავებელი ნიშნების ერთობლიობად. იგი მოიცავს ხელოვნებას და მეცნიერებას, ცხოვრების წესს, კანონებს, ღირებულების სისტემებსა და რწმენას. „ციფრული კულტური“-ს გლობალურ განზომილებაში, იკვეთება თითოეული ერის ეროვნული კულტურა, ისტორია და პოლიტიკა. „ციფრული ისტორიის“ დასაწყისში მეცნიერთა მიზანი უფრო თავდაცვის ხასიათის იყო, რომელიც გამოთვლას და გაშიფვრას უკავშირდებოდა. როგორც გვახსოვს, ინტერნეტი შეიქმნა ბირთვული შეტევისთვის წინააღმდეგობის გაწევის იმპერატივებიდან. ამ მიზნისთვის მობილიზებულმა მკვლევარებმა საბოლოოდ შექმნეს ისეთი ქსელი, რომლის გარეშეც 21-ე საუკუნეში ფუნქციონირება წარმოუდგენელია.

ციფრული კულტურა ძალიან დელიკატური საკითხია, რომელიც მოიცავს ზოგადი და ციფრული კულტურის მახასიათებლებს. როგორც ცნობილი ფრანგი სოციოლოგი კარდონი ამბობს: „მნიშვნელოვანია გვეჩვენოს მრავალფეროვანი ცოდნა და წინდახედულება, რადგან

²⁶ F. Hanna. Etude « Value Me » de Microsoft Advertising sur la valorisation des données personnelles 2015 წლის 20 ივლისი.

²⁷ M. Doueïhi. Digital Cultures (2011a). En traduction française, La grande conversion numérique 2008, pp. 25, 26.

როგორც ჩვენ ვქმნით ციფრულ სამყაროს, ასევე, ციფრული სამყარო ქმნის ჩვენს ინტერნეტ იდენტობას“²⁸

4. ელექტრონული კომერცია და მონაცემები

მონაცემთა შეგროვება შეიძლება განხორციელდეს შესყიდვის ან მომსახურების პროცესის პარალელურად. შესყიდვის ან ინტერნეტ სერვისის იდენტიფიკაციის პროცედურის საშუალებით შეიძლება შეგროვდეს მომხმარებელთა შესახებ ინფორმაცია, რომელიც ინახება მომპოვებელი მხარის ინტერესებიდან გამომდინარე. კომპიუტერებს შორის ინტერნეტის საშუალებით კომუნიკაცია შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული პროტოკოლების გამოყენებით. TCP/IP პროტოკოლი იძლევა ინტერნეტში ინფორმაციის გადატანისა და მათი მიღების შესაძლებლობას. მიმღების იდენტიფიცირება ხდება IP-კოდით. თავდაპირველად TCP/IP შეიქმნა სამხედრო მიზნით და აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს :

- მისამართების სისტემების გამოყენება;
- მონაცემთა ნაკადის გზის კონტროლი;
- მონაცემთა გადაცემის კონტროლი;

ამრიგად, სპეციალისტებისთვის ხემისაწვდომია პროგრამის მიერ გამოყენებული ენა, გამოყენების ტიპი, კავშირის თარიღი და დრო, შესაძლო მოთხოვნა. ამ მონაცემების დამუშავების შედეგად შესაძლებელია პოტენციურ მომხმარებლებლისთვის სასურველი პროდუქტების შეთავაზება. კომერციული ინტერნეტ გაყიდვების საიტები ექვემდებარება დისტანციური გაყიდვის რეგულაციებს (VPC/VAD), რაც გულისხმობს მომხმარებელთა პირადი ინფორმაციისა შესაბამისი დაცვის ვალდებულებას. პროდუქტის/სერვისის მიმწოდებელი მახარე ვალდებულია შეასრულოს შემდეგი პირობები :

- მოახდინოს მომხმარებელთა ინფორმირება შეგროვებული ინფორმაციის წვდომის, მოდიფიცირებისა და წაშლის უფლების შესახებ;
- უზრუნველყოს საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოება;
- მიუთითოს მონაცემთა შენახვის პერიოდი;

საფრანგეთის შემთხვევაში, პასუხისმგებელმა პირმა ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა (DPO) ონლაინ გაყიდვების საიტზე, რომელიც აგროვებს პერსონალურ ინფორმაციას და ინახავს მომხმარებლის ფაილებს, უნდა გააკეთოს განაცხადი CNIL-ში. (ინფორმატიკისა და თავისუფლების ნაციონალური კომისია).

ევროპის საბჭომ 2001 წელს მიიღო კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ, რომელიც ხშირად გვხვდება ელექტრონულ კომერციაში. ეს ეხება არა მხოლოდ წევრ ქვეყნებს, არამედ იაპონიასა და შეერთებულ შტატებსაც.²⁹ ევროკავშირის დონეზე, ელექტრონული კომერციის შესახებ ცნობილია შემდეგი დირექტივები:

²⁸ P. Cavallar La culture numérique selon Dominique Cardon, Culture numérique, Presses de Sciences Po, 2019.

²⁹ Explanatory Report to the Convention on Cybercrime Budapest, 2001 წლის 23 ნოემბერი. <https://rm.coe.int/16800cce5b> [უ. გ. 29.11.2021].



- 1999 წლის 13 დეკემბრის 1999/93 დირექტივა ელექტრონული ხელმოწერების შესახებ;
- 2000 წლის დირექტივა 2000/31/EC ელექტრონული კომერციის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული უსაფრთხოების გარანტიას ბიზნესისა და მომხმარებლებისთვის;

საფრანგეთის, ნაციონალურ დონეზე აღსანიშნავია შემდეგი კანონები ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებით:

- 2000 წლის 3 მარტის კანონი ელექტრონული ხელმოწერის შესახებ³⁰
- კანონი ციფრული ეკონომიკის მიმართ ნდობის შესახებ;³¹

90-იანი წლების შემდეგ თითოეული მომხმარებელი არის დიფერენცირებული და არა მხოლოდ იდენტიფიცირებული. კომპანიები მომხმარებლისთვის ადაპტირებული შეთავაზების გაკეთებაზე მუშაობენ. ერთი-ერთზე (One-to-one) მარკეტინგი არის ისეთი მიმართულება, როდესაც ორგანიზაციები ცდილობენ ჰქონდეთ პერსონალიზებული ურთიერთობა მომხმარებლებთან. ამ ტიპის მარკეტინგი აერთიანებს ოთხ ფაზას: იდენტიფიცირება, დიფერენცირება, ურთიერთქმედება და პერსონალიზაცია. კლიენტთა ურთიერთობის მენეჯმენტი (CRM), და მისი სისტემები ხელს უწყობს მონაცემთა ბაზის შექმნას მომხმარებლის ლოიალობისთვის. ამრიგად, პროდუქტის/ სერვისის მიმწოდებელი ახერხებს მომხმარებლის პროფილის შექმნას მიღებული მონაცემების დამუშავებით.

განსაკუთრებით საფრთხილოა მესამე პირისათვის მონაცემთა გადაცემა, რადგანაც ეს ქმედება მონაცემებზე პირადი კონტროლის პოტენციური დაკარგვის დიდ რისკს შეიცავს. ხშირად, მომხმარებელმა არ იცის, ვის მიეწოდება ეს მონაცემები და როგორ ხდება მათი შენახვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ყოველთვის იქნება რისკები, რომ მესამე მხარე არ დაემორჩილოს მონაცემთა დაცვის კანონებს. მიუხედავად რისკებისა, ონლაინ გაყიდვების რიცხვი იზრდება. საფრანგეთი არის მეორე უდიდესი ელექტრონული კომერციის ბაზარი ევროპაში გაერთიანებული სამეფოს შემდეგ. ამას მომწმობს ორგანიზაცია ფევადის მიერ ჩატარებული კვლევები.³²




³⁰ Loi n° 2000-230 du 13 mars 2000 portant adaptation du droit de la preuve aux technologies de l'information et relative à la signature électronique.

³¹ Loi n° 2004-575 du 21 juin 2004 pour la confiance dans l'économie numérique.

³² LES CHIFFRES CLÉS 2019 FÉDÉRATION E-COMMERCE ET VENTE À DISTANC https://www.fevad.com/wp-content/uploads/2019/06/Chiffres-Cles-2019_BasDef-1.pdf [უ. გ. 29.11.2021].


ევროკავშირის წვერი ქვეყნების ინტერნეტში ჩართულობის და ელექტრონული კომერციის დინამიკა ასე გამოიყურება.³³

ევროკავშირის წვერი ქვეყნების ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა (პროცენტებში)



წყარო EUROSTAT

ევროკავშირის წვერ ქვეყნებში კომერციული ელექტრონული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა (პროცენტებში)



წყარო EUROSTAT; STATISTA

³³Key figures on Europe. 2021 წლის მახვი. <https://ec.europa.eu/eurostat/documents/3217494/13394938/KS-EI-21-001-EN-N.pdf/ad9053c2-debd-68c0-2167-f2646efeaec1> [უ. გ. 30.11.2021].

5. კვლევა


კვლევა ჩატარდა ფრანგულ (Sorbonne; Paris I; Master SIC/MIKS) და ქართულ უნივერსიტეტებში. საქართველოს მხრიდან კვლევაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის, ღია უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტის, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტების წარმომადგენლები. კვლევის პერიოდი მოიცავდა 2018-2021 წლებს. კვლევის მიზანი იყო სასწავლო დაწესებულებებში პერსონალური მონაცემების დაცვისადმი დამოკიდებულების და ცოდნის განსაზღვრა. შერჩევა მოხდა იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომელიც ყველაზე მკაფიოდ გამოხატავდა ახალგაზრდა და საშუალო თაობის დამოკიდებულებას პირადი ცხოვრებისა და პერსონალური ინფორმაციის გაცემისა და დაცვის შესახებ. ფოკუს ჯგუფში იყვნენ დაწესებულების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. ასაკობრივი კატეგორია განისაზღვრა 20-60 წლამდე. კვლევა იყო ნებაყოფლობითი და რესპოდენტთა ანონიმურობა მკაცრად დაცული. კითხვარი იყო სტუქტურირებული და ნახევრად სტუქტურირებული. გამოყენებული იყო დიქტომიური კითხვები და ასევე ზოგიერთი პასუხის დიაპაზონის გასაზომად ლაიკერტის სკალის მეთოდი. რესპოდენტთა რაოდენობა იყო 230. პასუხები გაანალიზდა გუგლის ავტომატური შეჯამების მეთოდით. გთავაზობთ მცირე ნაწილს ამ კვლევიდან.

კითხვარი :

1. თუ გინანიათ პირადი ინფორმაციის გასაჯაროება?
2. თუ შეგეცვალათ დამოკიდებულება სოციალური ქსელების მიმართ მას შემდეგ, რაც მომხმარებელთა მონაცემების არასათანადო შენახვის გამო ფეისბუქი რეკორდული თანხით, 5 მილიარდი დოლარით, დაჯარიმდა?
3. თქვენი პერსონალური მონაცემების არასათანადოდ დამუშავების შემთხვევაში თუ ფიქრობთ მიმართოთ შესაბამის ორგანოს უფლებების დასაცავად?
4. დავიწყების უფლება (Right to be forgotten), ერთერთი მნიშვნელოვანი პუნქტია 2018 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციაში, რაც ათასობით ინტერნეტის მომხმარებელმა გამოიყენა. რა მოსაზრება გაქვთ ამ საკითხზე?
5. თუ გსმენიათ GDPR რეგულაციის შესახებ?
6. საფრანგეთში 2018 წლიდან არსებობს ინფორმაციული სიტემა უმაღლეს სასწავლებლებში ორიენტაციის შესახებ « système d'information sur l'orientation dans le supérieur ». შემქმნელების მოსაზრებით, ეს სიტემა ხელს უწყობს არსებული პრობლემატიკის და ინტერესების დანახვას, მომავლში მათი სრულყოფის მიზნით. თითოეულ მოსწავლეზე და სტუდენტზე თავმოყრილია სრული ინფორმაცია სკოლიდან უნივერსიტეტამდე. ანონიმიზირებული ინფორმაცია მიეწოდება მკვლევარებსაც. რამდენად გამართლებულად მიაგაჩნიათ მსგავსი სისტემის არსებობა, და იგივე პრაქტიკის გამოყენება საქართველოში ?


თუ გქონიათ შემთხვევა, როცა პირადი ინფორმაციის გამოაშკარავების შემდეგ გინანიათ, რომ ეს ინფორმაცია საჯარო გახადეთ

140 réponses




avez vous jamais regretté d'avoir délivré vos informations?

90 réponses




თუ შეგეცვალათ დამოკიდებულება სოციალური ქსელების მიმართ მას შემდეგ, რაც მომხმარებელთა მონაცემების არასათანადო შენახვის გამო ფეისბუქი რეკორდული თანხით, 5 მილიარდი დოლარით, დაჯარიმდა, <https://www.france24.com/fr/20190724-facebook-accepte-amende-milliards-dollars-ftc-record-critiques>

140 réponses




Avez vous modifié votre attitude envers les réseaux sociaux après la sanction de Facebook de 5 milliard d' euros <https://www.france24.com/fr/20190724-facebook-accepte-amende-milliards-dollars-ftc-record-critiques>

89 réponses




თქვენი პერსონალური მონაცემების არასათანადოდ დამუშავების შემთხვევაში თუ ფიქრობთ მიმართოთ შესაბამის ორგანოს უფლებების დასაცავად

140 réponses



Vous adresserez vous aux organisations compétentes pour la défense de vos droits au cas de l'abus ?

90 réponses




დავიწყების უფლება (Right to be forgotten), ერთერთი მნიშვნელოვანი პუნქტია 2018 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციაში, რაც ათასობით ინტერნეტის მომხმარებელმა გამოიყენა. რა მოსაზრება გაქვთ ამ საკითხზე

130 réponses




Quel est pour vous le droit à l'oubli

85 réponses




თუ გსმენიათ GDPR რეგულაციების შესახებ

139 réponses




Connaissez vous le RGPD

90 réponses



საფრანგეთში 2018 წლიდან არსებობს ინფორმაციული სიტემა უმაღლეს სასწავლებლებში ორიენტაციის შესახებ « système d'information sur l'orientation dans le supérieur ». შემქმნელების მოსაზრებით, ეს სიტემა ხელს უწყობს არსებული პრობლემატიკის და ინტერესების დანახვას, მომავალში მათი სრულყოფის მიზნით. თითოეულ მოსწავლეზე და სტუდენტზე თავმოყრილია სრული ინფორმაცია სკოლიდან უნივერსიტეტამდე. ანონიმიზირებული ინფორმაცია მიეწოდება მკვლევარებსაც. რამდენად გამართლებულად მიაგაჩნიათ მსგავსი სისტემის არსებობა, და იგივე პრაქტიკის გამოყენება საქართველოში

133 réponses



Arrêté du 23 novembre 2018 portant création d'un traitement automatisé de données à caractère personnel dénommé « Système d'information sur l'orientation dans le supérieur » (ORISUP) Qu' es ce que c' est pour vous ?

86 réponses



კვლევის შედეგები: კვლევის პასუხებიდან ცხადი ხდება, რომ როგორც, ქართველი ასევე, ფრანგი რესპონდენტები წუხილს გამოთქვამენ ხშირად თავის ნებით გამოქვეყნებული პერსონალური ინფორმაციის თაობაზე. სოციალური ქსელების მიმართ დაწესებული კოლოსალური ჯარიმები ცნობილი სკანდალის შემდგომ მომხმარებელში მკვეთრ უნდობლობას იწვევს. დავიწყების უფლება მომხმარებელთა მიერ აღიქმება, როგორც დისკრიმინაციული დამოკიდებულების შესაჩერებელი მკვეთრი მექანიზმი. აღნიშნული კვლევები ცხადყოფს, რომ ფრანგი მომხმარებელი მეტადაა გათვითცნობიერებული GDPR რეგულაციებში, ვიდრე ქართველი რესპოდენტები. (სხვაობა 58 %). ქართველი სტუდენტები სკეპტიკურად უყრებენ უმაღლეს სასწავლებელში (ORISUP) მსგავსი სისტემის შემოღებას და თვლიან, რომ ჩვენი ქვეყნის რეალობაში მეტი რისკის შემცველი იქნება პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით მსგავსი იდეა. რაც შეეხება მონაცემების არასათანადო დამუშავების შემთხვევას, ამ პუნქტში ქართველი რესპონდენტების 77,1 % ფიქრობს რომ მიმართავს სათანადო ორგანოებს უფლებების დასაცავად მაშინ როდესაც, გამოკითხული ფრანგი სტუდენტების მხოლოდ 52,2 % აპირებს საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლას.

დასკვნა

1990-იან წლებში კომპანიები კმაყოფილებოდნენ ბაზართან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებით (ბაზრის წილი, მომხმარებლის მახასიათებლები და ა.შ.). ამჟამად ისინი მიზნად ისახავენ კონკრეტული მონაცემების შეგროვებას თითოეულ მომხმარებელზე მათი პრეფერენციების განსასაზღვრად. იმ დროს შეგროვება ხდებოდა პირისპირ, ტელეფონით ან ფოსტით. დღეს ახალმა სისტემამ სრულიად შეცვალა რეალობა. ტექნოლოგიების გამოყენებით მონაცემთა შეგროვება, შენახვა და გადაცემა ხდება დიდი სიჩქარით მთელ მსოფლიოში. მართალია, ტექნოლოგია განვითარდა, მაგრამ საფრთხის ქვეშ დადგა მომხმარებელთა კონფიდენციალურობის და პირადი ცხოვრების დაცვის საკითხი. ბიზნესისთვის მონაცემების შეგროვება და დამუშავება სტრატეგიული საკითხია, რომელიც, ერთი მხრივ, კანონით, მეორე მხრივ, პირადი ეთიკით უნდა რეგულირდებოდეს. პერსონალური მონაცემების დაცვის შესწავლისას ვამჩნევთ, რომ ამ საკითხით რამდენიმე მეცნიერებაა დაინტერესებული. მათ შორის დიდია „მარკეტოლოგების“ ინტერესი მომხმარებლის მონაცემების მიმართ. ასევე მნიშვნელოვანია ამ საკითხებზე სოციოლოგების, ფსიქოლოგების და კომპიუტერული მეცნიერებების სპეციალისტების მოსაზრებები.

სოციოლოგიაში ჩვენ ვსაუბრობთ სოციალურ კონტრაქტზე, გაცვლის ფორმაზე, რომელშიც ინდივიდები მონაწილეობენ ეკონომიკური ან სოციალური სარგებლის სანაცვლოდ. „სოციალური კონტრაქტის“ ცნება გულისხმობს ინდივიდების მზაობას პირადი ინფორმაციის გაცემის თაობაზე, შესაფერისის სანაცვლოდ. ფსიქოლოგიაში პიროვნების შესახებ ინფორმაციის გაცემა პერსონალურ ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებული ფენომენია. პირადი ცხოვრება არის საფუძველი, რომელზედაც შესაძლებელია კონფიდენციალურობის აშენება.

ამ თემაზე პასუხების მრავალფეროვნება აჩენს კითხვას, რას მოიცავს კონფიდენციალურობა და სად გადის ზღვარი პერსონალურ მონაცემებს, კომერციულ და უსაფრთხოების ინტერესებს შორის. არსებობს ბევრი ნაშრომი თვითგამქლავნების შესახებ, რომელშიც ეს მოვლენა

განისაზღვრება, როგორც პროცესი, რომლითაც ადამიანი პერსონალურ ინფორმაციას აწოდებს სხვებს. ინდივიდი ცხოვრობს საზოგადოებაში და რეგულარულად ურთიერთობს სხვა ინდივიდებთან, ამ ჯგუფის წევრებთან. ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ორი ტიპის გაცვლა ჩვენს საზოგადოებებში:

- ეკონომიკური გაცვლა (როდესაც „საქონლის“ გაცვლა შესაძლებელია ფულად ექვივალენტში);
- სოციალური გაცვლა, როდესაც წინასწარ არ იციან ინდივიდებმა რა ტიპის ანაზღაურება ექნებათ მათ.³⁴

ფრანგი სოციოლოგის აზრით, ყოველი ინდივიდი არის „ჰომო ეკონომიკუსი“,³⁵ რომელიც ხშირად საკუთარ მომგებიან ინტერესებს წამოწევს წინ. დავეთანხმდებით თუ არა პიერ დემეონელარის მოსაზრებას, ეს ჩვენს პიროვნულ ხედვაზეა დამოკიდებული, მაგრამ უდავოა, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი ახალ ტექნოლოგიურ ერაში ყველა მომხმარებლის საზრუნავია და მისი გასაჯაროება დიდ სიფრთხილეს საჭიროებს.

³⁴ P. Blau, Exchange and Power in Social Life, eBook Published 25 October 2017.

³⁵ Pierre Demeulenaer « Homo oeconomicus », Presse Universitaires de France, 2003.

ბიბლიოგრაფია

1. Facebook : une amende de 5 milliards de dollars et de nouveaux garde-fous, déjà contestés 2019 წლის 24 ივლისი. https://www.lemonde.fr/pixels/article/2019/07/24/donnees-personnelles-les-etats-unis-imposent-de-nouveaux-garde-fous-a-facebook-deja-contestes_5493017_4408996.html [უკანასკნელად გადამოწმდა 28.11.2021];
2. Liberté de l'establishment. Journal du droit international (Clunet), N3. 2009-07-01. GAILLARD Emmanuel, Racine Jean-Baptiste;
3. Serge Findling, Joseph C. Pucciarelli, Michael Jennett. " IDC FutureScape: Worldwide CIO Agenda 2018 Predictions" 2017 წლის ნოემბერი. <https://www.idc.com/getdoc.jsp?containerId=US43203417&pageType=PRINTFRIENDLY>; [უკანასკნელად გადამოწმდა 27.11.2021];
4. Big data et analytique : un marché promis à une croissance à deux chiffres, 2021 წელი 18 აგვისტო <https://www.silicon.fr/big-data-analytique-croissance-414574.html#:~:text=Actualit%C3%A9s%20Big%20Data-,Big%20data%20et%20analytique%20%3A%20un%20march%C3%A9%20promis,une%20croissance%20%C3%A0%20deux%20chiffres&text=Selon%20les%20plus%20r%C3%A9centes%20pr%C3%A9visions,de%20dollars%20cette%20ann%C3%A9e%202021.> [უკანასკნელად გადამოწმდა 27.11.2021];
5. E-learning – Chiffres et tendances du marché 2020 წლის 8 აპრილი. <https://www.callimedia.fr/e-learning-chiffres-et-tendances-du-marche/> [უკანასკნელად გადამოწმდა 28.11.2021];
6. BAROMÈTRE E-LEARNING 2020 6 თებერვალი. [//www.afinef.net/wp-content/uploads/2020/07/Barometre-AFINEF-Digital-Learning-2020-Presses.pdf](http://www.afinef.net/wp-content/uploads/2020/07/Barometre-AFINEF-Digital-Learning-2020-Presses.pdf) [უკანასკნელად გადამოწმდა 29.11.2021];
7. L'article 226-4-1 du Code pénal ;
8. GAFAM, GAFAM ou NATU: les nouveaux maîtres du monde » 2021 წლის 29 ივლისი <https://www.lafinancetoutous.com/decryptages/finance-et-societe/nouvelles-economies/gafa-gafam-ou-natu-les-nouveaux-maitres-du-monde/> [უკანასკნელად გადამოწმდა 29.11.2021];
9. Les Français et la protection des données personnelles, études de l'Institut du CSA pour Orange, 2014;
10. Droit à l'oubli : la Cnil dit non au recours de Google » La Tribune, 2015 წლის 21 სექტემბერი. <https://www.latribune.fr/technos-medias/internet/droit-a-l-oubli-la-cnil-dit-non-au-recours-de-google-506908.html> [უკანასკნელად გადამოწმდა 29.11.2021];
11. Arrête Google Spain c/ AEPD et Costeja Conzales, 13/05/2014. Demande de décision préjudicielle, introduite par l'Audiencia Nacional;
12. GDPR ; Droit à l'effacement "droit à l'oubli" Article17. <https://www.gdpr-expert.eu/article.html?id=17#textesofficiels> [უკანასკნელად გადამოწმდა 29.11.2021];
13. GDPR Right to object Art. 21 <https://gdpr-info.eu/art-21-gdpr/> [უკანასკნელად გადამოწმდა 29.11.2021];
14. Fabien Hanna. Etude „Value Me“ de Microsoft Advertising sur la valorisation des données personnelles 2015 წლის 20 ივლისი. [უკანასკნელად გადამოწმდა 29.11.2021];
15. Milad Doueihy. Digital Cultures, (2011a). En traduction française, La grande conversion numérique 2008;

16. Peppe Cavallar. La culture numérique selon Dominique Cardon, Culture numérique, Presses de Sciences Po, 2019;
17. Explanatory Report to the Convention on Cybercrime Budapest, 2001 წლის 23 ნოემბერი. <https://rm.coe.int/16800cce5b> [უკანასკნელად გადამოწმდა 29.11.2021];
18. Loi n° 2000-230 du 13 mars 2000 portant adaptation du droit de la preuve aux technologies de l'information et relative à la signature électronique;
19. Loi n° 2004-575 du 21 juin 2004 pour la confiance dans l'économie numérique;
20. LES CHIFFRES CLÉS 2019 FÉDÉRATION E-COMMERCE ET VENTE À DISTANC https://www.fevad.com/wp-content/uploads/2019/06/Chiffres-Cles-2019_BasDef-1.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 29.11.2021];
21. „Key figures on Europe“ 2021 წლის მასი. <https://ec.europa.eu/eurostat/documents/3217494/13394938/KS-EI-21-001-EN-N.pdf/ad9053c2-debd-68c0-2167-f2646efeaec1> [უკანასკნელად გადამოწმდა 30.11.2021];
22. P. Blau, Exchange and Power in Social Life, eBook Published 25 October 2017;
23. Pierre Demeulenaer „Homo oeconomicus“, Presse Universitaires de France, 2003.

ფსიქოლოგია



კოვიდპანდემია და სტუდენტების ფსიქოლოგიური მდგომარეობა

მადონა კეკელია,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ელისო კერესელიძე,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ინა შანავა,

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული დაავადება (COVID-19) 2019 წლის დეკემბრის ბოლოს ჩინეთში, ქალაქ ვუჰანში დაფიქსირდა და მისთვის დამახასიათებელი ვირულენტობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, მთელს მსოფლიოში სწრაფად გავრცელდა. 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვითარება პანდემიად შეაფასა, საქართველოში კი 2020 წლის მარტს საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ვირუსის გავრცელების შეზღუდვის მიზნით ამოქმედდა „ლოქდაუნი“ და, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა, მოსახლეობას სახლიდან გასვლის უფლება შეეზღუდა, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი შეჩერდა, აიკრძალა ყველა სახის თავყრილობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება. ამ პირობებში, ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებულ საფრთხეებთან და ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, სტუდენტები განათლების მიღების კუთხითაც რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ, რაც ონლაინ სწავლებაზე გადასვლით იქნა განპირობებული.

სტუდენტების სოციალური ჯგუფი ცხოვრების აქტიური წესით, ურთიერთობების ფართო სპექტრითა და კონტაქტებით გამოირჩევა. ვირუსის გავრცელების შეწყვეტის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით შემუშავებული სოციალური დისტანცირების პოლიტიკისა და განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, კონტაქტების შემცირებამ მარტოობის განცდასა და დეპრესიას მისცა ბიძგი. ყოველივე ეს კი, სავარაუდოდ, სტუდენტთა ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე უარყოფითად მოქმედებს. დადასტურებულია, რომ სტუდენტებში სტრესის მაღალი მაჩვენებელი დაკავშირებულია დაბალ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან, რაც თავის მხრივ, შესაძლოა, ცუდი აკადემიური მოსწრებისა და სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემების წარმოშობის საფუძველი გახდეს.¹ ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზნად განისაზღვრა კოვიდპანდემიით

¹ S. Akhter, "Psychological Well-Being in Student of Gender Difference". The International Journal of Indian Psychology Volume 2, Issue 4, 2015.

T. Munir, S. Shafiq, Z. Ahmad, S. Khan, "Impact of Loneliness and Academic Stress on Psychological Well Being among College Students". Academic Research International Vol. 6(2) March 2015.

გამოწვეული შეზღუდვების პირობებში, სტუდენტებთან მარტობის, დეპრესიისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებლებს შორის კავშირის დადგენა. მიზნის შესაბამისად, გამოყენებულ იქნა პაციენტის ჯანმრთელობის კითხვარი (PHQ-4), მარტობისა (UCLA) და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის საკვლევი სკალები (PWBS). მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ დეპრესია, შფოთვა და მარტობა უარყოფით კავშირშია ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან. განსხვავებები დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით იქნა გაანალიზებული.

საკვანძო სიტყვები: ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მარტობა, დეპრესია, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა.

შესავალი

კოვიდპანდემიის პირობებში, თანამედროვე სამყაროსთვის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებით აქტუალურია. ახალ რეალობაში, პანდემიით შექმნილი პრობლემები იწვევს საზოგადოებაში სტრესის, შფოთვისა და დეპრესიის მაჩვენებლების ზრდას, რაც შესაძლოა ცხოვრებისადმი პესიმისტური დამოკიდებულების, თავდაჯერებულობის შემცირების, მომავლისადმი რწმენის დაკარგვის, ცხოვრებისეული მიზნებისა და ღირებულებების შეცვლის განმსაზღვრელი გახდეს.

ფსიქოლოგიური კეთილდღეობისა და სულიერი ჯანმრთელობის მიმართ ინტერესმა პიკს 1950-იანი წლების ბოლოდან 1970-იან წლებამდე პერიოდში მიაღწია. ფსიქოლოგიური კეთილდღეობა მოიაზრებს ბედნიერების, ცხოვრებით კმაყოფილებისა და ადამიანის მიერ სტრესული სიტუაციების წარმატებით დაძლევის განცდას.²

ფსიქოლოგიური კეთილდღეობა შესაძლოა კოგნიტიური და ემოციური თვალსაზრისით იქნას განხილული, რაც გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი სოციალური ცხოვრების, მდგომარეობისა და ურთიერთობების დადებითად შეფასებას. კოგნიტიური შეფასება მოიაზრებს პიროვნების ცხოვრებისეული მდგომარეობით კმაყოფილების ხარისხს. აფექტური ასპექტი, უმთავრესად, გრძნობებს ეყრდნობა და ასახავს, თუ რამდენად ხშირად განიცდის ადამიანი ბედნიერებასა და სევდას. ეს შეფასება ეფუძნება დაშვებას, რომ ადამიანები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კარგსა და ცუდს, და შესაბამისად, ისინი ასევე აფასებენ საკუთარ ცხოვრებასაც, ე.ი. როგორც კარგს ან ცუდს.³

აღსანიშნავია, რომ გარდა სოციალური ცხოვრებით კმაყოფილებისა, დემოგრაფიული და ცხოვრებისეული ასპექტები შესაძლოა, ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე ზეგავლენას ახდენდნენ იმ შემთხვევაშიც, თუ ის საკუთარი მიზნის მიღწევით არის განპირობებული.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ემპირიულ კვლევებში გამოიყენებოდა Ryff-ის სკალები. კვლევები მოიცავდა სამუშაოსთან, გადაადგილებასთან, პიროვნებასთან, მის კეთილდღეობასთან და ნიჭიერი სტუდენტების მიერ მათი პოტენციალის რეალიზაციის უნართან დაკავშირებულ საკითხებს. ამას გარდა, Ryff-ის მოდელი გამოიყენებოდა კოლეჯის

² R. K. Bhagchandani, Effect of Loneliness on the Psychological Well-Being of College Students, International Journal of Social Science and Humanity, Vol. 7, No. 1, January 2017.

³ S. Akhter, Psychological Well-Being in Student of Gender Difference. The International Journal of Indian Psychology Volume 2, Issue 4, 2015.

სტუდენტებში დეპრესიის ხარისხის, ღირებულებათა სისტემის და პერფექციონიზმის შესასწავლად.⁴

სტუდენტთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობა კვლევების ცენტრალურ თემას წარმოადგენს. სოციალური იზოლაციისა და აკრძალვების პირობებში, ფსიქო-სოციალურ პრობლემებთან ერთად, საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელებული სწავლების ფორმატის ცვლილება (სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა) და სოციალური ურთიერთობების შეზღუდვაც სტუდენტებისათვის მტკივნეული აღმოჩნდა. უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება ახალგაზრდისათვის ნიშნავს მისი ინდივიდუალობის ძიებას, რეალიზაციას, ახალ და საინტერესო სოციალური ურთიერთობებს, დამოუკიდებლობას.

პანდემიის პირობებში სოციალური იზოლაციისას, ემოციური და სოციალური მხარდაჭერის შეზღუდვამ შეიძლება ბიძგი მისცეს მარტობისა და დეპრესიის განცდას. ცნობილია, რომ სტუდენტებს, რომლებიც მარტობას განიცდიან, აწუხებთ არასრულფასოვნების კომპლექსი და დაბალი თვითფექტურობა. თვითრწმენის დაბალი ხარისხი მოიცავს საკუთარი ჯანმრთელობის, გარეგნობის, ქცევისა და ფუნქციონირების ნეგატიურ შეფასებას. სტუდენტის დეპრესიული განწყობა ხელს უშლის მის აკადემიურ მოსწრებას, რამდენადაც განაპირობებს კონცენტრაციის სირთულეებს, დაბალ თვითშეფასებასა და სიამოვნების განცდის შემცირებას ისეთი საქმის კეთებისას, რაც მისთვის ადრე სახალისო იყო.⁵

მარტობა მდგომარეობაა, რომელიც ყველა ასაკის ადამიანზე ახდენს გავლენას. ესაა სუბიექტურად აღქმული ნეგატიური განცდა, რომელიც უკავშირდება სოციალური ურთიერთობების ნაკლებობას. მარტობის განცდა დაკავშირებულია ადამიანის მიერ მისი სოციალური ურთიერთქმედების საერთო დონის შეფასებასთან. მისი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, თუ სოციალური ურთიერთობების რეალური ხარისხი და რაოდენობა რამდენად ჩამორჩება სასურველს. მარტობის განცდა შეიძლება იყოს ადამიანისთვის მნიშვნელოვანი სოციალური ურთიერთობების დანაკლისზე, სოციალური ურთიერთობების დაბალ ხარისხზე ან გულწრფელი და ემოციური ურთიერთობების დეფიციტზე რეაქცია. ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოციალურ გარემოსთან ინტერაქცია. პანდემიის დროს დაწესებული იზოლაცია ბიძგს აძლევს და ამძაფრებს მარტობის განცდას.⁶

მარტობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული განსაზღვრების მიხედვით, ესაა განცდა, რომელიც განპირობებულია იდეალურ და რეალურ სოციალურ ურთიერთობებს შორის სხვაობით. მარტობის განცდის განსაზღვრებები აღწერს მას, როგორც მარტოსულობის ან მარტოდ ყოფნის მდგომარეობას. მარტობის განცდა, არსებითად, მენტალიტეტია. მის გამო ადამიანი გრძნობს, რომ სულიერად დაცლილია, მარტოა და არასასურველია სხვებისთვის. ადამიანებს, რომლებიც მარტობაში არიან, ხშირად სურთ სხვა ადამიანებთან კონტაქტის დამყარება, რაშიც მათ თავიანთი მენტალიტეტი უშლის ხელს. მარტობა ყოველთვის განიხილებოდა, როგორც ფართოდ გავრცელებული პრობლემა ხანდაზმული ადამიანებისთვის, მაგრამ, დღეისათვის, მარტობის მაჩვენებლის მაღალი დონე შეინიშნება ახალგაზრდებშიც. მარტობა სუბიექტური გამოცდილებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ

⁴ იხ. სქოლიო 3.

⁵ A. Rahman, A. Bairagi, B. Kumar Dey & L. Nahar. "Loneliness and depression of university students". The Chittagong University J. of Biological Science, vol-7 (1&2), 2012, 175-189.

⁶ R. K. Bhagchandani, „ Effect of Loneliness on the Psychological Well-Being of College Students“, International Journal of Social Science and Humanity, Vol. 7, No. 1, January 2017.

ადამიანი ფიქრობს, რომ ის მარტოა, თავსაც მარტოობაში გრძნობს. აღსანიშნავია, რომ ყველა, ვინც მარტოა, აუცილებლად არ განიცდის მარტოობას.⁷

მარტოობა და სოციალური იზოლაცია ბევრი ფსიქიკური პრობლემის კატალიზატორი შეიძლება გახდეს, რომელთა შორისაცაა მწვავე სტრესული აშლილობები, გაღიზიანებადობა, უძილობა, ემოციური აშლილობა, განწყობის ცვლილებები, დეპრესიის სიმპტომები, შიში და პანიკა, შფოთვა, ფრუსტრაცია, მარტოობის განცდა, თვითდაზიანება, თვითმკვლელობა, ნივთიერებებზე დამოკიდებულება. ზოგიერთს მოსწონს მარტოდ ყოფნა. ტილიჩის (Tillich, 1959) თანახმად, „მარტოდ ყოფნა ასახავს განმარტოებით ყოფნის მშვენიერებას, ხოლო მარტოობა ასახავს მარტოობის განცდის ტკივილს“. ლარსონმა (Larson, 1997), მარტო ყოფნასა და მარტოობას შორის განსხვავების აღწერაში განმარტა, რომ „მარტოობის განცდა“ მარტივად უნდა იქნას განსხვავებული სხვა ცნებებისგან, ხოლო „მარტოდ ყოფნა“ ნიშნავს, რომ ადამიანმა თავად გააკეთა ასეთი არჩევანი.⁸

1. მეთოდი

კვლევის მიზანი: კოვიდპანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში, სტუდენტებთან მარტოობის, დეპრესიისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებლებს შორის კავშირის დადგენა. მიზნიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა პაციენტის ჯანმრთელობის კითხვარი (PHQ-4), მარტოობისა (UCLA) და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის საზომი სკალები (PWB). კვლევის მონაწილეები დებულებებს სკალებზე ქულების მიწერით აფასებდნენ. მონაცემების დასამუშავებლად გამოყენებულ იქნა SPSS 20.

სამიზნე ჯგუფი: სტუდენტები.

შერჩევა: გამოყენებულ იქნა არაალბათური შერჩევის მეთოდები - ხელმისაწვდომი შერჩევა და თოვლის გუნდა.

1.1. მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს 462-მა სტუდენტმა, რომელთაგან 87.7% მდედრობითი, ხოლო 12.3% მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო. კვლევაში მონაწილეთა 90% დასაოჯახებელი, 9.6% დაოჯახებელი და 0.4% განქორწინებული იყო. რესპონდენტთა 89.6% ცხოვრობს ოჯახთან ერთად, 6.3% მარტო ცხოვრობს, ხოლო-4.1% ნათესავებთან ერთად. კვლევაში ჩართულ სტუდენტთა 69.8% ის თანახმად, მათ საკუთარი შემოსავალი არა აქვთ, ხოლო 30.2% აფიქსირებს საკუთარი შემოსავლის ქონას. გამოკითხულ სტუდენტთა 88.3% საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს როგორც საშუალოს, 9.1% როგორც დაბალს, 2.6% როგორც მაღალს. კვლევაში მონაწილე სტუდენტთა 49.9% პირველი კურსის, 29.8% მეორე კურსის, 10.9% მესამე კურსის, ხოლო 9.4% მეოთხე კურსის სტუდენტი იყო. გამოკითხულ სტუდენტთა 20.6% საკუთარ სასწავლო წარმატებას აფასებს 70 ქულით, 19.5% - 50 ქულით, 16.2% - 80 ქულით,

⁷ იხ. სქოლიო 6.

⁸ R.K. Bhagchandani, "Effect of Loneliness on the Psychological Well-Being of College Students, International Journal of Social Science and Humanity", Vol. 7, No. 1, January 2017.

14.8% - 60 ქულით, 10.8% - 90 ქულით, 6.6% - 40 ქულით, 4.2% - 100 ქულით, 2.9% - 30 ქულით, 2.2% - 10 ქულით, 1.8% - 20 ქულით, 0.4% - 0 ქულით.

1.2. მონაცემების შეგროვების პროცედურა

GoogleDrive პლატფორმის გამოყენებით, შესაძლებელი გახდა კვლევის მონაცემების მოპოვება. რესპონდენტები გამოკითხვაში მონაწილეობას ნებაყოფლობით იღებდნენ. დაცული იყო ანონიმურობა. სრულყოფილი ინფორმაციის მიღების მიზნით, ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა სავალდებულო იყო.

1.3. კვლევის შეზღუდვა

კვლევის მთავარ ნაკლს წარმოადგენს რესპონდენტთა შერჩევასთან დაკავშირებული შეზღუდვა. უმჯობესი იქნებოდა, კვლევაში ჩართული ყოფილიყვნენ საქართველოში არსებული სხვა უსდ-ების სტუდენტებიც. შეზღუდვა უკავშირდება, ასევე, გენდერული ბალანსის დარღვევას, რომლის თანახმადაც, რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას მდედრობითი სქესის წარმომადგენლები შეადგენდნენ.

2. ინსტრუმენტები

2.1. პაციენტის ჯანმრთელობის კითხვარი

პაციენტის ჯანმრთელობის კითხვარი (The Patient Health Questionnaire-4: PHQ-4)⁹ - 4 დებულებისაგან შედგება და ლაიკერტის ოთხპუნქტიან სკალაზე დებულებებისათვის ქულების მიწერით ფასდება (1- სრულებით არა; 2-რამდენიმე დღე; 3-უმეტესი დღეების განმავლობაში; 4 - თითქმის ყოველდღე). ინსტრუმენტის საშუალებით შესაძლებელია დეპრესიისა (PHQ-2) და შფოთვის (GAD-2) გაზომვა ორ-ორ პუნქტიანი სკალებით. შეფასება ოთხივე დებულებაზე მიწერილი ქულების საერთო ჯამით განისაზღვრება. მიღებული ქულები ფასდება როგორც ნორმალური (0-2), მსუბუქი (3-5), საშუალო (6-8), და მძიმე (9-12). თუ პირველი ორი შეკითხვის შეფასება ჯამში ≥ 3 ქულის, მიუთითებს შფოთვის მაჩვენებელზე, ხოლო, თუ მეორე ორი შეკითხვის შეფასება ჯამში ≥ 3 ქულის, სავარაუდოა დეპრესიის არსებობა. აღსანიშნავია, რომ სკალა წარმოადგენს პრობლემის იდენტიფიცირების შემოკლებულ ვარიანტს, რომელიც არ გამოიყენება დეპრესიისა და შფოთვის დიაგნოსტიკისათვის.

⁹K. Kroenke, R. L Spitzer, J. T BW Williams, L. B. Löwe. "An ultra-brief screening scale for anxiety and depression: the PHQ-4". Psychosomatics 2009; 50:613-621.

Occupational Medicine, "Patient Health Questionnaire-4", QUESTIONNAIRE REVIEW. 2016; 66:760-761.

2.2. ფსიქოლოგიური კეთილდღეობის საზომი სკალა

ფსიქოლოგიური კეთილდღეობის საზომი სკალა (The Psychological Well-Being scale: PWB).¹⁰ 8 დებულებისგან შედგება და ინდივიდის ფუნქციონირების მნიშვნელოვან ასპექტებს აღწერს ჯანსაღი სოციალური ურთიერთობების, კომპეტენტურობის განცდის, ინდივიდის ცხოვრების მთავარი საზრისისა და მიზნების ჩათვლით. თითოეული დებულება შვიდბალიან სკალაზე ფასდება (1= სრულიად არ ვეთანხმები; 2 = არ ვეთანხმები; 3 =ნაწილობრივ არ ვეთანხმები; 4 =თან ვეთანხმები, თან არა; 5=ნაწილობრივ ვეთანხმები; 6=ვეთანხმები; 7= სრულიად ვეთანხმები). ყველა დებულებაში ასახულია პოზიტიური მიმართება. ქულები შეიძლება მერყეობდეს 8 ქულიდან (სრულებით არ ვეთანხმები არცერთ დებულებას) 56 ქულამდე (სრულებით ვეთანხმები ყველა დებულებას). მიღებულ ქულათა მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს რესპონდენტების მიერ საკუთარი თავისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებებზე ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინსტრუმენტით ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ცალკეული ასპექტების კვლევა ინდივიდუალურად არ ხდება, ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა სფეროში პოზიტიური ფუნქციონირების შესახებ მიმართებებზე.

2.3. მარტოობის სკალა (კალიფორნიის უნივერსიტეტი, ლოს ანჯელესი)

მარტოობის სკალა (კალიფორნიის უნივერსიტეტი, ლოს ანჯელესი) LonelinessScale, UniversityofCalifornia, LosAngeles UCLA).¹¹ სამი დებულებისგან შემდგარი სკალაა და თითოეული დებულება სამბალიანი სისტემით ფასდება: (1=იშვიათად; 2=ზოგჯერ; 3=ხშირად) ინსტრუმენტი სამი ასპექტის: სოციალური კავშირების, ურთიერთკავშირების (მიმართებები) და თვითაღქმული კავშირების გაზომვის საშუალებას იძლევა. დებულებებისთვის სკალაზე მიწერილი ქულების საერთო ჯამი თუ მაღალია, ეს მარტოობის მაღალ მაჩვენებელზე, ხოლო ქულათა დაბალი მაჩვენებელი, მარტოობის დაბალ მაჩვენებელზე მიანიშნებს.

3. შედეგების აღწერა

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, უნდა დადგენილიყო პაციენტის ჯანმრთელობის საკვლევი სკალაზე რესპონდენტების დეპრესიისა და შფოთვის მაჩვენებლები. ორგანოზომილებიანი ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა 31,8%-ს დეპრესიისა და შფოთვის ნორმალური, 37,9%-ს მსუბუქი, 17,7%-ს საშუალო, ხოლო 12,6%-ს კი მძიმე მაჩვენებელი აქვს. აღნიშნულ სკალაზე განსხვავებები გამოიკვეთა გენდერული მახასიათებლების მიხედვით, კერძოდ, მდედრობითი სქესის 28%-ს, ხოლო მამრობითი სქესის 25%-ს აქვს დეპრესია და შფოთვა. დასაოჯახებელ რესპონდენტებში, დეპრესიისა და შფოთვის მაჩვენებელი უფრო მაღალია (27%), ვიდრე დაოჯახებულ (26%) და განქორწინებულ (22%) სტუდენტებში.

¹⁰ Ed Diener, D. Wirtz, R. Biswas-Diener, W. Tov, Chu Kim-Prieto, Dong-won Choi, and S. Oishi, "New measures of well-being: Flourishing and Positive and Negative Feelings". C Springer Science+Business Media B.V. 2009.

¹¹E. Hughes, L. J. Waite, L. L.C. Hawkey, T.J. Cacioppo. "A Short Scale for Measuring Loneliness in Large Surveys". Res Aging, 2004, 26, 655–672.

სტატისტიკურად სანდო განსხვავებები გამოვლინდა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლის თანახმადაც, ერთგანზომილებიანი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ რაც უფრო დაბალია ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა, მით უფრო მაღალია დეპრესიისა და შფოთვის მაჩვენებელი ($P=0.000<0.05$). იმ რესპონდენტებში, რომელთა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა არის დაბალი, შფოთვისა და დეპრესიის მაჩვენებელი მაღალია (36%). დეპრესია ვლინდება რესპონდენტთა 26%-თან, რომლებიც ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებენ, როგორც საშუალოს და 30 %-თან, რომლებიც აფასებენ როგორც მაღალს. შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ოჯახთან ერთად მცხოვრებ სტუდენტთა 27%-ს, მარტო მცხოვრებ სტუდენტთა 32%-ს და ნათესავებთან ერთად მცხოვრებ სტუდენტთა 32%-ს აქვს დეპრესია და შფოთვა. დეპრესია ვლინდება იმ სტუდენტების 30%-თან, რომლებსაც საკუთარი შემოსავალი აქვთ და იმ 26%-თან, რომელთაც საკუთარი შემოსავალი არ აქვთ.

შედეგების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლის საფეხურის მიხედვით გამოვლენილი განსხვავებები პაციენტის ჯანმრთელობის საკვლევ სკალაზე სტატისტიკურად სანდოა. კერძოდ, სწავლის საფეხურის ზრდასთან ერთად, სტუდენტებთან ვლინდება დეპრესიის მაჩვენებლის მზარდი ტენდენცია. პირველკურსელ სტუდენტთა 23%-თან, მეორე კურსის სტუდენტთა 32%-თან, მესამე კურსის სტუდენტთა 31%-თან და მეოთხე კურსის სტუდენტთა 31%-თან დეპრესია და შფოთვა გამოვლინდა. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სასწავლო წარმატების კავშირი დეპრესიის მაჩვენებელთან რომლის თანახმადაც, რაც უფრო მაღალია დეპრესიის მაჩვენებელი, მით უფრო დაბალია სტუდენტების მიერ საკუთარი წარმატების შეფასება (50%) და რაც უფრო დაბალია დეპრესიის მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია სტუდენტების მიერ საკუთარი აკადემიური წარმატების შეფასების მაჩვენებელი (12%), $P=0.000<0.05$.

მარტოობის საკვლევ სკალაზე მიღებული მონაცემების დასამუშავებლად გამოყენებულ იქნა ორგანზომილებიანი ანალიზი, რომლის თანახმადაც გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა 52,8%-ს მარტოობის საკვლევ სკალაზე დაბალი, 30,3%-ს საშუალო, ხოლო 16,9%-ს მაღალი მაჩვენებელი აქვს. სკალაზე განსხვავებები გამოიკვეთა გენდრულ ჭრილშიც, კერძოდ, მდედრობითი სქესის რესპონდენტთა 27% და მამრობითი სქესის რესპონდენტთა 24% განიცდის მარტოობას. ოჯახური მდგომარეობის მიხედვით გამოიკვეთა, რომ განქორწინებულ რესპონდენტთა 33%, დასაოჯახებელ რესპონდენტთა 28% და დაოჯახებულ რესპონდენტთა 19% განიცდის მარტოობას.

მონაცემების დამუშავების საფუძველზე, გამოვლინდა განსხვავებები მარტოობის საკვლევ სკალაზე ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლის თანახმადაც, რაც უფრო დაბალშემოსავლიანად აფასებენ სტუდენტები ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას, მით უფრო მაღალია მათში მარტოობის განცდა და პირიქით, რაც უფრო მაღალშემოსავლიანის სტატუსს ანიჭებენ ოჯახს, მით უფრო მცირდება სტუდენტებში მარტოობის განცდის მაჩვენებელი. კერძოდ, სტუდენტთა 33%, რომელიც ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს როგორც დაბალს, განიცდის მარტოობას. სტუდენტთა 26%, რომელიც ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს როგორც საშუალოს, განიცდის მარტოობას და სტუდენტთა 21% განიცდის მარტოობას, რომლებიც ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებენ როგორც მაღალს. სტუდენტთა 30%, რომლებსაც საკუთარი შემოსავალი აქვთ, განიცდიან მარტოობას, ხოლო იმ სტუდენტების 25%, რომლებიც აღნიშნავენ, რომ არ აქვთ საკუთარი შემოსავალი, მიუთითებენ მარტოობაზე.

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა მარტოობის სკალაზე სწავლის საფეხურის მიხედვით $P=0.000<0.05$. რაც უფრო დაბალ საფეხურზეა სტუდენტი, მით უფრო ნაკლებად განიცდის მარტოობას, კერძოდ, პირველკურსელთა 24% განიცდის მარტოობას, მეორეკურსელთა 31%, მესამეკურსელთა 28% და მეოთხე კურსელთა 29%. სტუდენტები, რომლებიც ცხოვრობენ მარტო (26%), უფრო ნაკლებად განიცდიან მარტოობას, ვიდრე სტუდენტები, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახთან (30%) ან ნათესავებთან ერთად (32%). აღმოჩნდა განსხვავებები სტუდენტების მიერ საკუთარი სასწავლო წარმატების შეფასებასა და მარტოობის განცდას შორის. რაც უფრო მაღალია მარტოობის განცდა, მით უფრო დაბალია სტუდენტების მიერ საკუთარი წარმატების შეფასება (61%) და რაც უფრო დაბალია მარტოობის მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია სტუდენტების მიერ საკუთარი აკადემიური წარმატების შეფასების მაჩვენებელი (16%).

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავების და ორგანიზაციული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკითხულ სტუდენტთა 2.2%-ს აქვს ფსიქოლოგიური კეთილდღეობის დაბალი, 48.1%-ს საშუალო და 49.8%-ს მაღალი მაჩვენებელი.

ერთგანზომილებიანი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ მდებარეობითი სქესის რესპონდენტებში ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებელი უფრო მაღალია (63%), ვიდრე მამრობითი სქესის რესპონდენტებში (60%). დაოჯახებულ რესპონდენტთა 68% უფრო მეტად განიცდის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას, ვიდრე დასაოჯახებელი (62%) და განქორწინებული რესპონდენტები (57%). საინტერესო შედეგები ვლინდება აღნიშნულ სკალაზე სწავლის საფეხურის მიხედვით, რომლის თანახმადაც, სწავლის ოთხივე საფეხურზე მყოფ რესპონდენტებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მიხედვით არ გამოვლენილა (პირველი კურსი 63%, მეორე კურსი 63%, მესამე კურსი 63%, მეოთხე კურსი 62%).

ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებელი უფრო დაბალია იმ სტუდენტებთან, რომლებმაც საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა შეაფასეს როგორც დაბალი (60%), ვიდრე იმ სტუდენტებთან, რომლებიც აფასებენ როგორც საშუალოს (63%) და როგორც მაღალს (67%). საკუთარი შემოსავლის მქონე სტუდენტთა 62% მიუთითებს ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ქონაზე, განსხვავებით სტუდენტებისგან, რომლებსაც საკუთარი შემოსავალი არა აქვთ (63%). ფსიქოლოგიური კეთილდღეობა მაღალია იმ სტუდენტებთან, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახთან (63%) და ნათესავებთან ერთად (63%), განსხვავებით იმ სტუდენტებისგან, რომლებიც ცხოვრობენ მარტო (59%).

ფსიქოლოგიური კეთილდღეობის საკვლევი სკალაზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა სასწავლო წარმატების მიხედვით, რომლის თანახმადაც, სტუდენტები, რომლებიც დაბალი ქულებით აფასებენ საკუთარ აკადემიურ წარმატებას, განიცდიან ნაკლებ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას (55%), ხოლო სტუდენტები, რომლებიც საკუთარ აკადემიურ წარმატებას აფასებენ მაღალი ქულით, ასევე მაღალია მათში ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებელი (70%).

ცხრილი N1: პაციენტის ჯანმრთელობის, მარტობის და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის საკვლევ სკალაზე განსხვავებები დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით.

	N	დეპრესია/შფოთვა		მარტობა		ფსიქოლოგიური კეთილდღეობა				
		M	SD	P	M	SD	P	M	SD	P
სქესი n(%)										
მდედრობითი	405	,28	,18		,27	,20		,63		,12
მამრობითი	57	<u>,35</u>			<u>,32</u>			<u>,11</u>		
		,25	,21		,24	,20		,60		,14
ასაკი M(SD)										
ოჯახური მდგომარეობა n(%)										
დაოჯახებული	44	,26	,20		,19	,19		,68		,11
		,86			,03					
დასაოჯახებელი	416							,01		
		,27	,18		,28	,20		,62		,12
განქორწინებული	2	,22	,22		,33	,31		,57		,18
ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა										
დაბალი	42	,36	,16		,33	,20		,60		,13
საშუალო	408	,00			,08			,18		
		,26	,18		,26	,20		,63		,12
მაღალი	12	,30	,24		,21	,22		,67		,17
სწავლის საფეხური										

პირველი	230	,23	,17		,24	,19	,63	,12
მეორე	137	,00			,00		,98	
		,32	,19		,31	,21	,63	,13
მესამე	51	,31	,19		,28	,19	,63	,10
მეოთხე	44	,31	,19		,29	,23	,62	,12
საკუთარი შემოსავალი								
დიახ	139	,30	,20		,30	,21	,62	,13
		,05			,02		,69	
არა	323	,26	,18		,25	,20	,63	,12
ბინადრობა								
ოჯახთან	414	,27	,18		,26	,20	,63	,12
		,18			,37		,21	
მარტო	29	,32	,20		,30	,23	,59	,12
ნათესავეებთან	19	,32	,20		,32	,18	,63	,10
სასწავლო წარმატება								
0-ქულა	2	,50	,18		,61	,08	,55	0,00
10 - ქულა	10	,34	,17		,31	,21	,56	,12
20 - ქულა	8	,32	,21		,29	,23	,57	,12
30 - ქულა	13	,34	,19		,32	,17	,57	,11
40 - ქულა	30	,26	,17		,26	,21	,60	,11
50 - ქულა	88	,28	,19	0,00	,27	,20	,61	,12
60 - ქულა	67	,32	,17		0,11		0,00	
70 - ქულა	67	,32	,17		,31	,20	,60	,13
80 - ქულა	99	,26	,18		,27	,21	,65	,10

90 - ქულა	77	,23	,17	,25	,20	,65	,13
100 ქულა	49	,28	,20	,26	,21	,65	,13
	19	,12	,12	,16	,17	,70	,10

3.1. რეგრესიული ანალიზი

რეგრესიული ანალიზით გამოვლინდა, რომ პაციენტის ჯანმრთელობის სკალა ხსნის მონაცემთა ვარიაციურობის 29.1% (R^2 ,085; R^2 Adj=,0,69; $B=$,473; $ST=$,177; $T=$ 4,438; $P=$,000). პაციენტის ჯანმრთელობის (დეპრესიისა და შფოთვის) საკვლევ სკალაზე ყველაზე მნიშვნელოვანი პრედიქტორი აღმოჩნდა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა, სწავლის სხვადასხვა საფეხურზე ყოფნა და სრუდენტების მიერ საკუთარი აკადემიური წარმატების შეფასება. მარტოობის საკვლევ სკალა ხსნის მონაცემთა ვარიაციურობის 26,8% (R^2 ,072, R^2 Adj=,055 $B=$,486; $ST=$,199; $T=$ 4,073; $P=$,000); მარტოობის საკვლევ სკალაზე საკუთარი შემოსავლის ქონა, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა, სწავლის სხვადასხვა საფეხურზე ყოფნა და საკუთარი აკადემიური წარმატების შეფასება გამოვლინდა როგორც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორი. ფსიქოლოგიური კეთილდღეობის საკვლევ სკალა კი მონაცემთა ვარიაციურობის 29% ხსნის (R^2 ,084, R^2 Adj=,068; $B=$,518; $ST=$,117; $T=$ 7,368; $P=$,000) სადაც მნიშვნელოვან პრედიქტორად ოჯახური მდგომარეობა და საკუთარი აკადემიური წარმატების შეფასება გამოვლინდა.

ცხრილი N2. რეგრესიული ანალიზი

	პაციენტის ჯანმრთელობის კითხვარი (დეპრესია/შფოთვა)					მარტოობა					ფსიქოლოგიური კეთილდღეობა				
	B	SE	β	T	P	B	SE	β	T	P	B	SE	β	T	P
- სქესი	-,022	,025	-,040	-,872	,383	-,034	,029	-,055	-1.198	-,024	,017	-,064	-1,407	,231	,160
- ასაკი	-,003	,004	-,041	-,726	,468	-,008	,005	-,091	-1,604	,109	,001	,003	,021	,372	,710
- ოჯახური მდგომარეობა n(%)	,033	,029	,054	1,128		,086	,033	,126	2,612	,009	-,052	,019	-,129	-2,695	,007

-ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა	-,052 0,36	,025	-,095	-2,107	-,053	,028	-,086	-1,896	,059	,020 ,227	,016	,055	1,210
-სწავლის საფეხური	,039 ,000	,010	,206	3,721	,035 ,003	,012	,167	2,994	-,008	,007 ,268	-,061	-1,109	
საკუთარი შემოსავალი	-,24 ,199	,019	,061	1,287	,043 ,043	,021	,096	2,025	-,004 ,747	,012	-,015	-,323	
ბინადრობა	-0,33 ,226	,027	-,055	-1,212	-,024 ,231	,031	-,035	-,770	,012 ,522	,0,18	,029	,640	
-სასწავლო წარმატება	-,015 ,004	-,165	-3,633	,000	-,012	,005	-,122	-2,655	,008	,014	,003	,234	5,130 ,000

3.2. კორელაცია

მონაცემთა კორელაციური ანალიზის საფუძველზე (პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი) აღმოჩნდა, რომ პაციენტის ჯანმრთელობის საერთო მაჩვენებლებს (დეპრესია/შფოთვა), მარტობასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის კავშირები მნიშვნელოვანია (იხ. ცხრილი N3).

- ძლიერი დადებითი კორელაციაა დეპრესია/შფოთვასა და მარტობას შორის ($r = 0.54, p < .01$)
- უარყოფითი კორელაციაა დეპრესია/შფოთვასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის ($r = -0.35, p < .01$)
- უარყოფითი კორელაციაა მარტობასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის ($r = -0.39, p < .01$)

ცხრილი N3. კორელაცია პაციენტის ჯანმრთელობას (დეპრესია/შფოთვა), მარტობას და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის

	დეპრესია	მარტობა	ფსიქოლოგიური კეთილდღეობა
დეპრესია	1	,545	-,358
მარტობა	,545	1	-,390
ფსიქოლოგიური კეთილდღეობა	-,358	-,390	1

** $p \leq .01$; * $p \leq .05$; *** $p \leq .001$

იმისათვის, რომ კვლევაში გამოყენებულ სკალათა სანდოობა შემოწმებულიყო, თითოეული სკალის მიხედვით გამოთვლილ იქნა შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი - კრონბახის ალფას კოეფიციენტი. ყველაზე ძლიერი შინაგანი შეთანხმებულობა გამოვლინდა პაციენტის ჯანმრთელობის სკალაზე (დეპრესია/შფოთვა) ($\alpha=,80$). ასევე, მაღალი შინაგანი შეთანხმებულობა აქვს ფსიქოლოგიური კეთილდღეობისა ($\alpha=,79$) და მარტოობის ($\alpha=,78$) სკალებს. (იხ. ცხრილი N4)

ცხრილი N4. სკალების შინაგანი შეთანხმებულობა და აღწერითი სტატისტიკა

	α	N	M	SD
დეპრესია	,80	462	,272	,184
მარტოობა	,78	462	,268	,204
ფსიქოლოგიური კეთილდღეობა	,79	462	,627	,121

3.3. შედეგების განხილვა

კვლევაში გამოყენებულ სკალათა სანდოობის შესამოწმებლად დათვლილ იქნა შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები, რომლის თანახმადაც, გამოვლინდა, რომ თითოეული სკალისთვის შეთანხმებულობის მაჩვენებლები მაღალია. აღსანიშნავია, რომ მონაცემთა კორელაციური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კვლევაში გამოყენებულ სკალებს შორის კავშირები მნიშვნელოვანია. რეგრესიული ანალიზით გამოვლინდა, რომ პაციენტის ჯანმრთელობის სკალა ხსნის მონაცემთა ვარიაციულობის 29.1% -ს, მარტოობის საკვლევი სკალა ხსნის მონაცემთა ვარიაციულობის 26,8% -ს, ფსიქოლოგიური კეთილდღეობის საკვლევი სკალა კი მონაცემთა ვარიაციულობის 29% -ს ხსნის.

მიღებული მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კვლევაში ჩართულ რესპონდენტთა მესამედს, პაციენტის ჯანმრთელობის საკვლევი სკალაზე დეპრესიისა და შფოთვის მაჩვენებლები გამოუვლინდათ. განსხვავებები სკალაზე დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვითაც გამოიკვეთა, რომლის თანახმადაც, დასაოჯახებელ სტუდენტებს დეპრესიისა და შფოთვის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ ვიდრე, დაოჯახებულ და განქორწინებულ სტუდენტებს. დეპრესიისა და შფოთვის მაჩვენებლებზე გავლენა ბინადრობის მიხედვითაც გამოიკვეთა, კერძოდ, სტუდენტები, რომლებიც მარტო ან ნათესავებთან ერთად ცხოვრობენ, უფრო მეტად განიცდიან დეპრესიასა და შფოთვას, ვიდრე ის სტუდენტები, რომლებიც ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ. პაციენტის ჯანმრთელობის საკვლევი სკალაზე სტატისტიკურად სანდო განსხვავებები გამოვლინდა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვითაც, რომლის თანახმადაც, ერთგანზომილებიანი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ რაც უფრო დაბალია ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა, მით უფრო მაღალია დეპრესიისა და შფოთვის მაჩვენებლები სტუდენტებთან. აღსანიშნავია, რომ

საკუთარი შემოსავლის მქონე სტუდენტებს დეპრესიისა და შფოთვის მაჩვენებლები უფრო მაღალი აქვთ საკუთარი შემოსავლის არ მქონე სტუდენტებთან შედარებით. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა პაციენტის ჯანმრთელობის საკვლევ სკალაზე სწავლის წელთან დაკავშირებითაც. კერძოდ, რაც უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება სტუდენტი, მით უფრო მაღალი აქვს მას დეპრესიისა და შფოთვის მაჩვენებლები. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სასწავლო წარმატების კავშირი დეპრესიის მაჩვენებელთან, რომლის თანახმადაც, რაც უფრო მაღალია დეპრესიის მაჩვენებელი სტუდენტებთან, მით უფრო დაბალია მათ მიერ საკუთარი წარმატების შეფასება და რაც უფრო დაბალია დეპრესიის მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია სტუდენტების მიერ საკუთარი აკადემიური წარმატების შეფასების მაჩვენებელი.

მარტოობის საკვლევ სკალაზე ორგანოზომილებიანი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ რესპონდენტთა თითქმის ნახევარს, მარტოობის საკვლევ სკალაზე მარტოობის საშუალო და მაღალი მაჩვენებლები აქვთ. განსხვავებები გამოიკვეთა გენდერულ ჭრილშიც, კერძოდ, მდედრობითი სქესის რესპონდენტები მამრობით სქესთან შედარებით, უფრო მეტად განიცდიან მარტოობას. გამოიკვეთა, რომ განქორწინებული რესპონდენტები უფრო მეტად განიცდიან მარტოობას, ვიდრე დასაოჯახებელი და დაოჯახებული რესპონდენტები. ნათესავებთან ერთად მცხოვრები სტუდენტები უფრო მეტად განიცდიან მარტოობას ოჯახთან ერთად ან მარტო მცხოვრებ სტუდენტებთან შედარებით. მარტოობის საკვლევ სკალაზე განსხვავებები ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვითაც გამოვლინდა, რომლის თანახმადაც, რაც უფრო დაბალშემოსავლიანად აფასებენ სტუდენტები ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას, მით უფრო მაღალია მათში მარტოობის განცდა და პირიქით, რაც უფრო მაღალშემოსავლიანის სტატუსს ანიჭებენ ოჯახს, მით უფრო მცირდება სტუდენტებში მარტოობის განცდის მაჩვენებელი. ასევე, მარტოობა უფრო მაღალია საკუთარი შემოსავლების მქონე სტუდენტებთან. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა მარტოობის სკალაზე სწავლის საფეხურის მიხედვით. კერძოდ, რაც უფრო დაბალ საფეხურზეა სტუდენტი, მით უფრო ნაკლებად განიცდის მარტოობას და რაც უფრო მაღალ საფეხურზეა სტუდენტი, მით უფრო მეტად განიცდის მარტოობას. განსხვავებები აღმოჩნდა სტუდენტების მიერ საკუთარი სასწავლო წარმატების შეფასებასა და მარტოობის განცდას შორისაც: რაც უფრო მაღალია მარტოობის განცდა, მით უფრო დაბალია სტუდენტების მიერ საკუთარი წარმატების შეფასება და რაც უფრო დაბალია მარტოობის მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია სტუდენტების მიერ საკუთარი აკადემიური წარმატების შეფასების მაჩვენებელი.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა თითქმის ნახევარს ფსიქოლოგიური კეთილდღეობის საკვლევ სკალაზე საშუალო მაჩვენებელი, ხოლო ნახევარს მაღალი მაჩვენებელი აქვს. მდედრობითი სქესის რესპონდენტებთან ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებელი უფრო მაღალია მამრობითი სქესის რესპონდენტებთან შედარებით. ასევე, დაოჯახებულ რესპონდენტებს ფსიქოლოგიური კეთილდღეობის სკალაზე უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ დასაოჯახებულ და განქორწინებულ რესპონდენტებთან შედარებით. იმ სტუდენტებს, რომლებიც ოჯახთან ან ნათესავებთან ერთად ცხოვრობენ, ფსიქოლოგიური კეთილდღეობის უფრო მაღალი მაჩვენებელი უფიქსირდებათ განსხვავებით სტუდენტებისგან, რომლებიც მარტო ცხოვრობენ. ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებელი უფრო დაბალია იმ სტუდენტებთან, რომლებმაც საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა შეაფასეს როგორც დაბალშემოსავლიანი, განსხვავებით იმ სტუდენტებისგან, რომლებიც საშუალო და მაღალ

შეფასებას ანიჭებენ საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას. ასევე, აღსანიშნავია, რომ საკუთარი შემოსავლების არმქონე სტუდენტებთან უფრო მაღალია ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებელი, ვიდრე იმ სტუდენტებთან, რომლებიც საკუთარი შემოსავლის ქონას ადასტურებდნენ. რაც შეეხება სწავლის საფეხურს, ამ მხრივ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები კვლევაში არ გამოვლენილა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სკალაზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა სასწავლო წარმატების მიხედვით, რომლის თანახმადაც, სტუდენტები, რომლებიც დაბალი ქულებით აფასებენ საკუთარ აკადემიურ წარმატებას, განიცდიან ნაკლებ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას, ხოლო სტუდენტები, რომლებიც საკუთარ აკადემიურ წარმატებას აფასებენ მაღალი ქულებით, ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებელიც მაღალი აქვთ.

დასკვნა

კოვიდპანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში, სტუდენტებთან მარტოობის, დეპრესიისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებლებს შორის კავშირის დადგენა კვლევის მიზანს წარმოადგენდა. მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე გამოვლინდა, რომ:

- თითოეული სკალისათვის შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები მაღალია.
- კვლევაში გამოყენებულ სკალებს შორის კავშირები მნიშვნელოვანია.
- რესპონდენტთა მესამედს, პაციენტის ჯანმრთელობის საკვლევ სკალაზე დეპრესიისა და შფოთვის საშუალო და მძიმე მაჩვენებლები აქვს.
- დეპრესიისა და შფოთვის მაჩვენებლები უფრო მაღალი აქვთ სტუდენტებს, რომლებიც მარტო ან ნათესავებთან ერთად ცხოვრობენ, სწავლის მაღალ საფეხურზე არიან, საკუთარ აკადემიურ წარმატებას დაბალი ქულებით აფასებენ, აქვთ პირადი შემოსავლები, თუმცა, ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებენ როგორც დაბალშემოსავლიანს.
- რესპონდენტთა თითქმის ნახევარს, მარტოობის საკვლევ სკალაზე მარტოობის საშუალო და მაღალი მაჩვენებლები აქვს.
- მარტოობა უფრო მაღალია სტუდენტებთან, რომლებიც არიან განქორწინებულები, ცხოვრობენ ნათესავებთან ერთად, ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებენ როგორც დაბალშემოსავლიანს, გააჩნიათ საკუთარი შემოსავალი, იმყოფებიან სწავლის დამამთავრებელ საფეხურებზე და აკადემიურ წარმატებას დაბალი ქულებით აფასებენ.
- ფსიქოლოგიური კეთილდღეობის საკვლევ სკალაზე სტუდენტთა ნახევარს მაღალი ხოლო, თითქმის ნახევარს საშუალო მაჩვენებლები აქვს.
- ფსიქოლოგიური კეთილდღეობა მაღალია სტუდენტებთან, რომლებიც იმყოფებიან ქორწინებაში, ცხოვრობენ ოჯახთან და ნათესავებთან ერთად, არა აქვთ საკუთარი შემოსავალი და ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებენ მაღალშემოსავლიანად.

ბიბლიოგრაფია:

1. Aaron Jarden, Positive Psychological Assessment: A practical introduction to empirically validated research tools for measuring wellbeing, "Jarden", 2011;
2. Abdur Rahman, Arunavo Bairagi, Biplob Kumar Dey & Lailun Nahar. Loneliness and depression of university students. The Chittagong University J. of Biological Science, vol-7 (1&2), 2012;
3. E. C Chang, Perfectionism and dimensions of psychological well-being in a college student sample: A test of a stress-mediation model. Journal of Social & Clinical Psychology, 25(9) 2006;
4. Ed Diener, Derrick Wirtz, Robert Biswas-Diener, William Tov, Chu Kim-Prieto, Dong-won Choi, and Shigehiro Oishi, New measures of well-being: Flourishing and Positive and Negative Feelings., "Springer Science+Business Media B.V". 2009;
5. Federica Cielo, Randi Ulberg and Dina Di Giacomo. Psychological Impact of the COVID-19 Outbreak on Mental Health Outcomes among Youth: A Rapid Narrative Review. International Journal of Environmental Research and Public Health, 2021;
6. Helen Landmann and Anette Rohmann, when loneliness dimensions drift apart: Emotional, social and physical loneliness during the COVID-19 lockdown and its associations with age, personality, stress and well-being. International Journal of Psychology, 2021;
7. Hughes Mary Elizabeth, Waite Linda J, Hawkey Louise C, Cacioppo John T. A Short Scale for Measuring Loneliness in Large Surveys. "Res Aging", 2004, 26;
8. Kurt Kroenke, Robert L. Spitzer, Janet B.W. Williams, D.S.W., Bernd Löwe. An Ultra-Brief Screening Scale for Anxiety and Depression: The PHQ-4.; Psychosomatics, 50:613– 621, 2009;
9. Occupational Medicine, Patient Health Questionnaire-4, QUESTIONNAIRE REVIEW. 2016;
10. Revati K. Bhagchandani, Effect of Loneliness on the Psychological Well-Being of College Students, International Journal of Social Science and Humanity, Vol. 7, No. 1, January 2017;
11. Robert Sanders, Covid-19, social isolation and loneliness. Iriss, ESSS, 2020;
12. Sana Akhter, Psychological Well-Being in Student of Gender Difference. The International Journal of Indian Psychology Volume 2, Issue 4,2015;
13. Sheela Sundarasan, Karuthan Chinna, Kamilah Kamaludin, Mohammad Nurunnabi, Gul Mohammad Baloch, Heba Bakr Khoshaim, Syed Far Abid Hossain and Areej Sukayt. Psychological Impact of COVID-19 and Lockdown among University Students in Malaysia: Implications and Policy Recommendations. International Journal of Environmental Research and Public Health. 2020;
14. Tahira Munir, Sameera Shafiq, Zahoor Ahmad, Sarfaraz Khan, Impact of Loneliness and Academic Stress on Psychological Well Being among College Students. Academic Research International Vol. 6(2) March 2015;
15. Valeria Negovan. Dimensions of students' psychosocial well-being and their measurement: Validation of a students' Psychosocial Well Being Inventory. Europe's Journal of Psychology 2/2010;
16. Vincenza Capone, Daniela Caso, Anna Rosa Donizzetti and Fortuna Procentese. University Student Mental Well-Being during COVID-19 Outbreak: What Are the Relationships between Information Seeking, Perceived Risk and Personal Resources Related to the Academic Context? "Sustainability, MDPI", 2020;

შიშის ფსიქო-სოციალური ფაქტორების შეფასება

ნათია არჩვაძე

დოქტორანტი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

შიში ნებისმიერი კულტურისა თუ ინდივიდის ცხოვრებისა და არსებობის ნაწილია. წლებთან ერთად შეიძლება საზოგადოებაში შიშის ობიექტი და მასთან ბრძოლის სტრატეგიები შეიცვალოს, თუმცა მოლოდინი, რომ ადამიანებს შიშისგან სრულიად გათავისუფლება შეუძლიათ-უბრალოდ უტოპიაა. ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმდინარეობები მუდამ ცდილობდნენ განსხვავებული ახსნა მოემბნათ შიშის წარმოშობისა და დამლევის მეთოდებისთვის, თუმცა ფაქტი ერთია, შიში იქ ჩნდება, სადაც ინდივიდის პიროვნული სიმწიფის ნაკლებობაა. როდესაც ადამიანი ყოველ ახალ ცხოვრებისეულ გამოცდილებას გაურბის და განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას არ ცდილობს, ეს ყველაფერი ერთად მასში შიშის სახით აკუმულირდება და პიროვნება განვითარების ფიქსაციას განიცდის.

საინტერესოა ასევე იმ განსხვავებებზე საუბარი, რაც შიშსა და შფოთვის შორის არსებობს, რადგან ეს ორი ემოცია ხშირად ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია. ბარლოუს თუ დავესესხებით შიში შფოთვისგან იმით განსხვავდება, რომ შიში აწმყოზე ორიენტირებული და შედარებით გარკვეულია, ვიდრე მომავალზე ორიენტირებული და შედარებით გაურკვეველი. გაურკვეველობა არამარტო ზრდის შფოთვის დონეს, არამედ პიროვნების სხვადასხვა მენტალურ აშლილობებზეც არის პასუხისმგებელი.

სწორედ ამიტომ, მსოფლიოში არსებული დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, როდესაც კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემია თითოეული ინდივიდის ცხოვრებას შეეხო, მნიშვნელოვანია გაურკვეველობით განპირობებულ უცნობი სიტუაციისადმი შიშზე ყურადღების გამახვილება. როგორც წესი, ადამიანებს სურთ აკონტროლონ აწმყო, რადგან ამით ასევე ერთგვარი კონტროლი აიღონ მომავალზე. იმისთვის რომ ვიცოდეთ რისი გვეშინია, საჭიროა პიროვნებამ პრობლემისადმი გაცნობიერებული მიდგომებით და საკუთრი თავისთვის კითხვების დასმით ერთგვარ ინსაიტს მიმართოს. ზოგადად ადამიანები მიდრეკილები არიან მომავლის მოსალოდნელი შედეგების მძაფრი სცენარის წარმოსახვისკენ, რაც ხშირ შემთხვევაში რეალობისგან სრულიად აცდენილია. შიშთან გამკლავება კი „აპოკალიფსური“ ფიქრების ქონის შემთხვევაში წარმოუდგენელია. საბოლოო ჯამში, შიშის დამლევის ბრძოლაში იმარჯვებს ის ვინც უშიშრად „უახლოვდება“ აღნიშნულ უსიამოვნო ემოციას.

საკვანძო სიტყვები: შიში, შფოთვა, უცნობი სიტუაციის შიში, პანდემია, კოვიდ-19.

შესავალი

ქვემოთ მოყვანილი სტატია აყალიბებს სისტემურ წარმოდგენას შიშზე, მის გამომხატველ ემოციასა და მასთან დაკავშირებულ ადამიანის გონებაში ცნობიერ თუ ქვეცნობიერ დონეზე პერმანენტულად მიმდინარე კოგნიტური პროცესებზე. შიშის მრავალი სახეობიდან დღესდღეობით სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს გაურკვევლობის ფაქტორი. ცხოვრების რიტმის აჩქარება, გლობალიზაცია, სხვადასხვა შინაარსისა და არასისტემური, მათ შორის ნეგატიური ინფორმაციის მზარდი ნაკადი, ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგრადობას სერიოზულ გამოცდას უწყობს. ამიტომ შიშთან ასოცირებული მოვლენებისა და პროცესების კორელაციის დადგენა ადამიანთა რეაქციებთან, მათ ცნობიერებაში მიმდინარე პროცესებთან, სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში შიშის თემა ფილოსოფოსებისათვის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა, თუმცა ამ პერიოდისთვის შიშის მათეული ახსნა უფრო ზოგადი ხასიათის იყო და პიროვნებებს ინდივიდუალურად ნაკლებად ეხმარებოდა.

ბოლო ასწლეულის განმავლობაში შიში ემპირიული ფსიქოლოგიისთვის „სიახლედ“ მიიჩნეოდა. მიუხედავად „პიონერის“ სტატუსისა, ფსიქონალიზი¹ თავის ღრმა ფსიქოლოგიური მიდგომებით, ბიჰევიორიზმი თავისი სტიმული-რეაქციის ანალიზით, ასევე კოგნიტური ფსიქოლოგია², რომელიც 1960-იანი წლების ბოლოს ფსიქოლოგიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, შიშის თემას დიდ ყურადღებას აქცევენ. მნიშვნელოვანია ასევე სტრესისა და ემოციების რიჩარდ ლაზარუსის კოგნიტურ ტრანსაქციური თეორია, რომელმაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი პოპულარობა მოიპოვა. ამ თეორიის შედეგად ემოციების წარმოშობა ხდება კოგნიტური შეფასების პროცესის შედეგად. თვითონ კრიტიკული სიტუაცია კი არ წარმოშობს გრძნობებს, არამედ ფაქტის სუბიექტური ინტერპრეტაცია. ამ თეორიის მიხედვით შიში არის სტრესის ეპიზოდის დროს სპეციფიკური, კოგნიტურად გადაცემული ემოცია.

თანამედროვე კვლევები შიშთან მიმართებით ორიენტირებულნი არიან, რომ პასუხი გასცენ ისეთ კითხვებს, როგორებიცაა მაგალითად შიშის გავლენა ადამიანების ჯანმრთელობაზე, შიშის როლი ფსიქიკური აშლილობის წარმოშობის, მიმდინარეობისა და მკურნალობის დროს, აგრესიული ქცევის წარმოშობის დროს და სხვა.

კრონი³ შიშს განმარტავს, როგორც „ორგანიზმის აფექტურ მდგომარეობას, როდესაც ვეგეტატიური ნერვული სისტემის გაზრდილი აქტიურობისა და მღელვარებით გამოწვეული თვითაღქმის გამო, აღინიშნება დამაბულობის, საფრთხისა და შფოთვის განცდა“.

ზოგადად შიში ადამიანის ცხოვრების ნაწილია, რომელიც პიროვნებას დაბადებიდან სიკვდილამდე თანსდევს. კაცობრიობის ისტორია ახალ მეთოდებს იგონებს შიშის დასაძლევად ან თავიდან ასარიდებლად, თუმცა ერთგვარი ილუზია იქნება თუ დავიჯერებთ, რომ ადამიანს შიშის გარეშე ცხოვრება შეუძლია. შიში ინდივიდის ეგზისტენციის ნაწილია და

¹ S. Freud, „Über die Berechtigung, von der Neurasthenie einen bestimmten Symptomkomplex als „Angstneurose“ abzutrennen“, Studienausgabe Frankfurt/M.: S. Fischer 1971, S.27-47.

² M. Eysenck, „Cognitive functioning and anxiety“, Psychological Research, 1987, pp. 189-195.

³ H. Krohne, „Repressive emotional discreteness after failure“, Journal of Personality and Social Psychology, 1996, pp.1318-1326.

ჩვენ უბრალოდ შეგვიძლია მის წინააღმდეგ თავდაცვის მექანიზმების შემუშავება. გამბედაობა, ნდობა, ძალაუფლება, იმედი, რწმენა და სიყვარული სწორედ რომ ამაში გვეხმარება. იმ მეთოდებს, რომლებიც შიშისგან სრულიად გათავისუფლებას გვპირდებიან სკეპტიკურად უნდა შევხედოთ, რადგან ისინი მხედველობაში არ იღებენ ადამიანად ყოფნის სინამდვილეს და ილუზიურ მოლოდინებს ქმნიან.

შიში არსებობს კულტურისგან და საზოგადოების განვითარების დონისგან დამოუკიდებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ გადის დრო, ეპოქები იცვლება მაგრამ ადამიანში აღნიშნული ემოციის განცდა უცვლელი რჩება. ერთადერთი რაც შეიძლება შეიცვალოს ეს შიშის ობიექტია, რომლის დასამარცხებლად განსხვავებული ღონისძიებებისა და საშუალებების გამოყენება ხდება. დღეს ჩვენ უკვე აღარ გვეშინია ელვის და ჭექა-ქუხილის, მზის და მთვარის დაბნელების, რადგან ვიცით რომ ეს არ არის სამყაროს აღსასრული. თუმცა ჩვენ გვაქვს ისეთი შიშები, რომლებიც ადრეულმა კულტურებმა არ იცოდნენ, მაგალითად როგორცაა ბაქტერიებისა და ახალი დაავადებების მიმართ შიში.

შიშის დაძლევის მეთოდებს რაც შეეხებათ ადრე თუ სხვადასხვა შემლოცველებს მიმართავდნენ, ახლა არსებობს წამლები, რომლებიც ადამიანს მის დაძლევაში ეხმარებიან. ასევე დღესდღეობით შიშთან გამკლავების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდი ფსიქოთერაპიაა.

ყველა ადამიანზე შიში განსხვავებულ გავლენას ახდენს და შესაბამისად შეშინებული პიროვნების რეაქციაც შეიძლება განსხვავებული იყოს. ერთ შემთხვევაში შეიძლება ინდივიდს შიშის განცდის შემდეგ თავდაცვითი მექანიზმი უფრო გაუაქტიურდეს და დაიწყოს აქტიური ქმედება მის დასაძლევად ან თავიდან ასარიდებლად, ხოლო მეორე შემთხვევაში განცდილმა შიშმა შესაძლოა პიროვნების სრული უუნარობა გამოიწვიოს და ის ერთ ადგილას გააშეშოს.

1. ფროიდის შიშის ორი თეორია

არსებობს შემთხვევები, როდესაც შიში სიტუაციურად წარმოიშვება, რომელსაც ფროიდი თავის ნაშრომებში სასიგნალო შიშად მოიხსენიებს. სასიგნალო შიშს, როგორც განგამის სიგნალს საშიშ სიტუაციებში დამცავი რეაქცია აქვს, როგორცაა მაგალითად გაქცევა ან თავდაცვა. რომ არა აღნიშნული ემოციის არსებობა, ადამიანები სხვადასხვა საშიშ სიტუაციებს არ მოერიდებოდნენ და მათი სიცოცხლეც ხშირად საფრთხის ქვეშ დადებოდა.

ზოგადად შიში, არის სიგნალი და გაფრთხილება რაიმე საფრთხის მიმართ და მის გადასალახად კონკრეტული იმპულსია საჭირო. თუ როგორ უმკლავდება პიროვნება შიშს ეს მისი განვითარების დონეზე მეტყველებს, ხოლო ყოველი გადალახული შიში კი ადამიანის შინაგან მოწიფულობას უწყობს ხელს. თუ ადამიანი ვერ ახერხებს შიშთან გამკლავებას, მაშინ ის განიცდის სტაგნაციას, რაც ხელს უშლის მისი პიროვნული განვითარების შემდგომ ეტაპზე გადასვლას.

შიში იმ ადგილას ჩნდება, რა კუთხითაც პიროვნება ჯერ ვერ გაიზარდა. ნებისმიერი განვითარება, მოწიფულობის ეტაპი, სწორედ, რომ შიშთან არის დაკავშირებული, რადგანაც მას მივყვართ რაღაც ახლისკენ, აქამდე უცნობისკენ, შიდა და გარე სიტუაციებისკენ, რომელშიც აქამდე არ ვყოფილვართ, რომელიც არასდროს გამოგვიცდია. ყველა ასაკი მისთვის დამახასიათებელი მოწიფულობის ეტაპისგან და მასთან დაკავშირებული შიშებისგან შედგება.

განვითრების ნებისმიერი ეტაპის წარმატებით გავლისთვის, საჭიროა ამ ეტაპთან დაკავშირებული შიშების დაძლევა.

თუ დავფიქრდებით პატარა ბავშვის დამოუკიდებლად გადადგმულ ნაბიჯებზე, როდესაც ის პირველად უშვებს დედას ხელს, მას დამოუკიდებლად გავლის შიში ეუფლება, რომელს გადალახვაც აუცილებელია. შიშები ახლავს თან სკოლაში პირველად შესვლას, პირველად საპირისპირო სქესთან ურთიერთობას, ოჯახის შექმნას, ასაკში შესვლას, სიკვდილზე ფიქრს და ა.შ. ყველა ეს შიში ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ყოველი ასეთი ნაბიჯი საზღვრის გადაკვეთას ჰგავს და ჩვენგან შეჩვეული ნაცნობი სიტუაციის დათმობას და რაღაც სიახლისკენ, უცნობისკენ, ნაბიჯის გადადგმას მოითხოვს.

ფროიდის მიხედვით თუ პიროვნება შიშის დათრგუნვასა და განდევნას ცდილობს, ეს შეიძლება ნევროზის გამომწვევ მთავარ მიზეზად იქცეს. ფსიქოანალიზის ფუძემდებლის განსაკუთრებულ ინტერესს ისეთი შიში წარმოადგენდა, რომელიც ინცესტის ტაბუდან და ოიდიპოსის კომპლექსიდან მოდის. ეს შიში წარმოიშვება, როგორც ის „ტოტემი და ტაბუ“-ში⁴ აღწერს, კულტურის განვითარების საფუძვლიდან და მისი საზოგადოებისგან.

აღნიშნულ ნაშრომში ფროიდმა ადამიანების საზოგადოების წარმოშობაზე ახლებური თეორია შემოგვთავაზა. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ერთი ტომის წარმომადგენლები თაყვანს სცემენ მცენარეებს და ნივთებს, როგორც საერთო ტოტემი, საერთო სახის რელიგიით ერთიანდებიან. ცხოვრება ამ საზოგადოებაში ტაბუთი შემოიფარგლება, რასაც ის მამის მოკვლის აკრძალვით ხსნიდა. თავის მოგვიანებით ნაშრომებში ფროიდმა შექმნა კლასიკური შიშის განმარტება. ამის შემდეგ ყველა სკოლამ შიშის შემდეგ გაგებაზე, მის წარმოშობაზე, მანიფესტაციაზე და გადამუშავებაზე თავისი წვლილი შეიტანა.

ლიტერატურაში ხშირად ფროიდის ორი შიშის თეორიის განცალკევება ხდება. მათ შეიძლება ფორმალურად „პირველი და მეორე შიშის“ თეორია ეწოდოს. პირველია ნოიროფსიგოლოგიური შიშის თეორია და მეორე ფსიქოლოგიური შიშის თეორია.

ფროიდი შიშის პირველ თეორიაში კონცენტრირებას ახდენს შიშის ნევროზზე. შიშის ნევროზის მიზეზი, მისი თქმით სექსუალური დაძაბულობის დაბლოკვაა. მისთვის შიშის ნევროზი გარკვეული პროცესების თანმიმდევრობით ყალიბდება: 1. ჩნდება სექსუალური იმპულსი; 2. ხდება სექსუალური იმპულსის ბლოკირება. 3. იზრდება აღზნებადობის დაძაბულობა 5. ხდება დაგროვილი აღზნების გაფრქვევა შიშის რეაქციის სახით.

ფროიდის მიხედვით შიში არის აფექტური მდგომარეობა ფსიქოლოგიური, ქცევით-მოტორული და სუბიექტური კომპონენტებით, რომელიც მაშინ წარმოიშვება, როდესაც ინდივიდი თავს უუნაროდ გრძნობს, რომ კონკრეტულ დავალებებს შესაბამისი რეაქციებით გაართვას თავი.

30 წელზე მეტი ხნის შემდეგ, რაც შიშის პირველი თეორია იქნა ფორმულირებული, ფსიქოანალიზური კონცეფცია საგრძნობლად შეიცვალა, განდევნაზე კონცენტრირება,

⁴ S. Freud, „Totem and Taboo” (1912-1913), The Standard Edition of the Complete Psychological Works of Sigmund Freud, London: Hogarth Press, Volume XIII.

როგორც ქცევის დეტერმინანტი, ნაკლებ საყურადღებო ხდება და იგი ჩანაცვლებულია ფსიქიკური კონფლიქტის ცენტრალური კონცეფციით. ტერმინი „კონფლიქტის“ უკან დგანან ფსიქიკური ძალები, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ამგვარ ძალებს ბავშვობის დროინდელი „არაცნობიერი“ ფანტაზიების გაღვიძების უნარი შესწევთ.

აღნიშნული კონფლიქტის ასახსნელად ფროიდი გვთავაზობს ფსიქიკური სტრუქტურის შესახებ იდეას სამი „ფსიქიკური ინსტანციის“ შესახებ, რომლებსაც მან-იგი, მე და ზემე უწოდა.

შიშის მეორე თეორიას ხშირად შიშის სიგნალის თეორიასაც უწოდებენ. შიში აქ განმარტებულია, როგორც „მე“ს საფრთხის სიგნალი. რაც ნიშნავს პიროვნების ცნობიერ ქცევით (კოგნიტურ) სიგნალს, რომლის მეშვეობით საფრთხის თავიდან არიდება არის შესაძლებელი.

რეალობის შიში მაშინ ჩნდება, როდესაც „მე“ გარემოში მიმდინარე მოვლენებს აცნობიერებს და მოელის ორგანიზმისთვის ზიანის მიყენებას. ამ სახის მოსალოდნელი ზიანები (მუქარები) შეიძლება იყოს მაგალითად ორგანიზმის დაზიანება კონკრეტული ობიექტებით ან იმ საშუალებების უკმარისობა, რომლებიც საჭიროა შესაბამისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სიგნალი გულისხმობს ისეთი ადეკვატური ქმედებების განხორციელებას, როგორებიცაა მაგალითად გაქცევა ან თავდასხმა.

ნევროტული შიში ჩნდება მაშინ, როდესაც „მე“-ს მოთხოვნილებები მოდის „იგი“-ს საჭიროებებიდან, რომელთა განხორციელებამაც „მე“ შეიძლება საფრთხეში ჩააგდოს.

მორალური ან „ზემე“-ს შიში წარმოიშვება, როდესაც ქმედებები ან ფიქრები არ არის „ზემე“-ს დაშვებულ ნორმებთან თანხვედრაში (რომლებიც მშობლების, აღმზრდელების თუ საზოგადოების ნორმების მიერ იქნა ჩამოყალიბებული). ამგვარ საფრთხეს პიროვნება გაქცევით კი ვერ უშველის თავს, არამედ უნდა მოახდინოს თავისი ფიქრებისა და ქმედებების „ზემე“-ს დაშვებულ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. შიში და შფოთვა

ძველ ბერძნებს ჰქონდათ ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: მანია, მელანქოლია, ისტერია და პარანოია (ამ ბერძნული სიტყვების გამოყენება დღემდე ხდება), მაგრამ მათ არ ჰქონდათ სიტყვა შფოთვის გამოსახატავად. თანამედროვე ბერძნულში ვხვდებით სიტყვას „anesuchia“ რომლის ძირითადი მნიშვნელობა არის „არა წყნარი“ ან „არა მშვიდი“. რომაელები ციცერონის დროს იყენებდნენ სიტყვას „anxietas“, რაც ხანგრძლივი შიშის მდგომარეობას აღნიშნავდა და ის სიტყვა „angor“-სგან განსხვავდებოდა, რომლის გამოყენებაც ძლიერი შიშის მომენტალური მდგომარეობის გამოსახატავად გამოიყენებოდა.

შუა საუკუნეებში და რენესანსის დროს შფოთვა დაკავშირებული იყო მელანქოლიასთან.

ძველ ჩინეთში ვარაუდობდნენ რომ კავშირი არსებობდა ადამიანის ორგანოებსა და ემოციებს შორის, როგორიცაა მაგალითად გადაჭარბებული ბრაზი მიიჩნეოდა რომ საზიანო იყო ღვიძლისთვის, გადაჭარბებული ბედნიერება კავშირში იყო გულთან. შიში ზიანს აყენებდა თირკმელს, მოწყენილობა კი ფილტვებს.

მე-18 საუკუნის ადრეულ პერიოდში ტერმინი შფოთვა ჩნდება სამედიცინო ნაშრომებში გონებრივ დაავადებებთან დაკავშირებით.

მე-19 საუკუნის ადრეულ პერიოდში მენტალური ჯანმრთელობის სფეროდან ყურადღება გადავიდა სომატურ მიზეზებზე ან მენტალური დაავადებების შესაძლო ფსიქოლოგიურ მიზეზებზე.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ფიქრობდნენ რომ შფოთვის უკან არსებული ეტიოლოგიური ფაქტორები მემკვიდრეობითი ან ბიოლოგიური იყო.

შიშსა და შფოთვის შორის განსხვავება ხელმეორედ მოხდა კარლ ჯასპერის მიერ. შფოთვის სხვადასხვა ნაირსახეობები, რომლებიც ბევრი წლის წინ უარყვეს ისევ ყურადღების ცენტრში მოექცა. რასაც ჩვენ დღესდღეობით სოციალურ ფობიას ვუწოდებთ.

ბარლოუს მიხედვით შიში შფოთვისგან იმით განსხვავდება, რომ შიში აწმყოზე ორიენტირებულია და შედარებით გარკვეულია, ვიდრე მომავალზე ორიენტირებული და შედარებით გაურკვეველი⁵.

ზოგადად შფოთვა არის კომპლექსური ემოციური პასუხი, რომელიც შიშის მსგავსია. ორივე მათგანი წარმოიშვება ტვინის მსგავსი პროცესებიდან და მსგავს ფსიქოლოგიურ და ქცევით რეაქციებს იწვევენ. თუმცა შიში და შფოთვა ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ შიში ასოცირდება ნათელ, არსებულ და იდენტიფიცირებულ საფრთხესთან, მაშინ როდესაც შფოთვა არსებულ საფრთხესთან არ არის დაკავშირებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ჩვენ გვეშინია, მაშინ როდესაც ჩვენ რეალურად საფრთხეში ვართ და ჩვენ განვიცდით შფოთვას, როდესაც რაღაც დისკომფორტის შეგრძნება გვაქვს, მაგრამ კონკრეტულ მომენტში რეალურად საფრთხე არ გვემუქრება.

შიშების ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებლები შეიძლება სხვადასხვა გარემო ფაქტორები გახდნენ, როგორებიცაა, მაგალითად:

- სოციალური გარემო, სადაც ტრავმული მომენტების გამო ხდება კონკრეტული შიშების პროვოცირება, რაც ადამიანს შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვეს;
- დაკვირვებით დასწავლა, როდესაც ტრავმულ სოციალურ გარემოში ხდება სხვა ადამიანზე დაკვირვება. პიროვნება ხედავს, რომ კონკრეტულ სიტუაციაში სხვა ადამიანი დაშავდა და ეშინია მასაც იგივე არ დაემართოს;
- ინფორმაციის გადაცემა, როდესაც, მაგალითად, შეშინებული და სოციალური შფოთვის მქონე მშობლები შვილებს აწვდიან ინფორმაციას სოციალური სიტუაციების საფრთხეების შესახებ;
- აღზრდა, რაც ასევე მნიშვნელოვანია შიშების ჩამოყალიბებაში.

⁵ D. Barlow, „Unraveling the mysteries of anxiety and its disorders from the perspective of emotion theory”, American Psychologist, 2000, pp.1247–1263.

3. უცნობი სიტუაციის შიში

დღესდღეობით როდესაც მთელი მსოფლიო კოვიდ-19 პანდემიის ბრძოლის წინააღმდეგ არის ჩართული, მნიშვნელოვანია ისეთი შიშის სახეობაზე ყურადღების გამახვილება, როგორც უცნობი სიტუაციისადმი შიშია.

უცნობი სიტუაციის შიშზე, როგორც ფუნდამენტურ შიშზე პირველი წერილობითი წყარო ლავკრაფტთან 1927 წელს გვხვდება: კაცობრიობის ყველაზე ძველი და ძლიერი ემოცია არის შიში და უძველესი და უძლიერესი შიში არის უცნობი სიტუაციის შიში. მაშინ როდესაც სხვა ყველა შიში მოითხოვს სწავლას, რეალობის გაცნობიერებას ან ინფორმაციის გახსენებას (უცნობი სიტუაციის შიში არ მოითხოვს წინასწარ დასწავლას, პირიქით მისი გაჩენის მიზეზი ინფორმაციის ნაკლებობაა)⁶.

შესაბამისად ადამიანების ქცევები იცვლება იმის მიხედვით თუ როგორ უმკლავდებიან ისინი სხვადასხვა სახის შიშს. არსებობენ ინდივიდები, რომლებსაც გაურკვეველი სიტუაციები და სიახლეები არ აბრკოლებთ და რისკიანად იქცევიან. ამგვარი ქცევა შეიძლება განპირობებული იყოს მათი მოწიფულობით და ცხოვრებისეული გამოცდილებით. თუმცა ასევე გვხვდებიან სხვა კატეგორიის ინდივიდები, რომლებიც ყოველგვარ სიახლეს შიშითა და შფოთვით ხვდებიან.

თუ პიროვნებას ეშინია ობოების ან გველების, ეს შიში ბუნებრივია, რადგან ადამიანები სწავლობენ, რომ ამ სახეობებმა შეიძლება მათი სიცოცხლე შეიწირონ, თუმცა ყველა შიში ასეთ კონკრეტულ ინფორმაციას არ ეყრდნობა. ზოგიერთი შიში იმას ეფუძნება რაც არ ვიცით. უცნობი სიტუაციის შიში, სხვა ბევრი შიშის, შფოთვისა და ფობიის ნაწილია. როდესაც ადამიანი არ ფლობს საკმარის ინფორმაციას, მომავლის პროგნოზირებისთვის, ეს ხშირად შიშისა და შფოთვის გამომწვევი მიზეზი ხდება.

2016 წლის ჩატარებულ ერთ-ერთი კვლევის დროს მეცნიერებმა იკვლიეს 160 ზრდასრული ადამიანის შიშის რეფლექსი მოულოდნელ ხმებზე და შოკებზე. კვლევისას მათ დაადგინეს, რომ ის პირები, რომლებმაც სოციალური შფოთვითი აშლილობა და სპეციფიური ფობიები აღენიშნებოდათ, თვალს უფრო ხშირად და მაგრად ახამხამებდნენ, როდესაც რაღაც უცხო, უსიამოვნო მოვლენას მოელოდნენ. ამან მეცნიერებს მისცა საბაზი დაესკვნათ, რომ ეს ინდივიდები უფრო მგრძობიარეები იყვნენ უცნობი სიტუაციის მიმართ.⁷

ასევე დეპრესიული ადამიანები უფრო მეტად განიცდიან ღელვას გაურკვეველობის მიმართ, ვიდრე ისინი, ვისაც დეპრესია არ აქვს.⁸

⁶ N. Carleton, „The intolerance of uncertainty construct in the context of anxiety disorders: Theoretical and practical perspectives”. Expert Review of Neurotherapeutics, 2012, pp.937-947.

⁷ S. Gorka, L. Lieberman, S. Shankman, K. Phan, „Startle Potentiation to Uncertain Threat as a Psychophysiological Indicator of Fear-based Psychopathology: An Examination across Multiple Internalizing Disorders”. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC5215951/> [უ.გ. 27.09.2021].

⁸ D. Jensen, J. Cohen, D. Mennin, D. Fresco, R. Heimberg, „Clarifying the Unique Associations among Intolerance of Uncertainty, Anxiety, and Depression”. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC5045801/pdf/nihms-812743.pdf> [უ.გ. 27.09.2021].

4. პანდემიის გავლენა შიშის ჩამოყალიბებაში

ახალმა კორონა ვირუსმა-2019 (კოვიდ-19) შეიძლება ითქვას თავისი წვლილი შეიტანა ინდივიდების სხვადასხვა შიშების ფორმირებაში. აღნიშნული ვირუსით გამოწვეულმა პანდემიამ მთლიანად შეცვალა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება, რაც გამოწვეული იყო მთავრობების მიერ დაწესებული კარანტინითა და სოციალური დისტანციის დაცვის მოთხოვნით. კოვიდ-19-მა შეიძლება ითქვას კოლექტიური ტრავმა გამოიწვია, რადგან ამ მოვლენამ ნეგატიური გავლენა იქონია ინდივიდების მენტალურ მდგომარეობაზე. ერთ-ერთი კვლევის შედეგების თანახმად, რომელიც კოვიდ-19-ით ინფიცირებულებთან ჩატარდა, რესპოდენტებს ძლიერი ემოციური და ქვევითი რეაქციები გამოუვლინდათ, როგორცაა მაგალითად შიში, მოწყენილობა, უძილობა, ბრაზი.⁹

ასევე სოციალური კვლევის თანახმად, რომელიც რესპირატორული ვირუსის „სარსი“ (SARS)-ის აფეთქების შემდეგ განხორციელდა, კვლევაში მონაწილე ნახევარზე მეტს ფსიქიკური აშლილობა აღმოაჩნდათ.

საყურადღებოა, რომ ეპიდემიების დროს ინდივიდებმა შეიძლება ცუდი ადაპტური (მაღადაპტური) ქვევები გამოავლინონ, თუ მათ გარშემო ის ადამიანები იქნებიან, ვინც პოტენციური რისკის ჯგუფის მქონედ არიან მიჩნეულები. მაგალითისთვის ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ებოლას ეპიდემიის დროს, რომლის გავრცელების ძირითადი არეალი აფრიკა იყო, ინდივიდებს, რომლებიც აფრიკაში არ ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ მეზობლად აფრიკული წარმოშობის უცხოელი მეზობელი ბინადრობდა, გამოუვლინდათ ებოლასთან დაკავშირებული შფოთვა. ეპიდემიების დროს შესაძლოა თვითმკვლელობის რისკიც გაიზარდოს. გაურკვეველ სიტუაციასა და ცუდ მოლოდინებს ნებისმიერი ასაკის მქონე ადამიანის სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დააყენება შეუძლიათ.¹⁰ მაგალითად ასაკოვან ადამიანებს შეიძლება გაუჩნდეთ განცდა, რომ დაავადების შემთხვევაში ისინი ოჯახს ტვირთად დააწვენ და ამ განცდამ მათში თვითმკვლელობის იდეა გააჩინოს.

ისევე, როგორც სხვა ეპიდემიები, კოვიდ-19-ის პანდემიაც გლობალურ შფოთვასთან და გაზრდილი სტრესის დონესთან არის დაკავშირებული. ვირუსის გამოჩენის საწყის ეტაპზე პანდემიით გამოწვეული შიში რიგ ინდივიდებში იმდენად მძაფრად განიცდებოდა, რომ ადამიანები თავს იკლავდნენ მხოლოდ იმიტომ, ეგონათ, კოვიდით იყვნენ დაავადებულები; ამ დროს აუტოპსიის შედეგად დგინდებოდა, რომ ისინი ჯანმრთელები იყვნენ. ეპიდემიების დროს ადამიანების რიცხვი, რომელთა მენტალურ ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნა ზოგადად უფრო მეტია, ვიდრე იმ ადამიანების რიცხვი, ვისაც რეალურად ინფექცია შეხვდა.¹¹

რაც შეეხება კოვიდ-19-თან დაკავშირებულ შიშს, ის შეიძლება ოთხ ძირითად ნაწილად დაიყოს: სხეულთან დაკავშირებული შიში, საყვარელ ადამიანებთან დაკავშირებული შიში, გაურკვეველობა და მოქმედება/უმოქმედობა. აღნიშნულმა მაღალი დონის გაურკვეველობამ რადიკალური ცვლილებები გამოიწვია ინდივიდების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ადამიანების უმეტესობას არ სურს იცოდეს იმ ნეგატიური მოვლენების შესახებ, რაც შეიძლება, მომავალში მოხდეს. გიგარენტური და გარსია-რეტამერო ამ მოვლენას ცოდნის სინანულს

⁹ C. Wang, R. Pan, X. Wan, Y. Tan, L. Xu, „Immediate psychological responses and associated factors during the initial stage of the 2019 coronavirus disease epidemic among the general population in China”, Public Health, 2020 Mar 6.

¹⁰ YT. Xiang, Y. Yang, W. Li, L. Zhang, Q. Zhang, T. Cheung, „Timely mental health care for the 2019 novel coronavirus outbreak is urgently needed”, Lancet Psychiatry, 2020.

¹¹ S. Reardon, „Ebola’s mental-health wounds linger in Africa”, Nature, 2015.

უწოდებენ. ინდივიდებს არ სურთ, რომ მომავლის საფრთხე ახლა აწმყოში იგრძნონ, თუმცა მათ უნდათ რომ სრულად გაიაზრონ ამჟამინდელი მათვის საშიში სიტუაცია, რათა აღნიშნულ სიტუაციაზე გარკვეული კონტროლის სადავეები აიღონ ხელში. ამიტომ ამჟამინდელი გაურკვეველი სიტუაცია შეიძლება მიჩნეული იქნეს, ფსიქიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად. გაურკვეველი სიტუაციის მიუღებლობა კი შფოთვით აშლილობას იწვევს, რაც საბოლოო ჯამში პიროვნების კეთილდღეობაზე უარყოფითად აისახება.

საზოგადოების შიშების ფორმირებაში ერთ-ერთი წამყვანი როლი მედია საშუალებებსაც აკისრიათ. დღესდღეობით პანდემიასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაციები ხშირად იმდენად ინტენსიური, მძაფრი და დამთრგუნველია, საფრთხის შიში მოსახლეობაში მუდმივად აქტუალური რჩება.

რა არის საჭირო ადამიანების ჯანმრთელი მენტალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად? ამის ერთ-ერთი მთავარი აუცილებელი პირობა სოციალური ურთიერთობების არსებობაა.

ერთ-ერთი სოციალური კვლევა, რომელიც ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის მიერ იქნა ჩატარებული, ეხებოდა დიდ ბრიტანეთში 2020 წლის 21 მარტის მონაცემებით კოვიდ-19-ით გამოწვეული „ლოქდაუნის“ გამო ინდივიდების ფსიქიკურ ჯანმრთელობას. აღნიშნულ კვლევაში ჩართული იყო 70.000 რესპოდენტი. ისინი ყოველ კვირას 10 წუთიან ონლაინ გამოკითხვაში იღებდნენ მონაწილეობას, სადაც სოციალური დისტანციის ღონისძიებების მათეულ გამოცდილებაზე საუბრობდნენ. დამატებით ხდებოდა ასევე სატელეფონო ინტერვიუების გამართვა.

საგულისხმოა, რომ ყველაზე ცუდი მონაცემები შიშზე, დეპრესიაზე, სიკვდილზე ფიქრზე ან თვითდაზიანებაზე და ცხოვრებით კმაყოფილებაზე ახალგაზრდებმა აჩვენეს, ასევე მოსახლეობის იმ ფენამ, რომელთა ოჯახის შემოსავალი საშუალოზე დაბალი იყო (30.000 ფუნტზე ნაკლები) და იმ პირებმა, რომლებმაც თავად თქვეს, რომ ფსიქიკური პრობლემები ჰქონდათ. გამოკითხულთა 8.5% ხშირად მარტოსულად გრძნობდა თავს „ლოქდაუნამდე“, „ლოქდაუნის“ შემდეგ კი ეს მაჩვენებელი 18.5%-ს შეადგენდა. განსაკუთრებით მარტოსულად საკუთარ თავს ახასიათებდნენ 18-დან 29 წლამდე ახალგაზრდები, მარტო მცხოვრები ადამიანები და ადამიანები დაბალი შემოსავლით.¹²

5. შიშის დაძლევის ტექნიკები

შიში არის ადგენიადი მდგომარეობის გაცნობიერებული აღქმა, რომელიც მტკივნეულად განიცდება. ამის გამო ადამიანები ცდილობენ, ეს მდგომარეობა რაც შეიძლება მალე დაასრულონ. აქედან გამომდინარე შიში მჭიდრო კავშირშია შიშის დაძლევასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გამოვყოთ ორი შემთხვევა. ერთი ეხება ლაზარუსის სტრესის წარმოშობის და დაძლევის მოდელს. ამ მოდელის მიხედვით გამოიყოფა ა) შეფასებაზე ორიენტირებული დაძლევა, ბ) პრობლემაზე ორიენტირებული დაძლევა, გ) ემოციაზე ორიენტირებული დაძლევა.

¹² F. Klein, „Psychische Gesundheit während des Lockdowns“, <https://link.springer.com/article/10.1007/s15005-020-1433-z/> [უ. გ. 27.09.2021].

შეფასებაზე ორიენტირებული დაძლევა ყურადღებას ამახვილებს ლოგიკურ ანალიზსა და აღქმული შიშის წყაროს შესაძლო ახალ შეფასებაზე; პრობლემაზე ორიენტირებული შეფასება გულისხმობს აქტიური ღონისძიების გატარებას საფრთხესთან გასამკლავებლად (მაგალითად სოციალურ ქსელში ინფორმაციის ძებნა და ამით თავის დაცვა). ემოციაზე ორიენტირებული შეფასება მოიცავს ყველა მცდელობას, რომლის მეშვეობითაც შიშის რეაქციის შემცირება ხდება ემოციის მართვით, მაგალითად ღრმად სუნთქვით, ტირილით და ა.შ.

მეორე ტრადიცია ეხება ბირნის კონცეფციას, რომელიც ამბობს, რომ ყველა ადამიანის მიერ შიშის დაძლევის სტილი პიროვნების პირად განზომილებაში ჯდება, რასაც მან ერთ მხარეს ექსტრემპოლუსი „რეპრესია“, ხოლო მეორე მხარეს „სენსიტიურობა“ უწოდა. რეპრესიის გამტარებელი ცდილობს საშიში ინფორმაცია თავიდან აირიდოს, მაშინ როდესაც სენსიტიურობი საშიში ინფორმაციის გამოყენებას ანიჭებენ უპირატესობას. ბირნის მიერ შემოთავაზებული ერთგანზომილებიანი მოდელი და მისგან განვითარებული რეპრესია-სენსიტიურობის-სკალა სხვადასხვა სახის ემპირიულ და კონცეპტუალურ პრობლემას იწვევს. ამიტომ დღესდღეობით შიშის დაძლევის სტილთან მიმართებით ხშირად მრავალგანზომილებიანი მოდელს იყენებენ. ამ მხრივ განასაკუთრებით საინტერესოა კრონის მოდელი. ის ასხვავებს შიშის დაძლევის ორ სხვადასხვა სტრატეგიას: სიფხიზლეს და კოგნიტურ თავიდან არიდებას. პიროვნებებს, რომლებსაც მაღალი სიფხიზლის დონე აქვთ, საფრთხის შემცველ სიტუაციაში ცდილობენ უფრო კოგნიტური და ქცევითი სტრატეგია აირჩიონ, რომლის მიზანი იქნება ინფორმაციის მოძიება და სიტუაციის კონტროლი. პიროვნებები მაღალი კოგნიტური თავიდან არიდების ტენდენციებს გამოხატავენ იმით, რომ საფრთხის შემცველი სიტუაციების დროს კოგნიტურ და ქცევით ქმედებებს არ მიმართავენ, არამედ უარყოფენ მათ.

დასკვნა

შეჯამების სახით თუ ვიტყვით, შიში ადამიანების არსებობის ნაწილია. სანამ პიროვნება ცოცხალია, მას სხვადასხვა შიშებთან უწევს გამკლავება, ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც განვითარების, ასევე სხვადასხვა ყოფით შიშებთან. თუმცა აღნიშნული ემოციის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში ინდივიდი პიროვნულად იზრდება, ძლიერდება, მეტად თავდაჯერებული ხდება და სხვადასხვა გარემოპირობებთან შეგუებასაც ადვილად ახერხებს. არ არსებობს დედამიწაზე ადგილი, სადაც ადამიანი ბოლომდე დაცულად იგრძნობს თავს. ყოველ კომფორტულ ზონას აქვს პოტენციალი, სამომავლოდ არაკომფორტული გახდეს, თუ ინდივიდი ქმედებაზე, განვითარებაზე, საკუთარი შიშების დამარცხებაზე არ არის ორიენტირებული. საბოლოოდ ის ვინც იწყებს თავის თავში ჩაღრმავებას და გაცნობიერებას თუ რისი ეშინია მას, შიშის დაძლევისას უფრო ეფექტურად ახერხებს.

ზოგადად შიში არის ადამიანური განცდის უნივერსალური ფენომენი. მის გადასალახად მნიშვნელოვანია, პიროვნების მიერ სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტექნიკების გამოყენება, რომლებიც ინდივიდს აღნიშნული ემოციის გაცნობიერებულ დაძლევაში დაეხმარება. შიშთან ბრძოლის ეფექტური სტრატეგია შემდეგი შეიძლება იყოს:

პირველ რიგში ინდივიდმა თავის თავთან უნდა აღიაროს რომ მას ეშინია; როდესაც ადამიანი საკუთარ თავს არ უტყდება, რომ მისი პიროვნება შიშმა მოიცვამ ამ ქმედებით მისი შიში და დამაბულობა უფრო იზრდება;

აუცილებელია პიროვნებამ თავის თავში გადაამოწმოს, საფრთხეს გადაჭარბებულად ხომ არ აღიქვამს. ადამიანი მიდრეკილია, მომავლის უფრო საშინელი სცენარის დახატვისკენ, ვიდრე ეს სცენარი რეალურად შეიძლება მართლა განხორციელდეს. სიტუაციის გადასამოწმებლად კარგი მეთოდია, ბაირონ ქეითის „სამუშაო“ („The Work“), რომლის ტექნიკაც შემდგომში მდგომარეობს-შიშთან დაკავშირებული ფიქრების არსებობის შემთხვევაში ადამიანმა თავის თავს ოთხი მარტივი შეკითხვა უნდა დაუსვას:

- რასაც ვფიქრობ ეს სიმართლეა?
- შემძლია აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყო რომ ეს სიმართლეა?
- როგორი რეაქცია მაქვს როდესაც აღნიშნული ფიქრი მაწუხებს?
- ამ ფიქრის გარეშე ვინ ვიქნებოდი?

შიშის დამლევად ინდივიდს ასევე სარელაქსაციო ვარჯიშების ჩატარება ეხმარება. ამ დროს პიროვნებამ ყურადღება უნდა გაამახვილოს თავის სუნთქვაზე. ამით წყდება ფიქრებზე კონცენტრირება და სხეულის დამაბულობის სიმპტომებიც მცირდება.

გარდა ამისა მნიშვნელოვანია საკუთარ თავში შიშის წინააღმდეგ სტრატეგიის შემუშავება. ადამიანმა ჯერ გონებაში უნდა დასახოს შიშის დამლევის გეგმა, ხოლო შემდეგ მის განხორციელებას რეალობაში შეეცადოს.

ბიბლიოგრაფია

1. დანიელ კვასი აპორსუ, ჩუნგ-ინგ ლინი, ვიდა იმანი, მოჰსენ საფარი, მარკ დ. გრიფიტსი, ამირ ჰ. პაკური, „კოვიდ-19-ის მასშტაბისადმი შიში: განვითარება და საწყისი დადასტურება“. ფსიქიკური ჯანმრთელობისა და დამოკიდებულების საერთაშორისო ჟურნალი მენტალურ ჯანმრთელობაზე და დამოკიდებულებაზე, 2020;
2. დევიდ ჰ. ბარლოუ, „შფოთვა და მისი დარღვევები: შფოთვისა და პანიკის ხასიათი და მკურნალობა“ (მე-2 გამოცემა). ნიუ – იორკი, ნიუ – იორკი: გულფორდის პრესა, 2002;
3. ჰაროლდ ბასოვიცი, ჰაროლდ პერსკი, შელდონ ჯ. კორჩინი, გრინკერი, რ. როი. შფოთვა და სტრესი. ნიუ-იორკი: მაკგრუ-ჰილი 1955;
4. ჰოვარდ ბერენბაუმი, ქეით ბრედემიერი, რენე ჯ. თომფსონი, „გაურკვევლობის აუტანლობა: მისი განზომილების შესწავლა და ასოციაციები ფსიქოპათოლოგიისა და პიროვნების საჭიროებებთან“. შფოთვითი აშლილობის ჟურნალი, 2008;
5. პოლ ა.ბოელენი, „მოზარდებში გაურკვევლობის აუტანლობა: კორელაციები შფოთვასთან, სოციალურ შფოთვასთან და დეპრესიასთან“. ნევროზული და მენტალური დაავადების ჟურნალი, 2010;
6. თომას დ. ბორკოვეჩი, 1993, „წუხილი: ემოციური განცდის აზრის ჩახშობა“. ყურადღება და არიდება, სტრატეგიები ავერსიის დამღევაში, სიეტლი, ტორონტო: ჰოგრიფი & ჰუბერი;
7. ნიკოლას რ. კარლეტონი, „გაურკვევლობის აუტანლობის კონსტრუქტი შფოთვითი დარღვევების კონტექსტში: თეორიული და პრაქტიკული პერსპექტივები“. ნეიროთერაპიის ექსპერტთა მიმოხილვა, 2012;
8. ნიკოლას რ. კარლეტონი, გორდენ ჯ. ასმუნდსონი, „შეუცნობელის შიში: გაურკვევლობის ატანის მასშტაბის მოკლე ვერსია“. ჟურნალი შფოთვითი დარღვევები, 21(1), 2007;
9. მაიკლ ვ. ეიზენეკი, კოლინ მაკლეოდი, ენდრიუ მათეუსი, „შემეცნებითი ფუნქციონირება და შფოთვა“. ფსიქოლოგიური კვლევა, 1987;
10. ზიგმუნდ ფროიდი, „ნევრასთენიისგან გარკვეული სიმპტომების კომპლექსის გამოყოფის დასაბუთების შესახებ, როგორც „შფოთვის ნევროზი““. მიტჩერლიხი, ა. რიჩარდსი და ჯ. სტრაჩი, ზიგმუნდ ფროიდი: სტუდიენაუსგაბე: ტომი 6 (პირველად გამოქვეყნდა 1895 წელს), 1971;
11. ტომას ფერგიუსი, „კიბერქონდრია და გაურკვევლობის აუტანლობა: გამოკვლევა, როდესაც ინდივიდები განიცდიან ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ შფოთვას სამედიცინო ინფორმაციის ინტერნეტში ძიების საპასუხოდ“. კიბერფსიქოლოგიის ქცევა და სოციალური ქსელი, 2013;
12. იურგენ ჰოიერი, შლვია ჰელბიგი, იურგენ მარგრადი, „შფოთვის დარღვევების დიაგნოსტიკა“. გეტინგენი: ჰოგრეფე, 2005;
13. იურგენ ჰოიერი, იურგენ მარგრადი, „შიშის დიაგნოსტიკა - საფუძვლები და ტესტის პროცედურები“. ბერლინი: სპრინგერი, 2003;
14. კაროლ ი.იზარდი, „ემოციების ფსიქოლოგია“. ნიუ იორკი: პლენუმ, 1991;
15. ჰაინზ ვალტერ კრონე, „სიფხიზლე და შემეცნებითი აცილება, როგორც ცნებები კვლევის დამღევაში“, 1993;

16. ჰაინზ ვალტერ კრონე, „სტრესთან გამკლავება: დისპოზიციები, სტრატეგიები და გაზომვის პრობლემა“. ფიზიოლოგიური და სოციალური პერსპექტივები ნიუ – იორკი: პლენუმი, 1986;
17. ჰაინზ ვალტერ კრონე, „ყურადღება და არიდება: სტრატეგიები ავერსის დამღევაში“ სიეტლი: ჰოგრეფე და ჰუბერი;
18. პიტერ ჯ. ლენგი, „ემოციის შემეცნებითი ფსიქოფიზიოლოგია: შიში და შფოთვა“. ა.პ. ტუმა და ჯ. მასერი (რედ.), შფოთვა და შფოთვითი დარღვევები ჰილსდეილი: ერლბაუმი, 1985;
19. რიჩარდ ს. ლაზარუსი, „ემოცია და ადაპტაცია“. ლონდონი: ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 1991;
20. ბურჰუს ფ. სკინერი, „მეცნიერება და ადამიანის ქცევა“. ოქსფორდი, ინგლისი: მაკმილანი, 1953;
21. დევიდ უოტსონი, რონალდ ფრენდი, „სოციალურ-შეფასებითი შფოთვის გაზომვა“. კონსულტაციისა და კლინიკური ფსიქოლოგიის ჟურნალი, 1969;
22. იო-ტაო სიანგი, იუან იანგი, ვენ ლი, ლინგ ჟანგი, ჩინგე ჟანგი, ტერის ჩუნგი და სხვ. „სასწრაფოდ საჭიროა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე დროული ზრუნვა 2019 წლის ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე“. ლანსეტის ფსიქიატრია, 2020.

შურნალისტიკა



ყოველდღიური ინფორმაციის გავრცელების მეთოდები და ინსტრუმენტები ანტიკურ სამყაროში - აზორადან ACTA DIURNA-მდე

ქეთევან ნიჟარაძე

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

მსოფლიო ისტორიაში ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა ინფორმაციის ინდივიდუალურად თუ მასობრივად გავრცელების აუცილებლობა. ამიტომ, თითოეული ცივილიზაცია ცდილობდა, მოეძებნა ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის ახალი, სწრაფი და ეფექტიანი გზა. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადაიდგა ანტიკურ სამყაროში. ანტიკურობამ გრძელი გზა გაიარა, სანამ აგორაზე ინფორმაციის გაქვრებიდან ყოველდღიური წერილობითი საინფორმაციო საშუალების იდეამდე მივიდოდა. აგორაზე გამართული სახალხო კრებები და სასამართლო პროცესები, აგრეთვე საგანგებო თეატრალურ ფესტივალებზე განხორციელებული წარმოდგენები დამსწრეთა საკმაოდ მრავალრიცხოვან აუდიტორიას მოიცავდა.

ანტიკურ სამყაროში ინფორმაციის გადასაცემად აგრეთვე საკმაოდ ეფექტიანად იყენებდნენ სხვადასხვა სასიგნალო საშუალებას და მალემსრბოლების ინსტიტუტს, მაგრამ საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ყოველდღიური წერილობითი ინფორმაციის გავრცელების იმ პრინციპმა, რომელიც თანამედროვე მედიასაშუალებებს გვაგონებს. უნდა აღინიშნოს, რომ მას წინ უძღოდა ანალები და ფასტები.

ანალები რომში მომხდარი ამბების შესახებ წლის მნიშვნელოვან მოვლენებს ქრონიკალური სტილით გადმოგვცემდა. ინფორმაციის შენახვის ამ პრინციპს ძველი აღმოსავლეთის მემკვიდრეებიც მიმართავდნენ, მაგრამ ისტორიული მოვლენების ამგვარად გადმოცემას შესაბამისი სახელი - ანალები - სწორედ რომაელებმა მოარგეს.

ფასტები კი ერთგვარ კალენდარს წარმოადგენდა და აღნუსხავდა კალენდარულ და საჟურნალო ტიპის ცნობებს, ყველანაირ საინტერესო ინფორმაციას რელიგიური თუ საერო ცხოვრებიდან.

როგორც აღვნიშნეთ, წერილობითი ინფორმაციის სწრაფად და მასობრივად გავრცელების თვალსაზრისით ყველაზე ეფექტური იყო იულიუს კეისრის მიერ შემოღებული Acta Diurna, რომელიც მან თავისი კონსულობის პირველივე წელს, ანუ, ძვ. წ. აღ-ით 59 წელს დააარსა. ის პრინციპულად განსხვავდებოდა ანალებისა და ფასტებისგან. ფასტებს უფრო კალენდარული სახე ჰქონდა, ანალები გადმოგვცემდა მხოლოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას, ხოლო Acta diurna-ში შედარებით უმნიშვნელო ამბებიც ხვდებოდა.

ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზეც დავასკვნით, რომ დღევანდელი გაზეთის იდეა სწორედ ანტიკურობაში ჩამოყალიბდა, განვითარდა და ყოველდღიური წერილობითი ფიქსირებული ამბების სახით განხორციელდა, რასაც საფუძვლად დაედო ამ ეპოქისთვის დამახასიათებელი სწრაფვა სიტყვის თავისუფლებისაკენ. შესაბამისად, შეიძლება

ითქვას, რომ ნაშრომში, კლასიკურ ფილოლოგიაში პირველად, ვაჩვენეთ ლოგიკური განვითარების გზა, რამაც ანტიკური სამყარო ინფორმაციის დემოკრატიული გაზიარების აგორასეული ფორმიდან მიიყვანა ყოველდღიური ახალი ამბების შექმნისა და გავრცელების პრაქტიკამდე.

Key words: ინფორმაციის გავრცელება, აგორა, ანალები, ფასტები, Acta diurna.

შესავალი

მსოფლიო ისტორიაში ინფორმაციის მოპოვებას, შენახვასა და გავრცელებას ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. სწორედ მასზე იყო დამოკიდებული თითოეული ომის ბედი, გამარჯვება თუ დამარცხება, ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარება, სიახლეების შემოტანა და დანერგვა, კულტურული აღმასვლა თუ უკუსვლა - ერთი სიტყვით, მთელი ხალხებისა და მათ მიერ შექმნილი ცივილიზაციების პროგრესი, სტაგნაცია თუ რეგრესი. ეს კარგად ესმოდა განვითარებულ საზოგადოებას და ამიტომაც, მათ ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებების კვალდაკვალ, ცდილობდნენ, მოეძებნათ ინფორმაციის ინდივიდუალურად თუ მასობრივად, ზეპირად თუ წერილობით გადაცემის სწრაფი და ეფექტიანი გზა. ამ თვალსაზრისით, საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ანტიკურ სამყაროში, რომელმაც ინფორმაციის გავრცელების მრავალფეროვანი საშუალება იპოვა, აგორადან მოყოლებული, Acta diurna-თი დამთავრებული.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, გამოვიკვლიოთ, თუ რამდენად შორს წავიდა ანტიკური სამყარო ყოველდღიური ინფორმაციის გავრცელებისა და ხელმისაწვდომობის მიმართულებით. გავრცელებულია აზრი, რომ ყოველდღიური გაზეთის იდეა და მისი ხორცშესხმა პირველად საფრანგეთში მოხდა, 1609 წელს. ამის საპირისპიროდ, ჩვენ შევეცდებით, ვაჩვენოთ, რომ აღნიშნულმა იდეამ საკმაოდ ეფექტური განხორციელება ჰპოვა უკვე ანტიკურ რომში და ყოველდღიური აქტა დიურნები შეიცავდა იმ ხასიათის ინფორმაციას, რომელიც ჩვენთვის ცნობილი ახალი ამბებისთვის არის ნიშანდობლივი.

კვლევისას გამოვიყენეთ კლასიკურ ფილოლოგიაში ცნობილი კომპლექსური მეთოდი, რომელიც ფილოლოგიური, ისტორიული, კულტუროლოგიური და არქეოლოგიური მონაცემების კომპლექსურ გამოყენებას ეფუძნება. თუკი ჰომეროსის ეპოსის კვლევისას ჩვენ ძირითადად ფილოლოგიურ-ისტორიული ანალიზის მეთოდს ვიყენებთ, Acta diurna-ს შემთხვევაში ძირითადად ვყვრდნობით კულტუროლოგიური და არქეოლოგიური კვლევის მონაცემების შედეგებს.

1. აგორა

უკვე ჩვენამდე მოღწეული პირველი ბერძენი პოეტი - ჰომეროსი სრულყოფილად წარმოგვიდგენს, თუ რა ხერხებით ცდილობდნენ ინფორმაციის გადაცემას ტროას ომის დროინდელი აქაველები და ტროელები. როგორც ის აღნიშნავს, ამ ფუნქციის შესასრულებლად განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა აგორას.

ჰომეროსთან გვხვდება ტერმინი ἀγοιή. მის ეტიმოლოგიას ἀγοίρα ზმნას (შეკრება) უკავშირებენ. თუმცა, წარმოების ტიპი წინაბერძნულ ენობრივ სამყაროსთან მსგავსებაზეც

მიგვანიშნებს.¹ არსებობს მოსაზრება, რომ ტერმინი, შესაძლოა, ზმნა ἀγορεύω-დან - საჯაროდ ვლაპარაკობ - წარმოებული ფორმა იყოს. ჰომეროსთან გვხვდება ამ ფუძის შემცველი თითქმის ყველა ძირითადი ფორმატივი: ἀγορεύω - საჯაროდ ვლაპარაკობ, ἀγορεύω- შეკრებაზე ვლაპარაკობ, ἀγορεύω - სპიკერი, ორატორი. ἀγορεύω - მჭევრმეტყველება. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ჰომეროსის მიხედვით, ამ დროისათვის აგორა და მასთან დაკავშირებული ყველა ცნება უკვე ფეხს იკიდებს ბერძნულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღნიშნული ტერმინი მიკენურ წყაროებში არ დასტურდება და მისი ფუნქციის დაფიქსირება, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ჰომეროსის ეპოსიდან უნდა დაწყებულიყო.

ჰომეროსი ἀγορή-ს „ილიადაში“ ოცდათვრამეტჯერ, ხოლო „ოდისეაში“ ოცდარვაჯერ ახსენებს. აგორა ჰომეროსის ეპოსში მულტიფუნქციურია. იგი შეიძლება იყოს სასწრაფოდ გადასაწყვეტ საკითხებზე მსჯელობის, სტრატეგიული გეგმების განხილვისა თუ სასამართლო დავების წარმოების ადგილი. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ აგორა აზრის გამოხატვის შესაძლებლობას, სიტყვის თავისუფლებას გულისხმობს.

„ილიადა“ ამ ეპიზოდით იწყება: აქაველთა ქურუმთა განრისხებულია აგამემნონზე და აპოლონს აქაველთა დასჯას შესთხოვს. ღმერთი შეისმენს მის თხოვნას და ჭირს მოუვლენს აქაველთა ლაშქარს. ცხრა დღის განმავლობაში ანადგურებს აპოლონის ისრები მეომრებს. მეათე დღეს კი აგამემნონი ბრძანებს, ლაშქარი აგორაზე შეიკრიბოს, რათა საერთო შეთანხმებამდე მივიდნენ - თუ რა შეიძლება გაკეთდეს მდგომარეობიდან გამოსასვლელად: „ატრიდმა თავის მაცნეებს უბრძანა, მაღალხმინანებს, რომ აგორაზე მოეხმოთ ხუჭუჭა აქაველები“.² აქაველებიც სწრაფად შეიკრიბებიან: „ასე გუნდებად, გემებიდან და კარვებიდან ნაპირის გასწვრივ მიდიოდა ხალხის ნაკადი აგორასაკენ...“³. შეკრებაზე სიტყვით გამოდის მისანი კალქასი და საჯაროდ, ხალხის წინაშე ამბობს იმას, რაც საფუძველს უყრის აქილევსის რისხვას - პოემის მთავარ მოტივს.

„ილიადაში“ ყველაზე სრულყოფილად აგორა და მისი ფუნქცია აქილევსის ფარზეა აღწერილი. ფარზე წარმოდგენილია შემდეგი სცენა: ქალაქის აგორაზე მიმდინარეობს სასამართლო, რომელმაც უნდა დაადგინოს, თუ რა საფასურის გადახდა მოუწევს დამნაშავეს ჩადენილი დანაშაულისთვის. წარმოდგენილია ამ პროცესის მთელი პროცედურები - მაცნეები, ანუ შიკრიკები არეგულირებენ სიტუაციას. მსაჯულები აგორას გარშემო სხედან თლილ ქვებზე და ისმენენ ბრალდებულისა და ბრალმდებლის არგუმენტებს. შემდეგ თითოეული მათგანი კვერთხს ართმევს შიკრიკს და აცხადებს თავის განაჩენს. იმ მოსამართლეს, რომელიც ყველაზე სამართლიან განაჩენს გამოიტანს, ორი ტალანტით დააჯილდოებენ. ორი ტალანტი კი დიდი გასამრჯელოა.

ჰომეროსი „ილიადის“ XVI სიმღერაში ამბობს, რომ მრისხანე ზევსი ბრაზობს ადამიანებზე, რადგან აგორაზე მათ უსამართლო სამართალი აღუსრულებიათ.⁴

როგორც ვხედავთ, აგორას ფუნქციონირება ხდება შემდეგი სქემით: არის გადამცემი - აედი, პოლიტიკოსი თუ რიგითი მეომარი - და მიმღები - ხალხი. საზოგადოების ინფორმირებულობის მიზანი ყველა მიმართულებით იჩენს თავს - პოლიტიკის, სამოქალაქო საქმეების თუ კომუნიკაციის სფეროში. აგორა ხდება თავყრილობის ადგილი, ხალხი აქ

¹ მიმობილვისთვის შდრ. Robert S. P. Beekes, Lucien van Beek, „Etymological Dictionary of Greek“. Vol.I, Brill, Leiden-Boston, 2010, 14 pg.

² ჰომეროსი, „ილიადა“, II, 50-51.

³ იქვე, II, 91-93.

⁴ იქვე, XVI, 387.

ერთმანეთს უცვლის აზრს. ეს არის ერთგვარი საკომუნიკაციო ცენტრი, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების სწრაფი საშუალება - ანუ, შეიძლება ითქვას, რომ იგი ნაწილობრივ დღევანდელი მედიის ფუნქციას ასრულებს. სწორედ აქ მოდიოდა ადამიანი ინფორმაციის მისაღებად, ან სხვისთვის გადასაცემად. პოეტი და პოლიტიკოსი, სოლონი (ძვ.წ.ად. 640-560 წწ) თანამოქალაქეებს ელევით მიმართავს და ამბობს: „თავად მოვედი შიკრიკად საწადელი სალამისიდან, და აგორაზე წარმოსათქმელი სიტყვის ნაცვლად გიძღვნიტ სიმღერას“.

თუ ჰომეროსის ეპოსში სხვადასხვა ფორმით მოხსენიებულ ἄγος/ἀγοή-ს განსხვავებულ კონტექსტებს გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მნიშვნელოვანი, საჭიროებო საკითხებზე საჯარო მსჯელობისათვის ხალხის შესაკრებად არსებული სივრცე. აგორები აქვთ პოლისებსაც, მათ შორის ტროას და აქველთა სამხედრო ბანაკსაც.

აგორა არის ხალხის შეკრების ადგილი, სადაც შეიძლება საჯაროდ წარმოითქვას სიტყვა. ინფორმაციის გადამცემის მიზანია საჯაროობა, რაც ნიშნავს, რომ რაც შეიძლება, მეტ ადამიანს მისწვდეს წარმოთქმული სიტყვა და მაქსიმალურ არეალს მოიცავდეს გავრცელებული ინფორმაცია.

ჰომეროსთან აგორა წარმოდგენილია აქველთა ბანაკშიც და ტროაშიც. ჰექატორს პულიდამასი ურჩევს, რომ ქალაქში შეიყვანონ ჯარები და ღამე აგორაზე გაათენონ.⁵

ჰომეროსის ეპოსში აგორა, სადაც ხდება ინფორმაციის გავრცელება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება და სამართლის აღსრულება, არის ცივილიზებულიობის გამოკვეთილი ნიშანი. როდესაც ოდისევსი ფეაკებს უამბობს საკუთარი მოგზაურობის შესახებ, ციკლოპების ქვეყნის დახასიათებისას, მათი ველურობის ხაზგასასმელად, იგი ამბობს, რომ მათ არც აგორები აქვთ და არც კანონები - „ვისაც არ აქვს არც აგორა და არც საბჭო“.⁶

ჰომეროსის შემდეგ კი აგორა ხდება ბერძნული კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი, რომელიც შემდეგ რომში ფორუმის სახით ჩამოყალიბდა. რომში ფორუმი გახდა ყოველდღიური ცხოვრების ცენტრი. აქ იმართებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება; გამოდიოდნენ სიტყვით ორატორები; ტარდებოდა არჩევნები, სასამართლო პროცესები და გლადიატორთა შეჯიბრებები. სწორედ ფორუმზე აღმართავდნენ იმპერიის სახელოვანი მოღვაწეების ძეგლებს და აგებდნენ მნიშვნელოვან სახელმწიფო შენობებს.

დროთა განმავლობაში აგორა სულ უფროდაუფრო უნივერსალურ ფუნქციას იძენდა, სადაც პოლისის მოქალაქეებს შეეძლოთ, მიეღოთ ინფორმაცია საზოგადოებისთვის საყურადღებო ამა თუ იმ საკითხზე. გარდა ამისა, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრათ სხვადასხვა ტიპის შიკრიკებს, მაცნეებს, რომლებსაც ერთი ადგილიდან მეორეში მოჰქონდათ ზეპირი თუ წერილობითი ინფორმაცია.

2. ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები ანტიკურ საბერძნეთში

ინფორმაციის ფართოდ გავრცელება ხდებოდა აგრეთვე პოლისის მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით გამართულ სახალხო კრებებზე და სასამართლო პროცესებზე. ასევე, ცალკე

⁵ იქვე, XVIII, 274.

⁶ ჰომეროსი, „ოდისეა“, IX, 112.

უნდა აღინიშნოს თეატრალური ფესტივალები, რაც ინფორმაციის გადაცემის ერთ-ერთი უნიკალური და უნივერსალური გზა გახლდათ.

მნიშვნელოვანია, რომ ანტიკური ეპოქის საზოგადოებში საკმაოდ გავრცელებული იყო დიდ მანძილზე ინფორმაციის გადაცემის ხერხი სხვადასხვა სასიგნალო საშუალებით. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ესქილეს ტრილოგიის შემადგენელი ტრაგედია „აგამემნონი“, რომელიც იწყება გუშაგის მონოლოგით. ის გვიამბობს, რომ უკვე ერთი წელია, მოთმინებით ელოდება ნიშანს, რომელიც გაათავისუფლებს მტანჯველი მოვალეობისგან. გუშაგმა ატრიდის სახურავიდან უნდა დაინახოს ზღვაზე მომავალი გემი და ანთებული ჩირაღდანს, რაც ტროას დაცემის ნიშანი იქნება. და აი, ერთი წლის ლოდინის შემდეგ ის ხედავს ცეცხლს და მის სიხარულს საზღვარი არ აქვს:

„უნდა ვაცნობო ეს ამბავი დაუყოვნებლივ
აგამემნონის ცოლს, წამოდგეს სარეცელიდან,
ვამას ძახილით მიეგებოს დამეულ პატრულს.
უკვე დაეცა ილიონის ციხე-ქალაქი,
როგორც გვაუწყა კოცონმა ბნელში“.⁷

ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა ხერხი გამოიყენებოდა ელინისტურ ეპოქაში, როდესაც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შედეგად ელინისტური სამყარო ვეებერთელა ტერიტორიაზე გადაიჭიმა და ეს ამოცანა არა მხოლოდ უფრო მნიშვნელოვანი, არამედ უფრო რთული შესასრულებელიც გახდა.

3. ინფორმაციის გავრცელების საშუალებები ანტიკურ რომში

ინფორმაციის გავრცელების ახალი მოთხოვნილებები წარმოიშვა ანტიკურ რომში, სადაც მოსახლეობის ყოველდღიური ინფორმირების საჭიროება ჯერ რესპუბლიკურ ეპოქაში, ხოლო შემდეგ პრინციპატის ეპოქაში, რომის იმპერიის წარმოქმნის შემდეგ განსაკუთრებული სიმწვავით დადგა. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი იყო იულიუს კეისრის გადაწყვეტილება, დაეფუძნებინა ყოველდღიური ინფორმირების ისეთი პრინციპი, რომელიც თანამედროვე ყოველდღიურ არაელექტრონულ მედიასაშუალებებს გვაგონებს. კეისრის მიერ დაარსებულ Acta diurna-ს კი ინფორმაციის გავრცელების რამდენიმე მნიშვნელოვანი ფორმა უძღოდა წინ.

3.1. ანალები

რომში მომხდარი ამბების შესახებ საზოგადოების წერილობითი ინფორმირების რამდენიმე ფორმა ჩამოყალიბდა. მათ შორის იყო ანალები, რომლებიც წლის მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონიკალური სტილით გადმოცემას გვთავაზობდნენ. ინფორმაციის შენახვის ეს პრინციპი ჯერ კიდევ ჰეროდოტოსამდე იყო ცნობილი ძველ სამყაროში და, გარკვეულწილად, მას ძველი აღმოსავლეთის მემატაიანეებიც მიმართავდნენ, მაგრამ ისტორიულ მოვლენათა ამ პრინციპით ფიქსაციას შესაბამისი სახელი რომაელებმა მოარგეს. Annus ლათინურად წელს ნიშნავს, ხოლო

⁷ ესქილე, ორესტეა, „აგამემნონი“, 26-30.

ანალები - მოვლენათა თუ ცნობათა ყოველწლიური ჩანაწერების სახით თავმოყრას. ამ ჟანრის კლასიკურ ნიმუშად გვევლინება ტაციტუსის „ანალები“. მასში წარმოდგენილია ქალაქის, ოლქის თუ ქვეყნის ცხოვრებასთან დაკავშირებული მოვლენები. ეს სახელწოდება დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას და ხშირად გამოიყენება სხვადასხვა დარგობრივი პერიოდული გამოცემის აღსანიშნავად.

რომში წლიური ანგარიშები შექმნეს სახელწოდებით Annales: კვინტუს ფაბიუს პიკტორმა (Quintus Fabius Pictor, ძვ.წ. აღ-ით III საუკუნის მეორე ნახევარი), კვინტუს ენიუსმა (Quintus Ennius, ძვ.წ. აღ-ით II ს), გაიუს ლუკინიუს მაკერ კალვუსმა (Gaius Licinius Macer Calvus, ძვ.წ. აღ-ით I ს.), ვალერიუს ანტიასმა (Valerius Antias, ძვ.წ. აღ-ით I ს.), კვინტუს კლავდიუს კვადრიგარიუსმა (Quintus Claudius Quadrigarius, ძვ.წ. აღ-ით I ს), კრემუტიუს კორდუსმა (Aulus Cremutius Cordus, ახ.წ. აღ-ით I ს), ვირიუს ნიკომახუს ფლავიანუსმა (Virius Nicomachus Flavianus, ახ.წ. აღ-ით 334 - 394).

პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსის (Publius Cornelius Tacitus, ახ.წ. აღ-ით 53 – 116 წწ.) „ანალები“ კი შეიქმნა მისივე „ისტორიის“ შემდეგ, რომელშიც დეტალურად იყო გადმოცემული რომის ახ.წ. 69-96 წლების ისტორია. „ანალები“ შედგებოდა 16 ან 18 წიგნისგან. მათგან ჩვენამდე მოაღწია I-IV წიგნებმა, V წიგნის დასაწყისმა, VI წიგნმა დასაწყისის გარეშე და XI – XVI წიგნებმა, ხარვეზებით. მასში ასახულია პერიოდი ავგუსტუსის გარდაცვალებიდან (ახ.წ. აღ-ით 14 წ) ახ.წ. 66 წლამდე. შესაძლოა, თხრობა ახ.წ. აღ-ით 68 წლამდეც მოდიოდა.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რა ტიპის ინფორმაციაზე იყო ორიენტირებული „ანალები“, მოვიყვანოთ ორ, სრულიად განსხვავებული შინაარსის ფრაგმენტს ტაციტუსის ანალების XIV წიგნიდან. აქ წარმოდგენილი ციტატებიდან პირველი გადმოსცემს იმდროინდელი რომის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურის - ნერონის პირადი ცხოვრების ისეთ დეტალებს, რომ შეიძლება მათ რეალურობაშიც კი შეგვეპაროს ეჭვი. შეიძლება ითქვას, რომ ანალების ეს მონაკვეთი გახლავთ ე.წ. „ყვითელი პრესის“ წინაპარი. ხოლო მეორე ციტატა მოგვითხრობს იმპერიის ერთ-ერთი პროვინციის ერთი შეხედვით ნაკლებად მნიშვნელოვანი ამბების შესახებ. თუმცა, ორივე შემთხვევაში ისტორიკოსი ერთნაირი მონდომებითა და გულმოდგინებით გადმოგვცემს ამბავს და სადა, მაგრამ შთამბეჭდავი ენით, უმცირეს დეტალებში აღწერს თითოეულ მათგანს:

XIV.1.1. „გაიუს ვიპსტანიუსისა და გაიუს ფონტიუსის კონსულობის წელს ნერონმა აღარ გადადო დიდი ხნის დაგეგმილი დანაშაული, რადგან იმპერატორობის ხანგრძლივმა ვადამ შეჰმატა მას გამბედაობა და დღითიდღე უფრო მეტად ედებოდა პოპეას სიყვარულის ალი; პოპეას არ ჰქონდა იმედი, რომ ნერონი ოქტავიასთან განქორწინდებოდა და მასზე იქორწინებდა, სანამ აგრიპინა ცოცხალი იყო. ქალი მას ხშირი საყვედურებით ავსებდა და ზოგჯერ ლანძვავდა კიდეც, უწოდებდა მას "მარიონეტს, რომელიც დამოკიდებულია სხვათა ბრძანებებზე; რომელიც არც იმპერიის ბატონი იყო და არც საკუთარი თავისა. რატომ გადაიღო ჩემი ქორწილი? ალბათ, არც ჩემი სახე და არც ჩემი ბაბუები, თავიანთი გამარჯვებებით, არ გაკმაყოფილებს? თუ უბედურებაა ჩემი ნაყოფიერება და წრფელი გული? არა! გემინია, რომ როგორც ცოლი, ყველა შეკრებაზე ვამხელ მამათა ბოროტებას, და იმას, თუ როგორი განრისხებულია ერი დედაშენის სიამაყისა და სიხარბის გამო! მაგრამ, თუ აგრიპინა ვერ შეეგუება რძალს, რომელიც არ იქნება მისი შვილის მტერი, მაშინ, დაე, დავბრუნდე ოთოსთან ქორწინებაში. მე მირჩევნია, წავიდე დედამიწის ნებისმიერ კუთხეში, სადაც მოვისმენ იმპერატორის სისულელეს, ვიდრე ვუყურო, რომ სრულად მოუცავს საფრთხეს". ასეთი და მსგავსი თავდასხმებისთვის, რომლებსაც ამბაფრებდა ცრემლები და სიყვარულის ვნებიანი

ხელოვნება, ნერონს არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ყველა მამაკაცს სურს დედის ძალაუფლების დანგრევა, მაგრამ ვერცერთი კაცი ვერ წარმოიდგენდა, რომ შვილის სიძულვილს დედის მკვლელობამდე მისვლა შეეძლო“.⁸

XIV.27.1. „იმავე წელს ლაოდისკა, აზიის ერთ-ერთი ცნობილი ქალაქი, მიწისძვრის შედეგად ნანგრევებად იქცა, მაგრამ აღდგა საკუთარი ძალებით, ჩვენი დახმარების გარეშე. იტალიაში ძველმა ქალაქმა პუტეოლმა ნერონისგან მიიღო კოლონიის უფლებები და ტიტული. ვეტერანები გაიწვიეს ტარენტუმში და ანთიუმში, მაგრამ მაინც ვერ შეაჩერეს რეგიონის გაუკაცრიელების პროცესი. უმრავლესობა დაბრუნდა იმ პროვინციებში, სადაც მრავალწლიანი სამსახური აღასრულეს; ხოლო რადგან მათ არ ჰქონდათ დაქორწინებისა და ოჯახების შექმნის ჩვეულება, მათ მიერ დატოვებული სახლები იყო უშვილო და უმემკვიდრეო. დიდი დრო გავიდა, რაც მთელი ლეგიონები - ტრიბუნებით, ცენტურიონებითა და რიგითებით თავიანთ ასეულებში - ისე იქნა გაგზავნილი, რომ მათი ერთსულოვნებითა და ამხანაგობით შეიქმნა პატარა თანამეგობრობა. ჩამოსახლებულები ახლა უცხოები იყვნენ უცხოთა შორის; მამაკაცები სრულიად განსხვავებული შენაერთებიდან; ხელმძღვანელის გარეშე; ერთმანეთის მიმართ გულგრილი; თითქოს ისინი არც იყვნენ ჯარისკაცები, არამედ ერთ ადგილას შემთხვევით შეკრებილი ხალხი, რათა შეექმნათ რაღაც ჯგუფი და არა დასახლება“.⁹

3.2. ფასტები

ძველ რომში გამოდიოდა აგრეთვე Fasti, რომელიც, ფაქტობრივად, ერთგვარ კალენდარს წარმოადგენდა. ფასტები აღწესდებოდა კალენდარულ და საჭურნალო ტიპის ცნობებს დღესასწაულების, რელიგიური რიტუალების, ისტორიული ამბების, ასტროლოგიური მოვლენების შესახებ; აგრეთვე, გადმოსცემდა თანამედრობის პირების, ქურუმების თუ სხვა პირთა საქმიანობას. შეიძლება ითქვას, რომ ფასტები ავრცელებდა ყველანაირ საინტერესო ინფორმაციას რელიგიურ თუ საერო ცხოვრებაში.

Fasti ეტიმოლოგიურად მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან Fas, რაც ნიშნავს მისაღებს, დასაშვებს, ანუ იმას, რაც დაშვებულია. უფრო ზუსტად რომ განვმარტოთ, ეს არის ის, რაც ლეგიტიმურია ღმერთების თვალში.

ამგვარი კალენდრის შედგენა იყო ქურუმთა ვალდებულება და ყოველწლიურად თვეების მიხედვით ხდებოდა. აქ თავს უყრიდნენ ქურუმთა და სახელმწიფო მოხელეთა ნუსხებს.

მნიშვნელოვანი იყო ე.წ. ტრიუმფალური ფასტები - Fasti triumphales, ანუ რომის ტრიუმფალური გამარჯვებების კალენდარული ფიქსაცია, რომელუსიდან მოყოლებული, ფასტების შედგენის მომენტამდე. აქვე განათავსებდნენ ცნობებს მნიშვნელოვანი მშენებლობებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

ფასტები იმდენად პოპულარული იყო, რომ რომაული სადღესასწაულო კალენდრის პოეტური დამუშავებაც კი დაიწყო და ასე წარმოიქმნა ახალი ლიტერატურული ფორმა, ამავე დასახელებით. ოვიდიუს ნაზონის „ფასტები“, რომელშიც თვეების მიხედვით ჭრელ-ჭრელი

⁸ ტაციტუსი, „ანალები“, წიგნი XIV, 1.1.

⁹ ტაციტუსი, „ანალები“, წიგნი XIV, 27.1.

ამბების ურთიერთშერევის პრინციპით მოცემულია ასტრონომიული, მითოლოგიური, ეტიოლოგიური ხასიათის ინფორმაცია.¹⁰

სწორედ 1958 წელს ოსტიაში აღმოჩენილმა ფასტების ფრაგმენტმა შემოგვინახა ცნობა იბერიის მეფის ფარასმანეს II-სა (ქართული ტრადიციის მიხედვით, ფარსმან ქველის) და მისი ოჯახის, როგორც კეისარ ანტონინუს პიუსის საპატიო სტუმრების, რომში ვიზიტის შესახებ, რასაც ასევე ადასტურებენ რომაელი ისტორიოგრაფებიც.¹¹ როგორც კასიუს დიო მოგვითხრობს, რომის წინა მმართველებთან შედარებით, იბერიასთან მიმართებაში ბევრად უფრო წარმატებული იყო კეისარ ანტონინუს პიუსის¹² პოლიტიკა, რაზეც საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს ისტორიკოსი. ფარასმანეს II-ს მიუღია კეისრის მოწვევა და დიდი ამალით, ცოლისა და ვაჟის თანხლებით ჩასულა რომში. როგორც კასიუსი აღნიშნავს, ეს იბერიის ტერიტორიული პრეტენზიების მიმართ რომის კომპრომისული პოლიტიკის შედეგი უნდა ყოფილიყო. რომში ფარასმანეს II-ს წინაშე კეისარმა სცნო იბერიის ახალი, გაფართოებული საზღვრები. აგრეთვე, იბერთა მეფეს ნება დართეს, კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, რაც სტუმრის მიმართ გამოხატული უდიდესი პატივი იყო. რომში ცხენოსანი ფარასმანესის ქანდაკებაც კი დადგეს.¹³ ამ ვიზიტის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ოსტიაში აღმოჩენილი ფასტების ფრაგმენტი, რომელიც რომში მომხდარ მნიშვნელოვან ამბავთა შორის პირველად ფარასმანესის, მისი მეუღლისა და ვაჟის იმპერიაში ყოფნაა მოხსენიებული.¹⁴

არსებობდა აგრეთვე *Fasti consulares* - კონსულთა ნუსხებით და ოფიციალური ქრონიკებით; ხშირად იმ მოვლენებით, რაც მოხდა მათი კონსულობის პერიოდში. ამ ტიპის *Fasti* აღმოაჩინეს XVI საუკუნეში, კაპიტოლიუმის ბორცვზე და უწოდეს *Fasti capitolini*.

ზოგიერთი ფასტები მიუთითებდა სხვადასხვა ტიპის დღეს. *Dies fasti*-ში ასახული იყო ყოველდღიური საჯარო და სახელმწიფო საქმეები. როგორც აღმოჩნდა, ყურადღება ექცეოდა ე.წ. იღბლიან და უიღბლო დღეებს. არსებობდა დღეები, როდესაც საქმის მოგვარება შეიძლებოდა წარმატებით, მაგალითად, *Dies comitielis*, რომელიც შეკრების დღეებს აღნიშნავდა, მაშინ, როდესაც *Dies nefasti* წარუმატებელ დღეებად ითვლებოდა. ძვ.წ. 304 წლიდან ეს ფასტები გამოაქვეყნა გნეუს ფლავიუსმა და საჯარო გახადა, მანამდე კი მხოლოდ პატრიციებისთვის იყო ხელმისაწვდომი.

რომის ოფიციალური ქრონიკები, *Fasti Magistrales*, ინტერესდებოდა იმპერატორებითა და მაგისტრებით, მათ საპატივცემულოდ დაწესებული დღეებით, მათთვის მიძღვნილი ნადიმებითა და ცერემონიებით. ამ ტიპის *Fasti* იწოდა, როგორც *Magni*, რათა განესხვავებინათ ჩვეულებრივი კალენდრისგან - *Fasti diurni*-სგან, ანუ ყოველდღიური ამბებისგან.

ამგვარად, *Fasti*-ს გამოყენება დაიწყო ანალებისა და ისტორიული ჩანაწერების აღსანიშნად. ფასტების ადრეული ეტაპის ჩანაწერებმა ბიძგი მისცა ისტორიული ტექსტების დამკვიდრებას,

¹⁰ P. Ovidius Naso. „Ovid's Fasti“, Ed. By Sir James George Frazer. London; Cambridge, MA. William Heinemann Ltd.; Harvard University Press. 1933.

¹¹ ვრცლად ფარსმან ქველის რომში ვიზიტის შესახებ იხ. „იბერია“, ენციკლოპედია „ანტიკური კავკასია“, რედაქტორი რ. გორდეუხიანი, II ტომი, ლოგოსი, 2016, 212 შმდ.

¹² Antoninus Pius, რომის იმპერატორი 138-161 წლებში.

¹³ C. Dio, „Roman History“, Loeb Classical Library edition, 1925, vol. VIII, Epistome of book LXIX, 15, 3.

¹⁴ H. Nesselhauf, „Ein neu es Fragment der Fasten von Ostia“, Athenaeum 16, 1958, 219-28.

რომელიც ჯერ ქრონოლოგიური ანალების სახით ჩამოყალიბდა, ხოლო მოგვიანებით გავლენა იქონია რომის ისტორიოგრაფიის განვითარებაზე.

3.3. Acta Diurna

ინფორმაციის სწრაფად და მასობრივად გავრცელების თვალსაზრისით ალბათ ყველაზე ეფექტური იყო იულიუს კეისრის მიერ შემოღებული Acta Diurna - ფაქტობრივად, იმდროინდელი გაზეთი, რომელიც იულიუსმა თავისი კონსულობის პირველივე წელს, ანუ, ძვ. წ. აღ-ით 59 წელს დააარსა. Acta diurna პრინციპულად განსხვავდებოდა ანალებისაგან. ანალები მოგვითხრობდა მხოლოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას, ხოლო Acta diurna-ში შედარებით უმნიშვნელო ამბებიც ხვდებოდა. სამწუხაროდ, ზუსტ ფრაგმენტებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ სხვა წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აქ იწერებოდა გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა ამბები, აგრეთვე იმპერიის პერიოდში - არა მხოლოდ იმპერატორთა, არამედ მთელი საიმპერატორო ოჯახის წევრების შესახებაც; Acta diurna-ში ქვეყნდებოდა იმპერატორის ბრძანებები, ხელისუფლების განკარგულებები, სენატის დადგენილებები და ისეთი კამათიც კი, რომლის გასაჯაროებაც დაშვებული იყო; ყოველდღიური ამბების გამოცემა აგრეთვე ამცნობდა საზოგადოებას სასამართლო პროცესების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; მოუთხრობდა რომის ცხოვრების ქრონიკებისა და საინტერესო მოვლენების შესახებ; აღნიშნავდა მნიშვნელოვანი შენობების აგების, გადაკეთების თუ დანგრევის ფაქტებს; ახალ ამბებში ხვდებოდა აგრეთვე ბუნებრივი მოვლენები, სტიქია, ხანძარი და ქალაქის ჭორებიც კი.

იულიუს კეისრის მიერ დანერგილმა სიახლემ დიდი პოპულარობა მოიპოვა რომში. ყოველდღიურ ამბებს აგრეთვე უწოდებდნენ Acta diurna, Acta urbana, Acta populi, Acta publica. ის გამოიცემოდა რომში, მაგრამ მათ კითხულობდნენ პროვინციებსა და ჯარშიც. ამ გამოცემებში იწერებოდა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, იურიდიული და, ზოგადად, საინტერესო ახალი ამბები. ის იწერებოდა სხვადასხვა მასალისგან დამზადებულ ფირფიტებზე. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ქვა, მეტალი ან ხე. ფირფიტები წარმოდგენილი იყო ისეთ საზოგადოებრივ ადგილებში, როგორც იყო რომის ფორუმი.

იმის შესახებ, თუ რა ტიპის ინფორმაცია ვრცელდებოდა Acta diurna-ს გზით, ან რამდენად ეფექტური იყო ეს მაშინდელი მედიასაშუალება, წარმოდგენას გვიქმნიან ანტიკური წყაროები, რომლებშიც საკმაოდ კარგადაა მინიშნებული, თუ რა მექანიზმი არსებობდა Acta diurna-ს გასავრცელებლად და რამდენად მოთხოვნადი იყო საზოგადოებაში.

როგორც სვეტონიუსი გადმოგვცემს, იულიუს კეისარმა „თანამდებობის აღსრულების დაწყებისთანავე პირველმა ბრძანა როგორც სენატის, ისე სახალხო კრებათა ყოველდღიური ანგარიშების შედგენა და გამოქვეყნება“.¹⁵

ციცერონი თავის წერილებში ატიკუსისადმი წერს, რომ 7 მარტის Acta urbana აქვს, რაც მისთვის, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანია.¹⁶

პეტრონიუსის „სატირიკონში“ ყოველდღიური ამბების ქრონიკა მოხსენიებულია, როგორც Acta Urbis. ერთ-ერთ ეპიზოდში შემოდის მოანგარიშე და, როგორც ავტორი აღნიშნავს,

¹⁵ სვეტონიუსი, „ღვთაებრივი იულიუსი“, 20, 1.

¹⁶ ციცერონი, „წერილები ატიკუსისადმი“, VI, 2.

„თითქოს ქალაქის ამბებს ჰყვებო“, ამბობს, რომ იმ დროის კონკრეტულ მონაკვეთში დაიბადა ოცდაათი ბიჭი და ორმოცი გოგო; აღნიშნავს, რომ კალოდან ბელელში შეტანილია ხუთასი ათასი მოდიუსი ხორბალი; უღელი დაადგეს 500 ხარს; ასევე, ჯვარს აცვეს მონა მითრიდატუსი, რადგან უპატივცემულოდ მოიხსენია გაიუსი; იმავე დღეს სალაროში დაუბრუნებიათ ათი მილიონი სესტერციუსი, რომელიც არ იცოდნენ, სად წაეღოთ. მოანგარიშე ბოლოს იმასაც დასძენს, რომ პომპეიუსის ბარში ხანძარი გაჩენილა. როგორც ჩანს, ასეთი მრავალფეროვანი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ინფორმაცია შეიძლება აღმოგეჩინა ქალაქის ახალ ამბებში. აქ შუდებოდა ყველაფერი - შობადობითა და ხაზინის შემოსავალ-გასავლით დაწყებული, სასოფლო-სამეურნეო რესურსებითა და მნიშვნელოვანი ყოველდღიური მოვლენითი ამბებით დამთავრებული.¹⁷

ტაციტუსი „ანალებში“ სხვადასხვა კონტექსტში სამჯერ ახსენებს Acta diurna-ს (ან Acta urbana-ს). პირველ რიგში, ის აღნიშნავს, რომ რომის ისტორიის ბერძნულენოვანი მწერლები მას უწოდებდნენ: τὰ ἡμερησίου, τὰ ἡμερησίου ἡμερησίου, τὰ ἡμερησίου ἡμερησίου, τὰ κοινὰ ἡμερησίου.

ტაციტუსი გვიამბობს, რომ გერმანიას დასაფლავებაზე ტიბერიუსი და ავგუსტუსი საზოგადოებაში არ გამოჩენილან. ისინი ან მიიჩნევენ, რომ ყველას თვალწინ მწუხარების გამოხატვით საკუთარ დიდებულებას დააკნინებდნენ, ან უბრალოდ შეეშინდათ, რომ მათ თვალთმაქცობას შენიშნავდა მათკენ მიპყრობილი ამდენი მზერა. ტაციტუსი აღნიშნავს, რომ ვერც ისტორიკოსებთან და ვერც ყოველდღიურ ამბებში ვერ იპოვა ცნობა იმის შესახებ, რომ გერმანიას დედა იღებდა მონაწილეობას დასაფლავების რიტუალში, მაშინ, როდესაც ყველა სხვა ნათესავი, რომ არაფერი ვთქვათ აგრიპინაზე, დრუსუსა და კლავდიუსზე, სახელებით იყო მოხსენიებული.¹⁸ „ანალების“ აღნიშნული პასაჟიდან ცხადი ხდება, რომ ისტორიკოსს იმედი ჰქონდა - აქტებში, ანუ ყოველდღიურ ამბებში იპოვიდა ისეთ დეტალურ ინფორმაციას, რომელიც ცნობილი ადამიანების შესახებ მითქმა-მოთქმას ემსგავსება და დღევანდელი გაგებით, სიყვითლე დაჰკრავს.

ტექსტის სხვა მონაკვეთში ტაციტუსი უკვე კონკრეტულად მიუთითებს, რა განსხვავება იყო ანალებსა და ყოველდღიურ ამბებს შორის. ის ამბობს, რომ ნერონისა და ლუციუს პიზონის კონსულობის პერიოდი არ იყო აღსავსე აღსანიშნავი ამბებით. „ყველას კარგად მოეხსენება, რომ რომაელი ხალხის დიდებულებას ასე შეშვენი - ანალებში მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ამბები აღვნიშნოთ, ხოლო ყველა დანარჩენი - რომის ახალ ამბებში“.¹⁹

მესამედ ისტორიკოსი ახალ ამბებს იმ კონტექსტში გვიხსენებს, რომ „მას განსაკუთრებული ინტერესით კითხულობდნენ პროვინციებსა თუ ლაშქარში, რათა გაეგოთ, რა ჩაიდინა ტრაზევსმა“.²⁰ ეს ციტატა უკვე იმის მტკიცებულებაა, რომ აქტები ფართოდ ვრცელდებოდა როგორც გეოგრაფიული თვალსზრისით, ასევე, ხელმისაწვდომი იყო ყველა სოციალური ფენისთვის - ის იზავნებოდა შორეულ პროვინციებშიც და მათ კითხულობდა ყველა, მათ შორის, რიგითი მოლაშქრეებიც კი.

¹⁷ პეტრონიუსი, „სატირიკონი“, 53c.

¹⁸ ტაციტუსი, „ანალები“, III, 3.

¹⁹ იქვე, XIII, 31.

²⁰ იქვე, XVI, 22.

დასკვნა

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ წერილობითი ინფორმაციის გავრცელების მეთოდებისა და ინსტრუმენტების ჩამოყალიბების სფეროში ანტიკურმა სამყარომ საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი გაიარა, ვიდრე აგორაზე ინფორმაციის გაჟღერების პრინციპიდან, ფაქტობრივად, ყოველდღიური საინფორმაციო საშუალების - Acta diurna-ს იდეამდე მივიდოდა. ამგვარ განვითარებას საფუძვლად ედო ანტიკურობისათვის დამახასიათებელი ლტოლვა თავისუფალი აზრის გამოთქმისა და ინფორმაციის გავრცელებისკენ.

ინფორმაციის დამახსოვრება, დამუშავება და გადაცემა ანტიკური ეპოქის ადამიანისთვის იდენტობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად გადაიქცა. ამას ემსახურებოდა არსებითად ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრი - ისტორიოგრაფია, ეპოსი, მჭევრმეტყველება, ფილოსოფია, და ა.შ.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინფორმაციის მოპოვების სურვილმა და პოლიტიკური ცხოვრების განვითარების გზამ, რომელიც ანტიკურობამ მინოსურ-მიკენური ეპოქიდან რომის იმპერიამდე გაიარა, ბუნებრივად მიიყვანა საზოგადოება ყოველდღიური წერილობითი ინფორმირების ისეთ ეფექტურ მეთოდამდე და მისი აღსრულების ინსტრუმენტამდე, როგორც იყო Acta diurna - ყოველდღიური მასობრივად ხელმისაწვდომი მედიასაშუალების პროტოტიპი. მასთან საგულისხმო მიმართებებს გვიჩვენებს ჯერ საფრანგეთში XVII საუკუნის დასაწყისიდან აღმოცენებული საგაზეთო გამოცემების კულტურა,²¹ ხოლო დღეს - გარკვეულწილად, თანამედროვე საინფორმაციო საშუალებები. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი ნაშრომის სახით კლასიკურ ფილოლოგიაში პირველად შევეცადეთ, გვეჩვენებინა ლოგიკური განვითარების ის გზა, რამაც ანტიკური სამყარო აგორადან - ინფორმაციის დემოკრატიულად გავრცელების საშუალებიდან - ყოველდღიური ახალი ამბების შექმნის პრაქტიკამდე მიიყვანა.

²¹ პირველი გაზეთი დაიბეჭდა საფრანგეთში, კერძოდ, სტრასბურგში - 1609 წელს.

ბიბლიოგრაფია

1. ჰომეროსი, „ილიადა“, Homeri Opera, ტ. I-II, რედ. დ. ბ. მონრო, თ. ვ. ალენი, ოქსფორდი 1920;
2. ჰომეროსი, „ოდისეა“, Homeri Opera, ტ. III-IV, რედ. დ. ბ. მონრო, თ. ვ. ალენი, ოქსფორდი 1917;
3. პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი, „Annales ab excessu divi Augusti“, რედ. ჩარლზ დენის ფიშერი, კლარენდონ პრესი, ოქსფორდი, 1906;
4. პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი, „Ovid's Fasti“, რედ. სერ ჯეიმს ჯორჯ ფრეიზერი, ლონდონი, კემბრიჯი, მა. უილიამ ჰენიმან შპს.; ჰარვარდ უნივერსიტი პრესი, 1933;
5. კასიუს დიო, „რომის ისტორია“, ლოგის კლასიკური ბიბლიოთეკის გამომცემლობა, 1925, ტ. VIII, LXIX წიგნის ეპისტომე, 15, 3;
6. ჰერბერტ ნესელჰაუფი, „ოსტიას ფასტების ახალი ფრაგმენტი“, ათენაუმი 16, 1958, 219-28;
7. რობერტ ს. პ. ბეეკესი, ლუსიენ ვან ბეეკი, „ბერძნული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, ტ. I, ბრილი, ლეიდენ-ბოსტონი, 2010;
8. ნიუ პაული, „აგორა“, ტ. 1, რედ. ჰერბერტ კანცივი და ჰელმუტ შნაიდერი, ი. ბ. მეტცლერის გამომცემლობა, შტუტგარტი, ვაიმარი, 1996;
9. ბრილს ნიუ პაული, „ანალები“, „ანტიკური სამყაროს ენციკლოპედია“, ლეიდენი, ბოსტონი, 2002, ტ. I;
10. ბრილს ნიუ პაული, „ყოველდღიური ამბები“, ლეიდენი, ბოსტონი, 2002, ტ. I;
11. „იბერია“, ენციკლოპედია „ანტიკური კავკასია“, რედაქტორი რისმაგ გორდეზიანი, II ტომი, ლოგოსი, 2016, 212 შმდ.

ISSN 2667 9892
უბკ (udc) 001.5 ბ 75

